ჯონ მაქსველ კუტზეე

სირცხვილი

ლიტერატურული
ბიბლიოთეკა

თავი 1

ორმოცდათორმეტი წლის განქორწინებული კაცის პირობაზე მას, როგორც თვითონ ფიქრობს, სექსის საქმე საკმაოდ კარგად აქვს მოგვარებული. ხუთშაბათს, ნაშუადღევს, თავისი მანქანით გრინ პონტში მიდის. პუნქტუალურად, ზუსტად ორ საათზე, უინძორ-მენშნსის სადარბაზოს კარის ზარს რეკავს, თავის სახელს ამბობს და შედის. 113-ე ნომერში სორაია ელოდება. პირდაპირ მკრთალად განათებული საწოლი ოთახისკენ მიემართება, სადაც სასიამოვნო სურნელი დგას და იხდის. სორაია სააბაზანოდან გამოდის, მოსასხამს იშორებს და ლოგინში უგორდება.

– გენატრებოდი? – ეკითხება ქალი.

– მე შენ სულ მენატრები, – უპასუხებს ის და მის მზედაუკრავ, თაფლისფერ-მოყავისფრო ტანს ეფერება. ქალს გადააწვენს, მკერდს უკოცნის და სიყვარულს ეძლევიან.

სორაია მაღალი და ტანადია, გრძელი შავი თმა და წყლიანი თვალები აქვს. ასაკით მამად შეჰფერის, მაგრამ ასე რომ ვიმსჯელოთ, კაცი მამა თორმეტი წლის ასაკშიც შეიძლება

გახდეს. უკვე წელიწადზე მეტია, სორაიას კლიენტების სიაშია. ხუთშაბათი მისთვის იქცა ოაზისად de luxe et volupté[1].

ლოგინში სორაია საკმაოდ თავშეკავებულია, საერთოდ, ბუნებით მშვიდია, მშვიდი და მორჩილი. საოცრად მორალისტური შეხედულებები აქვს. ბრაზობს ტურისტებზე, რომლებსაც პლაჟებზე ძუძუები მოშიშვლებული აქვთ (ძუძუებს ჯიქნებს ეძახის). ამბობს, მაწანწალებს თავი უნდა მოუყარო და ქუჩები აგვევინოო. კაცი არ ეკითხება, შენს შეხედულებებსა და საქმიანობას ერთმანეთს როგორ უთავსებო.

რადგან სორაია სიამოვნებას ანიჭებს, თანაც ყოველთვის, მის მიმართ თბილად განეწყო და თვლის, რომ ეს გრძნობა ორმხრივია. ამას, ალბათ, სიყვარული არ ჰქვია, მაგრამ მისი ბიძაშვილი მაინც არის. ურთიერთობის არცთუ მრავლის აღმთქმელი დასაწყისის პირობაზე შეიძლება ითქვას, გაუმართლათ. ორივეს გაუმართლა: კაცს – ეს ქალი რომ იპოვა, ქალს კი – ის რომ იპოვა.

აცნობიერებს, რომ ეს თვითკმაყოფილების გრძნობაა და რაღაც ცოლქმრული სიყვარულის მსგავსიც კი, მაგრამ ცდილობს, ამ გრძნობას ჩაეჭიდოს.

საათნახევრიან სეანსში ოთხას რანდს იხდის, რომლის ნახევარი „კეთილგონიერ თანამგზავრს“ რჩება. ენანება, რომ მას ამდენი მიაქვს, მაგრამ 113-ე და სხვა ბინების მეპატრონეც ეს სააგენტოა. გარკვეული თვალსაზრისით, სორაიაც, თავისი საქმიანობით, მას ეკუთვნის.

კაცმა ერთი პირობა იფიქრა, ქალისთვის ეთხოვა, სამსახურისგან თავისუფალ დროს შეხვედროდნენ ერთმანეთს. სიამოვნებით გაატარებდა მასთან ერთად საღამოს და იქნებ, მთელ ღა-

---

[1] ფუფუნება და ნეტარება (ფრ.).

მესაც, მაგრამ არა – მომდევნო დილას. ძალიან კარგად იცნობს საკუთარ თავს და არ სურს, ქალს აგრძნობინოს, რომ მას – დილაობით ცივსა და პირქუშს, ერთი სული აქვს, მარტო დარჩეს.

რა ქნას, ასეთი ტემპერამენტი აქვს, ტემპერამენტს კი ვერ შეიცვლის – საამისოდ მეტისმეტად ხნიერია. მისი ტემპერამენტი უკვე განსაზღვრული და ჩამოყალიბებულია. თავის ქალა და ტემპერამენტი ყველაზე ნაკლებად იცვლება.

მისდიე შენს ტემპერამენტს – ეს ფილოსოფია არ არის, მისი ასეთი სახელით შემკობა არ ღირს. ეს წესია, წმინდა ბენედიქტის[2] წესის მსგავსი.

ჯანმრთელობას არ უჩივის, ნათელი გონება აქვს. მეცნიერია, პროფესიით ფილოლოგი, უფრო სწორად – იყო, თუმცა ფილოლოგია ახლაც, მართალია, გარკვეული შუალედებით, მაგრამ მაინც მთლიანად მოიცავს მის არსებას. თავისი შემოსავლის, ტემპერამენტისა და ემოციური შესაძლებლობების მიხედვით ცხოვრობს. ბედნიერია? ძირითადად – ჰო, ფიქრობს, რომ არის. მაგრამ არ ავიწყდება ქოროს უკანასკნელი სიტყვები „ოიდიპოს მეფიდან“: „ნუ იტყვი კაცზე, ბედნიერიაო, სანამ არ მომკვდარა“.

სექსის დროს საკმაოდ ტემპერამენტიანია, თუმცა ვნებიანი არასოდეს ყოფილა. ტოტემის არჩევაზე რომ მიდგეს საქმე, გველს აირჩევდა. კაცის წარმოდგენით, მისი და სორაიას შერწყმა გველების შერწყმას ჰგავს – ხანგრძლივია, შთამნთქმელი, მაგრამ როგორღაც გულგრილი და ყველაზე მგზნებარე წუთებშიც კი – მშრალი.

ნეტა სორაიას ტოტემიც გველია? სხვა კაცთან, ცხადია,

---

[2] იგულისხმება წმინდა ბენედიქტ ნურსიელის (480-543) შემუშავებული სამონასტრო წესდება.

სხვანაირი ქალი იქნება, la donna é mobile[3], მაგრამ ტემპერამენტით მასთან მსგავსების გათამაშებას მაინც ვერ შეძლებს.

მიუხედავად იმისა, რომ სორაიას ასეთი თავისუფალი პროფესია აქვს, შეიძლება ითქვას, რომ ის ქალს ენდობა. შეხვედრების დროს საკმაოდ გულღიად ესაუბრება, ხანდახან თითქოს მხრებიდან ტვირთსაც კი იცილებს. ქალმა ბევრი რამ იცის მის შესახებ, იცის, რომ ორჯერ იყო დაქორწინებული, იცის მისი ქალიშვილის ასავალ-დასავალი. იცნობს მის შეხედულებებს.

უინძორ-მენშნსის მიღმა თავისი ცხოვრების შესახებ ქალი არაფერს ამბობს. კაცი დარწმუნებულია, რომ სორაია მისი ნამდვილი სახელი არ არის. ეჭვობს, რომ ბავშვი უნდა ჰყავდეს, შეიძლება – რამდენიმეც. ისიც შეიძლება, რომ პროფესიონალი სულაც არ იყოს. იქნებ სააგენტოსთვის კვირაში ერთ-ორ დღეს მუშაობს, სხვა დღეებში კი რესპექტაბელურად ცხოვრობს სადღაც გარეუბანში – რაილენდსში ან ატლონში. ეს მუსლიმი ქალისათვის თითქოს უჩვეულოა, მაგრამ ჩვენს დროში ყველაფერია შესაძლებელი.

თავისი სამსახურის შესახებ თითქმის არაფერს ამბობს, არ სურს, ქალს თავი შეაწყინოს. ის კეიპის ტექნიკურ უნივერსიტეტში, ყოფილ კეიპტაუნის უნივერსიტეტის კოლეჯში სწავლებით ირჩენს თავს. ერთ დროს თანამედროვე ენების პროფესორი ახლა მეორე პროფესორია კომუნიკაციის ფაკულტეტზე, რადგან ძველი და ახალი ენების კათედრები დიდი რაციონალიზაციის დროს დახურეს. როგორც ყველა „რაციონალიზებულ“ თანამშრომელს, მასაც ნება დართეს, წელი-

---

[3] „ქალს ცვალებადი ხასიათი აქვს“ (იტალ.) – ჰერცოგის სიმღერის სიტყვები ჯ. ვერდის ოპერიდან „რიგოლეტო“.

წადში ერთი კურსი თავისი ძველი სპეციალობით წაეკითხა, მიუხედავად იმისა, რამდენი სტუდენტი ეყოლებოდა. ეს, მორალური თვალსაზრისით, კარგია. წელს რომანტიკოს პოეტებზე კითხულობს ლექციებს, დანარჩენ დროს კი 101-ე (კომუნიკაციის ძირითადი მეთოდები) და 201-ე (კომუნიკაციის თანამედროვე მეთოდები) კურსები მიჰყავს.

ყოველდღე რამდენიმე საათს უთმობს თავის ახალ საგანს, თუმცა 101-ე კურსის სახელმძღვანელოში ჩამოყალიბებული მისი პირველი წანამძღვარი – საზოგადოებამ ენა იმისთვის შექმნა, რომ შევძლოთ, ერთმანეთს ჩვენი აზრები, გრძნობები და ზრახვები გადავცეთო, სისულელედ მიაჩნია. მისი აზრით, თუმცა ამის შესახებ ხმამაღლა არაფერს ამბობს, მეტყველების წარმოშობა სიმღერას უკავშირდება, სიმღერის წარმოშობა კი – ადამიანის უსაზღვრო და ცოტა არ იყოს, ცარიელი სულის ბგერებით ავსების მოთხოვნილებას.

თავისი კარიერის მანძილზე, რომელიც აგერ, მეოთხედი საუკუნეა, გრძელდება, სამი წიგნი გამოსცა. არც ერთ მათგანს არამცთუ აჟიოტაჟი არ გამოუწვევია, მათმა გამოსვლამ სრულიად უხმაუროდ ჩაიარა. პირველი ოპერას ეძღვნებოდა („ბოიტო და ლეგენდა ფაუსტზე. მეფისტოფელის გენეზისი“), მეორე – ხილვას, როგორც ეროსის ნაყოფს („წმინდა ვიქტორის[4] მონასტრის წინამძღვრის რიჩარდის[5] ხილვა“), მესამე – უორდსუორთსა და ისტორიას („უორდსუორთი და წარსულის ტვირთი“).

რამდენიმე წლის განმავლობაში ბაირონზე ნაშრომის დაწერის სურვილს ელაციცებოდა. თავიდან თვლიდა, რომ ის

---

[4] ვიქტორ დამასკელი (II ს.) – წმინდა მოწამე.

[5] ფრანგი ფილოსოფოსი, თეოლოგი, მისტიკოსი (XII ს.).

კიდევ ერთი წიგნი, კიდევ ერთი კრიტიკული ოპუსი იქნებოდა, მაგრამ ყველა მისი მცდელობა, წერას შესდგომოდა, მოწყენილობის ჭაობში ეფლობოდა. სიმართლე ის არის, რომ ლიტერატურული კრიტიკით და იარდებით გაზომილი პროზით დაიღალა. აი, მუსიკის დაწერა კი ნამდვილად უნდა: „ბაირონი იტალიაში“ – ფიქრი საპირისპირო სქესთა სიყვარულზე, კამერული ოპერის ფორმით გადმოცემული.

კომუნიკაციის მეთოდების ლექციებზე მის გონებაში დროდადრო გაიელვებს ფრაზები, მელოდიები, ფრაგმენტები ჯერ დაუწერელი ნაშრომისა. მაინცდამაინც ბრწყინვალე პედაგოგი არასოდეს ყოფილა. ახლანდელ ტრანსფორმირებულ და, მისი აზრით, კასტრირებულ ინსტიტუტში კი ყველაზე ნათლად გრძნობს, რომ აქ მისი ადგილი არ არის, თუმცა ასევე გრძნობდნენ თავს მისი ძველი კოლეგები, პოსტრელიგიური ხანის ჩინოვნიკები, რომელთა საგანმანათლებლო საქმიანობა სულაც არ შეესაბამებოდა მათ ამოცანებს.

რადგან თავად არ სცემს პატივს საგანს, რომელსაც ასწავლის, ვერც სტუდენტებზე ახდენს შთაბეჭდილებას. როცა ლაპარაკობს, ისინი სადღაც, მის მიღმა იყურებიან და მისი სახელიც არ ახსოვთ. მათი გულგრილობა ძალიან აღიზიანებს, თუმცა ამის აღიარება არ სურს. ამის მიუხედავად, ზედმიწევნით ასრულებს თავის მოვალეობას სტუდენტების, მათი მშობლებისა და ქვეყნის მიმართ. თვიდან თვემდე სტუდენტებს აძლევს საშინაო დავალებებს, შემდეგ შესრულებულ დავალებებს კრებს, კითხულობს, ანოტაციებს აკეთებს, ასწორებს პუნქტუაციურ და ორთოგრაფიულ შეცდომებს, აბათილებს სუსტ არგუმენტებს და თითოეულ დავალებას მოკლე, გააზრებულ კრიტიკას ურთავს.

თავისი პროფესიით იმიტომ მუშაობს, რომ თავი ირჩინოს,

თანაც პედაგოგობა თავმდაბლობას ასწავლის და სამყაროში თავისი ადგილის პოვნაში ეხმარება. გრძნობს სიტუაციის ირონიულობას: ვინც მოდის, რომ ასწავლოს, უმწარეს გაკვეთილებს იღებს, სწავლისთვის მოსული კი ვერაფერს სწავლობს. ეს მისი პროფესიის თავისებურებაა, რაზეც სორაიას არ ელაპარაკება. ეეჭვება, ქალის პროფესიაშიც იყოს ასეთი ირონია.

გრინ პოინტზე, სააგენტოს ბინის სამზარეულოში ჩაიდანი, პლასტმასის ფინჯნები, ხსნადი ყავის ქილა და შაქრისპაკეტებიანი თასი აწყვია. მაცივარში წყლით სავსე ბოთლი დგას. სააბაზანოში საპონი და რამდენიმე პირსახოცი დევს, კარადაში კი – სუფთა თეთრეული. კოსმეტიკურ საშუალებებს სორაია პატარა ჩანთაში ინახავს. სასიყვარულო შეხვედრების ადგილი. არაფერი ზედმეტი. ფუნქციური, სუფთა, კარგად მოწყობილი.

როცა აქ პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, სორაიას ალისფერი პომადა ესვა, თვალები კი მუქად ჰქონდა შეღებილი. ასეთი კოსმეტიკა არ მოსწონს და ქალს სთხოვა, მოიშორეო. სორაია დაემორჩილა და მას შემდეგ აღარც თვალებს იღებავს და აღარც ტუჩებს. კარგი მოსწავლეა, მორჩილი, დამყოლი.

სიამოვნებს სორაიასთვის რამის ჩუქება. საახალწლოდ მომინანქრებული სამაჯური აჩუქა, ერთხელ კი მალაქიტის პატარა წერო, რომელმაც მისი ყურადღება ანტიკვარულ მაღაზიაში მიიპყრო. სორაიას უშუალო, გულწრფელი სიხარული სიამოვნებას ანიჭებს.

უკვირს, რომ კვირაში ერთხელ ქალთან გატარებული ოთხმოცდაათი წუთი მისი ბედნიერებისათვის საკმარისია, არადა, მიაჩნდა, რომ სჭირდება ცოლი, სახლი, ოჯახი. აღმოჩნდა, რომ ძალიან უბრალო მოთხოვნილებები ჰქონია, უბრალო და წარმავალი, პეპელასავით. არავითარი ემოციები, უფრო სწორად, მხოლოდ ყველაზე ღრმა, ყველაზე გამოუცნობი ემოციები.

დაკმაყოფილების ბასო ოსტინატო[6], მანქანების გუგუნის მსგავსი, ქალაქის მცხოვრებს ძილს რომ ჰგვრის, ან დაახლოებით ისეთი, რაც ღამის მდუმარებაა სოფლის მცხოვრებისთვის.

ფიქრობს მადამ ბოვარიზე, რომელიც დაკმაყოფილებული, თვალებანთებული ბრუნდება სახლში დილის თავაწყვეტილი სექსის შემდეგ. აი, ეს არის ნეტარება! – ამბობს ემა და სარკეში თავის თავს ათვალიერებს, – ნეტარება, რომელზეც პოეტები ლაპარაკობენ! მოჩვენებად ქცეულ ემას როგორმე კეიპტაუნისკენ გზა რომ გამოეკვლია, ერთ-ერთ ხუთშაბათს აქ მოიყვანდა და აჩვენებდა, როგორი შეიძლება იყოს ნეტარება: ზომიერი ნეტარება, ზომიერი.

ერთ შაბათ დილით კი ყველაფერი იცვლება. ქალაქში რაღაც საქმე აქვს და წმინდა გიორგის ქუჩას მიუყვება. მოულოდნელად მზერას ხალხში მიმავალ ტანად ქალზე აჩერებს. შეუძლებელია, ცდებოდეს – ეს სორაიაა, აქეთ-იქით ორი ბავშვი, ორი ბიჭი მიჰყვება. პაკეტები უჭირავთ. ჩანს, საყიდლებზე იყვნენ.

ჯერ ყოყმანობს, შემდეგ შორიახლო მიჰყვება. „კაპიტან დორეგოს თევზის დუქანში“ უჩინარდებიან. ბიჭებს სორაიასავით მბზვინვარე თმა და შავი თვალები აქვთ. ნამდვილად მისი შვილები არიან.

გზას აგრძელებს, შემდეგ უკან ბრუნდება, „კაპიტან დორეგოს“ მეორედ ჩაუვლის. სამივენი ფანჯარასთან მაგიდას უსხედან. წამიერად მათი მზერა ერთმანეთს ხვდება.

ის ყოველთვის ქალაქში ცხოვრობდა. შინაურულად გრძნობს თავს სხეულთა ნაკადში, სადაც ეროსი და სხვადასხვა ადა-

---

[6] ბასო ოსტინატო (იტალ.) – უწყვეტი ბასი, რომელიც გამუდმებით იმეორებს იმავე ფიგურას ან მოტივს.

მიანთა მზერა ისრებივით დაფრინავენ, მაგრამ სორაიას შეხედვას მაშინვე ნანობს.

შემდეგ ხუთშაბათს მომხდარზე არც ერთი არ ლაპარაკობს, თუმცა ამ მოგონების გამო თავს ორივე შებოჭილად გრძნობს. სულაც არ უნდა, საფრთხე შეუქმნას სორაიას, როგორც ჩანს, სახიფათო ორმაგ ცხოვრებას. თვითონ ორმაგი ცხოვრების მომხრეა, თუნდაც სამმაგის თუ ნაკვეთურებად დაყოფილის. სორაიას მიმართ უფრო მეტ სინაზეს გრძნობს და სურს, ქალს უთხრას: „ნუ გეშინია, საიდუმლოს შეგინახავ!“

მაგრამ მომხდარის დავიწყებას ვერც ერთი ვერ ახერხებს. მათ შორის ორი პატარა ბიჭი დგას. ისინი ჩრდილებივით უხმოდ თამაშობენ ოთახის კუთხეში, სადაც მათი დედა და უცნობი კაცი ერთმანეთს ერწყმიან. სორაიას მკლავებში ის წამიერად მათი მამა ხდება – მამობილი, მამინაცვალი, მამაჩრდილი. როცა ლოგინიდან დგება, გრძნობს, მალულად, ცნობისმოყვარეობით როგორ აკვირდება ორი წყვილი თვალი. უნებურად მათ ნამდვილ მამაზე იწყებს ფიქრს. ნეტავ, იცის, მისი ცოლი რას აკეთებს თუ არცოდნის ნეტარებას ამჯობინებს?

თვითონ ვაჟიშვილი არ ჰყავს. ბავშვობა ისეთ ოჯახში გაატარა, სადაც მხოლოდ ქალები იყვნენ. როცა მისი ცხოვრებიდან დედა, დეიდები, და წავიდნენ, მათი ადგილი საყვარლებმა, ცოლებმა, ქალიშვილმა დაიკავეს. მუდმივად ქალების კომპანიაში ყოფნამ ქალები შეაყვარა, შეიძლება ითქვას, მექალთანედ აქცია. მაღალს, ძვალმსხვილს, ზეთისხილისფერი კანითა და ტალღოვანი თმით, ყოველთვის შეეძლო, თავისი მიმზიდველობის იმედი ჰქონოდა. თუ ქალს სხვანაირად, სხვაგვარი განზრახვით შეხედავდა, ქალიც ისეთივე მზერას შეაგებებდა. აი, ასე ცხოვრობდა წლების, ათეული წლების განმავლობაში. ეს იყო მისი ცხოვრების არსი.

მერე კი, ერთ დღეს, ყველაფერი დამთავრდა. ეს ძალა ისე თვალსა და ხელს შუა გაუფრინდა, არც კი გაუფრთხილებია. გამოხედვას, რომელიც ადრე მის მზერას უპასუხებდა, ახლა თითქოს ისხლეტდა და ის სადღაც, მის მიღმა იკარგებოდა. ერთბაშად აჩრდილად იქცა. თუ ქალი სურდა, უნდა ედევნა, ან, უფრო ხშირად, ამა თუ იმ საშუალებით ეყიდა მისი სიყვარული.

მშფოთვარე, აფორიაქებული, არეული სქესობრივი ცხოვრება ჰქონდა. არ ერიდებოდა რომანებს თავისი კოლეგების ცოლებთან, აბამდა ტურისტებს სანაპიროს ბარებში ან იტალიურ კლუბში, დადიოდა მეძავებთან.

სორაია „კეთილგონიერი თანამგზავრის“ მთავარი კანტორის წინ მდებარე პატარა, მკრთალად განათებულ სასტუმროში გაიცნო. აწეული ვენეციური ჟალუზები, კუთხეში – ქოთნის მცენარეები, კვამლის მძიმე სუნი. ის კატალოგში, „ეგზოტიკის“ განყოფილებაში იპოვა. ფოტოზე სორაია თმაში ჩამაგრებული წითელი ვნების ყვავილითა და თვალის უპეებში ძლივს შესამჩნევი ნაოჭებით იყო გამოხატული. ფოტოს ჰქონდა წარწერა: „მხოლოდ ნაშუადღევს“. მისი გაცნობა სწორედ ამან გადააწყვეტინა: დარაბებდახურული ოთახის, გრილი ზეწრების, თავდავიწყების საათების დაპირებამ.

თავიდანვე ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც მას სურდა. ათიანში მოარტყა. მთელი წელი სააგენტოს დახმარება აღარ დასჭირვებია.

შემდეგ კი ეს შემთხვევა წმ. გიორგის ქუჩაზე და გაუცხოება, რომელიც ამას მოჰყვა. სორაია ისევ ხვდება დანიშნულ დროს, მაგრამ უფრო და უფრო გულგრილი ხდება, რაც მას ერთ რიგით ქალად, კაცს კი კიდევ ერთ კლიენტად აქცევს.

ცხადად შეუძლია წარმოიდგინოს, რას ლაპარაკობენ მეძავები მუდმივ კლიენტებზე, განსაკუთრებით – ხანში შესუ-

ლებზე. ისინი ჰყვებიან ამბებს, იცინიან, მაგრამ ძრწიან კიდეც, იმ ადამიანის მსგავსად, სააბაზანოს ნიჟარაში შუაღამით ტარაკანას რომ დაინახავს. მალე თანდათანობით და ულმობლად ისიც ასეთ ტარაკანად იქცევა. ეს ბედია, რომელსაც ვერ გაექცევი.

ქუჩაში შეხვედრიდან მეოთხე ხუთშაბათს, მისი ოთახიდან გასვლისას, სორაია ამბობს სიტყვებს, რომელთაც ის ასე უფრთხოდა:

– დედა გახდა ავად და ურთიერთობის შეწყვეტა მოგვიწევს. უნდა მოვუარო. მომავალ კვირას არ ვიქნები.

– და იმის მომდევნო კვირას შეიძლება გნახო?

– ჯერ არ ვიცი. გააჩნია, დედა როგორ იქნება. აჯობებს, თუ წინასწარ დამირეკავ.

– შენი ტელეფონის ნომერი რომ არ ვიცი?

– სააგენტოში დარეკე. მათ ეცოდინებათ.

რამდენიმე დღის შემდეგ სააგენტოში რეკავს.

– სორაია? სორაია ჩვენთან აღარ მუშაობს, – უპასუხებს კაცის ხმა, – არა, მასთან ვერ დაგაკავშირებთ. სააგენტოს წესებით ეს აკრძალულია. იქნებ ჩვენს სხვა რომელიმე ქალს შეხვდეთ? ეგზოტიკური ქალბატონების დიდი არჩევანი გვაქვს: მალაიზიელები, ტაელები, ჩინელები. თქვენ მხოლოდ გვითხარით, რომელი გნებავთ.

საღამოს სხვა სორაიასთან ატარებს – სორაია პოპულარულ nom de commerce-ად[7] იქცა ლონგ-სტრიტის სასტუმროს ნომერში. ის თვრამეტ წელზე მეტის არ იქნება. გამოუცდელია და, მისი აზრით, ცოტა ვულგარულიც.

– რას საქმიანობ? – ეკითხება ქალი და თან იხდის.

– არ მეუბნები... – ამბობს ქალი.

მათ დეპარტამენტში ახალი მდივანი ქალი მიიღეს, რომელსაც ლანჩზე პატიჟებს, რესტორანში, უნივერსიტეტიდან საკმაოდ მოშორებით და კრევეტების სალათის თანხლებით უსმენს მის საყვედურს ვაჟიშვილის სკოლაზე.

– ნარკომოვაჭრეები სპორტულ მოედნებთან დაძრწიან, პოლიცია კი არას დაგიდევთ.

უკვე სამი წელია, ის და მისი ქმარი აღრიცხვაზე დგანან ახალი ზელანდიის საკონსულოში – ემიგრაციაში წასვლა უნდათ.

– თქვენთვის ყველაფერი უფრო ადვილი იყო. ავად თუ კარგად, ის მაინც იცოდით, სად იყავით.

– ჩვენ? ვინ ჩვენ? – ეკითხება კაცი.

– თქვენს თაობას ვგულისხმობ. ახლა ხალხი თვითონ ირჩევს, რომელ კანონს დაემორჩილოს. როგორ გინდა ბავშვები აღზარდო, როცა ირგვლივ ასეთი ანარქიაა.

ქალს დონი ჰქვია. მეორე შეხვედრისას ის თავის სახლში მიჰყავს. წვებიან. ულიმღამო სექსი. ქალი იგრიხება, ფრჩხილებით ზურგში აფრინდება, პირიდან დუჟის გადმოსვლამდე აღიგზნებს თავს, რაც კაცისთვის აუტანელი ხდება. ბოლოს სავარცხელს ათხოვებს და უკან, უნივერსიტეტში მიჰყავს.

ამის შემდეგ ქალს თვალს არიდებს. ცდილობს, გვერდი აუაროს ოთახს, სადაც ის მუშაობს. პასუხად ქალი ჯერ საყვედურით უყურებს, შემდეგ – ზიზღით.

უნდა შეწყვიტოს ეს თამაში. საინტერესოა, ორიგენი[8] რამხელა იყო, თავი რომ დაისაჭურისა? მაინცდამაინც სასიამოვნო არ იქნება, მაგრამ სასიამოვნო არც დაბერების პროცე-

---

[8] ორიგენი (185-254) – ქრისტიანი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი. დაიბადა და ცხოვრობდა ალექსანდრიაში, შემდეგ პალესტინაში.

სია – საწერი მაგიდის მოწესრიგებას ჰგავს. დროა, გონება მოხუცის შესაფერისი საქმიანობით – სიკვდილისთვის მზადებით დაკავდეს.

ექიმთან ხომ არ მისულიყო? ძნელი ოპერაცია ნამდვილად არ იქნება. ცხოველებს ყოველდღე უკეთებენ და ისინიც საკმაოდ ადვილად იტანენ, თუ დარჩენილ ხინჯს არ მივიღებთ მხედველობაში. წაჭრა ადგილობრივი გაუტკივარებით, შეხვევა, მტკიცე ხელით და ცოტა ცივსისხლიანად. კაცი თუ მოინდომებს, თვითონაც კი მოახერხებს სახელმძღვანელოს დახმარებით. სავარძელში მოიკალათებ და... ტკაც! საზიზღარი სანახაობაა, მაგრამ ქალის სხეულზე მობუღრავე კაცზე საზიზღარი – არა.

დარჩა სორაია. წიგნის ეს თავი უნდა დახუროს. ამის ნაცვლად დეტექტივთა სააგენტოს უხდის ფულს მის მოსაძებნად. რამდენიმე დღეში მის სახელს, მისამართს, ტელეფონის ნომერს იგებს. დილის ცხრა საათზე ურეკავს, როცა ბავშვები და ქმარი, წესით, სახლში აღარ უნდა იყვნენ.

– სორაია? – კითხულობს. – დევიდი ვარ. როგორ ხარ? როდის შეიძლება შენი ნახვა?

გრძელი პაუზა, სანამ ქალი უპასუხებდეს.

– არ ვიცი, ვინ ხართ, – ამბობს ის, – რატომ არ მასვენებთ? მოვითხოვ, აღარასოდეს დამირეკოთ, აღარასოდეს!

„მოვითხოვ“ ნიშნავს „გიბრძანებ“. ქალის გამყივანი ხმა აკვირვებს. ადრე მსგავსი რამ არ შეუნიშნავს, მაგრამ რას უნდა მოელოდეს ლეკვებიანი მელიის სოროში შემძვრალი მტაცებელი!..

ტელეფონის ყურმილს დებს. მასში რაღაც შურის მსგავსი გაკრთება ქალის ქმრის მიმართ, რომელიც არასოდეს უნახავს.

თავი 2

ხუთშაბათის ინტერლუდიების გარეშე კვირა უდაბნოსავით უსახურია. არის დღეები, როცა არ იცის, საკუთარ თავს რა მოუხერხოს.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ახლა მეტ დროს ატარებს და ბაირონის მეგობრებისა და ნაცნობების ფართო წრის შესახებ რასაც წააწყდება, ყველაფერს კითხულობს, თან შენიშვნებს ამატებს. ორი სქელი საქაღალდე უკვე შეავსო. სიამოვნებს სიწყნარე, გვიან ნაშუადღევს რომ ისადგურებს სამკითხველო დარბაზში; სიამოვნებს ზამთრის მაცოცხლებელი ჰაერი და სველი, მოციმციმე ქუჩები.

ერთ პარასკევ საღამოს სახლისკენ გრძელი შემოვლითი გზით – ძველი კოლეჯის ბაღის გავლით – მიეშურება. წინ, ბილიკზე, ერთ-ერთ თავის სტუდენტს ამჩნევს. ეს მელანი ისააქსია. რომანტიკოსებისადმი მიძღვნილ კურსს ისმენს. საუკეთესო სტუდენტი არ არის, მაგრამ არც ყველაზე უარესია. საკმაოდ ჭკვიანია, თუმცა სიღრმისეულად არაფერი აინტერესებს.

გოგონა არ ჩქარობს და ის მალე ეწევა.

– გამარჯობა, – ესალმება.

პასუხად ის ულიმის და თავს უქნევს. ეშმაკური ღიმილი უფროა, ვიდრე მორიდებული. გოგონა მაღალია და გამხდარი, მოკლედ შეჭრილი შავი თმით, ფართო, ლამის ჩინური ღაწვის ძვლებით, დიდი შავი თვალებით. მისი ჩაცმულობა ყოველთვის თვალში მოსახვედრია. დღეს მუქი ბორდოსფერი მოკლე ქვედატანი აცვია, მდოგვისფერი სვიტერი და შავი კოლგოტი. ქამრის ოქროსფერი ზიზილ-პიპილები ოქროსფერ საყურეებს ეხამება.

ცოტათი შეყვარებულიც კია გოგონაზე. ამაში უცნაური არაფერია. თითქმის ყოველ სემესტრში რომელიმე თავისი სტუდენტი უყვარდება – კეიპტაუნში ხომ ამდენი სილამაზე და ლამაზმანია.

ვითომ იცის, რომ მასზე თვალი უჭირავს? ალბათ. ქალები ნდომით სავსე მზერის მიმართ ძალიან მგრძნობიარენი არიან.

ახალი ნაწვიმარია. ბილიკის კიდეებზე, თხრილებში წყალი უხმოდ მიედინება.

– ეს ჩემი საყვარელი სეზონი და დღის საყვარელი დროა, – შენიშნავს ის, – აქ ახლოს ცხოვრობთ?

– ჰო, აქვე, პარკთან. მეგობართან ერთად ოთახი მაქვს დაქირავებული.

– კეიპტაუნი თქვენი მშობლიური ქალაქია?

– არა, ჯორჯში გავიზარდე.

– მე აქვე ვცხოვრობ. შეიძლება დასალევზე მიგიპატიჟოთ?

ფრთხილი პაუზა.

– კარგი, მაგრამ რვის ნახევარზე შინ უნდა ვიყო.

პარკიდან წყნარ საცხოვრებელ კვარტალში მიდიან, სადაც ის ბოლო თორმეტი წელია, ცხოვრობს, ჯერ როზალინდასთან ერთად, განქორწინების შემდეგ კი – მარტო.

ჭიშკარს აღებს, შემდეგ – კარს და გოგონა ბინაში შეჰყავს. სინათლეს ანთებს, ჩანთას ართმევს. თმაში წვიმის წვეთები ჩარჩენია. გულწრფელად მოხიბლული შესცქერის. მელანი თვალებს ხრის, მზერას ისევ არიდებს და წინანდელივით, ან შესაძლოა, ცოტა უფრო კეკლუცადაც, იღიმება.

სამზარეულოში „მირლასტის“ ბოთლს ხსნის, თეფშებზე ნამცხვარსა და ყველს დებს. ოთახში დაბრუნებულს მელანი წიგნის თაროებთან ხვდება. თავი გვერდზე აქვს გადახრილი, სათაურებს კითხულობს. ის მუსიკას რთავს, მოცარტს, კლარნეტის კვინტეტს.

ღვინო, მუსიკა – რიტუალი, რომელსაც ქალი და კაცი ერთად ასრულებენ. რიტუალებში ცუდი არაფერია. ისინი იმისთვის მოიგონეს, რომ უხერხული სიტუაციები განმუხტოს. მაგრამ ქალი, რომელიც მან სახლში მოიყვანა, არა მხოლოდ ოცდაათი წლით უმცროსია მასზე, არამედ მისი სტუდენტიცაა და მისი მეურვეობის ქვეშ იმყოფება. იმის მიუხედავად, რა მოხდება ახლა მათ შორის, ისინი ისევ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს, როგორც მასწავლებელი და მოსწავლე. არის კი ის მზად ამისთვის?

– ჩემი კურსი მოგწონთ? – ეკითხება.

– ბლეიკი მომწონს და კიდევ ვანდერჰორნი.

– ვუნდერჰორნი.

– უორდსუორთზე არ ვგიჟდები.

– მე ამას არ უნდა მეუბნებოდეთ. უორდსუორთი ჩემი ერთ-ერთი მასწავლებელი იყო.

ეს მართლაც ასეა. რაც თავი ახსოვს, „პრელუდიის“ ჰარმონია მუდამ გამოძახილს პოვებდა მასში.

– შეიძლება ის კურსის ბოლოს უფრო დავაფასო. შეიძლება თანდათან უკეთ შევიგრძნო.

– შეიძლება, მაგრამ ჩემი გამოცდილებით, პოეზია ან თავიდანვე მოგხვდება გულზე, ან არასდროს. გაელვება გამოცხადებისა და მისი გამოძახილისა. ეს ელვას ჰგავს, და შეყვარებას.

შეყვარებას...

ნეტავ ახალგაზრდებს ისევ თუ უყვარდებათ ერთმანეთი, თუ ეს მექანიზმი ისეთივე მოძველებული, უსარგებლო და უცნაურია, როგორიც ორთქლმავლის ლოკომოტივი. ის ცხოვრებას ჩამორჩა, არაფრის ბაიბურში აღარ არის. იქნებ სიყვარული მრავალჯერ გადავიდა და კვლავაც შემოვიდა მოდაში. ვინ იცის.

– თქვენ წერთ ლექსებს? – ეკითხება გოგონას.

– ვწერდი სკოლაში. დიდი არაფერი გამომდიოდა. ახლა დრო არ მაქვს.

– გატაცება თუ გაქვთ? რაიმე ლიტერატურული გატაცება.

ამ უცნაური სიტყვის გაგონებისას მელანი იღუშება.

– მეორე კურსზე ადრიანა რიჩს[9] და ტონი მორისონს[10] ვსწავლობდით. კიდევ ელის უოკერს[11]. ძალიან დამაინტერესა, მაგრამ ამას გატაცებას ვერ დავარქმევდი.

მაშ ასე: გატაცება არ აქვს. ეს ქარაგმულ გაფრთხილებად ხომ არ უნდა მიიღოს?

– რაღაც ვახშმის მსგავსს ვაპირებ, – ამბობს, – ხომ არ შემომიერთდები? ალბათ, ძნელი არ იქნება.

მელანის ეტყობა, რომ ორჭოფობს.

– გადაწყვიტეთ, – ეუბნება, – თქვით „ჰო“.

---

[9] ადრიანა სესილ რიჩი (დაბ. 1929) – ამერიკელი პოეტი ქალი, ფემინისტი.

[10] ტონი მორისონი (დაბ. 1931) – ამერიკელი მწერალი ქალი, ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურაში (1993).

[11] ელის უოკერი (დაბ. 1944) – ამერიკელი მწერალი ქალი, ფემინისტი.

– კარგი, მაგრამ ჯერ უნდა დავრეკო.

დარეკვას მეტი დრო მიაქვს, ვიდრე მას ეგონა. სამზარეულოდან ხანგრძლივ პაუზებს შორის მელანის ბუტბუტი ისმის.

– მომავალში რას აპირებთ? – ეკითხება შემდეგ.

– სამსახიობო ოსტატობა და სცენის დიზაინი მაინტერესებს. დიპლომს თეატრის შესახებ ვწერ.

– მაშ, რომანტიკული პოეზიის კურსზე რატომ ჩაეწერეთ?

მელანი ცხვირს იჭმუხნის, ფიქრობს.

– უფრო ატმოსფეროს გამო, – უპასუხებს, – არ მინდოდა, ისევ შექსპირზე მემუშავა. შექსპირს შარშან ვსწავლობდი.

ასეთი ვახშმის მომზადება მართლაც არ არის ძნელი. ტალიატელი[12] ანჩოუსით, სოკოს წვენში. მელანის სოკოს დაჭრის ნებას აძლევს, მერე კი გოგონა სკამზე ზის და უყურებს, ის როგორ ამზადებს საჭმელს. ვახშამს სასადილო ოთახში მიირთმევენ, მეორე ბოთლ ღვინოს ხსნიან. მელანი თავშეუკავებლად ჭამს. ასეთი აღნაგობის გოგონას კვალობაზე ძალიან კარგი მადა აქვს.

– ყოველთვის თვითონ იმზადებთ საჭმელს? – ეკითხება მელანი.

– მარტო ვცხოვრობ. აბა, ვინ მომიმზადებს?

– ვერ ვიტან საჭმელის კეთებას, თუმცა ვხვდები, რომ უნდა ვისწავლო.

– რატომ? თუ მართლა ვერ იტანთ, ისეთ კაცს გაჰყევით, ვისაც მზარეულობა შეუძლია.

ორივეს წარმოუდგება სურათი: ახალგაზრდა ცოლი, დაუდევრად ჩაცმული, უგემოვნო სამკაულებით, წინა კარიდან ოთახში შეაბიჯებს, მოუთმენლად ყნოსავს ჰაერს, ქმარი –

---

[12] გრძელი, ბრტყელი მაკარონი (იტალ.).

უფერული მისტერ წმინდანი – წინსაფარაფარებული, გაბუ-ღულ სამზარეულოში ქვაბს ურევს. როლების გაცვლა: ბურ-ჟუაზიული კომედიის ყბადაღებული თემა.

– სულ ეს არის, – ამბობს კაცი ბოლოს, როცა ლანგარზე საჭმელი თავდება, – დესერტი არ გვაქვს, თუ ვაშლსა და იოგურტს არ ჩავთვლით. ბოდიში, არ ვიცოდი, რომ სტუმარი მეყოლებოდა.

– კარგი იყო, – ამბობს მელანი, – ჭიქას ცლის და დგება, – გმადლობთ.

– ჯერ ნუ წახვალთ, – ხელში ხელს სჭიდებს და დივნისკენ მიჰყავს, – მინდა რაღაც გაჩვენოთ. ცეკვა გიყვართ? რომ ცეკვავ კი არა, ცეკვა... – ვიდეომაგნიტოფონში კასეტას დებს.

– ეს არის ფილმი, იმ ადამიანის გადაღებული, ვისაც ნორ-მან მაკლარენს[13] ეძახდნენ. ძველი ფილმია, ბიბლიოთეკაში ვი-პოვე. თქვენი აზრი მაინტერესებს.

გვერდიგვერდ მსხდარნი უყურებენ. ორი მოცეკვავე ცა-რიელ სცენაზე პას ასრულებს. სტრობოსკოპით კამერით გადაღებული მათი გამოსახულებები, მათი ჩრდილები მოძ-რაობისას მარაოსავით იშლება, როგორც უკან მოქნეული ფრთები. პირველად მეოთხედი საუკუნის წინ ნანახი ფილმი ახლაც ძველებურად ხიბლავს: ერთსა და იმავე სივრცეში მოქ-ცეული აწმყოსა და მოუხელთებელი წარსულის გაელვება.

სურს, გოგონაც მოიხიბლოს ფილმით, მაგრამ გრძნობს, ასე არ ხდება.

როცა ფილმი მთავრდება, მელანი დგება და ოთახში დაბო-რიალებს. პიანინოს ახდის, პირველი ოქტავის დოს აჟღერებს.

---

[13] ნორმან მაკლარენი (1914-1987) – ავანგარდისტული მიმართულების კანა-დელი რეჟისორი, ძირითადად, მულტიპლიკატორი.

– უკრავთ? – ეკითხება გოგონა.

– ცოტ-ცოტას.

– კლასიკას თუ ჯაზს?

– სამწუხაროდ, ჯაზს ვერა.

– ჩემთვის რამეს დაუკრავთ?

– ახლა არა. დიდი ხანია, არ მივარჯიშია. სხვა დროს იყოს, როცა ერთმანეთს უკეთ გავიცნობთ.

მელანი მის კაბინეტში იყურება.

– შეიძლება? – ეკითხება.

– სინათლე აანთეთ.

სხვა ჩანაწერს დებს: სკარლატის სონატა, „კატის ფუგა“.

– ბაირონის ბევრი წიგნი გაქვთ, – ამბობს მელანი, როცა კაბინეტიდან გამოდის, – თქვენი საყვარელი პოეტია?

– რაღაცას ვწერ მისი ცხოვრების იტალიური პერიოდის შესახებ.

– ის ხომ ახალგაზრდა იყო, როცა გარდაიცვალა?

– ოცდათექვსმეტის. ისინი ყველანი ახალგაზრდები იხოცებოდნენ, ან იფიტებოდნენ, ან გიჟდებოდნენ და მერე მათ ამწყვდევდნენ. მაგრამ ბაირონი იტალიაში არ მომკვდარა, საბერძნეთში მოკვდა. იტალიაში იმისთვის წავიდა, რომ სკანდალი აეცილებინა თავიდან, მერე კი იქ დამკვიდრდა. თავის უკანასკნელ დიდ სიყვარულსაც იქ შეხვდა. მაშინ ინგლისელები ხშირად მიემგზავრებოდნენ იტალიაში. მათ მიაჩნდათ, რომ იტალიელებს ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდათ ბუნებრიობა. პირობითობებით ნაკლებად შებოჭილნი და უფრო ვნებიანები იყვნენ.

მელანი კიდევ ერთხელ მოივლის ოთახს.

– ეს თქვენი მეუღლეა? – ყავის მაგიდაზე მდგარი ჩარჩოიანი სურათის წინ ჩერდება.

– დედაჩემია. ახალგაზრდობის სურათია.

– ცოლი გყავთ?

– მყავდა. ორჯერ. ახლა არა, – არ ამბობს, ახლა რაც ხელში ჩამივარდება, იმას ვჯერდებიო. არც იმას ამბობს, ახლა მეძავებიც მაკმაყოფილებსო, – ლიქიორს ხომ არ მიირთმევთ?

მელანის ლიქიორი არ უნდა, მაგრამ ყავაში ცოტაოდენი ვისკის ჩამატებაზე უარს არ ამბობს. როცა გოგონას ფინჯანი ტუჩებთან მიაქვს, ის იხრება და ლოყაზე ეხება.

– ძალიან ლამაზი ხართ, – ეუბნება, – მინდა რაღაც კადნიერი შემოგთავაზოთ, – ისევ ეხება, – ამაღამ ჩემთან დარჩით.

გოგონა ფინჯნის ზემოდან მკაცრად უყურებს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ გევალებათ.

– რატომ მევალება?

– იმიტომ, რომ სილამაზე მხოლოდ ქალს კი არ ეკუთვნის, ის ნაწილია საჩუქრისა, რომელიც მას სამყაროში მოაქვს და ქალი ვალდებულია, ეს საჩუქარი სხვებსაც გაუნაწილოს.

მისი ხელი კვლავ მელანის ლოყას ეხება. ის ხელს არ იშორებს, მაგრამ არც მაინცდამაინც დამყოლი ჩანს.

– და თუ უკვე ვუზიარებ ვინმეს? – მის ხმაში ოდნავ იგრძნობა, რომ სუნთქვა გაუხშირდა. როცა გეარშიყებიან, ყოველთვის მღელვარება გიპყრობს. სასიამოვნო მღელვარება.

– მაშინ უფრო გულუხვი უნდა იყოთ და სხვებსაც გაუზიაროთ.

მწყობრი ნათქვამი, ცდუნებასავით ძველი. თუმცა ამ წამს თვითონაც სჯერა ამ სიტყვებისა. მელანი თავის თავს არ ეკუთვნის. სილამაზე საკუთარ თავს არ ეკუთვნის.

– „მშვენიერებას უნდა დარჩეს მემკვიდრეობა, – ამბობს ის, – რომ სილამაზემ იფერადოს ვარდის კონებად“[14].

დიდი ვერაფერი სვლა იყო. მელანის ღიმილიდან რაღაც ონავრული, გიჟმაჟი ქრება. პენტამეტრი, რომლის რიტმიც მაცდუნებელი გველის სიტყვებს ოდესღაც უფრო მომთაფვლელს ხდიდა, ახლა მხოლოდ გაუცხოებას იწვევს. ის კვლავ მასწავლებლად იქცა, წიგნის კაცად, კულტურული მემკვიდრეობის მეურვედ. გოგონა ფინჯანს მაგიდაზე დგამს.

– უნდა წავიდე, მელოდებიან.

ღრუბელმა გადაიარა. ვარსკვლავები კაშკაშებენ.

– კარგი ღამეა, – ამბობს და ბაღის ჭიშკარს აღებს. მელანი არ უყურებს.

– გაგაცილოთ სახლამდე?

– არა.

– ძალიან კარგი, ძილი ნებისა, – ხელს ხვევს და წამიერად მის პატარა მკერდს გრძნობს. მელანი ხელიდან უსხლტება და მიდის.

---

[14] შექსპირის პირველი სონეტის დასაწყისი (თარგმანი რევაზ თაბუკაშვილისა).

თავი 3

აი, აქ უნდა გაჩერებულიყო, მაგრამ – არა. კვირა დილით ცარიელ კამპუსში მიდის და ფაკულტეტის კანცელარიაში შესვლას ახერხებს. სარეგისტრაციო ჩანაწერების კარადაში მელანი ისააქსის ბარათს პოულობს და მის კოორდინატებს იწერს: ბინის მისამართს, კეიპტაუნის მისამართს, ტელეფონის ნომერს.

ურეკავს. ქალი უპასუხებს.

– მელანი ხართ?

– დავუძახებ. ვინ ბრძანდებით?

– უთხარით, რომ დევიდ ლური ვარ.

Melanie-melody. მეტისმეტად გადაპრანჭული რითმაა. ეს სახელი არ უხდება. მახვილი გადავაადგილოთ: Melani – შავი.

– დიახ.

ამ ერთ სიტყვაშივე იგრძნობა, როგორ ყოყმანობს. მეტისმეტად ახალგაზრდაა. არ იცის, კაცთან როგორ მოიქცეს. თავი ხომ არ დაანებოს? მაგრამ თვითონაც რაღაც გაურკვეველი გრძნობის მარწუხებშია მოქცეული. სილამაზის ვარდი. ლექსები ისარივით ზუსტად ხვდება მიზანს. მელანი

თავის თავს არ ეკუთვნის. მაგრამ შეიძლება თვითონაც არ ეკუთვნის საკუთარ თავს.

– ვიფიქრე, ერთად ხომ არ გვესაუზმა-მეთქი. გამოგივლიდი. ვთქვათ, თორმეტ საათზე.

გოგონას ჯერ კიდევ შეუძლია, ტყუილი უთხრას, თავი დაიძვრინოს, მაგრამ ისეა დაბნეული, რომ ამ მომენტს ხელიდან უშვებს.

მანქანით აკითხავს. მელანი თავის სახლთან, ტროტუარზე ელოდება. შავი კოლგოტი და შავი სვიტერი აცვია. თორმეტი წლის გოგონასავით ვიწრო თეძოები აქვს.

ჰოუტ-ბეიში მიჰყავს, ნავსადგურზე. გზად ცდილობს, მელანის თავი თავისუფლად აგრძნობინოს. ეკითხება, კიდევ რომელ საგანს სწავლობს. გოგონა უპასუხებს, რომ სპექტაკლში მონაწილეობს. დიპლომის ასაღებად ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნა ყოფილა. რეპეტიციებზე ბევრ დროს ვხარჯავო, ამბობს.

რესტორანში პირს თითქმის არაფერს აკარებს. ზღვას პირქუშად გაჰყურებს.

– რა მოხდა? რაიმეს თქმა ხომ არ გინდა?

მელანი თავს აქნევს.

– ჩვენი ურთიერთობა გაწუხებს?

– შესაძლოა, – უპასუხებს ის.

– არ ღირს მაგაზე ნერვიულობა. ვეცდები, ძალიან ღრმად არ შევტოპოთ.

„ძალიან ღრმად“. ასეთ ურთიერთობაში რა ითვლება „ძალიან ღრმად შეტოპვად“? ნეტავ, ეს მელანისთვისაც იგივეა, რაც მისთვის?

გაწვიმდა. ცარიელ ყურეში წყლის ზოლი ლივლივებს.

– წავიდეთ? – კითხულობს კაცი.

მელანი თავის სახლში მიჰყავს. გოგონას სასტუმრო ოთახის იატაკზე ეუფლება, ფანჯრის მინაზე დაცემული წვიმის წვეთების ხმაურში. სუფთა სხეული აქვს, უბრალო, თავისებურად სრულყოფილი. თუმცა გოგონა პასიური რჩება, მას კი სქესობრივი აქტი ისეთ სიამოვნებას ანიჭებს, რომ ორგაზმისას ბურანში ეხვევა.

გონზე მოსული ხედავს, რომ წვიმას გადაუღია. გოგონა მის ქვეშ წევს, თვალებდახუჭული, ხელები დუნედ ამოუდვია თავქვეშ, ოდნავ მოღუშულია. მას კი ხელები გოგონას მკერდზე უწყვია, უხეშად ნაქსოვი სვიტერის ქვეშ. მელანის კოლგოტი და ქვედა საცვალი, ერთმანეთში აბურდული, იატაკზე ყრია. კაცის შარვალი კოჭებამდეა ჩაწეული. „ქარიშხლის შემდეგ," – ფიქრობს ის. ზუსტად ჟორჟ გროსიდანაა[15].

მელანი სახეს არიდებს, თავს ითავისუფლებს, თავის ნივთებს კრეფს და ოთახიდან გადის. რამდენიმე წუთში ჩაცმული ბრუნდება.

– უნდა წავიდე, – ჩურჩულებს. ის არ ცდილობს მის შეჩერებას.

მეორე დილით სრული ნეტარებით აღსავსეს ეღვიძება და მერეც, კარგა ხანს, თან სდევს ეს განცდა. მელანი ლექციაზე არ არის. თავისი ოფისიდან ყვავილების მაღაზიაში რეკავს. ვარდები? იქნებ სხვა ყვავილები ჯობს? მიხაკებს უკვეთავს.

– წითელი თუ თეთრი? – ეკითხება ქალი.

წითელი? თეთრი?

– თორმეტი ცალი ვარდისფერი გაგზავნეთ, – ეუბნება.

– ვარდისფერი თორმეტი არ მაქვს. შერეული რომ გავგზავნო?

---

[15] ჟორჟ გროსი (1893-1959) – გერმანელი გრაფიკოსი და ფერმწერი. 1932 წლიდან მუშაობდა ამერიკაში.

– შერეული იყოს, – უპასუხებს.

სამშაბათს ქალაქს მთელი დღე აწვიმს, დასავლეთიდან ქარის მოტანილი მძიმე ღრუბლებიდან. დღის ბოლოს იმ შენობის ვესტიბიულის გავლისას, სადაც კომუნიკაციის ფაკულტეტია, წვიმის გადაღების მოლოდინში კართან შეჯგუფებულ სტუდენტებს შორის მელანის ამჩნევს. უკნიდან უახლოვდება და მხარზე ეხება.

– დამელოდეთ, – ეუბნება, – მანქანით წაგიყვანთ.

ქოლგით ბრუნდება. მანქანების სადგომისკენ მიმავალი, მოედნის გადაკვეთისას ცდილობს, წვიმისგან დაიფაროს და თავისკენ იზიდავს. უცებ ამოვარდნილი ქარი ქოლგას ატრიალებს. მანქანისკენ უხერხულად გარბიან.

მელანის კაშკაშა ყვითელი საწვიმარი აცვია. მანქანაში შუბლზე კაპიუშონს იფხატავს. სახე ასწითლებია. გრძნობს, გოგონას როგორ აუდ-ჩაუდის მკერდი. ზედა ტუჩიდან წვიმის წვეთს ილოკავს. „ბავშვია," – ფიქრობს კაცი, – „სულ ბავშვი, მე კი რას ჩავდივარ?" მაგრამ ვნებით გული უკვნესის.

ნაშუადღევს, მანქანებით გადატვირთულ ქუჩაში მიიკვლევენ გზას.

– გუშინ მენატრებოდი, – ეუბნება, – ხომ კარგად ხარ?

მელანი არ უპასუხებს. მინის საწმენდს მისჩერებია.

წითელ შუქზე შეჩერებისას გოგონას ცივ ხელს ხელში იღებს.

– მელანი... – ამბობს და ცდილობს, მხიარული ტონი ჰქონდეს, მაგრამ დიდი ხანია, დაავიწყდა, ქალს როგორ უნდა ეარშიყოს. ხმა, რომელიც ესმის, მოჩვენებითად მოალერსე მშობლის ხმაა და არა – შეყვარებულის.

მის სახლთან აჩერებს.

– გმადლობთ, – ამბობს მელანი და მანქანის კარს აღებს.

– არ მიმიპაჟებ?

– მგონი, ჩემი მეზობელი შინ არის.

– ამ საღამოზე რას იტყვი?

– საღამოს რეპეტიცია მაქვს.

– მაშ, როდის გნახო?

მელანი არ უპასუხებს.

– გმადლობთ, – იმეორებს და მანქანიდან ხტება.

ოთხშაბათს მელანი ლექციაზეა, თავის ჩვეულ ადგილზე ზის. ისევ უორდსუორთზე საუბრობენ, „პრელუდიის“ მეექვსე წიგნზე – პოეტი ალპებში.

– „შიშველი მთაგრეხილიდან, – ხმამაღლა კითხულობს ის,

ჩვენ პირველად ვიხილეთ
რიდეახდილი მწვერვალი მონბლანისა და ვწუხდით,
რომ ამ უსულო ხატებამ ხელყო ცოცხალი აზრი,
რომელიც უკვე აღარასოდეს იქნება ცოცხალი.“

– აი, ასე. დიადი თეთრი მთა, მონბლანი, სასოწარკვეთილების მიზეზად იქცევა. რატომ? მოდი, დავიწყოთ უჩვეულო ზმნით „ხელყო“. ვინმემ თუ მოძებნა ეს სიტყვა ლექსიკონში?

სიჩუმე.

– რომ მოგეძებნათ, ნახავდით, რომ „ხელყო“, ნიშნავს: ხელი აღმართო, უკანონოდ მიიტაცო. ამ ზმნის საწყისია „ხელყოფა“.

– „ღრუბლები იფანტება,“ – ამბობს უორდსუორთი, – „მთის მწვერვალი ჩნდება და ჩვენ მას წუხილით შევყურებთ“. უცნაური გამოძახილია ალპებში მოგზაურისათვის. რატომ – წუხილით? „იმიტომ, რომ,“ – ამბობს ის, – „უსულო ხატება,

რომელიც მხოლოდ ანაბეჭდია თვალის ბადურაზე, ხელყოფს იმას, რაც აქამდე ცოცხალი აზრი იყო.“ და რა იყო ეს ცოცხალი აზრი?

კვლავ სიჩუმე. თვით ჰაერიც კი, რომელშიც მისი სიტყვები იფანტება, იალქანივით დარბილდა. კაცი მთას შეჰყურებს, რატომ უნდა გაართულო ეს ყველაფერიო, გულში, ალბათ, ბუზღუნებენ სტუდენტები. რა უნდა უპასუხოს? რა უთხრა მელანის პირველ საღამოს? ის, რომ გამოცხადების ელვარების გარეშე არაფერი არსებობს. და სად არის გამოცხადების ელვარება ამ აუდიტორიაში?

წამიერად მელანის შეავლებს თვალს. თავი აქვს დახრილი, ტექსტს ჩაღრმავებია, ყოველ შემთხვევაში, შორიდან ასე ჩანს.

– იგივე სიტყვა, „ხელყო“, რამდენიმე სტრიქონის შემდეგ მეორდება. ხელყოფა პოემის ალპების ეპიზოდის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული თემაა. გონების დიად არქეტიპებს, წმინდა იდეებს უბრალო მგრძნობიარე სახეები ხელყოფს.

– მაგრამ ჩვენ ვერ შევძლებთ, გრძნობით გამოცდილებას გავემიჯნოთ და ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება წმინდა იდეების სამეფოში გავატაროთ. საქმე ის კი არ არის, როგორ შევინარჩუნოთ წარმოსახვის სიწმინდე და დავიცვათ ის რეალობის შემოტევისგან, არამედ – შევძლებთ თუ არა მათ თანაარსებობას.

– 599-ე სტრიქონს ჩავხედოთ. უორდსუორთი გრძნობისმიერი აღქმის შეზღუდულობის შესახებ წერს. ამ თემას ადრეც შევხებივართ. როგორც კი გრძნობის ორგანოები თავისი შესაძლებლობის ზღვარს აღწევს, მათი აღქმის უნარი იშრიტება. და მაინც, სრული გაქრობის ჟამს ეს უნარი სანთლის ალივით იელვებს და წამიერად უხილავის ხილვის საშუალებას გვაძლევს. ეს რთული პასაჟია და შეიძლება ეწინააღმდეგება

კიდეც მონბლანზე ნათქვამს, მაგრამ მიუხედავად ამისა, უორ-დსუორთი მაინც პოულობს ჰარმონიისკენ მიმავალ გზას. ეს წმინდა იდეა კი არ არის, რომელიც ძალიან არის მოწყვეტილი მიწას, არც თვალის ბადურაზე აღბეჭდილი გამოსახულება, რომელიც თავისი პროზაული სიცხადით გვაოგნებს და იმედს გვიცრუებს, არამედ, როგორც შესაძლებელია, ეფემერულად შენარჩუნებული გრძნობა-სახე, როგორც იმ იდეის გაღვივება-აქტივაციის საშუალება, რომელიც ღრმადაა ჩამარხული ჩვენს გონებაში.

პაუზას აკეთებს. ვერავინ ვერაფერი გაიგო. შორს შე-ტოპა და თანაც – ძალიან სწრაფად. როგორ მიიპყროს მათი ყურადღება? მელანის ყურადღება?

– ეს სიყვარულს ჰგავს, – განაგრძობს იგი, – თუ ბრმა ხარ, საეჭვოა, საერთოდ ვინმე შეგიყვარდეს. მაგრამ გსურთ კი, იხილოთ შეყვარებული ისე ცხადად, როგორც ამის საშუ-ალებას თქვენი მხედველობა გაძლევთ? იქნებ თქვენთვისვე იყოს უკეთესი, თქვენს მზერასა და სატრფოს შორის რიდე ჩამოაფაროთ, რათა მან თავისი არქეტიპული, ქალღმერთის სახე შეინარჩუნოს?

უორდსუორთთან ამას თითქმის არაფერი აქვს საერთო, მაგრამ ისინი, ასე თუ ისე, გამოაფხიზლა. „არქეტიპები? – ეკითხებიან საკუთარ თავს, – ქალღმერთი? ნეტავ რას ბო-დავს? რა იცის ამ ბებერმა სიყვარულის შესახებ?“

მოგონება ამოუტივტივდა: ის მომენტი იატაკზე, როცა სვიტერი აუწია და კოხტა, უზადო, პატარა მკერდი გაუშიშვლა. მელანი პირველად სწევს თავს, მათი მზერა ერთმანეთს ხვდე-ბა და გოგონა მყისიერად გრძნობს ყველაფერს. შეცბუნებუ-ლი თვალებს ხრის.

– უორდსუორთი ალპებზე წერს, – ამბობს ის, – ჩვენს

ქვეყანაში ალპები არ არის, მაგრამ არის დრაკონის მთები, მაგიდა მთა, რომლებიც, მართალია, უფრო დაბალია, მაგრამ ჩვენ მაინც ავდივართ ამ მთებზე ჩვენი პოეტების კვალდაკვალ, ერთ-ერთი ისეთი გამოცხადების ხილვის იმედით. უორდსუორთული გაელვებების შესახებ ყველას გვსმენია, – ახლა, უბრალოდ, ლექციის დასრულებას აპირებს, – მაგრამ ასეთ გაელვებას ვერ ვიგრძნობთ, სანამ ჩვენს მზერას სანახევროდ მაინც არ მივმართავთ წარმოსახვის იმ დიადი არქეტიპებისკენ, რომლებიც ჩვენში არსებობს.

საკმარისია! გულს ურევს საკუთარი ხმა და მელანიც ეცოდება, რომელსაც მთელი ამ ფარული ინტიმის მოსმენა უწევს. ჯგუფს უშვებს, ყოვნდება, რომ მელანის ორიოდე სიტყვა უთხრას, მაგრამ ის უსხლტება და სტუდენტებთან ერთად გადის.

ერთი კვირის წინ მელანი მხოლოდ ერთი მშვენიერი გოგონა იყო, ახლა კი ის ძალაა, მის ცხოვრებაში შეჭრილი მაცოცხლებელი ძალა.

სტუდენტური კავშირის დარბაზში ბნელა. შეუმჩნევლად ჯდება უკანა რიგში. რამდენიმე რიგით წინ მჯდარი, მეეზოვის ფორმაში გამოწყობილი სიმელოტეშეპარული კაცის გარდა ის ერთადერთი მაყურებელია.

მიმდინარეობს რეპეტიცია პიესისა „სალონი „გლობუსი“ მზის ჩასვლისას“ – კომედია ახალი სამხრეთ აფრიკის შესახებ. მოქმედება ვითარდება ჰილბროუში, იოჰანესბურგში, საპარიკმახერო სალონში. სცენაზე ჭრელაჭრულა სამოსში გამოწყობილი პარიკმახერი ბიჭი ორ კლიენტს – თეთრკანიანსა და შავკანიანს, ემსახურება. რაღაც-რაღაცებზე ლაპარაკობენ, ხუმრობენ, ერთმანეთს დასცინიან. კათარზისის საფუძველი, როგორც ჩანს, ერთი უმთავრესი პრინციპია: დამყაყებული,

დრომოჭმული ცრურწმენები დღის სინათლეზე გამოდის და სიცილ-ხარხარით დაიძლევა.

სცენაზე მეოთხე პერსონაჟი გამოდის – კულულებიანი გოგონა მაღალპლატფორმიანი ფეხსაცმლით.

– დაბრძანდი, ამწუთას მოგემსახურები, – ეუბნება პარიკ-მახერი.

– სამსახურის თაობაზე ვარ, – უპასუხებს გოგონა, – განცხადება ვნახე... – მკვეთრი კაპსკური კილო აქვს. ამ როლს მელანი ასრულებს.

– მაშინ აიღე ცოცხი და გვაჩვენე, რისი მაქნისი ხარ, – ამბობს პარიკმახერი.

გოგონა ცოცხს იღებს, აქეთ-იქით იქნევს და სცენაზე დაბორიალობს. ცოცხი დენის მავთულს გამოედება – ამან ნაპერწკალი უნდა გააჩინოს, რასაც წივილ-კივილი და აურზაური მოჰყვება, მაგრამ გაყვანილობას რაღაც სჭირს. რეჟისორი ქალი სცენაზე გამოდის. უკან შავი ტყავის ქურთუკში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი მოსდევს, რომელიც შტეფსელს უჩხიკინებს.

– უფრო მარდად, – ამბობს რეჟისორი, – რომ მეტად ჰგავდეს ძმებ მარქსებს, – მელანის მიუბრუნდება, – გასაგებია? – მელანი თავს უქნევს.

მის წინ მჯდომი მეეზოვე დგება, მძიმედ ამოიოხრებს და დარბაზიდან გადის. ისიც უნდა წავიდეს. სად გაგონილა, სიბნელეში იჯდე და გოგონას უთვალთვალებდე (უნებურად სიტყვა „ჟინი“ ახსენდება). და მაინც, მოხუცები, რომელთა კომპანიასთან მალე მოუწევს შეერთება, უსაქმურად რომ დახეტიალობენ დალაქავებული მოსასხამებით, დაბზარული პროთეზებით, ბანჯგვლიანი ყურებით – ოდესღაც ღვთის შვილები იყვნენ, სწორი კიდურები და ნათელი თვალები ჰქონ-

დათ. განა შეიძლება მათი დადანაშაულება, რომ ბოლომდე ებღაუჭებიან თავიანთ ადგილს გრძნობათა ტკბილ ნადიმზე?

სცენაზე მოქმედება განახლდა. მელანი ცოცხს იქნევს. ბრახუნი, ნაპერწკალი, შეშინებული წივილ-კივილი.

– ჩემი ბრალი არ არის! – წივის მელანი. – ღმერთო, ყოველთვის ყველაფერი მე როგორ უნდა დამბრალდეს!

ის მშვიდად დგება და მეეზოვის კვალდაკვალ გარეთ, სიბნელეში გადის.

მეორე დღეს, ნაშუადღევის ოთხ საათზე გოგონას სახლში აკითხავს. კარს მელანი უღებს – დაჭმუჭნილი სპორტული მაისური, ველოსიპედისტის შორტი და თრიის ფორმის ისეთი ფლოსტები აცვია, კომიქსებში რომ აცვიათ ხოლმე, რაც მას უგემოვნოდ და სულელურად ეჩვენება.

გაუფრთხილებლად ესტუმრა. მელანი მეტისმეტად გაოცებულია და თავზე დამდგარ დაუპატიჟებელ სტუმარს წინააღმდეგობას ვერ უწევს. მის მკლავებში მოქცეულ გოგონას ხელები მარიონეტივით უცვივდება ქვემოთ. ტყვიასავით მძიმე სიტყვები ყრუდ ცვივიან მელანის ყურის ნაზ ნიჟარაზე.

– არა, ახლა არა, – ამბობს ის და იბრძვის, – ჩემი ბიძაშვილი უნდა მოვიდეს.

მაგრამ კაცს ახლა ვერაფერი შეაჩერებს. გოგონა საწოლ ოთახში შეჰყავს, უცნაურ ფლოსტებს ხდის და გაოცებული იმ გრძნობით, რომელსაც მელანი აღუძრავს, ტერფებს უკოცნის. ეს გრძნობა, ალბათ, სცენაზე ნანახ მოჩვენებას უკავშირდება: პარიკი, გაბზეკილი უკანალი, უხეში საუბარი. უცნაური სიყვარული! მაგრამ მასში რაღაც აფროდიტეს, ქაფიანი ზვირთების ქალღმერთის, თრთოლვის მსგავსი იგრძნობა. უდავოდ ასეა.

მელანი წინააღმდეგობას არ უწევს, მხოლოდ თავს არიდებს – არიდებს ტუჩებს, არიდებს თვალებს. ნებას აძლევს, ლოგინში ჩააწვინოს და გახადოს, ეხმარება კიდეც – მაღლა სწევს მკლავებს, შემდეგ – თეძოებს. მსუბუქი ჟრჟოლა იტანს. გაშიშვლებისთანავე დალიანდაგებული საბნის ქვეშ ისე ცურდება, როგორც თხუნელა სოროში და მას ზურგს აქცევს.

ამას გაუპატიურება არ ჰქვია, მთლად გაუპატიურება არ არის, მაგრამ კაცი მისთვის მაინც არასასურველია, უკიდურესად არასასურველი. გოგონამ თითქოს გადაწყვიტა, ამ ხნის განმავლობაში გაშეშდეს, შინაგანად მოკვდეს იმ ბოცვერივით, მელას კბილებში რომ მოუგდია. იგი ცდილობს, წარმოიდგინოს, რომ რაც ხდება, მას არ ეხება.

– სადაცაა პოლინი დაბრუნდება, – ამბობს მელანი, როცა ყველაფერი მთავრდება, – უნდა წახვიდე, გთხოვ.

ის ემორჩილება, მაგრამ შემდეგ, როცა მანქანაში ჯდება, ისეთი სევდა იპყრობს, საჭეზე დაყრდნობილს განძრევის თავიც არა აქვს.

შეცდომა იყო. დიდი შეცდომა. ეჭვიც არ ეპარება, რომ ახლა მელანი ცდილობს, ჩამოირეცხოს მომხდარი, ჩამოირეცხოს ის თავისი სხეულიდან. ხედავს, როგორ შერბის სააბაზანოში და მთვარეულივით თვალებდახუჭული დგება წყლის ქვეშ. ისე, არც მას აწყენდა ახლა თავის აბაზანაში ჩაწოლა.

მოკლეფეხებიანი, მეტისმეტად საქმიან კოსტიუმში გამოწყობილი ქალი ჩაუვლის და სახლში შედის. ეს ხომ არ არის პოლინი, რომლის გაკიცხვის ასე ეშინია მელანის? თავს გააქნევს და მანქანას დაძრავს.

მეორე დღეს გოგონა ლექციაზე არ მოდის. ცუდია, რადგან შუა სემესტრის ტესტირება ჰქონდათ. ჟურნალის შევსები-

სას „არას“ არ უწერს და სამოცდაათი ქულით აფასებს. გვერდის ბოლოში ფანქრით თავისთვის აკეთებს მინაწერს: „წინასწარი“. სამოცდაათი ქულა საშუალო შეფასებაა, არც კარგია, არც ცუდი.

მელანი მთელი მომდევნო კვირაც არ ჩანს. დროდადრო ურეკავს, მაგრამ არ უპასუხებენ. კვირა ღამით კარზე ზარი რეკავს. ეს მელანია, თავიდან ფეხებამდე შავებში გამოწყობილი. შავი ნაქსოვი ქუდი ახურავს. დაძაბული სახე აქვს. იგი მწარე სიტყვებსა და სცენებს ელოდება, მაგრამ სცენებს გადაურჩა. გოგონა დაბნეული ჩანს.

– შეიძლება ამაღამ აქ დავრჩე? – ეკითხება და თვალს არიდებს.

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, – გულზე ეშვება. მისკენ იწევს, ეხვევა, გულში იკრავს, ცივს, გახევებულს, – შემოდი, ჩაის აგიდუღებ.

– არა, ჩაი არ მინდა. არაფერი მინდა. დაქანცული ვარ და ძალიან მეძინება.

ლოგინს თავისი ქალიშვილის ოთახში უშლის, კოცნის, ძილი ნებისას უსურვებს და ტოვებს. ნახევარი საათის შემდეგ ბრუნდება. გოგონას მკვდარივით სძინავს, ჩაცმულს. ფეხსაცმელს ხდის და საბანს აფარებს.

დილის შვიდ საათზე, როცა ჩიტები ჟღურტულს იწყებენ, კარზე უკაკუნებს. მელანის ღვიძავს, საბანი ნიკაპამდე აუწევია. გატანჯული სახე აქვს.

– თავს როგორ გრძნობ? – ეკითხება.

გოგონა მხრებს იჩეჩს.

– არ მეტყვი, რა მოხდა?

ის უხმოდ უქნევს თავს.

ლოგინზე ჯდება და მელანის თავისკენ იზიდავს. მის

მკლავებში მოქცეული გოგონა საცოდავად ქვითინებს. ყველაფრის მიუხედავად, სურვილი ჩხვლეტს.

– კარგი, კარგი, – ჩურჩულებს ის, ცდილობს, დააწყნაროს, – მითხარი, რა მოხდა.

ლამის წამოსცდეს: „უთხარი მამიკოს, რა მოხდა."

გოგონა ძალას იკრებს და ხმის ამოღებას ცდილობს, მაგრამ გაჭედილი ცხვირი ლაპარაკს უშლის. კაცს ცხვირსახოცი მოაქვს.

– შეიძლება ცოტა ხნით აქ დავრჩე? – ეკითხება მელანი.

– დარჩე? – ფრთხილად იმეორებს კითხვას. გოგონა აღარ ტირის, მაგრამ დროდადრო კანკალებს.

– შენ ფიქრობ, ეს კარგი აზრია? – ეუბნება კაცი.

გოგონა არ უპასუხებს. უფრო მჭიდროდ ეკვრის და თბილ სახეს კაცის მუცელში რგავს. საბანი სძვრება. მხოლოდ მაისური და ქვედა საცვალი აცვია.

ნეტავ თუ ხვდება მელანი, რას აკეთებს?

როცა კოლეჯის პარკში ეს ყველაფერი წამოიწყო, ფიქრობდა, რომ რომანი ხანმოკლე იქნებოდა – სწრაფად დაწყება, სწრაფადვე დასრულება. ახლა კი გოგონა მის სახლშია და ამას შეიძლება სირთულეები მოჰყვეს. ნეტავ, რა ჩაიფიქრა? უდავოდ ფრთხილად უნდა იყოს, თუმცა ფრთხილად თავიდანვე უნდა ყოფილიყო.

მის გვერდით საწოლზე გადაწვება. ნამდვილად არ უნდა, მელანი ისააქსმა მასთან იცხოვროს. მაგრამ ახლა ამაზე ფიქრი დამათრობლად მოქმედებს. გოგონა ყოველღამ აქ იქნება, ყოველღამ შეეძლება, ლოგინში შეუგორდეს. რა თქმა უნდა, ყველაფერი გამჟღავნდება. ყოველთვის ასე ხდება ხოლმე. მერე დაიწყება მითქმა-მოთქმა და შეიძლება საქმე სკანდალამდეც მივიდეს. მაგრამ ახლა ამას რა მნიშვნელობა

აქვს! გრძნობის ალი გაქრობამდე კიდევ ერთხელ იელვებს. საბანს გვერდით ისვრის, მელანის თავისკენ იზიდავს და ეფერება მკერდზე, თეძოებზე.

– რა თქმა უნდა, შეგიძლია დარჩე, – ბუტბუტებს, – რა თქმა უნდა.

ორი ოთახის იქით, მის საწოლ ოთახში, მაღვიძარა რეკავს. გოგონა ზურგით ბრუნდება და საბანს მხრებამდე იფარებს.

– ახლა უნდა წავიდე, – ამბობს კაცი, – ლექცია მაქვს. ეცადე, დაიძინო. შუადღისას დავბრუნდები და ვისაუბროთ.

თმაზე ეფერება, შუბლზე კოცნის. საყვარელი? ქალიშვილი? რას ფიქრობს გოგონა? ვინ უნდა, რომ იყოს მისთვის? რას სთავაზობს?

შუადღისას ბრუნდება. მელანი ამდგარა და სამზარეულოს მაგიდას უზის. თაფლიან გახუხულ პურს შეექცევა და ჩაის აყოლებს. ძალიან შინაურულად გრძნობს თავს.

– აი, – ეუბნება მელანის, – ახლა უკეთ გამოიყურები.

– შენი წასვლის შემდეგ მეძინა.

– ახლა მეტყვი, რა მოხდა?

გოგონა თვალს არიდებს.

– ახლა არა, – ეუბნება, – უნდა წავიდე. მეჩქარება. მერე აგიხსნი ყველაფერს.

– როდის მერე?

– ამ საღამოს, რეპეტიციის შემდეგ, კარგი?

– კარგი.

მელანი დგება, ფინჯანი და თეფში ნიჟარისკენ მიაქვს (მაგრამ არ რეცხავს).

– დარწმუნებული ხარ, რომ შეიძლება დავრჩე?

– რა თქმა უნდა.

– და კიდევ, ვიცი, რომ ბევრი მეცადინეობა გავაცდინე, მაგრამ რეპეტიციებს დიდი დრო მიაქვს.

– გასაგებია. იმის თქმა გინდა, რომ შენთვის თეატრი უფრო მნიშვნელოვანია. კარგი იქნებოდა, ეს ადრე გეთქვა. ხვალ მაინც დაესწრები მეცადინეობას?

– კი, გპირდები.

კი ჰპირდება, მაგრამ არ ეტყობა, რომ დანაპირებს შეასრულებს. კაცს ეს აბრაზებს, აღიზიანებს. მელანი ცუდად იქცევა. ბევრი რამ გაუვიდა. თანდათან ხვდება, როგორ გამოიყენოს კაცი და ალბათ, მომავალშიც ასე გააგრძელებს. მაგრამ თუკი გოგონა ცუდად იქცევა, მისი საქციელი ხომ კიდევ უფრო უარესია! ჰოდა, ისინი ერთად არიან, თანაც ამ ერთობაში წამყვანი ის არის, გოგონა მხოლოდ მიჰყვება მას. აი, ეს უნდა ახსოვდეს.

თავი 4

მელანის კიდევ ერთხელ ეუფლება თავისი ქალიშვილის საწოლში. კარგია, ისეთივე კარგი, როგორიც პირველად. თანდათან მისი სხეულის მოძრაობებს სწავლობს. გოგონა ცდილობს, რაც შეიძლება სწრაფად შეიძინოს ახალი გამოცდილება. თუკი სექსუალურ მოთხოვნილებას სრულად ვერ ავლენს, მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ნორჩია. მის მეხსიერებაში ერთ მოგონებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს: მელანი ფეხებს დუნდულებზე აჭდობს, რომ კიდევ უფრო ახლოს მიიზიდოს. როცა გოგონას მასზე მიკრული ბარძაყის შიგა მყესები ეჭიმება, ის სიხარულით და სურვილით ივსება. „ვინ იცის, – ფიქრობს ის, – ყველაფრის მიუხედავად შეიძლება ამ ურთიერთობას მომავალიც ჰქონდეს.“

– ასეთ რამეს ხშირად აკეთებ? – ეკითხება მელანი.

– რას ვაკეთებ?

– ხშირად წვები შენს სტუდენტებთან? მაგალითად, ამანდასთან ყოფილხარ?

ის არ უპასუხებს. ამანდა მელანის ჯგუფელია, თხელი, ქერა გოგონა. ამანდა არ იზიდავს.

– ცოლს რატომ გაშორდი?

– ცოლს ორჯერ გავშორდი. ორჯერ დავქორწინდი და ორჯერ გავშორდი.

– პირველ ცოლთან რა მოხდა?

– გრძელი ისტორიაა. ოდესმე მოგიყვები.

– მისი სურათები გაქვს?

– სურათებს არ ვაგროვებ. არც ქალებს.

– მე შენი კოლექციის ნაწილი არ ვარ?

– არა, რა თქმა უნდა, არა.

მელანი დგება, ოთახში დადის, თავის ტანსაცმელს იღებს. ოდნავაც არ რცხვენია, თითქოს მარტო იყოს. ქალები ჩაცმაგახდის დროს უფრო ირცხვენენ ხოლმე, მაგრამ ქალები, რომლებთანაც ის მიჩვეულია ურთიერთობას, ასეთი ახალგაზრდები არ არიან და არც ასეთი სრულყოფილი სხეულები აქვთ.

იმავე დღეს, ნაშუადღევს, მისი კაბინეტის კარზე აკაკუნებენ. შემოდის ახალგაზრდა კაცი, რომელიც ადრე არასოდეს უნახავს. მიუპატიჟებლად ჯდება, ოთახს ათვალიერებს და როცა მისი მზერა წიგნის თაროებზე ჩერდება, მოწონების ნიშნად თავს აქნევს.

ახალგაზრდა მაღალია და კუნთმაგარი, ნიკაპზე თხელი წვერით, ყურში გაყრილი რგოლით. შავი ტყავის ქურთუკი და შარვალი აცვია. სტუდენტების უმრავლესობაზე უფროსი ჩანს. ასეთისგან უსიამოვნებას უნდა ელოდე.

– ე. ი. თქვენ პროფესორი ხართ, – ამბობს ის, – პროფესორი დევიდი. მელანიმ მიამბო თქვენზე.

– ჰოო? და რა გითხრათ?

– რომ თქვენ მას ჟიმავთ.

ხანგრძლივი სიჩუმე. „ასეა, – ფიქრობს ის, – ქათამმა თა-

ვის დასაკლავი დანა გამოჩხრიკაო. ადრეც უნდა მივმხვდარიყავი. ასეთ გოგონებთან ურთიერთობას ყოველთვის უსიამოვნება მოსდევს.“

– თქვენ ვინ ხართ?

სტუმარს შეკითხვა თითქოს არ ესმის.

– თქვენ ფიქრობთ, რომ მაგარი ტიპი ხართ, ქალების გულთამპყრობელი. თქვენ ფიქრობთ, მაშინაც მაგარი იქნებით, როცა ყველაფერს თქვენი ცოლი შეიტყობს?

– საკმარისია. რა გინდათ?

– თქვენ ვერ მასწავლით, რა არის საკმარისი, – ახალგაზრდა ახლა უფრო სწრაფად ლაპარაკობს, მუქარის ტონით, – და ნუ გგონიათ, რომ შეგიძლიათ ადამიანის ცხოვრებაში შეიჭრათ, როცა მოგეპრიანებათ! – შავ თვალებში შუქი უკრთის. წინ იხრება, ხელებს მარჯვნივ და მარცხნივ იქნევს. საწერი მაგიდიდან ქაღალდები ცვივა.

კაცი დგება.

– თქვენი წასვლის დროა!

– თქვენი წასვლის დროა! – იმეორებს გამოჯავრებით ბიჭი. – კარგი! – კარისკენ აუჩქარებლად მიდის. – ნახვამდის, პროფესორო ნამლევა! ჩვენ კიდევ შევხვდებით! – და მიდის.

„ხულიგანი, – ფიქრობს ის, – მელანი ამ ხულიგანთანაა დაკავშირებული და ახლა უკვე – მეც.“

მუცელი ეწვის.

გოგონას გვიანობამდე ელოდება, მაგრამ ის არ მოდის. დილით კი აღმოაჩენს, რომ სადგომზე დატოვებული მისი მანქანის სალტეები დაჩხვლეტილია, კარის საკეტებში წებოა ჩასხმული, საქარე მინაზე გაზეთია დაწებებული, საღებავი აქერცლილია. საკეტებს გამოცვლა სჭირდება. ხარჯი ექვსას რანდს მიაღწევს.

– ვისი ნახელავი იქნება? – ეკითხება ზეინკალი.

– წარმოდგენა არა მაქვს, – მოკლედ მოუჭრის.

ამ Coup de main-ის[16] შემდეგ მელანი მისგან თავს შორს იჭერს. გასაკვირიც არ არის. ისიც მასავით დარცხვენილია. მაგრამ ორშაბათს მეცადინეობაზე ისევ გამოჩნდება. მის გვერდით სკამის საზურგეზე გადაწოლილი, ჯიბეებში ხელებ-ჩაწყობილი, თავხედური გამომეტყველების შავებში გამოწყობილი ბიჭი ზის. ბოიფრენდი.

ჩვეულებრივ, აუდიტორიაში სტუდენტების ხმადაბალი საუბარი გაბმულ ზუზუნად ისმის ხოლმე, დღეს კი სრული სიჩუმეა. თუმცა არ უნდა, დაიჯეროს, რომ მათ რამე იციან, აშკარაა, ისინი დაუპატიჟებელი სტუმრის გამოჩენაზე მის რეაქციას ელიან.

მართლაც, როგორ მოიქცეს? მის მანქანას რაც უყვეს, ეტყობა, არ აკმარებენ. ალბათ, კიდევ ელოდება სიურპრიზები. რა უნდა ქნას? კბილების ღრჭენით ითმინოს და ზღოს! სხვა რა გზა აქვს.

– ვაგრძელებთ ბაირონის კითხვას, – ამბობს და თავს თავის ჩანაწერებში რგავს, – როგორც წინა კვირას ვნახეთ, ცუდმა სახელმა და სკანდალებმა გავლენა მოახდინა არა მხოლოდ ბაირონის ცხოვრებაზე, არამედ იმაზეც, თუ როგორ აღიქვა მისი ლექსები მკითხველმა. ბაირონი-კაცი გაიგივდა მისივე პოეტურ ქმნილებებთან – ჰაროლდთან, მანფრედთან, დონ-ჟუანთანაც კი.

სკანდალები. სამწუხაროა, რომ ამ თემაზე უწევს საუბარი, მაგრამ ახლა იმპროვიზაციის თავი არ აქვს.

---

[16] მოულოდნელი თავდასხმა (ფრ.).

მზერას მელანისკენ აპარებს. ის, ჩვეულებრივ, გულმოდგინედ იწერს ყველაფერს. თუმცა დღეს თითქოს უფრო გამხდარია და გატანჯული; მობუზული ჩასჩერებია წიგნს. უნებურად გული მისკენ მიუწევს. „საცოდავი, პატარა ჩიტუნა, – ფიქრობს ის, – რომელიც გულში მყავდა ჩაკრული."

წინა ლექციაზე სტუდენტებს სთხოვა, „ლარა" წაეკითხათ. ამ პოემას გვერდს ვერ აუვლის. ხმამაღლა კითხულობს:

„უცხო ამქვეყნად, სამყაროში, სადაც სუნთქავენ,
უარყოფილი იმ ქვეყნიდან ცდომილი სული,
ბოროტებას ნაზიარები,
გამწესებელი იმ განსაცდელთა,
რაღაცა იღბლად, შემთხვევით რომ თვით გადაურჩა."[17]

როგორ შეიძლება აიხსნას ეს სტრიქონები? ვინ არის ეს „ცდომილი სული"? რატომ უწოდებს „უცხოს ამქვეყნად" თავის თავს? რომელი სამყაროდანაა მოსული?

დიდი ხანია, თავისი სტუდენტების უმეცრება აღარ აკვირვებს. პოსტქრისტიანული, პოსტისტორიული, პოსტგანათლების ეპოქის შვილები. შეეძლოთ, კვერცხიდან სულაც გუშინ გამოჩეკილიყვნენ. ასე რომ, მათგან არ მოელის რაიმეს ცოდნას დაცემულ ანგელოზზე, არც იმის ცოდნას, თუ სად შეეძლო ბაირონს წაეკითხა ამის შესახებ. დიდი-დიდი, უწყინარი ვარაუდები გამოთქვან, რომლებიც, თუ გაუმართლებს, შეუძლია, საჭირო მიმართულებით წარმართოს. მაგრამ დღეს ისინი დუმილს ამჯობინებენ, ჯიუტ დუმილს, რომელიც თით-

[17] აქ და შემდეგ მოყვანილია ციტატები ბაირონის პოემიდან „ლარა" (მთარგმნელი მაია ბერაძე).

ქმის ხელშესახებად ჩამოწოლილა სტუდენტებს შორის მჯდარი უცხოს გარშემო. ისინი არაფერს იტყვიან, თამაშში არ აჰყვებიან მანამ, სანამ მათ შორის არის უცხო ადამიანი, რომელსაც შეუძლია, განსაჯოს ისინი, დასცინოს მათ.

– ლუციფერი, – ამბობს ის, – დაცემული ანგელოზია. იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობენ ანგელოზები, ცოტა რამ ვიცით, მაგრამ შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ მათ ჟანგბადი არ სჭირდებათ. თავის სახლში ლუციფერს, შავ ანგელოზს, სუნთქვა არ სჭირდებოდა და უცებ ის აღმოჩნდა ჩვენს უცნაურ „სამყაროში, სადაც სუნთქავენ“. ეს არის „ცდომილი“ არსება, რომელიც თვით ირჩევს საკუთარ გზას, ცხოვრობს საფრთხეში, უფრო მეტიც, თვითონ უქმნის საფრთხეს თავის თავს. მოდით, განვაგრძოთ კითხვა.

ბიჭს ერთხელაც არ ჩაუხედავს ტექსტში. უსმენს. ტუჩებზე ღიმილი შეჰყინვია, ღიმილი, რომელსაც გაკვირვება დაჰკრავს.

„ზოგჯერ შეეძლო მოყვასისთვის მსხვერპლი გაეღო,
არა იმიტომ, რომ ვალია, რომ ებრალება,
არამედ რაღაც უკუღმართი ფიქრთა დინებით,
რადგან ფარული სიამაყით მას აღავსებდა
კეთება იმის, რაც ცოტას თუ ხელეწიფება.
მაგრამ იგივე უკუღმართი ფიქრთა დინება,
დანაშაულის ჩადენისკენ მიაქანებდა.“

– აბა, როგორი არსებაა ლუციფერი?

ახლა სტუდენტები უკვე გრძნობენ ერთგვარ დაძაბულობას მასა და ახალგაზრდა კაცს შორის. ეს შეკითხვაც სწორედ სტუმრისთვისაა დასმული, მხოლოდ მის პასუხს ელის და ისიც ახლად გამოფხიზლებულივით ეხმაურება.

– ის აკეთებს იმას, რაც სურს. არ ფიქრობს, კარგია ეს თუ ცუდი. უბრალოდ, აკეთებს.

– სწორედ ასეა. მისთვის სულერთია, კარგია თუ ცუდი, უბრალოდ აკეთებს იმას, რაც სურს. პრინციპებით კი არ ხელმძღვანელობს, არამედ მის საქციელს იმპულსები წარმართავს და ამ იმპულსების წყარო მისთვის ბნელითაა მოცული. რამდენიმე სტრიქონის შემდეგ ვკითხულობთ: „მისი სიგიჟე თავიდან კი არა, გულიდან მოდიოდა“. გიჟი გული. რა არის გიჟი გული?

მეტისმეტს ითხოვს.

ახალგაზრდა კაცი მზადაა, ინტუიციას უფრო მეტად მიენდოს. ის ხედავს, რომ ახალგაზრდას სურს, აჩვენოს, მოტოციკლეტებისა და მოდური ტანსაცმლის გარდა კიდევ რაღაცაში ვერკვევიო. შეიძლება მართლაც ასეა. შეიძლება იცის კიდეც, გულის სიგიჟე რას ნიშნავს. მაგრამ აქ, აუდიტორიაში, უცხო ადამიანების თანდასწრებით სიტყვებს ვერ პოულობს. ახალგაზრდა თავს აქნევს.

– არაფერია. ყურადღება მიაქციეთ, რომ ჩვენგან არ მოითხოვენ, განვსაჯოთ ეს გიჟური გულის მქონე არსება, რომელსაც ორგანული ხინჯი აქვს. პირიქით, ჩვენ გვიხმობენ, რომ გავუგოთ და თანავუგრძნოთ მას. მაგრამ თანაგრძნობას საზღვარი აქვს, რადგან ჩვენს შორის კი ცხოვრობს, მაგრამ ის არ არის ერთ-ერთი ჩვენგანი. ის სწორედ ის არის, რასაც თავის თავს უწოდებს: ურჩხული. და საბოლოოდ ბაირონი გვინერგავს აზრს, რომ შეუძლებელია ის გვიყვარდეს, ამ სიტყვის ღრმა, ადამიანური მნიშვნელობით. ის მარტოობისთვის არის განწირული.

თავდახრილი სტუდენტები მის სიტყვებს იწერენ. ბაირონი, ლუციფერი, კაენი – მათთვის ყველა ერთია.

პოემის კითხვა დამთავრებულია. სტუდენტებს დავალებად დონ ჟუანის პირველ ნაწილს აძლევს და აუდიტორიას დროზე ადრე ტოვებს. გასვლის წინ თავებს მიღმა იყურება და გოგონას მიმართავს:

– მელანი, შეიძლება ერთი წუთით?

მელანი მის წინ დგას, ლოყებჩაცვენილი, გატანჯული სახით. გული კვლავ მისკენ მიუწევს, მარტო რომ იყვნენ, მოეხვეოდა, შეეცდებოდა, გაემხნევებინა. „ჩემო მტრედო," – ეტყოდა.

– ჩემს კაბინეტში ხომ არ წავიდეთ? – ეუბნება ამის ნაცვლად.

კიბეზე ადიან. ბოიფრენდი უკან მისდევთ.

– აქ დაიცადეთ, – ეუბნება ბიჭს კაბინეტთან და კარს უხურავს.

მელანი მის წინ თავდახრილი ზის.

– ჩემო ძვირფასო, – მიმართავს, – ვიცი, რომ ახლა გიჭირს და არ მინდა, კიდევ უფრო გაგირთულო მდგომარეობა, მაგრამ უნდა დაგელაპარაკო, როგორც მასწავლებელი. მე ჩემი სტუდენტების, თითოეული მათგანის მიმართ გარკვეული მოვალეობები მაკისრია. შენი მეგობარი სხვაგან რას აკეთებს, მისი საქმეა, მაგრამ ჩემს მეცადინეობას ვერ ჩავაშლევინებ. გადაეცი ეს ჩემგან. შენ რაც შეგეხება, მეტი უნდა იმუშაო, მეცადინეობებს უფრო ხშირად დაესწრო და გამოტოვებული ტესტიც ჩააბარო.

გოგონა გაკვირვებული უყურებს, გაოგნებულიც კი. თითქოს უნდა უთხრას: „შენ ყველა ჩამომაშორე, მაიძულებ, საიდუმლო შეგინახო. მე უბრალოდ სტუდენტი აღარ ვარ შენთვის და როგორ შეგიძლია, ასე მელაპარაკო?"

ბოლოს, როცა პირს აღებს, ისეთი დახშული ხმით ლაპარაკობს, რომ ძლივს ისმის:

– ტესტს ვერ ჩავაბარებ, მომზადებული არ ვარ.

რის თქმაც სურს, ვერ ეტყვის, ეს წესიერი საქციელი არ იქნება. შეუძლია, მხოლოდ მიანიშნოს და იმედი იქონიოს, რომ ის გაიგებს.

– მხოლოდ გამოცხადდი ტესტირებაზე, მელანი, როგორც ყველა. მნიშვნელობა არა აქვს, მომზადებული ხარ თუ არა. მთავარია, ეს ტვირთი მოიშორო. მოდი, დღეზე შევთანხმდეთ. ორშაბათი რომ იყოს? ლანჩის დროს. შაბათ-კვირა გექნება წასაკითხად.

მელანი თავს სწევს და გამომწვევად უყურებს. ან ვერ გაიგო, ან შეთავაზებული გამოსავალი არ მოეწონა.

– ორშაბათს, აქ, ჩემს კაბინეტში, – იმეორებს ის.

გოგონა დგება, ჩანთას ზურგზე იკიდებს.

– მელანი, მე გარკვეული პასუხისმგებლობა მაკისრია. ფორმალურად მაინც ჩააბარე ტესტი. კიდევ უფრო ნუ გაართულებ სიტუაციას.

პასუხისმგებლობა. მელანი ამ სიტყვას პასუხის ღირსად არ თვლის.

იმავე საღამოს, კონცერტიდან მომავალი, შუქნიშანთან წითელ შუქზე აჩერებს. გვერდით მოტოციკლეტი თუხთუხებს, ვერცხლისფერი „დუკატი“, შავებში გამოწყობილი ორი მგზავრით. მუზარადები ახურავთ, მაგრამ მაინც ცნობს. მელანი უკან ზის, ფართოდ გადაშლილი მუხლებით, გამობზეკილი უკანალით. მთელ სხეულში ვნების ჟრჟოლა უვლის. „მე ვიყავი მასში,“ – ფიქრობს ის. მოტოციკლეტი ადგილს სწყდება და გოგონა თან მიჰყავს.

თავი 5

ორშაბათს მელანი ტესტირებაზე არ მოდის. ამის ნაცვლად საფოსტო ყუთში ოფიციალურ ბლანკს პოულობს: „სტუდენტი 7710101 მის მ. ისააქსი უარს ამბობს 312-ე კურსის მოსმენაზე. ძალაში შედის დაუყოვნებლივ.“

ერთი საათიც არ იქნება გასული, რომ მის კაბინეტში ტელეფონი რეკავს.

– პროფესორი ლური ხართ? ორიოდე წუთს ხომ ვერ გამონახავთ ჩემთან სასაუბროდ? ჩემი გვარია ისააქსი. ჯორჯიდან ვრეკავ. ჩემი ქალიშვილი თქვენს ლექციებს ესწრებოდა. თქვენ იცნობთ მელანის.

– დიახ.

– პროფესორო, შეგიძლიათ, დაგვეხმაროთ? მელანი ისეთი კარგი სტუდენტი იყო და ახლა ამბობს, ყველაფერი უნდა მივატოვოო. ეს ჩვენთვის დიდი უბედურებაა.

– მაპატიეთ, ვერ გავიგე, რა გნებავთ.

– მას სურს, სწავლა მიატოვოს და მუშაობა დაიწყოს. ეს ხომ ყველაფრის წყალში ჩაყრაა?! სამი წელი უნივერსიტეტში გაატარო, კარგად სწავლობდე და უცებ, დასრულების წინ,

მიატოვო! მინდა გთხოვოთ, პროფესორო, რომ დაელაპარაკოთ. იქნებ გონს მოიყვანოთ.

– თქვენ თვითონ ესაუბრეთ მელანის? ხომ არ იცით, ეს რამ გადააწყვეტინა?

– მე და დედამისმა მთელი შაბათ-კვირა მასთან ტელეფონით საუბარში გავატარეთ, მაგრამ ვერაფერი გავიგეთ. ძალიან გატაცებულია სპექტაკლით, რომელშიც თამაშობს. შეიძლება გადაიღალა, მეტისმეტად გადაიტვირთა. ყველაფერი გულთან ახლოს მიაქვს. ასეთი ხასიათი აქვს. მაგრამ თუ თქვენ დაელაპარაკებით, შეიძლება დაარწმუნოთ, რომ კიდევ ერთხელ აწონ-დაწონოს ყველაფერი. თქვენ ისეთ პატივს გცემთ! არ გვინდა, ეს წლები უქმად დაიკარგოს.

თურმე მელანი-Melani-ის – აღმოსავლურჟღარუნებიანსა და უორდსუორთისადმი გულგრილს, ყველაფერი გულთან მიაქვს. ეს არ იცოდა. კიდევ რა არ იცის მის შესახებ?

– არ ვიცი, მისტერ ისააქს, ამ საქმისათვის გამოვდგები თუ არა.

– სწორედ თქვენ გამოდგებით, პროფესორო. როგორც გითხარით, მელანი ძალიან გაფასებთ.

მაფასებს? თქვენ დრო აგერიათ მისტერ ისააქს. რამდენიმე კვირაა, თქვენმა ქალიშვილმა ჩემი პატივისცემა დაკარგა და საამისო მიზეზიც აქვს. წესით, სწორედ ეს უნდა უთხრას, მაგრამ ამის ნაცვლად ამბობს:

– კარგი, ვნახოთ, თუ რამეს შევძლებ.

„ასე ადვილად ვერ დააღწევ თავს, – ეუბნება საკუთარ თავს, როცა ყურმილს დებს, – არც შორეულ ჯორჯში მცხოვრები მამა ისააქსი დაივიწყებს ამ საუბარს, შენს ტყუილებსა და თავის დაძვრენის მცდელობას. ვნახოთ, რა გამომივა. რატომ ყველაფერი არ ვუთხარი? სწორედ მე ვარ ის ჭია, ვაშლი რომ

გამოღრღნა.“ აი, ეს უნდა ეთქვა – როგორ დაგეხმარო, როცა თვით მე ვარ შენი უბედურების წყაროო.

სახლში ურეკავს. ყურმილს მისი ბიძაშვილი პოლინი იღებს.

– მელანის ვერ დაელაპარაკებით, – უპასუხებს ცივად.

– რატომ ვერ დაველაპარაკები?

– იმიტომ, რომ მას თქვენთან ლაპარაკი არ სურს.

– გადაეცით, – ამბობს ის, – იმიტომ ვრეკავ, რომ გავაფრთხილო, სწავლის მიტოვება წინდაუხედავი გადაწყვეტილებაა.

ოთხშაბათს მეცადინეობა ცუდად ტარდება, პარასკევს – უარესად. ცოტანი არიან, თანაც მხოლოდ საშუალო მოსწრების, პასიური სტუდენტები ესწრებიან, ყველაფერზე რომ თანახმა არიან. ამას მხოლოდ ერთი ახსნა შეიძლება ჰქონდეს – ეტყობა, ყველაფერი გაიგეს.

დეკანატში ზურგს უკან ვიღაცის ხმა ესმის:

– პროფესორი ლური სად შეიძლება ვნახო?

– აქ ვარ, – ამბობს ის მექანიკურად.

შეკითხვის დამსმელი პატარა, გამხდარი, მხრებში მოხრილი კაცია. თავის ტანთან შედარებით დიდი, ლურჯი პიჯაკი აცვია. სიგარეტის სუნი ასდის.

– ჩვენ ტელეფონით ვისაუბრეთ. ისააქსი ვარ.

– დიახ. გამარჯობა. ჩემს კაბინეტში ხომ არ შევიდეთ?

– არ არის აუცილებელი, – კაცი ცოტა ხანს ხმას არ იღებს, ძალას იკრებს, შემდეგ ღრმად ჩაისუნთქავს, – პროფესორო, – ამბობს ამ სიტყვის მკვეთრი ხაზგასმით, – თქვენ შეიძლება ძალიან განათლებული ხართ და ყველაფერი, მაგრამ რაც თქვენ გააკეთეთ, სწორი არ არის, – ჩერდება და თავს აქნევს, – ეს არ არის სწორი!

ორი მდივანი ქალი არც კი ცდილობს, ცნობისმოყვარეობა დამალოს. დეკანატში სტუდენტებიც არიან. უცნობი ხმას რომ უწევს, ისინი ჩუმდებიან.

– ჩვენ შვილების ბედს თქვენნაირ ადამიანებს ვანდობთ, რადგან ვფიქრობთ, რომ თქვენი ნდობა შეიძლება. თუ უნივერსიტეტს არ ვენდობით, მაშ, ვილას ვენდოთ? ვერასოდეს ვიფიქრებდით, რომ ჩვენს ქალიშვილს გველგესლების ბუდეში ვგზავნიდით. არა, პროფესორო ლური, თქვენ შეიძლება მაღალი თანამდებობა და ყველანაირი ხარისხი გაქვთ, მაგრამ თქვენს ადგილზე რომ ვიყო, ძალიან შემრცხვებოდა. ღმერთმა დამიფაროს. თუ რამეს არასწორად გეუბნებით, მითხარით, მაგრამ არა მგონია, ასე იყოს. სახეზეც გეტყობათ, რომ მართალს ვამბობ.

მართლაც დროა, თქვას: ვისაც სათქმელი აქვს, დაე, თქვას! მაგრამ ის დამუნჯებული დგას. სისხლი ყრუდ უგუგუნებს ყურებში. გველგესლა. შეუძლია კი, ეს უარყოს?

– მაპატიეთ, – ჩურჩულებს ის, – საქმე მაქვს, – ბრუნდება, როგორღაც გაშეშებული და მიდის.

ხალხით სავსე კორიდორში ისააქსი მისდევს.

– პროფესორო, პროფესორო ლური! – ყვირის ის, – ასე ადვილად ვერ წამიხვალთ. მთავარი ჯერ არ მითქვამს. ახლა გეტყვით.

აი, ასე იწყება.

მეორე დილით ვიცე-რექტორის (სტუდენტებთან მუშაობის დარგში) ოფისიდან იშვიათი ოპერატიულობით იღებს წერილს, რომლითაც აცნობებენ, რომ უნივერსიტეტის „ქცევის კოდექსის“ 3.1 სტატიის შესაბამისად მასზე საჩივარია შესული. სთხოვენ, შეძლებისდაგვარად სწრაფად დაუკავშირდეს რექტორის ოფისს.

შეტყობინებას, რომელიც კონვერტით მოდის, აწერია „კონფიდენციალური“. მას ასლის კოდი ახლავს. სტატია 3 რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური მოტივებით ზეწოლას და დევნას ეხება, სტატია 3.1 კი – ლექტორის მხრიდან სტუდენტზე ზეწოლასა და დევნას.

მეორე დოკუმენტში აღწერილია საგამოძიებო კომისიის სტრუქტურა და უფლებამოსილება. კითხულობს და გული უსიამოვნოდ ჩხვლეტს. შუამდე მისულს ყურადღება ეფანტება, კაბინეტის კარს კეტავს და ჯდება. დოკუმენტი ხელში უჭირავს, ცდილობს, წარმოიდგინოს, რა მოხდა.

დარწმუნებულია, რომ მელანი ასეთ ნაბიჯს არ გადადგამდა. საამისოდ ის მეტისმეტად გულუბრყვილოა და ვერც თავის შესაძლებლობებს აფასებს. ეს ყველაფერი უდავოდ იმ გაიერპიჯაკიანი პატარა კაცის ბრალია. მისი და მელანის ბიძაშვილის – პოლინის, პრიმიტივისა და დუენიასი[18]. ისინი შეუჩნდებოდნენ, ტვინს გაუბურღავდნენ და ბოლოს და ბოლოს, რექტორატში წაიყვანდნენ.

– საჩივარი შემოგვაქვს, – ალბათ, ასე იტყოდნენ.

– საჩივარი? რა საკითხზე?

– პირადი ხასიათის.

– ზეწოლის გამო, – სანამ მელანი შეცბუნებული დგას, საუბარში პოლინი ერთვება, – პროფესორის წინააღმდეგ.

– ამა და ამ ოთახში მიბრძანდით.

„ამა და ამ ოთახში“ ისააქსი თამამდება.

– ჩვენ გვინდა თქვენი ერთ-ერთი პროფესორის წინააღმდეგ შევიტანოთ საჩივარი.

---

[18] ესპანეთში: ხნიერი ქალი, რომელიც მიჩენილი ჰყავდა ახალგაზრდა ქალს და თვალყურს ადევნებდა მას.

– კარგად დაფიქრდით, დარწმუნებული ხართ? – ალბათ, ჰკითხეს დადგენილი წესის მიხედვით.

– დიახ, დიახ, დარწმუნებული ვართ, – ალბათ, უპასუხა და თავის ქალიშვილს გადახედა, თითქოს უთხრა, თუ რამე გაქვს საწინააღმდეგო, თქვიო.

ფორმა უნდა შეივსოს. ფორმას და ავტოკალამს წინ უდებენ. ხელი ავტოკალამს იღებს. ხელი, რომელსაც ის კოცნიდა, რომელსაც კარგად იცნობს. ჯერ მომჩივანის სახელი და გვარი: მელანი ისააქსი, გამოყვანილი ბეჭდური ასოებით. მერყევი ხელი გრაფების სვეტს ჩამოჰყვება, ეძებს, რომელი მონიშნოს. „აქ“ ნიკოტინისგან ჩაყვითლებული თითით ანიშნებს მამამისი. ხელის მოძრაობას ანელებს, დაბლა ეშვება, X გამოჰყავს, ჯვარი მართალთა: „J'accuse“[19]. ახლა ბრალდებულისთვის განკუთვნილი გრაფა. „დევიდ ლური“, – წერს ხელი, – „პროფესორი“. გვერდის ბოლოს თარიღი და ხელმოწერა: M-ის არაბესკა, L – მკვეთრი ზედა მარყუჟით და ხვეული S.

აღსრულდა. ფურცელზე ორი სახელი წერია: მისი და მელანის. გვერდიგვერდ. ორნი საწოლში, უკვე არა როგორც საყვარლები, არამედ როგორც მტრები.

ვიცე-რექტორის ოფისში რეკავს. ხუთ საათზე იბარებენ, სამუშაო საათების შემდეგ.

ხუთ საათზე მისაღების კორიდორში იცდის. გამოდის არამ ჰაკიმი, ახალგაზრდა, ელეგანტური, და ოთახში შეჰყავს, სადაც კიდევ ორი ადამიანი ხვდება: ელაინ ვინტერი, მისი კათედრის გამგე და ფაროდია რასული, სოციოლოგიის ფაკულტეტიდან.

---

[19] მე ბრალს ვდებ (ფრ.).

– უკვე გვიანია, დევიდ. ვიცით, რატომაც შევიკრიბეთ, – ამბობს ჰაკიმი, – მოდი, პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ. რითი დავიწყოთ?

– ჯერ მითხარით, საჩივარი რას შეეხება.

– ძალიან კარგი. საჩივარი შემოიტანა მელანი ისააქსმა, – ელაინ ვინტერს გადახედავს, – ასევე საქმე ეხება მელანი ისააქ-სთან დაკავშირებულ ზოგიერთ ადრინდელ დარღვევას, ელაინ...

ელაინ ვინტერი მინიშნებას ხვდება. ქალს ის არასოდეს მოსწონდა. წარსულის გადმონაშთად თვლის და მიაჩნია, რომ რაც მალე მოიშორებენ, მით – უკეთესი.

– გვაქვს შეკითხვები მისს ისააქსის მეცადინეობებზე დას-წრებასთან დაკავშირებით, დევიდ. მე მას ტელეფონით ვე-საუბრე და მითხრა, რომ წინა თვეში მხოლოდ ორჯერ და-ესწრო ლექციას. თუ ეს სიმართლეა, ამის შესახებ თქვენ უნდა გეცნობებინათ. ის ასევე ამბობს, რომ შუა სემესტრის ტესტი არ გაუვლია, თუმცა... – საქაღალდეში იხედება, – თქვენი აღრიცხვის მიხედვით, მას გაცდენები არა აქვს, შუა სემეს-ტრის ტესტი კი სამოცდაათი ქულით შეგიფასებიათ, – ელაინი მზაკვრულად გახედავს, – ასე რომ, თუ ორი მელანი ისააქსი არ გვყავს...

– მხოლოდ ერთია. მე არაფერი მაქვს სათქმელი თავის გასამართლებლად.

ჰაკიმი ფრთხილად ერევა საუბარში:

– ახლა სერიოზული საკითხების განსახილველი არც დროა და არც ადგილი. ჩვენ შეგვიძლია, – დანარჩენ ორს გადახედავს, – მხოლოდ პროცედურა განვსაზღვროთ. თქმაც არ უნდა, რომ საკითხი კონფიდენციალურად იქნება გან-ხილული. ამაში შემიძლია დაგარწმუნოთ. თქვენს სახელს ჩრდილი არ მიადგება. არც მის ისააქსის სახელს. შეიქმნე-

ბა კომისია, რომელსაც დაევალება განსაზღვროს, არსებობს თუ არა საფუძველი დისციპლინური ზომების მისაღებად. თქვენ ან თქვენს რწმუნებულს უფლება გექნებათ, კომისიის შემადგენლობის შეცვლა მოითხოვოთ. მოსმენა დახურულ კარს მიღმა გაიმართება. მანამდე კი, სანამ კომიტეტი რექტორს რეკომენდაციებს წარუდგენს და იგი გადაწყვეტილებას მიიღებს, ყველაფერი ძველებურად დარჩება. მის ისაააქსმა ოფიციალურად თქვა უარი თქვენი კურსის მოსმენაზე, თქვენგან კი მოელიან, რომ მასთან ურთიერთობას მოერიდებით. ფაროდია, ელაინ, რამე ხომ არ გამომრჩა?

ტუჩებმოკუმული დოქტორი რასული თავს აქნევს.

– ზეწოლის საქმე ყოველთვის რთულია, დევიდ, რთული და უსიამოვნო, მაგრამ გვჯერა, რომ ჩვენი გადაწყვეტილება ღირსეული და სამართლიანია, ასე რომ, მას ნაბიჯ-ნაბიჯ შევასრულებთ. გირჩევთ, ამ გადაწყვეტილებას გაეცნოთ და თუ საჭიროდ ჩათვლით, იურისტი აიყვანოთ.

ის-ისაა, უნდა უპასუხოს, რომ ჰაკიმი გამაფრთხილებლად სწევს ხელს:

– ჯობს, გადაწყვეტილების მიღებას ნუ იჩქარებთ, დევიდ.

ეს უკვე მეტისმეტია.

– ნუ მასწავლით, როგორ მოვიქცე. ბავშვი არ ვარ.

განრისხებული ტოვებს ოთახს, მაგრამ შენობა დაკეტილია და მეკარე – წასული. უკანა გასასვლელიც დაკეტილია. ჰაკიმისთვის უწევს თხოვნა, რომ კარი გააღოს.

წვიმს.

– მოდით, ქოლგის ქვეშ შეგიფარებთ, – ამბობს ჰაკიმი, შემდეგ კი, უკვე მანქანასთან მისული, უმატებს: – ჩვენ შორის დარჩეს, დევიდ, და ძალიან თანაგიგრძნობთ. ასეთი რამეები მეტად უსიამოვნოა.

ჰაკიმს უკვე მრავალი წელია იცნობს, ერთ დროს, როცა ჯერ კიდევ ჩოგბურთს თამაშობდა, ისინი პარტნიორები იყვნენ. მაგრამ ახლა ძმაკაცური სენტიმენტების თავი არ აქვს. გაღიზიანებული მხრებს იჩეჩს და მანქანაში ჯდება.

თითქოს ყველაფერი კონფიდენციალურად უნდა დარჩენილიყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, ასე არ მოხდა. რასაკვირველია, ხალხი ჭორაობს. მაშ, რატომ წყდება ხოლმე საუბარი და სიჩუმე ჩამოვარდება მაშინვე, როგორც კი საპროფესოროში შედის? ახალგაზრდა კოლეგა, რომელთანაც მას გულითადი ურთიერთობა ჰქონდა, რატომ არიდებს თვალს, ჩაის ფინჯანს მაგიდაზე დგამს და საპროფესოროდან გადის? რატომ ესწრება ბოდლერის შესახებ პირველ ლექციას მხოლოდ ორი სტუდენტი?

„ჭორის წისქვილი ფქვავს, – ფიქრობს ის, – დღედაღამ ფქვავს, ფქვავს რეპუტაციას. უმწიკვლოთა თანამეგობრობა ბჭობს სადღაც კუთხეებში, ტელეფონებით, დაკეტილ კარს მიღმა, აღტაცებით ჩურჩულებენ. Schadenfreude[20]. ჯერ სასჯელი, სასამართლო კი – შემდეგ.“

წესად აქცია, კორიდორში თავაწეულმა იაროს.

ხვდება ადვოკატს, რომელსაც თავის დროზე განქორწინების საქმე მიანდო.

– მოდი, ჯერ ის გავარკვიოთ, – ამბობს ადვოკატი, – სამართლიანია თუ არა თქვენთვის წაყენებული ბრალდებები.

– საკმაოდ სამართლიანია. იმ გოგოსთან ურთიერთობა ნამდვილად მქონდა.

– სერიოზული?

– სერიოზულობა გააუარესებს თუ გააუმჯობესებს ჩემს

[20] სიხარული სხვისი უბედურების გამო (გერმ.).

მდგომარეობას? გარკვეული ასაკის შემდეგ ყველა ურთიერთობა სერიოზულია. გულის შეტევის არ იყოს.

– გირჩევთ, სტრატეგიული მოსაზრებით თქვენს წარმომადგენლად ქალი შეარჩიოთ, – და ორ გვარს ასახელებს, – და ყველაფერი სათანადოდ მოაგვაროთ. თქვენ გარკვეული ვალდებულებები უნდა აიღოთ, შესაძლოა, დროებით შვებულებაშიც გახვიდეთ, სამაგიეროდ, უნივერსიტეტი დაარწმუნებს გოგონას და მის ოჯახს, საჩივარი გაიტანონ. ეს ამ სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა. თქვენ ყვითელ ბარათს გიჩვენებენ, მაგრამ არ ედავებით და ელით, სკანდალი თანდათან ჩაწყნარდეს.

– რა ვალდებულებებს გულისხმობთ?

– გუნდური ფსიქოთერაპია, უსასყიდლოდ მუშაობა უნივერსიტეტის სასარგებლოდ, ანალიტიკოსთან მკურნალობა. მოკლედ, რაზეც შეთანხმდებით.

– ანალიტიკოსთან სიარული? მჭირდება?

– სწორად გამიგეთ, მე, უბრალოდ, გაფრთხილებთ, რომ შესაძლოა, ანალიტიკოსთან სიარული შემოგთავაზონ.

– აზრზე რომ მომიყვანოს? რომ განმკურნოს? შეუფერებელი ლტოლვებისგან რომ გამათავისუფლოს?

ადვოკატი მხრებს იჩეჩს.

– რაც გნებავთ, ის დაარქვით.

კამპუსში გაუპატიურების შესახებ ინფორმაციის გავრცელების კვირეული იწყება. კავშირი „ქალები გაუპატიურების წინააღმდეგ“ – ქგწ – „ბოლო მსხვერპლთა“ სოლიდარობის ნიშნად ოცდაოთხსაათიან სიფხიზლეს აცხადებს. კარის ქვეშ ფურცელი შეუცურეს: „ქალები ალაპარაკდნენ!“ ქვემოთ კი ფანქრით მიუჩხაპნიათ: „შენი დღეები დათვლილია, კაზანოვა!“

თავის ყოფილ მეუღლესთან – როზალინდასთან ერთად სადილობს. რვა წელია, ერთად აღარ ცხოვრობენ, თუმცა ნელ-ნელა, ფრთხილად ისევ მეგობრები ხდებიან. ერთგვარი ომის ვეტერანები არიან. როგორღაც ამშვიდებს ის, რომ როზალინდა ახლოს ცხოვრობს. შესაძლოა, ქალსაც აქვს ასეთი გრძნობა მის მიმართ. არიან ადამიანები, ვისი იმედიც შეგიძლია გქონდეს, როცა რაიმე ცუდი მოხდება, ვთქვათ, საბაზანოში წაიქცევი ან განავალს სისხლი გამოჰყვება.

მისი პირველი ქორწინების ერთადერთი ნაყოფის – ლუსის შესახებ ლაპარაკობენ, რომელიც ახლა აღმოსავლეთ კეიპში ცხოვრობს.

– შეიძლება მალე ვნახო, – ამბობს ის, – მოგზაურობას ვაპირებ.

– ამ შუა სემესტრში?

– სემესტრი თითქმის მთავრდება. სულ ორიოდე კვირა დარჩა.

– შენი პრობლემების გამო? გავიგე, რაღაც პრობლემები გქონია.

– საიდან გაიგე?

– ლაპარაკობენ, დევიდ. შენი ბოლო თავგადასავლის შესახებ ყველამ იცის, თანაც ყველაზე პიკანტური დეტალებიც კი. შენ გარდა არავის უნდა ამ საქმის მიჩუმათება. შეიძლება გითხრა, რომ სისულელე ჩაიდინე?

– არა, არ შეიძლება.

– მაინც გეტყვი. ეს ყველაფერი ძალიან სულელური და ულამაზოა. არ ვიცი, შენს სექსუალურ პრობლემებს როგორ აგვარებ და არც მინდა ვიცოდე, მაგრამ ეს გზა ნამდვილად არ ვარგა. რამდენი წლის ხარ, ორმოცდათორმეტის ხომ? და შენ გგონია, პატარა გოგო შენი ხნის კაცთან წოლით სიამოვ-

ნებას იღებს? ფიქრობ, რომ მას სიამოვნებს, უყუროს შენი ექსტაზის... გიფიქრია ამაზე?

ის დუმს.

– ჩემგან თანაგრძნობას ნუ ელი, დევიდ, და ნურც ნურავისგან; ნურც თანაგრძნობას, ნურც შენდობას, მით უფრო – ჩვენს დროსა და შენს ასაკში. ყველა შენკენ გამოიშვერს თითს და მართალიც იქნებიან. არა, მაინც ეს როგორ ჩაიდინე?

ქალის ხმაში ნაცნობი ტონი ისმის, მათი ქორწინების ბოლო წლებისთვის დამახასიათებელი ცხარე ურთიერთბრალდებების ტონი. ალბათ, როზალინდაც გრძნობს ამას. თუმცა შეიძლება, ის მართალიცაა. იქნებ ახალგაზრდებს უფლება აქვთ, ვინმემ ისინი ვნებით ათრთოლებული მოხუცების სხეულების ხილვისაგან დაიცვას? ბოლოს და ბოლოს, უსიამო ხვადების ვნებიანი კრუნჩხვების ასატანად მეძავები არსებობენ.

– კარგი, – განაგრძობს როზალინდა, – ესე იგი ლუსის მონახულებას აპირებ?

– ჰო, საქმის განხილვა რომ დასრულდება, მინდა გავემგზავრო და ცოტა ხანს მასთან დავრჩე.

– საქმის განხილვა?

– მომავალ კვირას საგამოძიებო კომისია იწყებს მუშაობას.

– ძალიან მალე დაასრულებენ. ლუსის მონახულების შემდეგ რას აპირებ?

– არ ვიცი. არ მგონია, უნივერსიტეტში დაბრუნების ნება მომცენ, თუმცა არც ვიცი, მინდა თუ არა დაბრუნება.

როზალინდა თავს აქნევს.

– შენი კარიერის სამარცხვინო დასასრული, არა? აღარ გეკითხები, ღირდა თუ არა ის გოგო ამად. და მერე რა უნდა აკეთო? პენსიას დაგინიშნავენ?

– ალბათ, რაღაცაზე შევთანხმდებით, მთლად ცარიელ-ტარიელს ხომ ვერ დამტოვებენ.

– ასე დარწმუნებულიც ნუ იქნები. რამდენი წლისაა ის შენი გულისვარდი?

– ოცის. სრულწლოვანია. საკმაოდ დიდია იმისთვის, რომ თავის ჭკუაზე იაროს.

– ამბობენ, ძილის წამალი დალიაო. მართალია?

– არ ვიცი, არაფერი გამიგია. ტყუილი იქნება. შენ ვინ გითხრა?

როზალინდა კითხვას არ უპასუხებს.

– უყვარდი? და შენ მიატოვე?

– არა, არც ერთი და არც მეორე.

– მაშ, რატომ გიჩივის?

– ვინ იცის? ჩემთვის გული არ გადაუშლია. სცენის მიღმა რაღაც ბრძოლა გაიმართა. დაწვრილებით არაფერი ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ არსებობს ეჭვიანი ახალგაზრდა კაცი, განრისხებული მშობლები. ბოლოს და ბოლოს, ის, ეტყობა, გატყდა. ჩემთვის ძალიან მოულოდნელი კი იყო.

– თავის დროზე უნდა გეფიქრა, დევიდ. საკმაოდ ხნიერი ხარ საიმისოდ, რომ ვილაცის ბავშვებს აეკიდო. ყველაფრისთვის მზად უნდა ყოფილიყავი. გულწრფელად გეუბნები, ეს ძალიან დამამცირებელია.

– შენ არ გიკითხავს, მიყვარს თუ არა ის. ბარემ ესეც მკითხე...

– ძალიან კარგი. გიყვარს ის ახალგაზრდა ქალი, რომელიც შენს სახელს ასე ათრევს ტალახში?

– მისი ბრალი არ არის. მას ნუ ადანაშაულებ.

– ნუ ვადანაშაულებ?! კი მაგრამ, შენ ვის მხარეზე ხარ? რა თქმა უნდა, დავადანაშაულებ. მასაც და შენც. ეს ძალიან

სამარცხვინო ამბავია, სამარცხვინოც და ამორალურიც. და ამას რომ გეუბნები, საბოდიშო არაფერი მაქვს.

ადრე ასეთ ნათქვამზე იფეთქებდა, მაგრამ ახლა – არა. მან და როზალინდამ ერთმანეთისგან თავდასაცავად კანი საკმაოდ გაისქელეს.

მეორე დღეს როზალინდამ დაურეკა.

– დევიდ, დღვანდელი „არგუსი“ ნახე?

– არა.

– ჰოდა, გამაგრდი. სტატიაა შენზე.

– რაო, რას წერენ?

– შენ თვითონ წაიკითხე.

სტატია მესამე გვერდზეა. „პროფესორს სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებენ“. სწრაფად კითხულობს პირველ სტრიქონებს: „...უნდა წარდგეს დისციპლინური კომისიის წინაშე ზეწოლის ბრალდებით. ტექნიკური უნივერსიტეტი გულმოდგინედ მალავს ბოლო სკანდალურ ფაქტებს – სტიპენდიის გაცემასთან დაკავშირებულ თაღლითობას და სექსუალური მომსახურების ქსელის არსებობას სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში. 53 წლის დევიდ ლურისთან (რომელიც ავტორია წიგნისა ინგლისელი ბუნების მეხოტბე პოეტის, უილიამ უორდსუორთის შესახებ), გასაუბრება ვერ მოვახერხეთ.“

უილიამ უორდსუორთი (1770-1850) – ბუნების მეხოტბე პოეტი. დევიდ ლური (1945-?) – უღირსი მოსწავლე და კომენტატორი უილიამ უორდსუორთისა. კურთხეულ იყოს ყრმა იგი. არა, ის არ არის გარიყული. კურთხეულ იყოს ყრმა.

თავი 6

საქმის მოსმენა ჰაკიმის კაბინეტის მარჯვნივ მდებარე ოთახში მიმდინარეობს. ის შეჰყავთ და იმ მაგიდის ბოლოში სვამენ, რომლის თავში თვით მანას მატაბანე ზის – რელიგიის ისტორიის პროფესორი, გამოძიების ხელმძღვანელი. მის მარცხნივ სხედან ჰაკიმი, მისი მდივანი და კიდევ ერთი ახალგაზრდა ქალი – ეტყობა სტუდენტი, მარჯვნივ კი მატაბანეს კომისიის სამი წევრი.

ის არ ნერვიულობს, პირიქით, სრულიად დარწმუნებულია საკუთარ თავში. კარგად გამოიძინა და გული თანაბრად უცემს. „პატივმოყვარეობა, – ფიქრობს ის, – აზარტული მოთამაშის სახიფათო პატივმოყვარეობა. პატივმოყვარეობა და თვითკმაყოფილება.“ სიტუაციისთვის შეუფერებელი სულიერი მდგომარეობაა, მაგრამ რა გაეწყობა.

კომისიის წევრებს თავის დაკვრით ესალმება. ორ მათგანს იცნობს: ფაროდია რასულს და დესმონდ სუორტს, საინჟინრო ფაკულტეტის დეკანს. მესამე, იმ დოკუმენტების მიხედვით, რომლებიც მის წინ აწყვია, ბიზნესის სკოლაში ასწავლის.

– პროფესორო ლური, ჩვენს კომისიას, – ხსნის სხდომას

მატაბანე, – ძალაუფლება არ გააჩნია, მას მხოლოდ რეკომენდაციის შემუშავება შეუძლია. უფრო მეტიც, თქვენ შეგიძლიათ, აცილება მისცეთ მის შემადგენლობას. ამიტომ, ნება მომეცით, გკითხოთ: ხომ არ არის კომისიის წევრებს შორის ვინმე, ვისი მონაწილეობაც, თქვენი აზრით, თქვენთვის საზიანოა?

– იურიდიული თვალსაზრისით, კომისიის წევრების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ფილოსოფიური ხასიათის რამდენიმე შენიშვნა კი მაქვს, მაგრამ ვფიქრობ, მათზე აქ ლაპარაკი უადგილოა.

სკამებზე შეირხევიან, იშმუშნებიან.

– მე ვფიქრობ, ჯობია, იურიდიული ნორმების შესაბამისად მოვიქცეთ, – ამბობს მატაბანე, – თქვენ კომისიის შემადგენლობის მიმართ აცილება არა გაქვთ. წინააღმდეგი ხომ არ ხართ, ჩვენს სხდომას დაესწროს სტუდენტი, ორგანიზაციის – „კოალიცია დისკრიმინაციის წინააღმდეგ“ – დამკვირვებელი?

– მე არც კომისიის მეშინია და არც დამკვირვებლების.

– ძალიან კარგი. გადავიდეთ საქმეზე. პირველი მომჩივანია მელანი ისააქსი, თეატრალური ფაკულტეტის სტუდენტი. ყველა ჩვენგანს აქვს მისი განცხადების ასლი. როგორ ფიქრობთ, პროფესორო ლური, ამ განცხადებაზე ორიოდე სიტყვის თქმა საჭიროა?

– როგორც ვატყობ, ბატონო თავმჯდომარევ, მის ისააქსი აქ არ მოვა...

– მის ისააქსი გუშინ წარდგა კომისიის წინაშე. ნება მომეცით, შეგახსენოთ, რომ ეს გამოძიებაა და არა – სასამართლო. ჩვენი მუშაობის წესები სასამართლოს წესებისგან განსხვავდება. ეს თქვენთვის მიუღებელია?

– არა.

– მეორე ბრალდება, რომელიც პირველს უკავშირდება, – აგრძელებს მატაბანე, – სტუდენტთა მოსწრების აღრიცხვის განყოფილებიდან მოვიდა. ის მის ისააქსის მეცადინეობებზე დასწრების აღრიცხვის სიზუსტეს ეხება. ამ ბრალდების მიხედვით, მის ისააქსი ყველა ლექციას არ დასწრებია, არც წერითი ნამუშევარი ჩაუბარებია და არც გამოცდა, თქვენ კი მას ნიშანი დაუწერეთ.

– სულ ეს არის? სხვა ბრალდებები არ არის?

– არა, სულ ეს არის.

ჰაერს ღრმად შეისუნთქავს.

– დარწმუნებული ვარ, კომისიის წევრებს უფრო საინტერესო საქმეები აქვთ, ვიდრე იმ ისტორიის ქექვაა, რომელშიც სადავო არაფერია. ორივე ბრალდებაში თავს დამნაშავედ ვცნობ. გამოიტანეთ განაჩენი და ჩვენს საქმეებს დავუბრუნდეთ.

ჰაკიმი მატაბანესკენ იხრება, რაღაცას ბუტბუტებენ.

– პროფესორო ლური, – ამბობს ჰაკიმი, – გიმეორებთ, ეს საგამოძიებო კომისიაა. მისი ვალია, ორივე მხარეს მოუსმინოს და რეკომენდაცია შეიმუშავოს. ჩვენ გადაწყვეტილების მიღების უფლება არა გვაქვს, ამიტომ გეკითხებით, უკეთესი ხომ არ იქნება, თქვენს ნაცვლად თქვენი წარმომადგენელი მოვიწვიოთ, რომელიც ჩვენს პროცედურებს უკეთ იცნობს?

– წარმომადგენელი არ მჭირდება. მე ძალიან კარგად შემიძლია წარმოვადგინო საკუთარი თავი. თუ სწორად გავიგე, ჩემი აღიარების მიუხედავად საქმის მოსმენა უნდა გაგრძელდეს?

– ჩვენ გვინდა, აზრის გამოთქმის შესაძლებლობა მოგცეთ.

– მე უკვე გამოვთქვი ჩემი აზრი. დამნაშავე ვარ.

– დამნაშავე – რაში?

– ყველაფერში, რაშიც ბრალს მდებენ.

– თქვენ ჩვენ წრეზე გვატარებთ, პროფესორო ლური.

– თავს დამნაშავედ ვცნობ ყველაფერში, რასაც მის ისააქსი აცხადებს, და ასევე უწყისების ფალსიფიკაციაში.

საუბარში ფაროდია რასული ერთვება:

– პროფესორო ლური, თქვენ ამბობთ, რომ მის ისააქსის განცხადებას ეთანხმებით... წაიკითხეთ კი ის?

– განცხადების წაკითხვა არ მჭირდება. მე მას ვეთანხმები. რატომ უნდა ცრუობდეს მის ისააქსი?

– უფრო გონივრული ხომ არ იქნება, ვიდრე დაეთანხმებით, მაინც წაიკითხოთ განცხადება?

– არა. ცხოვრებაში კეთილგონიერებაზე მნიშვნელოვანი რამეებიც არსებობს.

ფაროდია რასული სკამის საზურგეს ეყრდნობა.

– ეს დონკიხოტობაა, პროფესორო, შეგიძლიათ კი, თავს ასეთი ფუფუნების უფლება მისცეთ? ვფიქრობ, ჩვენი მოვალეობაა, თქვენ საკუთარი თავისგან დაგიცვათ, – და ყინულივით ცივი ღიმილით ჰაკიმს გახედავს.

– თქვენ ამბობთ, რომ ადვოკატისთვის რჩევა არ გიკითხავთ. ვინმეს მაინც თუ ესაუბრეთ, მღვდელს, მაგალითად, ან ფსიქოლოგს? ფსიქოთერაპიის კურსის გავლაზე რას იტყვით?

შეკითხვას სვამს ახალგაზრდა ქალი, ბიზნესსკოლის წარმომადგენელი. კაცი გრძნობს, როგორ ეუფლება სიბრაზე.

– არა, ფსიქოთერაპიის კურსზე არ მიფიქრია და არც ვაპირებ. მე ზრდასრული მამაკაცი ვარ, ფსიქოთერაპია არ მჭირდება, ვერაფერს მიშველის, – მატაბანესკენ ბრუნდება, – თავს დამნაშავედ ვთვლი. კიდევ საჭიროა ამ დებატების გაგრძელება?

მატაბანე ჩურჩულით ეთათბირება ჰაკიმს.

– ვაცხადებთ შესვენებას, – ამბობს მატაბანე, – რათა კომისიამ პროფესორ ლურის წინადადებაზე იმსჯელოს.

ყველა თავს აქნევს.

– პროფესორო ლური, თუ შეიძლება, სანამ ჩვენ ვიმსჯელებთ, თქვენ და მის ვიკი გარეთ დაგველოდეთ.

ის და დამკვირვებელი სტუდენტი ჰაკიმის კაბინეტში მიდიან. არც ერთი მათგანი არაფერს ამბობს. გოგონა უხერხულად გრძნობს თავს. „შენი დღეები დათვლილია, კაზანოვა“. ნეტავ ახლა, როცა პირისპირ შეხვდა, რას ფიქრობს მასზე?

მათ მალევე უხმობენ. ოთახში არცთუ სასიამოვნო გარემო ხვდებათ, მისი აზრით, საკმაოდ უსიამოვნოც კი.

– მაშ, ასე, – ამბობს მატაბანე, – შევაჯამოთ ჩვენი სხდომის შედეგები. პროფესორო ლური, თქვენ ამბობთ, რომ თქვენთვის წაყენებული ბრალდებები სამართლიანია?

– მე ვაღიარებ, რომ რასაც მის ისააქსი ამბობს, სიმართლეა.

– დოქტორო რასულ, რამის თქმა ხომ არ გინდათ?

– დიახ, მე მინდა ოქმში შეიტანოთ ჩემი პროტესტი პროფესორ ლურის, ჩემი აზრით, მიკიბულ-მოკიბული პასუხების გამო. იგი ამბობს, რომ აღიარებს დანაშაულს, მაგრამ როცა ჩვენ ვცდილობთ, ვათქმევინოთ, რას აღიარებს, პასუხად ძლივს შესამჩნევ დაცინვას ვიღებთ. ეს მაფიქრებინებს, რომ იგი ბრალდებას მხოლოდ სიტყვიერად აღიარებს. ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, უამრავი ნიუანსია და ამიტომ საზოგადოება უფლებამოსილია...

არა, გაგრძელების უფლებას ვერ მისცემს.

– ამ შემთხვევაში არავითარი ნიუანსები არ არსებობს! – უპასუხებს უკმეხად.

– საზოგადოებას უფლება აქვს, იცოდეს, – ხანგრძლივი გამოცდილების წყალობით ქალი ახერხებს, ადვილად დაფაროს მისი ხმა, – კერძოდ, რას აღიარებს პროფესორი ლური და რის გამო ვუცხადებთ საყვედურს.

მატაბანე:

– თუკი გამოვუცხადებთ საყვედურს.

– დიახ, თუკი გამოვუცხადებთ საყვედურს. ჩვენ ვერ შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას, თუ კარგად არ გავარკვევთ, რა მოხდა და თუ ჩვენს რეკომენდაციებში ნათლად არ აისახება, რატომ გამოგვაქვს პროფესორ ლურისთვის ესა თუ ის განაჩენი.

– მე ვფიქრობ, ჩვენ ყველაფერი გავარკვიეთ, დოქტორო რასულ. ახლა მთავარი ისაა, თავად პროფესორი ლური გაერკვა თუ არა ყველაფერში.

– სწორედ ასეა. თქვენ ზუსტად ჩემი სათქმელი თქვით.

ჭკვიანური იქნებოდა, ახლა ენისთვის კბილი დაეჭირა, მაგრამ – არა.

– ჩემს გონებაში რა ხდება, ჩემი საქმეა და არა – თქვენი, ფაროდია, – ამბობს ის, – გულახდილად რომ ვთქვათ, თქვენ ჩემს ამა თუ იმ პასუხს კი არ ელით, არამედ აღსარებას, აღსარების თქმას კი არ ვაპირებ. მე განვაცხადე, რომ დამნაშავე ვარ ყველაფერში, რაშიც ბრალს მდებენ. ამაზე მეტის თქმას არ ვაპირებ.

– ბატონო თავმჯდომარევ, მე პროტესტს ვაცხადებ. საკითხი ჩვეულებრივი ფორმალობების საზღვრებს სცილდება. პროფესორი ლური თითქოს აღიარებს თავის დანაშაულს, მაგრამ მე საკუთარ თავს ვეკითხები, მართლა აღიარებს თუ უბრალოდ, თავს გვაჩვენებს, იმ იმედით, რომ მის საქმეს ქაღალდების სქელ გროვაში ჩამარხავენ და მიივიწყებენ. თუ

თვალთმაქცობს, მაშინ მე მოვითხოვ, იგი უმკაცრესად დაისაჯოს.

– ნება მომეცით, შეგახსენოთ, დოქტორო რასულ, – ამბობს მატაბანე, – რომ სასჯელის გამოტანა ჩვენი პრეროგატივა არ არის.

– მაშინ მისი უმკაცრესად დასჯის რეკომენდაცია უნდა გავცეთ. პროფესორი ლური სასწრაფოდ უნდა გათავისუფლდეს სამსახურიდან პენსიისა და პრივილეგიების გარეშე.

– დევიდ, – ეს დესმონდ სუორტსის ხმაა, რომელიც აქამდე ჩუმად იყო, – დევიდ, დარწმუნებული ხართ, რომ სწორად იქცევით?

სუორტსი თავმჯდომარისკენ ბრუნდება:

– ბატონო თავმჯდომარევ, როგორც პროფესორ ლურის არყოფნისას გითხარით, მე მიმაჩნია, რომ ჩვენ, უნივერსიტეტის საზოგადოების წევრები, ჩვენს კოლეგას ასე ცივად, ოფიციალურად არ უნდა მოვექცეთ. დევიდ, მოსმენის გადადება ხომ არ გინდათ? იქნებ დრო გჭირდებათ მოსაფიქრებლად ან კონსულტაციისათვის?

– რატომ? რაზე უნდა ვიფიქრო?

– იმაზე, თუ როგორი სერიოზულია თქვენი მდგომარეობა! მე მგონი, თქვენ ეს გაცნობიერებული არა გაქვთ. პირდაპირ გეტყვით, თქვენ სამსახურს კარგავთ. ეს ჩვენს დროში სახუმარო საქმე არ არის.

– და რას მირჩევთ? ჩემს ტონში აღარ ისმოდეს „ძლივს შესამჩნევი დაცინვა“, როგორც მას დოქტორი რასული უწოდებს? სინანულის ცრემლები ვღვარო? რა იქნება საკმარისი ჩემს გადასარჩენად?

– შეიძლება არ დაიჯეროთ, დევიდ, მაგრამ ჩვენ, ამ მაგიდასთან მსხდომნი, თქვენი მტრები არ ვართ. ყველას გვაქვს

სისუსტეები – ჩვენ ხომ ადამიანები ვართ. თქვენი შემთხვევა განსაკუთრებული არ არის და ამიტომ ძალიან გვინდა, საქმიანობის გაგრძელების საშუალება მოგცეთ.

საუბარში ისევ ჰაკიმი ერევა.

– ძალიან გაგვიხარდება, დევიდ, თუ ამ კოშმარიდან გამოსავლის პოვნაში დაგეხმარებით.

ისინი მისი მეგობრები არიან. მათ სურთ, იგი თავისი სისუსტისგან იხსნან. უნდათ, აუდიტორიაში დააბრუნონ და ქუჩაში სამათხოვროდ ხელგაწვდილი არ ნახონ...

– კეთილის მსურველთა ამ ქოროში ქალების ხმა არ მესმის, – ამბობს ის.

სიჩუმეა.

– ძალიან კარგი, – განაგრძობს კაცი, – ნება მომეცით, აღსარება ჩაგაბაროთ. ყველაფერი ერთ საღამოს დაიწყო, რიცხვი დამავიწყდა, მაგრამ არც ისე დიდი ხნის წინ. ძველი კოლეჯის პარკში ვსეირნობდი და ის ახალგაზრდა ქალიც, რომელიც აქ ვახსენეთ, მის ისააქსი, იქ იყო. ჩვენი გზები გადაიკვეთა. ორიოდე სიტყვა ვუთხარით ერთმანეთს და იმ წამსვე რაღაც მოხდა, რის აღწერასაც მე, რადგან პოეტი არ ვარ, არც კი შევეცდები. საკმარისია ითქვას, რომ სცენაზე ეროსი გამოვიდა და მე უეცრად სრულიად სხვაგვარი გავხდი.

– რისი თქმა გინდათ? – ფრთხილად ეკითხება ბიზნესის სკოლის წარმომადგენელი ქალი.

– მე მე აღარ ვიყავი. აღარ ვიყავი უსაქმოდ მოხეტიალე ორმოცდაათი წლის ცოლს გაშორებული მამაკაცი. მე ეროსის მსახურად ვიქეცი.

– ამას თავის გასამართლებლად ამბობთ? ანუ ეს უმართავი იმპულსი იყო?

– ეს თავის გამართლება არ არის. თქვენ აღსარება გინ-

დოდათ და სწორედ აღსარებას გეუბნებით. იმპულსს რაც შეეხება, უმართავი ნამდვილად არ იყო. ადრე ასეთი იმპულსი ბევრჯერ დამითრგუნავს. ახლა მრცხვენია კიდეც, ამას რომ ვამბობ.

– არ გიფიქრიათ, – ამბობს სუორტსი, – რომ პედაგოგის ცხოვრება გარკვეულ მსხვერპლს მოითხოვს? და რომ საერთო კეთილდღეობისათვის საკუთარ თავს რაღაც სიამოვნებებზე უარი უნდა ვუთხრათ?

– სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს შორის ინტიმური კავშირის აკრძალვას გულისხმობთ?

– არა, მაინცდამაინც ამას – არა. ჩვენ, მასწავლებლებს, გარკვეული ძალაუფლება გვაქვს. ვგულისხმობ ან სექსუალური და იერარქიული ურთიერთობების აღრევის აკრძალვას და როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში სწორედ ეს აღრევა მოხდა, ან უკიდურეს სიფრთხილეს.

კვლავ ფაროდია რასული ერთვება.

– ბატონო თავმჯდომარე, ჩვენ ისევ წრეზე დავდივართ. დიახ, ის ამბობს, რომ დამნაშავეა, მაგრამ როგორც კი მისგან კონკრეტული პასუხს ვითხოვთ, უცებ აღმოჩნდება, რომ ახალგაზრდა ქალის შეცდენას კი არ აღიარებს, არამედ ლაპარაკობს იმპულსზე, რომელსაც წინააღმდეგობა ვერ გაუწია და არც კი ახსენებს თავისი საქციელით გამოწვეულ ტკივილსა და ექსპლუატაციის ხანგრძლივ ისტორიას, რომლის ნაწილიცაა მისი საქციელი. აი, ამიტომ ვამბობ, რომ პროფესორ ლურისთან კამათი ამაოა. ჩვენ უნდა მივიღოთ მისი განცხადება და შესაბამისი რეკომენდაცია გავცეთ.

„შეცდენა!“ – იგი ელოდა ამ სიტყვას, სამართლიანი რისხვით ათრთოლებული ხმით წარმოთქმულს. საინტერესოა, როცა უყურებს, რას ხედავს მასში ისეთს, რაც მის მძვინვარებას

ინვევს? ზვიგენს, უმწეო ლიფსიტებს შორის მოცურავეს? თუ სხვა რამ ეზმანება: დიდი, ძვალმსხვილი ხვადი გოგონას გადასწოლია, ჯერ კიდევ ბავშვს და უზარმაზარ ხელს პირზე აფარებს, რომ არ იტიროს. რა სისულელეა! შემდეგ ახსენდება: კომისიის წევრები გუშინ ამავე ოთახში იყვნენ შეკრებილნი და მელანი, რომელიც მხრებამდე ძლივს სწვდება, მათ წინაშე იდგა. ძალები არათანაბარია. ამას ვერ უარყოფ.

– ვეთანხმები დოქტორ რასულს, – ამბობს ბიზნესის სკოლის წარმომადგენელი, – თუ პროფესორ ლურის არაფერი აქვს დასამატებელი, ვფიქრობ, დროა, გადაწყვეტილება მივიღოთ.

– ბატონო თავმჯდომარეე, სანამ გადაწყვეტილებას მივიღებთ, – ამბობს სუორტსი, – მინდა, კიდევ ერთხელ ვთხოვო პროფესორ ლურის, დაფიქრდეს, იქნებ არსებობს რაიმე ტიპის ოფიციალური განცხადება, რომელსაც ის ხელს მოაწერდა?

– რატომ? რისთვის არის აუცილებელი განცხადებაზე ხელის მოწერა?

– იმისათვის, რომ ეს მწვავე სიტუაცია განიმუხტოს. ჩვენთვის საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა, ისე გადაგვეწყვიტა ეს საკითხი, რომ პრესის ყურადღება არ მიგვეპყრო, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. საქმემ დიდი ინტერესი გამოიწვია და ისეთი რეზონანსი მოჰყა, რომ ჩვენს კონტროლს აღარ ექვემდებარება. ყველას მზერა უნივერსიტეტისაკენ არის მოპყრობილი. ყველას აინტერესებს, როგორ მოვიქცევით. თქვენი მოსმენისას, დევიდ, მომეჩვენა, თითქოს ფიქრობთ, რომ უსამართლოდ გექცევიან. თუ ასეა, ძალიან ცდებით. ჩვენ, კომისიის წევრები, ვცდილობთ, ვიპოვოთ ისეთი გამოსავალი, რომ თქვენ სამსახური შეინარჩუნოთ. ამიტომ გეკითხებით: არსებობს თუ არა საჯარო განცხადების თქვენთვის მისაღები ფორმა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, შედარებით მსუ-

ბუქი რეკომენდაცია შევიმუშავოთ და არა ისეთი მკაცრი, როგორიცაა სამსახურიდან დათხოვნა სასტიკი საყვედურით.

– თავის დამცირებას და შეწყალების თხოვნას გულისხმობთ?

სუორტსი ოხრავს.

– დევიდ, ჩვენი მცდელობების გაბიაბრუება კარგს არაფერს მოიტანს. იმაზე მაინც დაგვეთანხმეთ, რომ მოსმენა გადავდოთ, რათა თქვენი მდგომარეობა კარგად გააანალიზოთ.

– თქვენი აზრით, როგორი განცხადება უნდა დავწერო?

– უნდა აღიაროთ, რომ არასწორად მოიქეცით.

– მე ეს ვაღიარე. ნებაყოფლობით. წაყენებული ბრალდებებში თავს დამნაშავედ ვცნობ.

– არ გინდათ ასეთი თამაში, დევიდ. თქვენ მშვენივრად იცით, რომ თავის დამნაშავედ ცნობასა და შეცდომის აღიარებას შორის დიდი განსხვავებაა.

– და თქვენ ეს დაგაკმაყოფილებთ? აღიარება, რომ ეს შეცდომა იყო?

– არა, – ამბობს ფაროდია რასული, – ეს ყველაფერს თავდაყირა დააყენებს. ჯერ პროფესორმა ლურიმ უნდა გააკეთოს განცხადება, შემდეგ კი ჩვენ გადავწყვეტთ, მივიღოთ თუ არა ის, როგორც შემამსუბუქებელი გარემოება. ჩვენ არ ვაპირებთ განცხადების ტექსტის წინასწარ შეთანხმებას. განცხადება მისი უნდა იყოს, მისი სიტყვებით დაწერილი. და ჩვენ მივხვდებით, გულწრფელია თუ არა ის.

– და თქვენ მიგაჩნიათ, რომ ამის გამოცნობა შეგიძლიათ სიტყვებით, რომელთაც მე გამოვიყენებ? შეგიძლიათ გამოიცნოთ, გულწრფელად იქნება თუ არა ის დაწერილი?

– ჩვენ მივხვდებით, როგორია თქვენი დამოკიდებულება მომხდარისადმი. მივხვდებით, გულწრფელად ნანობთ თუ არა.

– ძალიან კარგი. მე მის ისააქსთან ურთიერთობისას ბოროტად ვისარგებლე ჩემი მდგომარეობით. ეს შეცდომა იყო და ძალიან ვნანობ. ეს საკმარისია თქვენთვის?

– პროფესორო ლური, მთავარი ის კი არ არის, ჩემთვის არის თუ არა საკმარისი, მთავარია, თქვენთვის იყოს საკმარისი. ნათქვამი თქვენს გრძნობებს გულწრფელად გამოხატავს?

ის თავს აქნევს.

– მე ვთქვი ის, რისი გაგონებაც თქვენ გსურდათ. ახლა მეტს ითხოვთ, გინდათ დაგიმტკიცოთ, რომ გულწრფელი ვარ. ეს უაზრობაა. ეს კანონის ფარგლებს სცილდება. საკმარისია. არსებობს რეგლამენტი და მის მიხედვით ვიმოქმედოთ. მე თავს დამნაშავედ ვცნობ. მეტის თქმა არ შემიძლია.

– კარგი, – ამბობს მატაბანე და სკამიდან არც კი დგება, – თუ პროფესორ ლურისთვის საკითხავი აღარაფერი გაქვთ, მადლობას ვუხდი მას მობრძანებისთვის და ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებ.

თავიდან ვერ იცნეს. უკვე კიბის შუამდე ჩასულს ესმის ყვირილი:

– ის არის! – რასაც აჩქარებული ფეხის ხმა მოსდევს.

კიბის ბოლოში ეწევიან, ერთი მათგანი პიჯაკშიც კი ჰკიდებს ხელს, რომ შეაჩეროს.

– შეიძლება გაგესაუბროთ, პროფესორო ლური? – ამბობს ვილაცის ხმა.

კითხვას უპასუხოდ ტოვებს და მიიჩქარის ხალხით სავსე ვესტიბიულისკენ, სადაც ზოგიერთი ბრუნდება და უყურებს მაღალ კაცს, მდევნელებს რომ გაურბის.

ვილაც გოგონა გზას უღობავს.

– შეჩერდით! – ეუბნება იგი. კაცი სახეს არიდებს, ხელს

წინ იშვერს. კამერის შუქის გაელვება. გოგონა მეორე მხრიდან უვლის. სახის ორივე მხარეს ქარვის მძივებჩაწნული თმა ჩამოსდევს. იცინის და სწორი, თეთრი კბილები უჩანს.

– შეიძლება შევჩერდეთ და ვისაუბროთ? – ეკითხება.

– რაზე?

დიქტოფონი თითქმის მის ცხვირთან მიაქვს. ხელით იშორებს.

– იმაზე, როგორ ჩაიარა...

– რამ როგორ ჩაიარა?

ისევ კამერის შუქი.

– იცით, რაზეც გეუბნებით, საქმის მოსმენამ.

– ამაზე ვერაფერს გეტყვით.

– კარგი. რაზე შეგიძლიათ საუბარი?

– საუბარი საერთოდ არ მსურს.

ირგვლივ უსაქმურები და ცნობისმოყვარეები გროვდებიან. თუ მათგან თავის დაღწევა სურს, ხელისკვრით მოუწევს გზის გაკვლევა.

– ნანობთ? – ეკითხება გოგონა და დიქტოფონი ისევ ახლოს მიაქვს. – ნანობთ, რაც ჩაიდინეთ?

– არა, – უპასუხებს ის, – მე ამ ურთიერთობამ გამამდიდრა.

გოგონას სახიდან ღიმილი არ შორდება.

– ისი იგი, ისევ გააკეთებდით ამას?

– არა მგონია, შანსი კიდევ მომეცეს.

– და თუ მოგეცემათ?

– ეს არარეალისტური შეკითხვაა.

გოგონას მეტი სურს, მეტი სიტყვები თავისი დიქტოფონის დასანაყრებლად, მაგრამ ჯერ ვერ მოუფიქრებია, როგორ წამოაცდენინოს რაიმე.

– რაო, ამ ურთიერთობამ რაო მიყოო? – ხმადაბლა კითხულობს ვიღაც.

– გამამდიდრაო.

ჩაცინება.

– ჰკითხე, ბოდიშს თუ იხდის, – ურჩევს ვიღაც გოგონას.

– უკვე ვკითხე.

აღსარება, ბოდიში... საიდან მოდის ადამიანის დამცირების ასეთი წყურვილი? სიჩუმე ისადგურებს. წრეში ჰყავთ მოქცეული – თითქოს მონადირეებს უცხო ცხოველი მოუმწყვდევიათ და არ იციან, ბოლო როგორ მოუღონ.

მეორე დღეს სტუდენტურ გაზეთში ქვეყნდება ფოტო წარწერით: „ახლა ვინ არის ბრიყვი?“ სურათზე მას თვალები ზეცისთვის მიუპყრია და წინ გაწვდილი ხელით თითქოს კამერის წართმევას ცდილობს. პოზა ისედაც საკმაოდ უაზროა, მაგრამ ფოტოს შედევრად მაინც ამოყირავებული ურნა აქცევს, ყურებამდე გაკრეჭილ ახალგაზრდა კაცს მის თავს ზემოთ რომ უჭირავს. პერსპექტივის თამაში ისეთ ილუზიას ქმნის, თითქოს ეს ურნა ბრიყვის ჩაჩივით აქვს თავზე ჩამოცმული. რისი იმედი შეიძლება ჰქონდეს ასე გამასხარავებულ ადამიანს?

„კომისია ვერდიქტს მალავს!“ – იუწყება სათაური.

„დისციპლინარულმა კომისიამ, რომელიც „ზეწოლისა და შეუფერებელი საქციელის გამო“ პროფესორ ლურისთვის წაყენებულ ბრალდებებს იძიებს, გუშინ უარი განაცხადა, რაიმე ეთქვა ვერდიქტის შესახებ. თავმჯდომარე მანას მატაბანემ მხოლოდ ის გვითხრა, რომ კომისიის შეგროვებული ცნობები რექტორს გაეგზავნა სათანადო ზომების მისაღებად.

სხდომის შემდეგ ქგწ-ს წევრებთან სიტყვიერი შეხლა-

შემოხლის დროს ლურიმ (53 წლის) განაცხადა, რომ ახალგაზრდა გოგონებთან ურთიერთობას „გამამდიდრებელ“ გამოცდილებად თვლის.

სკანდალი იმით დაიწყო, რომ სტუდენტებმა რომანტიკული პოეზიის სპეციალისტის – დევიდ ლურის წინააღმდეგ საჩივარი შეიტანეს.“

მატანაბე შინ ურეკავს.

– კომისიამ თავისი რეკომენდაციები რექტორს გადასცა, დევიდ, და მან მთხოვა, კიდევ ერთხელ დაგლაპარაკებოდით. ის ამბობს, რომ თანახმაა, არ მიიღოს უკიდურესი ზომები იმ პირობით, თუ თქვენ თქვენი სახელით გააკეთებთ განცხადებას, რომელიც თქვენთვისაც და ჩვენთვისაც მისაღები იქნება.

– მანას, ჩვენ ამაზე ხომ უკვე...

– ერთი წუთით. მომისმინეთ. მე მაქვს განცხადების მონახაზი, რომელიც ჩვენთვის მისაღებია. ძალიან მოკლეა. შეიძლება წაგიკითხოთ?

– წაიკითხეთ.

მატაბანე კითხულობს:

– მე უსიტყვოდ ვაღიარებ, რომ მომჩივანთან ურთიერთობით სერიოზულად დავარღვიე ადამიანის უფლებები, ასევე ბოროტად ვისარგებლე უნივერსიტეტის მონიჭებული უფლებამოსილებით. გულწრფელად ბოდიშს ვუხდი ორივე მხარეს და მზად ვარ, მივიღო ნებისმიერი შესაფერისი სასჯელი.

– ნებისმიერი შესაფერისი სასჯელი? ეს რას ნიშნავს?

– მე ვფიქრობ, სამსახურიდან არ გაგათავისუფლებენ. ალბათ, უფრო შვებულებაში გასვლას გთხოვენ. მერე კი, და-

უბრუნდებით თუ არა პედაგოგობას, დამოკიდებული იქნება თქვენზე და თქვენი დეკანისა და კათედრის გამგის გადაწყვეტილებაზე.

– აჰა, ესე იგი, ეს არის საბოლოო გადაწყვეტილება.

– მე მგონი, ასეა. თუ თქვენ ხელს მოაწერთ ამ განცხადებას, რომელიც შეწყალების შუამდგომლობის ტოლფასია, რექტორი მას სწორედ ასე მიიღებს.

– როგორ ასე?

– როგორც მონანიებას.

– მანას, მონანიებაზე ჩვენ გუშინ ვისაუბრეთ. მე ხომ გითხარით, ამაზე რასაც ვფიქრობ?! მე წარვსდექი ოფიციალური ტრიბუნალის წინაშე, რომელიც კანონის ძალაუფლებას განასახიერებს და ამ საერო სასამართლოს წინაშე საერო დანაშაული ვაღიარე. ეს აღიარება საკმარისი უნდა იყოს. მონანიება აქ არაფერ შუაშია. მონანიება სხვა სამყაროს ეკუთვნის, სხვა დისკურსს.

– თქვენ სხვადასხვა რამეს ერთმანეთში ურევთ, დევიდ. თქვენგან მონანიებას არავინ ითხოვს. თქვენს სულში რა ხდება, ჩვენთვის, როგორც თქვენ უწოდებთ – საერო სასამართლოს წევრებისათვის, თუ ისეთივე ადამიანებისათვის არა, როგორიც თქვენ ხართ, ბნელით არის მოცული. თქვენ მხოლოდ განცხადების გაკეთებას გთხოვენ.

– მე მთხოვენ, ბოდიში მოვიხადო, მიუხედავად იმისა, ეს ბოდიში გულწრფელი იქნება თუ არა?

– ახლა მთავარი კრიტერიუმი თქვენი გულწრფელობა არ არის. ეს, როგორც გითხარით, თქვენი სინდისის საქმეა. მთავარია, მზადა ხართ თუ არა, აღიაროთ თქვენი დანაშაული სახალხოდ და გადადგათ ნაბიჯები მის გამოსასწორებლად.

– ახლა კი მართლა წყალს ვნაყავთ. თქვენ ბრალდება

წამომიყენეთ და მე დანაშაული ვაღიარე. სულ ეს არის, რაც თქვენ ჩემგან გჭირდებათ.

– არა, ჩვენ მეტი გვსურს, არც ისე, მაგრამ მაინც მეტი. იმედი მაქვს, შეძლებთ ამ ცოტა მეტის მოცემას.

– ვწუხვარ, მაგრამ ამის გაკეთება არ შემიძლია.

– დევიდ, მე ველარ შევძლებ, თქვენ საკუთარი თავისგან დაგიცვათ. მეც და კომისიის სხვა წევრებიც ძალიან დავიღალეთ. დაფიქრებისთვის დრო გჭირდებათ?

– არა.

– ძალიან კარგი. ისღა დამრჩენია, გაგაფრთხილოთ, რომ რექტორი დაგელაპარაკებათ.

თავი 7

რადგან წასვლა გადაწყვიტა, დიდხანს აღარ ფიქრობს. მაცივარს ასუფთავებს, სახლს კეტავს და შუადღისას უკვე გზას ადგას. ოუდსჰორნში ჩერდება, სისხამ დილით გზას განაგრძობს და სანამ დღე ძალას მოიკრებს, უკვე დანიშნულების ადგილს – სალემს უახლოვდება, ქალაქს, რომელიც აღმოსავლეთ კეიპში, გრეიამსთაუნ-კენტონის გზაზე მდებარეობს.

მისი ქალიშვილის პატარა ფერმა ქალაქიდან რამდენიმე მილის მოშორებით – სოფლური მიხვეულ-მოხვეული გზის ბოლოს მდებარეობს. ხუთი ჰექტარი მიწა, ძირითადად, სახნავი, ქარის ტუმბო, საჯინიბოები, ეზოში სხვადასხვა ნაგებობა და დაბალი, ფართო, ყვითლად შეღებილი სახლი მოთუთიავებული რკინის სახურავითა და დახურული ვერანდით. ფერმის საზღვარი მავთულხლართითა და დედოფლისყვავილასა და ნემსიწვერას ბუჩქებით არის მონიშნული, რომლის იქით მოხრეშილი მტვრიანი გზაა.

ეზოში შემავალ გზაზე ძველი „ფოლკსვაგენ-კომბი“ დგას და მანქანას მის უკან აჩერებს. ლუსი ვერანდის ჩრდილიდან მზეზე გამოდის. უცებ ვერც კი ცნობს. წელიწადი გავიდა, წო-

ნაშიც მოუმატია. ბარძაყები და მკერდი ახლა უფრო (ზუსტ სიტყვას ეძებს) ფუმფულა აქვს, შინაურულად ჩაცმული, ფეხშიშველი, ხელებგაშლილი მიემართება მისკენ, ეხვევა და ლოყაზე კოცნის.

„ჩემი საყვარელი გოგონა," – ფიქრობს და გულში იკრავს. რა სასიამოვნო შეხვედრაა ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ.

სახლი დიდია, ცოტა ბნელი და შუადღეზეც კი გრილი. იმ დროს არის აგებული, როცა აქაურები დიდ ოჯახებად ცხოვრობდნენ, როცა სტუმრები ფურგონებით მოდიოდნენ. ექვსი წლის წინ ლუსი აქ მოხვდა, როგორც კომუნის – ახალგაზრდული გაერთიანების – წევრი; ისინი გრეიამსთაუნში ტყავეულითა და მზეზე გამომშრალი კერამიკით ვაჭრობდნენ და სიმინდებს შორის ინდური კანაფი მოჰყავდათ. როცა კომუნა დაიშალა, ნაწილი ნიუ-ბეტესდაში გადავიდა, ლუსი კი თავის მეგობარ ჰელენთან ერთად ფერმაში დარჩა. როგორც ამბობდა, შეუყვარდა აქაურობა და, კარგი მეურნეობის მოწყობა გადაწყვიტა. მაშინ ის დაეხმარა ლუსის მიწის ყიდვაში და აი, ახლა გოგონა აქ არის – ჭრელი კაბით, ფეხშიშველი – სახლში, რომელშიც ახალგამომცხვარი პურის სუნი დგას. უკვე ბავშვი კი აღარ არის, ფერმერობანას რომ თამაშობს – ნამდვილი სოფლელი ქალია, a boervrou[21].

– ჰელენის ოთახში დაგაბინავებ, – ამბობს ის, – დილით მზე ადგება. ვერ წარმოიდგენ, ზამთარში დილაობით აქ როგორ ცივა.

– ჰელენი როგორ არის? – ეკითხება.

ჰელენი ზორბა ქალია, სევდიანი სახე, შეჭმუხნული შუბლი, ბოხი ხმა და ცუდი კანი აქვს. ლუსიზე უფროსია. ვერ

---

[21] ფერმერის ცოლი (აფრიკაანსი).

გაუგია, რამ მოაწონა მის ქალიშვილს. არაერთხელ უფიქრია, კარგი იქნებოდა, ლუსის ვინმე უკეთესი მოეძებნაო (ან თავად ლუსი მოეძებნა ვინმე უკეთესს).

– ჰელენი აპრილიდან იოჰანესბურგშია. ასე რომ, თუ დამხმარეს არ ჩავთვლით, მარტო ვარ.

– ეს არ გითქვამს. მარტოს არ გეშინია?

ლუსი მხრებს იჩეჩს.

– ძაღლები მყავს. ძაღლების კი ყველას ეშინია. რაც მეტი ძაღლი გყავს, მით უფრო გერიდებიან. და თუ მაინც სახლში ვინმე შემოგივარდა, სულერთია, მარტო იქნები თუ ვინმესთან ერთად.

– ფილოსოფიურად მსჯელობ.

– ჰო, როცა სხვა არაფერი ჭრის, უნდა იფილოსოფოსო.

– შენ ხომ იარაღი გაქვს...

– თოფი მაქვს. გაჩვენებ, მეზობლისგან ვიყიდე. არასოდეს გამომიყენებია. ისე კი მაქვს.

– კარგია. შეიარაღებული ფილოსოფოსი! აი, ეს მომწონს.

ძაღლები და თოფი. ღუმელში პური და მიწაში მარცვალი. საოცარია, რომ მან და ლუსის დედამ – ქალაქელმა ინტელექტუალებმა ასეთი ატავისტი, ძლიერი ახალგაზრდა კოლონისტი შვეს. მაგრამ შეიძლება ეს მათი კი არა, სულაც ისტორიის დამსახურებაა...

ლუსი ჩაის სთავაზობს. მოშიებული ხარბად ჭამს აგურის ფორმის პურის ორ ნაჭერს შინ გაკეთებულ კაქტუსის ჯემთან ერთად. ჭამისას გრძნობს, როგორ უყურებს ლუსი. ფრთხილად უნდა იყოს: არაფერი იწვევს ბავშვში ისეთ ზიზღს, როგორც მშობლის მანერები.

ლუსის ფრჩხილები არც ისე სუფთა აქვს. „სოფლის ჭუჭყი, ალბათ, საამაყოც კია," – ფიქრობს ის.

ჰელენის ოთახში ჩემოდანს ხსნის. უჯრები ცარიელია. დიდ, ძველ ტანსაცმლის კარადაში მხოლოდ ლურჯი სამუშაო კომბინეზონი ჰკიდია. ეტყობა, ჰელენი კარგა ხნით წავიდა. ლუსი სახლს ათვალიერებინებს, შეახსენებს, რომ წყალი ეკონომიურად უნდა ხარჯოს, სეპტიკური ავზი არ დააბინძუროს. ეს ყველაფერი იცის, მაგრამ მაინც გულმოდგინედ უსმენს. შემდეგ ლუსის საძალლეში მიჰყავს. ბოლოს აქ რომ იყო, მხოლოდ ერთი ვოლიერი დახვდა, ახლა კი ხუთია – ბეტონის საძირკველზე მკვიდრად ნაგები, მოთუთიავებული ბოძებითა და საბჯენებით, მსხვილუჯრედებიანი ბადით. ეს ყველაფერი ნორჩი ევკალიპტების ჩრდილშია მოქცეული. ლუსის დანახვისას ძაღლები – დობერმანები, გერმანული ნაგაზები, როდეზიული რიჯბეკები, ბულტერიერები, როტვეილერები – ცქმუტვას იწყებენ.

– ყველა მოდარაჯეა, – ამბობს ქალი, – მუშა ძაღლები არიან. ჩემგან მათ ცოტა ხნით ქირაობენ, ერთი ან ორი კვირით, ხანდახან – მხოლოდ შაბათ-კვირას, ზაფხულის არდადეგების დროს კი შინაურ ცხოველებს მაბარებენ.

– კატებსაც? კატებსაც იტოვებ?

– ნუ გეცინება. კატებზეც ვიფიქრე, მაგრამ ჯერ მათთვის ადგილი ვერ გამოვძებნე.

– ბაზრობაზე შენი დახლი ისევ გაქვს?

– ჰო, იქ შაბათობით დავდივარ. შენც წაგიყვან.

აი, ასე ირჩენს თავს: ძაღლებით, ყვავილებისა და ბოსტნეულის გაყიდვით. ამაზე იოლი რაღა უნდა იყოს?

– ძაღლები არ მოიწყენენ ხოლმე? – ერთ-ერთ ძაღლზე უთითებს, ცალკე ვოლიერში მყოფ მოწითალო-მიხაკისფერ დედალ ბულდოგზე, რომელსაც თავი თათებზე დაუდვია, პირქუშად შესცქერის მათ და ადგომას არც აპირებს.

– კეტი? ეს მიტოვებული ძაღლია. პატრონები გაექცნენ.

რამდენიმე თვეა, ანგარიშზე ფული არ გადმოურიცხავთ. არ ვიცი, რა მოვუხერხო. ალბათ, ახალ სახლს მოვუძებნი. მოწყენილია, თორემ სხვა მხრივ არაფერი სჭირს. ყოველდღე გამოგვყავს სასეირნოდ მე ან პეტრასს. ამას ხელშეკრულება ითვალისწინებს.

– პეტრასს?

– ჰო, გაგაცნობ. პეტრასი ჩემი ახალი დამხმარეა, მარტიდან მოყოლებული, ფაქტობრივად, თანამფლობელიც კი. კარგი ვინმეა.

ჩაუვლიან მიწურ საგუბარს, რომელშიც იხვების ოჯახი მოკალათებულა, შემდეგ სკებს, ბოსტანს. აქ ყველაფერია – ყვავილნარი, ზამთრის ბოსტნეული, ყვავილოვანი კომბოსტო, კარტოფილი, ჭარხალი, მანგოლდი, ხახვი. ლუსის სამფლობელოს საზღვართან ტუმბოს და გუბურას ნახულობენ. ბოლო ორი წელია, საკმაოდ ხშირად წვიმს. წყლის დონემაც მოიმატა.

ლუსი ამ ყველაფერზე ხალისიანად საუბრობს. ახალი თაობის ფერმერ-კოლონიზატორი. ძველად – რქოსანი პირუტყვი და სიმინდი, ახლა – ძაღლები და ყვითელი ნარგიზები. ყველაფერი რაც უფრო იცვლება, მით უფრო უცვლელი რჩება. ისტორია მეორდება, თუმცა შედარებით მოკრძალებულად. შეიძლება ისტორიამაც ისწავლა რაღაც.

უკან გზას სარწყავი არხის გასწვრივ მოუყვებიან. ლუსის შიშველი ფეხის თითები წითელ მიწაზე მკვეთრ კვალს ტოვებს. ძლიერი აგებულების ქალი, თავის ახალ ცხოვრებაში ჩაფლული. შესანიშნავია! თუკი ამქვეყნად ტოვებს ქალიშვილს – აი, ასეთ ქალს, ესე იგი, არაფრისაც არ უნდა რცხვენოდეს.

– შენ ჩემს გართობაზე ნუ იფიქრებ, – ეუბნება ის, როცა სახლში ბრუნდებიან, – წიგნები ჩამოვიტანე, ასე რომ, მხოლოდ მაგიდა და სკამი მჭირდება.

– რაიმე განსაკუთრებულზე მუშაობ? – ფრთხილად ეკითხება ლუსი. საერთოდ, მისი სამუშაო იშვიათად არის მათი საუბრის თემა.

– რაღაც გეგმები მაქვს, ბაირონის სიცოცხლის ბოლო წლების შესახებ. წიგნი არა, უფრო სწორად, იმ ტიპის წიგნი კი არა, როგორიც ადრე დამიწერია, უფრო რაღაც სცენისათვის. სიტყვები და მუსიკა. პერსონაჟები საუბრობენ და მღერიან.

– არ მეგონა, თუ კიდევ შემოგრჩა ასეთი ამბიციები.

– ვიფიქრე, ჩემს თავს ვასიამოვნებ-მეთქი. თუმცა მხოლოდ ეს არ არის. ადამიანს სურს, მის შემდეგ რაღაც დარჩეს, ყოველ შემთხვევაში, მამაკაცებს აქვთ ასეთი სურვილი. ქალისთვის ეს უფრო ადვილია.

– რატომ არის ქალისათვის ადვილი?

– მე ვგულისხმობ, რომ ქალს შეუძლია შექმნას რაღაც ისეთი, რასაც დამოუკიდებლად არსებობა შეეძლება.

– და მამობა სათვალავში ჩასაგდები არ არის?

– მამობა... მე მაინც თავიდან ვერ მომიშორებია აზრი, რომ დედობასთან შედარებით მამობა საკმაოდ აბსტრაქტული რამაა. მაგრამ მოდი, ჯერ ვნახოთ, რა გამომივა. თუ რამე გამოვა, შენ იქნები პირველი მსმენელი, პირველი და ალბათ, უკანასკნელიც.

– მუსიკის დაწერას შენ თვითონ აპირებ?

– მუსიკას, ძირითადად, ვისესხებ. ამ მხრივ არავითარი სინდისის ქენჯნა არ მაწუხებს. თავიდან ვფიქრობდი, რომ თემა მდიდრულ საორკესტრო თანხლებას მოითხოვს, ვთქვათ, რაღაც შტრაუსის მსგავსს, მაგრამ ეს ჩემს შესაძლებლობებს აღემატება, ამიტომ თანდათან უფრო მოკრძალებული აკომპანიმენტისკენ ვიხრები, მაგალითად, ვიოლინო, ჩელო,

ჰობოი, ან ფაგოტი. თუმცა ეს ყველაფერი ჯერ მხოლოდ იდეების სამეფოში ბინადრობს. ჯერ ერთი ნოტიც არ დამიწერია, სხვა რამეებზე მომიხდა ყურადღების გადატანა. გაიგებდი, რა უსიამოვნებაც შემემთხვა.

– ტელეფონით საუბრისას როზამ ახსენა რაღაც.

– კარგი, არ გვინდა ახლა ამაზე ლაპარაკი. სხვა დროისთვის გადავდოთ.

– უნივერსიტეტიდან საბოლოოდ წამოხვედი?

– გადავდექი. მითხრეს, რომ უნდა გადავმდგარიყავი.

– მოგენატრება?

– მომენატრება თუ არა, არ ვიცი. კაცმა რომ თქვას, არც ისეთი გადასარევი მასწავლებელი ვიყავი. როგორც აღმოჩნდა, მე და ჩემს სტუდენტებს სულ უფრო და უფრო ნაკლებად გვესმოდა ერთმანეთის. თავს მაინცდამაინც არ იწუხებდნენ იმის მოსმენით, რისი თქმაც მათთვის მინდოდა. ასე რომ, ალბათ, არ მომენატრება. შეიძლება სასიამოვნოც კი იყოს იქიდან წამოსვლა.

კარში მაღალი კაცი გამოჩნდება, ლურჯი კომბინეზონით, რეზინის ჩექმებითა და შალის ქუდით.

– პეტრას, შემოდი, გაიცანი, ეს მამაჩემია, – ამბობს ლუსი.

პეტრასი ჩექმას იწმენდს. ერთმანეთს ხელს ართმევენ. დანაოჭებული, მზემოკიდებული სახე, გამჭრიახი თვალები. ორმოცის? ორმოცდახუთის?

პეტრასი ლუსისკენ ბრუნდება:

– აეროზოლი, – ამბობს ის, – აეროზოლისთვის მოვედი.

– კომბში დევს. მოიცადე, მოგიტანი.

პეტრასთან მარტო რჩება.

– ძაღლებს თქვენ უვლით? – ეკითხება, რომ სიჩუმე დაარღვიოს.

– ძაღლებსაც ვუვლი და ბაღშიც ვმუშაობ. დიახ, – პეტრასი იღიმება, – მებაღეც ვარ და მეძაღლეც, – ცოტა ხნით ჩაფიქრდება, – მეძაღლე, – იმეორებს დაგემოვნებით.

– ეს-ეს არის, კეიპტაუნიდან ჩამოვედი. ვნერვიულობ, რომ ჩემი ქალიშვილი აქ მარტოა. ძალიან მივარდნილი ადგილია.

– ჰო, – ამბობს პეტრასი, – სახიფათოა, – პაუზა, – ახლა ყველაფერი სახიფათოა, მაგრამ აქ ჯერჯერობით სიმშვიდეა, – კიდევ ერთხელ იღიმება.

ლუსი პატარა ბოთლით ბრუნდება.

– დოზა ხომ იცი? ერთი სუფრის კოვზი ათ ლიტრ წყალზე.

– ჰო, ვიცი, – პეტრასი თავს ხრის, რომ დაბალ კარში გაეტიოს.

– კარგი კაცი ჩანს, – შენიშნავს ის.

– თავი ტყუილად ხომ არა აქვს მხრებზე.

– აქ ცხოვრობს?

– ის და მისი ცოლი ძველ საჯინიბოში ცხოვრობენ. იქ ელექტრობა გავიყვანე. მყუდროდ არიან. ადელაიდაში მეორე ცოლი და მოზრდილი შვილები ჰყავს. დროდადრო მათთან მიდის და რჩება ხოლმე.

ლუსის საქმეებში გართულს ტოვებს, თავად კი სასეირნოდ მიეშურება და კენტონის გზამდე მიდის. ზამთრის ცივი დღეა, მზე უკვე ჩადის, უფერული ბალახით დაფარული წითელი ბორცვების მიღმა ეშვება. „მწირი მიწა, მწირი ნიადაგი, – ფიქრობს ის, – უნაყოფო. მხოლოდ თხებისთვის თუ გამოდგება. ნუთუ ლუსის მართლა აქ სურს მთელი ცხოვრების გატარება?“ იმედი აქვს, რომ ეს დროებითი ახირებაა.

სკოლიდან შინ მიმავალი ბავშვების ჯგუფი ჩაუვლის გვერდით; ესალმება და ისინიც სალამს უბრუნებენ. სოფლის წესი. კეიპტაუნი უკვე წარსულში ინაცვლებს.

მოგონებები მელანიზე დაუკითხავად ბრუნდებიან: პატარა გლუვი მკერდი აბზეკილი კერტებით, რბილი მუცელი. სურვილის ტალღა უვლის. ცხადია, ყველაფერს ჯერ კიდევ არ გაუვლია.

შინ ბრუნდება და ბარგს ჩემოდნიდან ალაგებს. დიდი ხანია, ქალთან ერთ ჭერქვეშ არ უცხოვრია. წესები უნდა დაიცვას, აკურატული უნდა იყოს.

ლუსიზე ნათქვამი სიტყვა „ფუმფულა“ პირფერულად ჟღერს. მალე ის სრული, ფაშფაშა ქალი იქნება, აღარც საკუთარ გარეგნობაზე იფიქრებს – როგორც ხდება ხოლმე, როცა სიყვარულის არენას ტოვებ. „Qu'est devenu ce front poli, ces cheveux blonds, sourcils voûtes“[22].

უბრალო ვახშამს მიირთმევენ, სუპს, პურს და ტკბილ კარტოფილს.

ტკბილი კარტოფილი არ უყვარს, მაგრამ ლუსი ლიმონის კანით, კარაქითა და მიხაკით ისეთ რაღაცას აკოწიწებს, მისი არათუ ჭამა შეიძლება, ძალიან გემრიელიც კია.

– ალბათ, ცოტა ხნით დარჩები... – ეუბნება ქალი.

– ერთი კვირა რომ დავრჩე, ამიტან?

– დარჩი, რამდენ ხანსაც გინდა. მთავარია, არ მოგწყინდეს.

– არ მომწყინდება.

– და ერთი კვირის შემდეგ სად წახვალ?

– ჯერ არ ვიცი. შეიძლება სამოგზაუროდ წავიდე. დიდი ხნით.

– იცოდე, რომ შენ აქ ყოველთვის სასურველი სტუმარი ხარ.

– ძალიან მიხარია, ამას რომ მეუბნები, მაგრამ დიდხანს

---

[22] „რა იქნა შუბლი გადატკეცილი? წარბები მუქი, თმა ოქროვანი? და სახის – ვაი, როგორ შეცვლილი! სწორი ნაკვთები, რბილი ოვალი?“ – ციტატა ფრანსუა ვიიონის ლექსიდან „ტურფა მემუზარადის გოდება“ (თარგმანი დავით წერედიანისა).

თუ დავრჩები, შეიძლება ჩვენს მეგობრობას საფრთხე დაემუქროს, ეს კი არ მინდა.

– და შენს აქ ყოფნას მეგობრული ვიზიტი კი არა, ხიზნობა რომ დავარქვათ? განუსაზღვრელი დროით ხიზნობა...

– თავშესაფარს მთავაზობ? საქმე არც ასე ცუდადაა, ლუსი, მე ხომ დევნილი არ ვარ.

– როზმა თქვა, რომ იქ საზიზღარი სიტუაცია იყო.

– ჩემი ბრალია. კომპრომისი შემომთავაზეს და არ მივიღე.

– როგორი კომპრომისი?

– ხელახლა აღზრდა, გამოსწორება. კურსი კოდური სახელწოდებით „ფსიქოთერაპია“.

– გგონია, ისეთი სრულყოფილი ხარ, რომ ფსიქოთერაპიის მოკლე კურსი გაწყენდა?

– ეს ყველაფერი – გადადგომა, თვითკრიტიკა, საჯაროდ ბოდიშის მოხდა – ძალიან მაგონებს მაოს დროინდელ ჩინეთს. მე ძველმოდური ადამიანი ვარ და მირჩევნია, კედელთან მიმაყენონ და დამხვრიტონ. მოდი, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ.

– დაგხვრიტონ? სტუდენტთან გაბმული რომანისთვის? მეტისმეტად მკაცრი სასჯელი ხომ არ არის, დევიდ? ასეთი რამეები ხომ ყოველთვის ხდება? ყოველ შემთხვევაში, ჩემი სტუდენტობისას ხდებოდა და ყველა დამნაშავე რომ დაესაჯათ, მასწავლებლები აღარ გვეყოლებოდა.

ის მხრებს იჩეჩს.

– ჩვენ პურიტანულ დროში ვცხოვრობთ. პირადი ცხოვრება ყველას განსჯის საგნად იქცა, მისდამი მეტისმეტი ცნობისმოყვარეობა კი რესპექტაბელური გახდა – ცნობისმოყვარეობა და სენტიმენტალობა. მათ სპექტაკლი სჭირდე-

ბოდათ: გულში მჯიღის ცემა, მონანიება, ცრემლიც კი... მოკ-ლედ, ტელეშოუ. ასეთი სიამოვნება კი ვერ მივანიჭე.

სურს, დაუმატოს: „სიმართლე რომ ითქვას, მათ ჩემი კასტრირება უნდოდათ," – მაგრამ ამ სიტყვებს ქალიშვილს ვერ ეტყვის; კაცმა რომ თქვას, ეს ტირადაც, რომელსაც ახლა თითქოს სხვა ადამიანის ყურით უსმენს, თეატრალური, გადაჭარბებული ეჩვენება.

– ესე იგი, არც შენ დაიხიე უკან და არც მათ, არა?

– ჰო, დაახლოებით ასეა.

– ასეთი უდრეკი არ უნდა იყო, დევიდ. ეს გმირობას არ ნიშნავს. კიდევ შეიძლება, გადაიფიქრო?

– არა, განაჩენი საბოლოოა.

– აპელაციის უფლების გარეშე?

– აპელაციის უფლების გარეშე. ჩივილს არც ვაპირებ. არ შეიძლება, თავი გარყვნილებაში დამნაშავედ ცნო და მერე თანაგრძნობას ელოდე, ყოველ შემთხვევაში, გარკვეული ასაკ-ში მაინც, როცა რამის აპელაცია ნამდვილად ზედმეტია. ისლა დაგრჩენია, გამაგრდე და დარჩენილი ცხოვრება როგორღაც გალიო. ცოტაც დამიმატე.

– რა გაეწყობა, ძალიან სამწუხარო კია. დარჩი, რამდენ ხანსაც მოისურვებ.

დასაძინებლად ადრე წვება. შუაღამით ძაღლების ყეფა აღვიძებს. ერთ-ერთი განსაკუთრებული დაჟინებით, მექანიკუ-რად, განუწყვეტლივ ყეფს. სხვები უერთდებიან, მერე ჩერდე-ბიან, მაგრამ არ სურთ, დამარცხება აღიარონ და ისევ იწყებენ ყეფას.

– ყოველღამ ასეა? – ეკითხება ლუსის დილით.

– თანდათან შეეჩვევი. მაპატიე.

ის თავს აქნევს.

თავი 8

მას დაავიწყდა, როგორი ცივი შეიძლება იყოს ზამთრის დილა აღმოსავლეთ კეიპის მთიანეთში. შესაფერისი ტანსაცმელი არ წამოულია. სვიტერის თხოვნა ლუსისთვის უწევს.

ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ყვავილნარში დახეტიალობს. კენტონის გზაზე მანქანა მიხრიგინებს. აქედან არ ჩანს. გუგუნი კარგა ხანს მოისმის. მაღლა ცაში ბატების გუნდი მიფრინავს. როგორ მოკლას დრო?

– სასეირნოდ ხომ არ წამოხვალ? – ესმის ზურგს უკან ლუსის ხმა.

თან სამი ძაღლი მიჰყავთ: საბელზე გამობმული ორი ახალგაზრდა დობერმანი და მიტოვებული დედალი ბულდოგი.

ბულდოგი ყურებს ბზეკს და ცდილობს, მოისაქმოს, მაგრამ არაფერი გამოსდის.

– უჭირს, – ამბობს ლუსი, – უნდა ვუმკურნალო.

ბულდოგი წვალობს, ენას წინ აგდებს, აქეთ-იქით იყურება, თითქოს რცხვენია, რომ უყურებენ.

გზიდან უხვევენ. ჯერ ტყის პირას მიდიან, შემდეგ – მეჩხერ ფიჭვის ჭალაში.

– იმ გოგონასთან ურთიერთობა... – ამბობს ლუსი, – სერიოზული იყო?

– როზალინდამ არ გიამბო?

– დაწვრილებით არა.

– დაახლოებით ამ მხარიდან არის, ჯორჯიდან. ერთ-ერთ იმ ჯგუფში იყო, რომელსაც მე ვასწავლიდი. საშუალო სტუდენტი იყო, მაგრამ მიმზიდველი. სერიოზული? არ ვიცი. შედეგი კი ნამდვილად სერიოზული მოჰყვა.

– მაგრამ ეს ყველაფერი ხომ დამთავრდა? თუ გენატრება?

დამთავრდა? ენატრება?

– ჩვენ ურთიერთობა შევწყვიტეთ, – ამბობს ის.

– რატომ გიჩივლა?

– არ უთქვამს. ვერც ვნახე, რომ მეკითხა. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. იყო ერთი ახალგაზრდა კაცი, საყვარელი, თუ ყოფილი საყვარელი, რომელიც ემუქრებოდა. სწავლაც უჭირდა. მერე, ეტყობა, მშობლებმა რაღაცას მოჰკრეს ყური და კეიპტაუნში ჩამოვიდნენ. მე მგონი, წნეხს ველარ გაუძლო.

– აქეთ კიდევ შენ.

– ჰო, აქეთ კიდევ მე. ჩემთან ურთიერთობა ადვილი ნამდვილად არ იყო.

მიადგებიან ჭიშკარს, რომელსაც აწერია: „საპპი ინდასტრიზ – შესვლა კატეგორიულად აკრძალულია“ – და უკან ბრუნდებიან.

– ასეა თუ ისე, – ამბობს ლუსი, – კარგად კი დაისაჯე. შეიძლება, უკან რომ მოიხედავს, შენზე მაინცდამაინც ცუდად აღარც იფიქროს – ქალებს მიმტევებლობის საოცარი უნარი აქვთ.

სიჩუმე ისადგურებს. ლუსის, მის ქალიშვილს, განუზრახავს, ასწავლოს, როგორი არიან ქალები!

– ცოლის მოყვანაზე არ გიფიქრია? – ეკითხება ლუსი.

– ჩემი ხნის ქალზე დაქორწინებას გულისხმობ? მე ოჯახისთვის შექმნილი კაცი არ ვარ, ლუსი, შენ ხომ იცი...

– ჰო, მაგრამ...

– რა, მაგრამ? მაგრამ ბავშვების დევნა ულირსი საქციელია, არა?

– არა, ეს არ მიგულისხმია. უბრალოდ, რაც დრო გავა, უფრო გაგიჭირდება.

ადრე მამა-შვილს მისი ინტიმური ცხოვრების შესახებ არასოდეს უსაუბრია. ეს ადვილი არ არის, მაგრამ სხვას ვის ესაუბროს?

– ბლეიკი[23] გახსოვს? – ამბობს ის, – „ჯობს, აკვანში ჩაკლა ჩვილი, ვიდრე მძაფრი ვნებები დათრგუნო."

– ამას რატომ მეუბნები?

– დათრგუნული ვნებები მოხუცშიც ისევე მახინჯად შეიძლება გამოიყურებოდეს, როგორც ახალგაზრდაში.

– ანუ რა?

– ყველა ქალისგან, რომელთანაც ურთიერთობა მქონდა, საკუთარი თავის შესახებ რაღაც ვისწავლე. გარკვეული თვალსაზრისით, მათ უკეთეს ადამიანად მაქციეს.

– იმედი მაქვს, საწინააღმდეგოს მტკიცებასაც არ დაიწყებ, ანუ არ მეტყვი, რომ შენი ქალები შენთან ურთიერთობით უკეთესნი გახდნენ.

ლუსის დაჟინებით შესცქერის.

– ვიხუმრე, – ღიმილით ამბობს ქალი.

უკან გუდრონის გზით ბრუნდებიან. ფერმის მოსახვევში

---

[23] უილიამ ბლეიკი (1757-1827) – ინგლისელი პოეტი და მხატვარი.

ფერადი აბრა კიდია, რომელიც ადრე ვერ შენიშნა. „მოჭრილი ყვავილები, საგოს პალმები“ და ისარი – „1კმ“.

– საგოს პალმები? – ამბობს ის, – მეგონა, საგოს პალმებით ვაჭრობა აკრძალული იყო.

– ველურად გაზრდილის მოჭრა აკრძალულია, მე კი თესლით მომყავს. მერე გაჩვენებ.

გზას განაგრძობენ. ძაღლები თავის გათავისუფლებას ლამობენ, საბელი იჭიმება. დედალი ძაღლი ქშენით მილასლასებს უკან.

– და შენ? ცხოვრებაში ამის მეტი არაფერი გინდა? – ხელს ბაღისა და სახლისკენ იშვერს, რომლის სახურავი მზის შუქზე ლაპლაპებს.

– ესეც საკმარისია, – მშვიდად უპასუხებს ლუსი.

შაბათია, ბაზრობის დღე. ლუსი, როგორც შეთანხმებული იყვნენ, ხუთ საათზე აღვიძებს. ხელში ყავა უჭირავს. ცივა. თბილ ტანსაცმელში ჩაფუთნილები ბოსტანში შედიან, სადაც პეტრასი ჰალოგენების შუქზე უკვე შესდგომია ყვავილების მოჭრას.

პეტრასს სთავაზობს, შეგენაცვლებიო, მაგრამ სიცივისგან თითები ისე უშეშდება, რომ მალე თაიგულის შეკვრას ველარ ახერხებს. თოკს პეტრასს აწვდის, თვითონ კი ყვავილებს ახვევს და ყუთებში ალაგებს.

შვიდი საათისთვის, როცა დღის სინათლე ბორცვებს ეფინება და ძაღლები იღვიძებენ, საქმე მოლეული აქვთ. კომბი ყვავილების, კარტოფილის, ხახვის, კომბოსტოს ყუთებითაა დატვირთული. მანქანას ლუსი მართავს. პეტრასი შინ რჩება. მანქანის გამათბობელი არ მუშაობს. ლუსი დაორთქლილი სა-

ქარე მინიდან იყურება და გრეიამსთაუნისკენ მიმავალ გზაზე გადის. თვითონ გვერდით უზის და მის გამომცხვარ ნამცხვარს შეექცევა. ცხვირში სისველეს გრძნობს. იმედი აქვს, ლუსი ვერ შეამჩნევს.

ესეც ახალი თავგადასავალი. მის ქალიშვილს, რომელიც ოდესღაც თავად დაჰყავდა სკოლაში, საბალეტო სტუდიაში, ცირკსა თუ საციგურაო მოედანზე, ახლა ექსკურსიაზე მიჰყავს და ცხოვრებას აცნობს, მისთვის უცხო ცხოვრებას.

დონკინ სკვერზე ვაჭრები უკვე გასაშლელ მაგიდებს დგამენ და მათზე გასაყიდ საქონელს ალაგებენ. დამწვარი ხორცის სუნი ტრიალებს. ქალაქი ცივ ნისლშია გახვეული. ხალხი ხელებს იფშვნეტს, ფეხებს აბაკუნებს, ბილწსიტყვაობს. შინაურული ატმოსფერო სუფევს, თუმცა გულზე ეშვება, როცა ხედავს, რომ ლუსი ამ ყველაფრისგან შორს დგას.

ბაზრის ამ ნაწილში, სადაც ისინი დგანან, როგორც ჩანს, სურსათი იყიდება. მათ მარცხნივ სამი აფრიკელი ქალი რძეს, ცომს, კარაქს ყიდის და კიდევ სველტილოგადაფარებული ვედროდან საქონლის ძვლებს, მარჯვნივ კი მოხუცი აფრიკელი წყვილია, რომლებსაც ლუსი ესალმება და დეიდა მემსსა და ძია კოოსს ეძახის. მოხუცებს ნაქსოვჩაფხუტიანი პატარა ბიჭი ეხმარება. ათიოდე წლის თუ იქნება. ლუსის მსგავსად, ისინიც კარტოფილსა და ხახვს ყიდიან, კიდევ – ჯემს, მურაბებს, ჩირს, ტეგანისა და მელიანტუსის ჩაისა და სამკურნალო ბალახების პაკეტებს.

ლუსის ორი ტილოს ტაბურეტი მოაქვს. მყიდველების მოლოდინში თერმოსიდან სვამენ ყავას.

ორი კვირის წინ ის აუდიტორიაში მსხდომ მოწყენილ ახალგაზრდებს უხსნიდა, თუ რა განსხვავებაა „სმასა“ და „შესმას“, „წვასა“ და „დაწვას“ შორის. სრული ასპექტი, რომელიც

დასრულებულ მოქმედებას გამოხატავს. რა შორეული ეჩვენება ახლა ეს ყველაფერი. ვცხოვრობ, მიცხოვრია, ვიცხოვრე.

ლუსის კარგად გასუფთავებული კარტოფილი პაკეტებით აწყვია კალათაში, კოოსის და მემსის კარტოფილს კი ტალახი შეხმობია. ამ დილით ლუსი დაახლოებით ხუთას რანდს შოულობს. ყვავილები კარგად იყიდება. თერთმეტი საათისთვის ფასს უკლებს და დარჩენილი პროდუქციაც საღდება. ვაჭრობა რძისა და ხორცის დახლებზეც კარგად მიდის. მოხუცებს კი, გახევებული, გაუცინარი სახეებით რომ სხედან გვერდიგვერდ, მაინცდამაინც არ უმართლებთ.

ლუსის ბევრი მყიდველი სახელით იცნობს. ძირითადად, შუახნის ქალები არიან. ლუსისადმი ერთგვარი მესაკუთრული დამოკიდებულება აქვთ, თითქოს მისი წარმატება მათი წარმატებაც იყოს. თითოეულ მათგანს აცნობს.

– გაიცანით, მამაჩემია, დავიდ ლური, კეიპტაუნიდან მესტუმრა.

– თქვენ უნდა ამაყობდეთ თქვენი ქალიშვილით, მისტერ ლური, – ეუბნებიან ისინი.

– რა თქმა უნდა, ძალიან ვამაყობ, – უპასუხებს ის.

– ბევი ცხოველთა თავშესაფარს ხელმძღვანელობს, – ამბობს ლუსი ერთ-ერთ ასეთ ახალ ნაცნობზე, – ხანდახან ვეხმარები ხოლმე. თუ წინააღმდეგი არ ხარ, სახლისკენ რომ წავალთ, შევუაროთ.

ბევ შოუ – ჯმუხი, უკისრო, ფუსფუსა, ტანდაბალი, ჭორფლიანი ქალი, გაფშეკილი, მოკლედ შეჭრილი თმით, თვალში არ მოსდის. არ მოსწონს, როცა ქალი არ ცდილობს, მიმზიდველი იყოს. ლუსის დაქალები სიმპათიას არც ადრე იწვევდნენ. საამაყო არაფერია: ეს არის ცრურწმენა, რომელიც გონებაში ჩაეჭედა და არ შორდება. მისი გონება დრომოჭ-

მული აზრების თავშესაფრად იქცა, არაფრის მაქნისი, უბადრუკი აზრებისა, წასასვლელი რომ არსად აქვთ. კინწისკვრით უნდა გარეკოს ისინი და მათი სადგომი გულმოდგინედ დაასუფთავოს, თუმცა ვერ ახერხებს, ან შეიძლება არც უნდა ამის გაკეთება.

ცხოველების დაცვის ლიგა, რომელიც ერთ დროს გრეიამსთაუნში აქტიური საქველმოქმედო ორგანიზაცია იყო, აღარ ფუნქციონირებს, თუმცა თითო-ოროლა მოხალისე, ბევ შოუს ხელმძღვანელობით, ცდილობს, ძველ შენობაში კლინიკა ისევ ამუშაოს.

არაფერი აქვს ცხოველთა მოყვარული ადამიანების საწინააღმდეგო, რომელთა შორისაც ტრიალებს ლუსი. სამყარო მათ გარეშე გაცილებით უარესი იქნებოდა. ამიტომ, როცა ბევ შოუ კარს უღებს, გულითად გამომეტყველებას იღებს, თუმცა სინამდვილეში კატის შარდის, მუნიანი ძაღლებისა და ჯეიესის სველი საფენების სუნი გულს ურევს.

სახლი სწორედ ისეთია, როგორიც წარმოედგინა: ნაყარნუყარი ავეჯი, ათასგვარი წვრილმანი (ფაიფურის მწყემსი ქალი, საქონლის ზანზალაკი, სირაქლემას ბუმბულის ბუზის საკლავი), ჩართული რადიო, გალიებში გამომწყვდეული ჩიტების ჟღურტული და კატები, ყველგან რომ ფეხებში გედებიან. ბევ შოუს გარდა, ბილ შოუც აქ არის (სამზარეულოს მაგიდასთან ჩაის სვამს) – ბევივით ჯმუხი, ჭარხალივით წითელი სახით, ვერცხლისფერი თმითა და გადმოშვებულსაყელოიანი სვიტერით.

– დაბრძანდით, დევ, დაბრძანდით, – ამბობს ბილი, – ისე მოიქეცით, როგორც საკუთარ სახლში.

გრძელი დილა გამოვიდა, დაღლილია და ახლა ყველაზე

მეტად სწორედ ამ ხალხთან მათი საქმიანობის შესახებ საუბარი ეზარება. ლუსის გახედავს.

– ვერ დავრჩებით, ბილ, – ამბობს ლუსი, – წამლებისთვის შემოვიარეთ.

ფანჯრიდან უკანა ეზო მოჩანს: ვაშლის ხეები, რომლებსაც მწიფე, ჭიანი ნაყოფი სცვივა, მოდებული სარეველა, მოთუთიავებული რკინის ფურცლების ღობე, ხის საწოლები, ძველი საბურავები, რომელთა შორის ქათმები იქექებიან და აქაურობისთვის სრულიად შეუფერებელი, კუთხეში მთვლემარე ქოჩორა ანტილოპა.

– როგორი შთაბეჭდილება დაგრჩა? – მოგვიანებით მანქანაში ეკითხება ლუსი.

– არ მინდა, უხეშად გამომივიდეს. რაღაც განსაკუთრებული სუბკულტურაა. ბავშვები ჰყავთ?

– არა, ბავშვები არა ჰყავთ. ბევი ხელწამოსაკრავი ქალი არ არის, არც სულელია და ძალიან ბევრ კარგ საქმესაც აკეთებს. უკვე დიდი ხანია, კლინიკაშია. ჯერ ლიგაში იყო, ახლა დამოუკიდებლად მუშაობს.

– წასაგებად განწირული თამაში მგონია.

– ჰო, ასეა. სახელმწიფოს პრიორიტეტების ჩამონათვალში ცხოველების ადგილი არ არის.

– გულგატეხილი იქნება. ალბათ, შენც ასე ხარ.

– ჰო. არა. ამას რა მნიშვნელობა აქვს? ცხოველები, რომლებსაც ის უვლის, გულგატეხილი არ არიან, დიდ შვებას კი გრძნობენ.

– ჰოდა, შესანიშნავია. მაპატიე, ჩემო გოგონა. ძალიან მიჭირს ამ საკითხით დაინტერესება. რასაც თქვენ აკეთებთ, შესანიშნავია, მაგრამ მე ცხოველების დამცველები გარკვეული ტიპის ქრისტიანებს მაგონებენ. ყველა ისეთი მხიარული და

კეთილმოსურნეა, რომ ცოტა ხანში დაუძლეველი სურვილი გიჩნდება, ვინმე გააუპატიურო, გაძარცვო, ან სულაც კატას წიხლი ამოარტყა.

თვითონაც უკვირს, რომ ასე გაცხარდა, არადა, სულაც არ არის ცუდ ხასიათზე.

– შენი აზრით, ხელი უფრო მნიშვნელოვან საქმეს უნდა მოვკიდო? – ამბობს ქალი. უკვე ტრასაზე არიან. ლუსის მანქანა მიჰყავს და მისკენ არ იხედება. – ფიქრობ, რომ რადგან შენი შვილი ვარ, ვალდებული ვარ, ცხოვრებაში რაღაც უკეთესი ვაკეთო?

ის უკვე თავს აქნევს.

– არა... არა... – ბუტბუტებს.

– შენ თვლი, რომ ნატურმორტები უნდა ვხატო ან რუსული ვისწავლო? ბევის და ბილ შოუს მსგავსი მეგობრები არ მოგწონს, რადგან ისინი მაღალი საზოგადოებისკენ გზას ვერ გამიკვალავენ.

– არა, ლუსი, ასე არ არის.

– სწორედ ასეა. ისინი მაღალ საზოგადოებას ვერ მაზიარებენ, იმიტომ, რომ აქ მაღალი საზოგადოება არ არის. აქ მხოლოდ ეს არის, რასაც ხედავ, მაგრამ ეს ჩვენი ცხოვრებაა და ამ ცხოვრებას ცხოველებთან ერთად ვატარებთ. ბევი და მისი მსგავსი ადამიანები ცდილობენ, მაგალითის მომცემნი იყვნენ, მე კი ვცდილობ, ამ მაგალითის მიხედვით ვიცხოვრო და ცხოველებს ადამიანური ყოფის პრივილეგიების ნაწილი მაინც გავუზიარო. არ მინდა, მეორედ ქვეყნიერებას ძაღლად ან ღორად მოვევლინო და ისე ვიცხოვრო, როგორც ძაღლები და ღორები ცხოვრობენ ჩვენ გვერდით.

– ლუსი, უძვირფასესო, ნუ ბრაზობ. გეთანხმები, რომ აქ ასეთი ცხოვრებაა. რაც შეეხება ცხოველებს, მათ, რა თქმა

უნდა, კარგად უნდა მოვეპყროთ, მაგრამ მოდი, პერსპექტივაზეც ვიფიქროთ. ჩვენ ცხოველებისგან განსხვავებული არსებები ვართ, მაინცდამაინც უფრო მაღალი რანგის კი არა, უბრალოდ, განსხვავებული. ასე რომ, თუ ცხოველებისადმი სიკეთის გამოვლენა გვინდა, ეს სიკეთე ჩვენი სულგრძელობის გამო უნდა გამოვიჩინოთ და არა იმიტომ, რომ დანაშაულის გრძნობა გვაწუხებს ან შურისგების გვეშინია.

ლუსი ღრმად ჩაისუნთქავს. თითქოს უნდა, მის ქადაგებას უპასუხოს, მაგრამ ხმას არ იღებს. სახლამდე ორივე ჩუმადაა.

თავი 9

მისაღებ ოთახში ზის და ფეხბურთს უყურებს. ნულით ნულია. მოსაგებად თავს არც ერთი გუნდი არ იკლავს. რეპორტაჟი ორ ენაზე – სოტოს და კოსას ენებზე მიდის. არც ერთი ენა არ იცის. ხმას ისე უწევს, რომ მხოლოდ ბუტბუტილა ისმის. სამხრეთ აფრიკაში შაბათი საღამო მამაკაცთა სიამოვნებისათვის განკუთვნილი წმინდათაწმინდა დროა. რული ერევა. როცა იღვიძებს, მის გვერდით, დივანზე პეტრასი ზის, ხელში ლუდის ბოთლი უჭირავს. ტელევიზორისთვის ხმა აუწევია.

– „ბუშბუკსი“ ჩემი გუნდია, – ამბობს ის, – „ბუშბუკსი“ „სანდაუნზს“ ხვდება.

„სანდაუნზი“ კუთხურს აწვდის. საჯარიმო მოედანზე შეხლა-შემოხლაა. პეტრასი ოხრავს, ხელებს თავზე იჭდობს. როცა მტვერი იფანტება, ჩანს, რომ „ბუშბუკსის“ მეკარე მიწაზე წევს მკერდზე მიკრული ბურთით.

– ყოჩაღ! ყოჩაღ! – ყვირის პეტრასი. – მაგარი მეკარე გვყავს. ასეთი ხელიდან არ უნდა გაუშვა.

თამაში უგოლოდ მთავრდება. პეტრასი სხვა არხზე რთავს. კრივია. ორი პატარა მოკრივე, მსაჯს მკერდამდეც რომ ვერ სწვდება, წრეზე დარბის, დახტის, ერთმანეთს ურტყამს.

ის დგება და სახლში დაბორიალობს. ლუსი საწოლზე წევს. წიგნს კითხულობს.

– რას კითხულობ? – ეკითხება.

ლუსი გაკვირვებული ახედავს, შემდეგ ყურსაცვამს იხსნის.

– რას კითხულობ? – უმეორებს და მერე:

– მე მგონი, რაღაც არ გამომდის, არა? წავიდე?

ლუსი იცინის, წიგნს გვერდზე დებს. „ედვინ დრუდის საიდუმლოს“ ნამდვილად არ ელოდა.

– დაჯექი, – ამბობს იგი.

საწოლზე ჯდება, შიშველ ფეხზე ეფერება. კარგად გამოყვანილი ფეხი აქვს, ჩონჩხიც – კარგი, როგორც დედამისს. ქალი გაფურჩქვნის ხანაშია, მიმზიდველი, მიუხედავად იმისა, რომ ზორზოხაა და ეს ტანსაცმელიც არ უხდება.

– მე მგონია, დევიდ, ყველაფერი კარგადაა. მიხარია, აქ რომ მყავხარ. ცოტა დრო დაგჭირდება, სანამ შეეჩვევი და სოფლის ცხოვრებას ფეხს აუწყობ. როგორც კი საქმეს იპოვი, მოწყენილობაც გაგივლის.

დაბნეულად უქნევს თავს.

„მიმზიდველია, – ფიქრობს ის, – მაგრამ კაცებისთვის დაკარგული.“

თავის თავს უნდა უსაყვედუროს, თუ ყველაფერი მაინც ასე მოხდებოდა? ქალიშვილის დაბადების დღიდანვე მისადმი მხოლოდ გულწრფელ, უსაზღვრო სიყვარულს გრძნობს. შეუძლებელია, ლუსი ამას ვერ გრძნობდეს. შეიძლება ეს სიყვარული მეტისმეტი აღმოჩნდა მისთვის! ტვირთად ხომ არ დააწვა და დაამძიმა? ან იქნებ მან რაღაც ცუდი დაინახა?

აინტერესებს, როგორია ლუსი საყვარლებთან ურთიერთობისას, ან ისინი როგორ გრძნობენ თავს მის გვერდით?

არასოდეს ეშინოდა, ფიქრებს ბნელ ხვეულებში ჩაჰყოლოდა, არც ახლა ეშინია. ვნებიანი ქალი მოუვლინა ქვეყანას? რა იზიდავს მას და რა – არა გრძნობათა სამყაროში? შეიძლება თუ არა, ამაზე ისაუბრონ? ლუსიზე ვერ იტყვი, რომ უსაფრთხო ცხოვრება აირჩია. რატომ არ უნდა იყვნენ ერთმანეთთან გულახდილი? რატომ უნდა დააწესონ ურთიერთობაში რაღაც საზღვრები, ახლა ხომ ამას აღარავინ აკეთებს?!

– როგორც კი საქმეს ვიპოვი... – ამბობს ის, ფიქრებისგან გამორკვეული, – რას მთავაზობ?

– შეგიძლია ძაღლების მოვლაში დამეხმარო, ხორცი დაჭრა მათთვის – ყოველთვის მიჭირდა ამის გაკეთება. ან პეტრასს მიწის დამუშავებაში ხელი წააშველო...

– ხელი წავაშველო... ცუდი არ იქნებოდა. მომწონს ეს გამოთქმა – არის მასში ერთგვარი ისტორიული პიკანტურობა. და შენ ფიქრობ, რომ ჩემი შრომის საფასურს გადამიხდის?

– ჰკითხე, დარწმუნებული ვარ, გადაგიხდის. წლის დასაწყისში მიწათმოქმედების სამინისტროდან სუბსიდია მიიღო და ჩემგან ჰექტარზე ცოტა მეტი მიწა იყიდა. არ მითქვამს? საზღვარი საგუბართან გადის. საგუბარი საზიაროა. იქიდან მოყოლებული, ღობემდე, ყველაფერი მას ეკუთვნის. ძროხა ჰყავს, რომელიც გაზაფხულზე მოიგებს. ორი ცოლი ჰყავს, ანუ ცოლი და საყვარელი. თუკი თავის კოზირებს კარგად გამოიყენებს, შეუძლია, მეორე სუბსიდიაც მიიღოს, სახლი აიშენოს და საჯინიბოდან იქ გადავიდეს. აღმოსავლეთ კეიპის საზომებით, შეძლებული კაცია. უთხარი, გადაგიხადოს. ამის საშუალება აქვს. არ მგონია, მე კიდევ შევძლო მისი დაქირავება.

– კარგი, ძაღლების ხორცს მივხედავ, პეტრასსაც ვთხოვ, სამუშაოდ ამიყვანოს. კიდევ რა შეიძლება გავაკეთო?

– შეგიძლია კლინიკასაც დაეხმარო. მოხალისეები ძალიან სჭირდებათ.

– ანუ ბევ შოუს დავეხმარო?

– ჰო.

– არა მგონია, მე და ის ერთმანეთს შევეწყოთ.

– შეწყობა არც არის საჭირო. მხოლოდ დაეხმარე, თუმცა გასამრჯელოს ნუ ელი. ეს შენი გულკეთილობით უნდა გააკეთო.

– მეეჭვება, ლუსი. ეს ძალიან ჰგავს საზოგადოებრივ სამუშაოს, ასე ვთქვათ, ძველი ცოდვების გამოსყიდვის მცდელობას.

– შენს მოტივებს რაც შეეხება, დევიდ, გარწმუნებ, ცხოველები ამის გამოკვლევას არ დაიწყებენ. შეკითხვებს არ დაგისვამენ და საერთოდ, მათთვის ეს სულერთია.

– კარგი, გავაკეთებ ამასაც. მაგრამ ერთი პირობით: თუ შედეგად უკეთესი ადამიანი არ გავხდები. გამოსწორებას არ ვაპირებ. მინდა ის ვიყო, ვინც ვარ.

ხელი ისევ ლუსის ფეხზე უდევს. მუხლზე ხელს უჭერს.

– გაიგე?

პასუხად ლუსი უღიმის. ამ ღიმილს მომაჯადოებელს დაარქმევდა.

– ესე იგი, გადაწყვიტე, ცუდ ადამიანად დარჩე, ცუდ, გიჟ და გარშემო მყოფთათვის სახიფათო ადამიანად, არა? გპირდები, რომ არასოდეს გთხოვ, შეიცვალო.

ლუსი ისე აჯავრებს, როგორც ადრე დედამისი აჯავრებდა, თუმცა უფრო მახვილგონივრულად. ყოველთვის იზიდავდა ქალში მახვილგონიერება, და კიდევ – სილამაზე. მელანი მახვილგონიერებისგან, რა თქმა უნდა, შორს არის, მაგრამ სილამაზე უხვად აქვს ბოძებული.

ისევ ჟრჟოლა უვლის, ვნების მსუბუქი ჟრჟოლა. იცის,

რომ ლუსი აკვირდება. ეტყობა, ვერ მიეჩვია ამის დამალვას. საინტერესოა.

დგება, ეზოში გადის. ახალგაზრდა ძაღლებს მისი დანახვა უხარიათ. საძაღლეში წინ და უკან დარბიან, მოუთმენლად წკმუტუნებენ. ბებერი დედალი ბულდოგი კი თითქმის არ იძვრის.

საძაღლეში შედის და კარს კეტავს. ბებერი ბულდოგი თავს სწევს, შეათვალიერებს და ისევ ხრის. ბებერი ძუძუსთავები დონდლოდ ჰკიდია.

ჩაცუცქდება, ყურს უკან ფხანს.

– მიგვატოვეს, არა? – ბუტბუტებს.

მის გვერდით ბეტონზე წვება. მკრთალი ლურჯი ცა დაჰყურებს. კიდურები უდუნდება.

ლუსი ასეთს პოულობს. ეტყობა, ჩაეძინა. გამოფხიზლებისას პირველად ლუსის ამჩნევს. ის საძაღლეშია, წყლის ბიდონით ხელში. ძაღლი ამდგარა და ფეხებზე სუნავს.

– დამეგობრდით?

– ადვილი დასამეგობრებელი არ არის.

– საწყალი ბებერი კეტი მგლოვიარეა. იცის, რომ აღარავის სჭირდება. სასაცილოა, ახლომახლო, ალბათ, უამრავი შთამომავალი ჰყავს, რომლებიც სიხარულით გაუზიარებდნენ თავიანთ საცხოვრებელს, მაგრამ მისი მიწვევა არ შეუძლიათ. ისინი გარემოს ნაწილი არიან, საგანგაშო სიგნალიზციის ნაწილი. პატივს გვდებენ და ღმერთებად მიგვიჩნევენ, ჩვენ კი მათ, როგორც ნივთებს, ისე ვეპყრობით.

საძაღლიდან გამოდიან. ბულდოგი ძირს გაერთხმება და თვალებს ხუჭავს.

– ეკლესიის მამებს ხანგრძლივი დებატები ჰქონდათ ცხოველების შესახებ და გადაწყვიტეს, რომ მათ სული არა აქვთ, – შენიშნავს ის, – რომ მათი სული სხეულთან ერთად კვდება.

ლუსი მხრებს იჩეჩს.

– დარწმუნებული არა ვარ, რომ სული მაქვს. რომ დავინახო კიდეც, არ დავიჯერებდი.

– ეს მართალი არ არის. შენ თვითონ ხარ სული. ჩვენ ყველანი სულები ვართ. დაბადებამდეც სულები ვიყავით.

ლუსი უცნაურად უყურებს.

– რას უპირებ? – ეკითხება.

– კეტის? დავიტოვებ, ბოლოს და ბოლოს.

– ოდესმე დახმარებიხარ ცხოველს, მშვიდად რომ მომკვდარიყო?

– არა, მე არა, ამას ბევი აკეთებს. სხვამ არავინ მოინდომა და ისევ ბევმა ითავა, თუმცა მისთვის ეს ძალიან მტკივნეულია. შენ მას ვერ აფასებ. ბევრად უფრო საინტერესო პიროვნებაა, ვიდრე შენ ფიქრობ. შენი საზომებითაც კი.

მისი საზომებით. როგორია ეს საზომები? პატარა, ჯმუხი ქალი, უსიამოვნო ხმით – იმსახურებს კი იგნორირებას? სევდა იპყრობს: კეტის გამო, საძაღლეში რომ მარტოა, საკუთარი თავის და ყველას გამო. ღრმად ამოიოხრებს, არ ცდილობს, თავი შეიკავოს.

– მაპატიე, ლუსი, – ამბობს.

– გაპატიო? რა გაპატიო? – მსუბუქად, დამცინავად იღიმება.

– ის, რომ ერთ-ერთი ვარ იმ ორ მოკვდავთაგან, რომელთაც წილად ხვდათ, ამ სამყაროში შემოგძღოლოდნენ და კარგი წინამძღოლი ვერ აღმოვჩნდი. მე წავალ და ბევ შოუს მივეხმარები, ოღონდ იმ პირობით, რომ ბევს ვერ დავუძახებ. სულელური სახელია. ცხოველის სახელს მაგონებს. როდის შევუდგე საქმიანობას?

– ბევს დავურეკავ.

თავი 10

კლინიკის აბრა გვამცნობს: „ცხოველთა დაცვის ლიგა. 1529-ე ფილიალი“. ამ წარწერის ქვემოთ ოდესღაც მიღების საათები იყო მითითებული. ახლა ამ ადგილზე ლენტი გადაუკრავთ. კართან რიგი დგას, ზოგიერთს ცხოველი მოუყვანია. როგორც კი მანქანიდან გადმოდის, გარს ბავშვები ეხვევიან. ზოგი ფულს თხოვს, ზოგი, უბრალოდ, მისჩერებია. მათ შორის გზას იკვლევს. მოულოდნელად ატეხილი გნიასი – ორი ძაღლი, პატრონები რომ ძლივს აკავებენ, ერთმანეთს უღრენს და ბრდღვინავს.

პატარა მისაღები გადაჭედილია. ვიღაცის ფეხზე გადაბიჯება უწევს, რომ შევიდეს.

– მისის შოუ სად არის? – კითხულობს.

მოხუცი ქალი თავით ანიშნებს კარისკენ, რომელზეც პლასტიკატის ფარდაა ჩამოფარებული. ქალს მოკლე თოკით უჭირავს თხა, რომელიც გაფართოებული თვალებით ძაღლებს მისჩერებია, ნერვიულად აცეცებს, ჩლიქებს კი მაგარ იატაკზე აბაკუნებს.

შარდის სუნით გაჟღენთილ ოთახში დაბალ, ფოლადისზედაპირიან მაგიდასთან მუშაობს ბევ შოუ. ფანქარივით წვრი-

ლი ფანრით ყელში ჩაჰყურებს ფინიას, რომელიც რიჯბეკისა და ტურის ნაჯვარს ჰგავს. პირდაპირ მაგიდაზე ჩაცუცქულ ფეხშიშველ ბავშვს, როგორც ჩანს, ძაღლის პატრონს, მისი თავი ხელებში მოუქცევია და ცდილობს, ყბები გაუკავოს. ძაღლს ძლიერი უკანალი დაჭიმული აქვს, მისი ყელიდან დაბალი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ღრენა ისმის. ის ბრძოლაში როგორღაც მოუხერხებლად ებმება, ძაღლის უკანა თათებს იჭერს და აიძულებს მას, დაჯდეს.

– გმადლობთ, – ამბობს შოუ. სახე ასწითლებია, – ჩირქია ჩამდგარი, რადგან ამომავალი კბილი ორ კბილს შორისაა ჩაჭედილი. ანტიბიოტიკები არა გვაქვს, ამიტომ... უფრო მაგრად გეჭიროს boytjie... ამიტომ ჩირქი უნდა გამოვუშვათ და უკეთესის იმედი ვიქონიოთ.

ბევი ლანცეტით ხახას უსინჯავს. ძაღლი საშინლად იკრუნჩხება, ხელიდან დასხლტომას ლამობს, ბიჭისგან თითქმის ითავისუფლებს თავს. ხელს უფრო მაგრად უჭერს, რადგან ის ახლა თათებით მაგიდის ზედაპირს ფხაჭნის და ცდილობს, გადმოხტეს. წამიერად ძაღლის მრისხანებითა და შიშით სავსე თვალები მის თვალებს ხვდება.

– გვერდულად, აი ასე, – ამბობს ბევ შოუ ღუღუნა ხმით. ძაღლს მარჯვედ ჩაავლებს ხელს და გვერდზე აბრუნებს.

– ქამარი, – ამბობს ქალი.

ის ქამარს ძაღლის სხეულს შემოავლებს და ბევი ბალთას კრავს.

– რამე სასიამოვნოზე იფიქრეთ, – ამბობს მერე, – ჯანმრთელობაზე ან ძალაზე. ისინი ყნოსვით გრძნობენ თქვენს ფიქრებს.

ძაღლს მთელი ძალით აწვება. ბიჭი, წინდახედულად ხელზე ჩვარი რომ დაუხვევია, ისევ ახერხებს, შიშისგან თვალებ-

გადმოკარკლულ ძაღლს პირი დააღებინოს. „შეუძლიათ იყნოსონ, რას ფიქრობ“. რა სისულელეა!

– წყნარად, წყნარად, – ბუტბუტებს. ბევ შოუ ძაღლს ისევ ლანცეტს უდებს ხახაში. ის უჰაერობისგან იხრჩობა, იჭიმება, შემდეგ დუნდება.

– ახლა კი, – ამბობს ბევი, – დანარჩენი ბუნებას მივანდოთ. ქამარს ხსნის და ბიჭს რამდენიმე სიტყვას ეუბნება ენაზე, ძალიან გაუმართავ კოსას რომ წააგავს. იატაკზე დასმული ძაღლი მაგიდის ქვეშ ძვრება. მაგიდის ზედაპირი სისხლის წვეთებითა და ნერწყვითაა დაფარული. ბევი წმენდს. ბიჭს ფერებით გაჰყავს ძაღლი გარეთ.

– გმადლობთ, მისტერ ლური. სწორედ რომ დროზე მოგვისწარით. ვგრძნობ, რომ ცხოველები გიყვართ.

– ცხოველები მიყვარს? მე მათ ვჭამ. ასე რომ, ალბათ, მიყვარს კიდეც. მათი ზოგიერთი ნაწილი.

ქალის ვარცხნილობა პატარა კულულების გროვაა. ვითომ კულულებს მაშებით თვითონ იკეთებს? საეჭვოა. ამას ყოველდღე რამდენიმე საათი დასჭირდებოდა. ასეთი tessitura[24] ახლოს არასოდეს უნახავს. ბევის ყურის სისხლძარღვები ისევე, როგორც ცხვირისა, მოწითალო-მოიისფრო ფილიგრანს მოგაგონებს. ძარღვები. ნიკაპი კი თითქოს მკერდიდან ამოზრდია, მტრედის ჩიჩახვივით. მოკლედ, ძალიან უშნო ქალია.

ბევი მის ნათქვამზე ფიქრობს, რომლის ტონიც, ეტყობა, გამოეპარა.

– ჰო, ჩვენს ქვეყანაში ბევრ ხორცს ჭამენ, – ამბობს ის, – არ მგონია, ამას ჩვენთვის სარგებლობა მოჰქონდეს. არც

[24] აქ: ერთმანეთში გადახლართვა, ჩაწვნა.

კი ვიცი, როგორ უნდა ვიმართლოთ თავი მათ წინაშე... – და ამატებს: – შემდეგს მივხედოთ?

თავს ვიმართლებთ? როდის? უზენაეს სამსჯავროზე? საინტერესო იქნებოდა, ამის შესახებ უფრო მეტი მოესმინა, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის.

თხა, ზრდასრული. ძლივს დადის. მისი მოყვითალო-მოიისფრო სათესლე პარკის ნახევარი ჰაერბურთივითაა გაბერილი, მეორე ნახევარზე კი სისხლი და ტალახია მიმხმარი.

– ძაღლებმა დაგლიჯეს, – ამბობს მოხუცი ქალი. თუმცა თხა საკმაოდ მხნე, მხიარული და შემართული ჩანს. სანამ ბევ შოუ სინჯავს, ის მოკლე-მოკლე ჯერით კურკლს ყრის იატაკზე. მოხუცი, რომელსაც თხა რქებით უჭირავს, ყასიდად ლანძღავს მას.

ბევ შოუ სათესლე პარკს ტამპონით ეხება. თხა ტლინკებს ყრის.

– შეგიძლიათ, ფეხები დაუჭიროთ? – ეკითხება და უჩვენებს, როგორ გააკეთოს ეს. ის თხის უკანა მარჯვენა ფეხს წინა მარჯვენა ფეხზე აბამს. თხა ისევ ტლინკების ყრას ცდილობს, მაგრამ მხოლოდ ერთ ადგილზე ირწევა. ბევი ტამპონით ფრთხილად წმენდს ჭრილობას. თხა თრთის და კიკინებს. საზიზღარი ხმა აქვს, დაბალი, ხრინწიანი.

ტალახი რომ შორდება, ის ხედავს ჭრილობაში მოფუთფუთე თეთრ მატლებს, ჰაერში წამოყელყელავებული ბრმა თავებით. შეაჟრჟოლებს.

– ხორცის ბუზები, – ამბობს ბევი, – ერთი კვირის მაინც იქნებიან, – ტუჩებს კუმავს, – დიდი ხნის წინ უნდა მოგეყვანათ ჩვენთან, – ეუბნება მოხუცს.

– ჰო, – უპასუხებს ის, – ძაღლებმა შეგვიკლეს ხელში,

ყოველღამ მოდიან. საშინელებაა! ასეთ თხას ხუთას რანდზე ნაკლებად ვერ იყიდი.

ბევ შოუ წელში იმართება.

– არ ვიცი, რა ვქნა. ამპუტაციის გამოცდილება არ მაქვს. ხუთშაბათს ექიმ ოსტჰეიზენს მიღების დღე აქვს; მოხუცს შეუძლია, მას დაელოდოს, მაგრამ ეს საწყალი, მაინც სტერილური იქნება და უნდა კი ეს ქალს? ანტიბიოტიკებიც დასჭირდება. ამხელა ხარჯს გასწვდება?

ისევ თხის გვერდით ჩაიმუხლებს, თავს მის კისერში რგავს, თავის თმის ბუჩქს თხის ყელს ქვემოდან ზემოთ უსვამს. ის ცახცახებს, მაგრამ უძრავად დგას. მოხუცს ანიშნებს, რქებს ხელი გაუშვას. ის ემორჩილება. თხა არც ახლა იძვრის.

ბევი ჩურჩულებს:

– აბა, რას იტყვი, მეგობარო? – ესმის კაცს მისი სიტყვები. – რას იტყვი. საკმარისია?

თხა მონუსხულივით დგას. ბევ შოუ ისევ თავზე ეფერება. თვითონაც ტრანსში ჩავარდნილს ჰგავს.

ძალას მოიკრებს და წამოდგება.

– სამწუხაროდ, უკვე გვიანია, – ეუბნება ქალს, – მე ვერ ვუშველი. შეგიძლიათ, ხუთშაბათამდე ექიმს დაელოდოთ, ან ჩემთან დატოვოთ. მშვიდად მოკვდება. ექიმი ამის გაკეთების ნებას მომცემს. რას იზამთ? დატოვებთ?

ქალი ყოყმანობს, შემდეგ უარის ნიშნად თავს აქნევს და თხას კარისკენ მიათრევს.

– შეგიძლიათ, მოგვიანებით მომიყვანოთ, – ამბობს ბევ შოუ, – უმტკივნეულოდ მოკვდება. სულ ეს არის, – ბევი დაფარვას ცდილობს, მაგრამ მას ქალის ხმაში მაინც ესმის დამარცხებულის ინტონაცია. თხასაც ესმის ეს. ის ტლინკებს ყრის, ცდილობს, ღვედისგან თავი გაითავისუფლოს, ყალყზე

დგება, იკრუნჩხება. დასიებული ჯირკვალი კუდის უკან მოუჩანს. ქალი ღვედს ხსნის, გვერდზე მიაგდებს და მიდიან.

– რაზე საუბრობდით? – ეკითხება.

ბევ შოუ სახეს მალავს, ცხვირს იწმენდს.

– არაფერია, არაფერი. ასეთი შემთხვევებისთვის საკმარისი ლეტალი მაქვს, მაგრამ უფლება არა გვაქვს, პატრონს რამე დავაძალოთ. ცხოველი მისია და ურჩევნია, თავისებურად მოკლას. რა სამწუხაროა! კარგი ყმაწვილია, მამაცი, შეუპოვარი, თავდაჯერებული.

ლეტალი. წამლის სახელია? თვითონ ამ სიტყვას ფარმაცევტული კომპანიის კედლებს მიღმა არ გამოიყენებდა. მოულოდნელი სიბნელე, ლეტას წყლებისგან ჩამომდგარი.

– შეიძლება მას მეტი ესმის, ვიდრე თქვენ გგონიათ, – თავისდა გასაკვირად, ქალის დამშვიდებას ცდილობს, – შეიძლება მან ეს ყველაფერი უკვე გამოსცადა. ასე ვთქვათ, წინასწარი ხედვით დაიბადა. აფრიკაში ვართ, რაც უნდა იყოს. თხები აქ დროსთან ერთად გაჩნდნენ. მათ არ სჭირდებათ იმის ახსნა, თუ რა არის ფოლადი და ცეცხლი. იციან, სიკვდილი როგორ მოდის და ამისთვის მზად მყოფნი იბადებიან.

– თქვენ ასე ფიქრობთ? მე კი დარწმუნებული არ ვარ. არ მგონია, რომელიმე ჩვენგანი მარტო სიკვდილისთვის მზად იყოს.

ყველაფერი თავის ადგილზე დგება. უკვე პირველი ბუნდოვანი წარმოდგენა ექმნება იმ ამოცანაზე, რომელიც ამ პატარა, უნდომ ქალს საკუთარი თავისთვის დაუსახავს. ეს უბადრუკი შენობა განკურნების ადგილი კი არ არის – საამისოდ მისი სამკურნალო შესაძლებლობები მეტისმეტად დილეტანტურია – არამედ უკანასკნელი თავშესაფარია. ერთი მოთხრობა ახსენდება – ვინ იყო? წმინდა ჰუბერტი? – ადამიანზე, რომელმაც მის სამრეკლოში შევარდნილი, მო-

ნადირე ძაღლებს გამოქცეული, ქანცგაწყვეტილი, დაფეთებული ირემი შეიფარა. ბევ შოუ ვეტერინარი არ არის, ქურუმი ქალია, ნიუ ეიჯის[25] ცრურწმენებს აყოლილი, რომელიც ცდილობს – და ეს სრული აბსურდია – აფრიკის მომაკვდავ ცხოველებს ტვირთი შეუმსუბუქოს. ლუსი ფიქრობდა, რომ ის ბევს საინტერესო ადამიანად ჩათვლიდა. შეცდა ლუსი. „საინტერესო" შესაფერისი სიტყვა არ არის.

მთელ საღამოს ქირურგიულ კაბინეტში ატარებს და რითაც შეუძლია, ეხმარება. როცა ბოლო კლიენტს ისტუმრებენ, ბევ შოუს ის ეზოს დასათვალიერებლად მიჰყავს. ჩიტების გალიაში მხოლოდ ერთი ფრინველია – ფრთამოტეხილი ახალგაზრდა ჭარო. გარდა ამისა, აქ არიან ძაღლები, არა ლუსის კარგად მოვლილი ჯიშიანი ძაღლების მსგავსი, არამედ ჯგრო გაძვალტყავებული ეზოს ძაღლებისა, რომლებითაც ორი ბაკია სავსე. ისინი ყეფენ, წკმუტუნებენ, წკავწკავებენ, აღგზნებულები დახტიან.

ქალს მშრალი საკვების ჩამორიგებასა და წყლის ვარცლების ავსებაში ეხმარება. ორი ათკილოგრამიანი ტომარა ცარიელდება.

– როგორ ახერხებთ საკვების ყიდვას?

– ბითუმად ვყიდულობთ. დროდადრო ფულს ვკრებთ, შემოწირულობებს ვაგროვებთ, ცხოველებს უფასოდ ვკოდავთ და ამისათვის გრანტებს ვიღებთ.

– ვინ კოდავს?

– ჩვენი ვეტერინარი, ექიმი ოსტჰეიზენი. მაგრამ ის აქ მხოლოდ კვირაში ერთხელ მოდის, დღის მეორე ნახევარში.

---

[25] ახალი ერა (ინგ.) – თანამედროვე მისტიკური მიმდინარეობა, რომელიც აერთიანებს ტრადიციული რელიგიებიდან, ოკულტიზმიდან, შამანიზმიდან, ეზოთერიზმიდან აღებულ წარმოდგენებს.

უყურებს, როგორ ჭამენ ძაღლები. უკვირს, რომ თითქმის არ ჩხუბობენ. უფრო სუსტები და პატარები უკან მიმდგარან, ხვედრს შეგუებულნი თავიანთ რიგს ელიან.

– პრობლემა ის არის, რომ ძალიან ბევრნი არიან, – ამბობს ბევ შოუ, – მათ, რა თქმა უნდა, ეს არ ესმით და ჩვენც ვერაფერს გავაგებინებთ. ბევრნი არიან ჩვენი საზომით და არა – მათით. თავიანთ ჭკუაზე რომ მიუშვა, გამრავლდებოდნენ და გამრავლდებოდნენ, სანამ მთელ დედამიწას არ მოედებოდნენ. ისინი არ ფიქრობენ, რომ ბევრი შვილის ყოლა ცუდია. რაც მეტი იქნებიან, მით მეტი მხიარულება იქნება. კატებიც ასე არიან.

– და ვირთხებიც.

– და ვირთხებიც. მაგაზე გამახსენდა, სახლში რომ მიხვალთ, შეამოწმეთ, რწყილები არ გყავდეთ.

ერთ-ერთი ძაღლი, დანაყრებული, თვალები კმაყოფილებისაგან რომ უბრწყინავს, ბადის უჯრედიდან მის თითებს ყნოსავს და ლოკავს.

– ეგალიტარიანელები არიან, ხომ ასეა? – შენიშნავს ის. – არავითარი კლასები. არავინ მიაჩნიათ ისე მაღლა მდგომად და ძლევამოსილად, რომ მისი დასუნვა არ შეიძლებოდეს.

ჩაცუცქდება, ძაღლს საშუალებას აძლევს, მისი სახე დაყნოსოს, სუნთქვა შეიგრძნოს. ეჩვენება, რომ აზრიანი სახე აქვს, თუმცა შეიძლება მსგავსი არაფერიც არ არის.

– ყველა უნდა მოკვდეს?

– ვისაც არავინ წაიყვანს. ჩვენ მათ სასიკვდილო ნემსს ვუკეთებთ.

– პირადად თქვენ?

– დიახ.

– არ გეზიზღებათ ამის გაკეთება?

– მეზიზღება, ძალიან მეზიზღება, მაგრამ არ მინდა, ეს ვინმე ისეთმა გააკეთოს, ვისაც არ შეეზიზღებოდა. თქვენ გააკეთებდით?

ის დუმს. მერე კი:

– იცით, რატომ გამომგზავნა ჩემმა ქალიშვილმა თქვენთან? – ეკითხება.

– მან მითხრა, რომ თქვენ უსიამოვნება შეგემთხვათ.

– არა მხოლოდ უსიამოვნება. ამას უფრო შერცხვენა ჰქვია.

ქალს ყურადღებით აკვირდება. თითქოს უხერხულად გრძნობს თავს, თუ ეჩვენება?

– ყველაფერი იცით და მაინც თანახმა ხართ, რომ დაგეხმაროთ?

– თუკი თქვენ ამისთვის მზად ხართ... – ხელისგულებს განზე შლის, მერე აერთებს, მერე ისევ შლის. არ იცის, რა უპასუხოს, ის კი არ ეხმარება.

ადრე თავის ქალიშვილთან ცოტა ხნით რჩებოდა ხოლმე, ახლა კი მათ საზიარო სახლი, საზიარო ცხოვრება აქვთ. ფრთხილად უნდა იყოს, რომ ძველი, მამობრივი ჩვევები არ შემოეპაროს: ტუალეტის ქაღალდის რულონის კოჭზე წამოცმა, სინათლის გამორთვა, კატის დივნიდან ჩაგდება. „მოემზადე სიბერესთან შესახვედრად, – არიგებს საკუთარ თავს, – მოხუცთა თავშესაფარში საცხოვრებლად. ისწავლე შეგუება."

თავს ისე აჩვენებს, თითქოს დაღლილია და თავის ოთახში მიდის. ლუსის ოთახიდან ძლივს აღწევს ხმები. უჯრის გაღების და დაკეტვის, რადიოს ბუტბუტი, დაგუდული ხმით ტელეფონით საუბარი. იოჰანესბურგში რეკავს? ჰელენს ესაუბრება? მისი აქ ყოფნა ხომ არ უშლის ხელს ჰელენის ჩამოსვლას? გაბედავდნენ ერთად დაწოლას, სანამ ის სახლშია?

შეცბუნდებოდნენ, თუ ღამით საწოლი იჭრიალებდა? და ისე შეცბუნდებოდნენ, რომ გაჩერებულიყვნენ? რა იცის მან, რას აკეთებს ორი ქალი საწოლში? შეიძლება ქალები საწოლს არც აჭრიალებენ. რა იცის ამ ორი ქალის – ლუსისა და ჰელენის – შესახებ? შეიძლება, უბრალოდ, როგორც ბავშვები, ისე არიან ერთად, მაგრად ჩახვეულები ერთმანეთს ეხებიან, კისკისებენ, ქალიშვილობის წლებს აცოცხლებენ – უფრო დები არიან, ვიდრე საყვარლები. საზიარო საწოლი, საზიარო აბაზანა. თაფლაკვერს აცხობენ, ერთმანეთის კაბებს იზომებენ.

ლესბოსური სიყვარული – ზედმეტი წონის კარგი გამართლება.

სიმართლე კი ის არის, რომ მას არ სურს, წარმოიდგინოს ვნებისგან ათრთოლებული თავისი ქალიშვილი სხვა ქალს, თანაც ასეთ შეუხედავ ქალს, ჩახვეული. მაგრამ კაცი რომ იყოს საყვარელი, უფრო ბედნიერად იგრძნობდა თავს? სინამდვილეში რა სურს მას ლუსისათვის? იქნებ ის, რომ ლუსი სამუდამოდ ბავშვად დარჩეს, სამუდამოდ უმანკოდ, სამუდამოდ მისად? რა თქმა უნდა, არა. მაგრამ ის მამაა, ეს მისი ხვედრია და რაც სიბერეში შედის, სულ უფრო და უფრო – ამასაც ვერაფერს უშველი – უყვარდება თავისი ქალიშვილი. ის მეორე ხსნად იქცევა მამისათვის, მისი განახლებული სიჭაბუკის პატარძლად. გასაკვირი არ არის, რომ ზღაპრებში დედოფლები ძაღლებს აგლეჯინებენ თავიანთ ქალიშვილებს.

ოხრავს. საწყალი ლუსი, საწყალი ქალიშვილები. რა ბედი აქვთ, როგორი ტვირთის ტარება უწევთ. და ვაჟიშვილები. მათაც ბევრი გასაჭირი ექნებათ, თუმცა ამის შესახებ ცოტა რამ იცის.

კარგი იქნებოდა, დაეძინა, მაგრამ ცივა, ძილი არ ეკარება.

დგება, ქურთუკს იცვამს და საწოლში ბრუნდება. ბაირონის 1820 წლის წერილებს კითხულობს. ჩასუქებული ბაირონი, 32 წლის ასაკში შუახნის კაცს რომ ჰგავს, რავენაში, გვიჩიოლების ოჯახში, თავის თვითკმაყოფილ, მოკლეფეხება საყვარელთან – ტერეზასთან და მის თავაზიან, კეთილმოსურნე ქმართან ერთად ცხოვრობს. ზაფხულის სიცხე, ჩაის სმა ნაშუადღევს, პროვინციული ჭორები, ძლივს დამალული მთქნარება. „ქალები წრიულად სხედან, კაცები მოსაწყენ ფარაონს თამაშობენ, – წერს ბაირონი, – ადიულტერი გვაიძულებს, ვიფიქროთ, როგორი მოსაწყენია ცოლქმრული ცხოვრება. ოცდაათ წელს ყოველთვის ვუყურებდი, როგორც ნამდვილი თუ მძაფრი ვნებებით ტკბობის ბარიერს."

ისევ ოხრავს. როგორი ხანმოკლეა ზაფხული შემოდგომის წინ, მერე კი ზამთარიც მოდის! შუალამემდე კითხულობს, მაგრამ დაძინებას მაინც ვერ ახერხებს.

თავი 11

ოთხშაბათია. ადრე დგება, მაგრამ ლუსის მაინც დაუსწრია. გუბურასთან პოულობს – გარეული ბატების ყურებით ტკბება.

– რა ლამაზები არიან, არა? – ამბობს, – ყოველ წელს ბრუნდებიან უკან. ერთი და იგივე სამეული. როგორ გამიმართლა, რომ ჩემთან მოდიან. თავი რჩეული მგონია.

სამეული. ეს ერთგვარი გადაწყვეტა იქნებოდა. ის, ლუსი და მელანი. ან ის, მელანი და სორაია.

ერთად საუზმობენ, შემდეგ ორი დობერმანი სასეირნოდ მიჰყავთ.

– როგორ ფიქრობ, ასეთ ადგილებში იცხოვრებდი? – ეკითხება ლუსი მოულოდნელად.

– რატომ მეკითხები? ახალი მეძაღლე გჭირდება?

– არა, სხვა რამეს გეუბნები. შენ როდსის უნივერსიტეტში ადვილად იშოვიდი სამსახურს. ხომ გყავს იქ ნაცნობები. ან პორტ ელიზაბეტში.

– არა მგონია, ლუსი. მე კონკურენტუნარიანი აღარ ვარ. ეს სკანდალი ყველგან თან გამყვება. ახლა თუკი სამსახურს

ვიშოვი, რაღაც ისეთი უნდა იყოს, შეუმჩნეველი, ვთქვათ, მოანგარიშის მსგავსი, თუკი ასეთი რამ კიდევ არსებობს, ან ძაღლების მომვლელის.

– მაგრამ თუ გინდა, ეს სკანდალი დასრულდეს, საკუთარი თავი ხომ უნდა დაიცვა. თუ გაიქცევი, უფრო მეტი ჭორი აგორდება.

ბავშვობაში ლუსი წყნარი იყო, უპრეტენზიო. აკვირდებოდა მას, მაგრამ არასდროს გამოუთქვამს თავისი აზრი. ახლა, მესამე ათწლეულში გადამდგარი, თანდათან შორდება მას. ძაღლები, მებაღეობა, წიგნები ასტროლოგიაზე, უბრალო ტანსაცმელი: ყველაფერში მისი დამოუკიდებლობა იგრძნობა, კარგად მოფიქრებული, აწონილ-დაწონილი დამოუკიდებლობა. კაცებისთვის ზურგის შექცევაც ამის ნაწილია. საკუთარ ცხოვრებას ქმნის. მისი ჩრდილიდან გამოდის. კარგია! მოსწონს.

– ესე იგი, შენ თვლი, რომ მე დანაშაულის ადგილიდან გავიქეცი? – ეკითხება.

– ხომ გაერიდე! პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს ერთი და იგივეა...

– შენ მთავარი ვერ გაიგე, ჩემო ძვირფასო. იმ საქმის მოგება, რომელიც გინდა, რომ მოვიგო, უკვე შეუძლებელია. ბასტა! ჩვენს დროშია შეუძლებელი. რომც ვცადო, არავინ მომისმენს.

– არ ხარ მართალი. მართლაც ის რომ იყო, რასაც შენს თავს უწოდებ, ანუ მორალური დინოზავრი, მაინც დაინტერესებთ, დინოზავრი რას ამბობს. მე, მაგალითად, მაინტერესებს, რა მოხდა. მოდი, გავერკვეთ.

ის ყოყმანობს. მართლა სურს, ამ საქმის ინტიმურ დეტალებზე ესაუბროს?

– ჩემი საქმე ვნების უფლებას ეფუძნება, – ამბობს, – მასში თვით ღმერთის ხელი იგრძნობა, რომელიც პატარა ჩიტუნებსაც კი აიძულებს, თრთოდნენ.

თავის თავს გოგონას ბინაში ხედავს, მის საძინებელში; გარეთ თავსხმაა, კუთხეში გამათბობელი დგას, რომელიც ოთახში ზეთის სუნს აყენებს. ის მუხლებზე დგას და ტანსაცმელს ხდის. გოგონას მკლავები უსიცოცხლოდ უცვივდება. უნდა, რომ თქვას: „მე ეროსის მსახური ვიყავი", მაგრამ ეყოფა კი ამისთვის თავხედობა? „თვით ღმერთი მიმიძღოდა!" როგორი პატივმოყვარეობაა! მაგრამ მთლად ტყუილიც არ არის. მთელი ეს უბადრუკი ისტორია ბარაქიან, ნაყოფიერ ნიადაგზე წარმოიშვა, იმ ნიადაგზე, რომელზეც ყველაზე ლამაზი ყვავილები იფურჩქნება. ნეტავ მაშინ სცოდნოდა, რომ ასე ცოტა დრო ჰქონდა.

ისევ იწყებს საუბარს, ოღონდ ახლა უფრო ნელა:

– პატარა რომ იყავი, კენილვორტში ვცხოვრობდით. ჩვენს მეზობლებს ოქროსფერი რეტრივერი ჰყავდათ. არ ვიცი, გახსოვს თუ არა.

– ბუნდოვნად.

– ხვადი იყო. როგორც კი ახლომახლო ძუ გამოჩნდებოდა, მაშინვე ყველაფერი ავიწყდებოდა, სრულიად უმართავი ხდებოდა და პატრონები პავლოვისებური რეგულარულობით სცემდნენ. ასე გრძელდებოდა დიდხანს. ბოლოს ძაღლმა უკვე აღარ იცოდა, რა ექნა. როგორც კი ძუკნას სუნს იკრავდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, ყურებჩამოყრილი, კუდამოძუებული წკმუტუნებდა და ცდილობდა, დამალულიყო.

ის ჩუმდება.

– ვერ გავიგე, რისი თქმა გინდა, – ამბობს ლუსი.

მართლაც, რისი თქმა უნდა?

– ამ სანახაობაში იყო რაღაც ისეთი სამარცხვინო, რაც მე სასოწარკვეთილებაში მაგდებდა. ძაღლი, ჩემი აზრით, შეიძლება დასაჯო რაღაც დანაშაულისათვის, ვთქვათ, ფლოსტების დაღეჭვისთვის. ის ამ სასჯელს მიიღებს, როგორც ჯეროვანს – გააფუჭა რაღაც და დაისაჯა, მაგრამ სურვილი სულ სხვა რამეა. არც ერთი ცხოველი არ ჩათვლის სამართლიანობად, თუკი ინსტინქტების აყოლისათვის დასჯიან.

– ასე რომ, ხვადებს ნება უნდა მიეცეთ, თავშეუკავებლად აჰყვნენ თავიანთ ინსტინქტებს? ეს არის მორალი?

– არა, მორალი ეს არ არის. კენილვორტის სანახაობაში სამარცხვინო ის იყო, რომ საცოდავმა ძაღლმა თავისი ბუნება შეიძულა. მას ცემა აღარ სჭირდებოდა. მზად იყო, თვითონ დაესაჯა საკუთარი თავი. ამას ჯობდა, იგი ტყვიით მოგეკლა.

– ან მისთვის რაღაც მოგეჭრა.

– შეიძლება, მაგრამ გულის სიღრმეში მას, ალბათ, ერჩივნა, მოეკლათ. შეთავაზებულ მეორე ვარიანტს: ერთი მხრივ, საკუთარი ბუნების უარყოფას, მეორე მხრივ კი დარჩენილი ცხოვრების სასტუმრო ოთახში გატარებას, წკმუტუნს, კატის ყნოსვასა და გასუქებას – ნამდვილად სიკვდილს ამჯობინებდა.

– ყოველთვის ასე ფიქრობდი, დევიდ?

– არა, ყოველთვის არა. ხანდახან პირიქით, ვფიქრობდი, რომ სურვილი ტვირთია, რომლის გარეშეც ადამიანი მშვენივრად გაძლებს.

– უნდა გითხრა, – ამბობს ლუსი, – რომ მე სწორედ ამ თვალსაზრისს ვიზიარებ.

ელის, რომ ლუსი გააგრძელებს, მაგრამ ის ჩუმდება.

– ყოველ შემთხვევაში, – ამბობს მერე, – ჩვენს თემას რომ მივუბრუნდეთ, შენ უვნებლად მოგიშორეს. შენს კოლეგებს

შეუძლიათ, თავისუფლად ისუნთქონ, სანამ განტევების ვაცი უდაბნოში დაბორიალობს.

ეს მტკიცებაა? თუ შეკითხვა? სჯერა, რომ ის განტევების ვაცია?

– არ მგონია, „განტევების ვაცი“ საუკეთესო შეფასება იყოს, – ამბობს ის ფრთხილად, – განტევების ვაცს სარგებლობა მაშინ მოჰქონდა, როცა მის უკან იდგა რწმენა. ქალაქის ცოდვებს თხებს აჰკიდებდი, უდაბნოში გარეკავდი და მორჩა – ქალაქი განწმენდილი იყო. ამას შედეგი იმიტომ მოსდევდა, რომ ყველას, ღმერთების ჩათვლით, რიტუალის მნიშვნელობა ესმოდა. შემდეგ ღმერთები დაიხოცნენ და უცებ აღმოჩნდა, რომ ქალაქი თავად უნდა გაგეწმინდა, ღვთიური ძალების დახმარების გარეშე. სიმბოლური ქმედებების ნაცვლად რეალური ქმედება გახდა საჭირო. დაიბადა ცენზორი[26], ამ სიტყვის რომაული გაგებით. დევიზი გახდა ზედამხედველობა: ზედამხედველობა ყველასი ყველაზე. განწმენდა დასუფთავებით შეიცვალა.

თავის სტიქიაშია – ლექციას ატარებს.

– რაც უნდა იყოს, – ასკვნის, – ქალაქს კი გამოვემშვიდობე, მაგრამ უდაბნოში რას ვაკეთებ? ძაღლებს ვმკურნალობ. იმ ქალის მარჯვენა ხელის როლს ვთამაშობ, რომელიც სტერილიზაციითა და ევთანაზიით არის დაკავებული.

ლუსი იცინის.

– ბევი? შენ ფიქრობ, რომ ბევი რეპრესიული აპარატის ნაწილია? ისეთი მოწიწების გრძნობა აქვს შენ მიმართ. შენ ხომ პროფესორი ხარ, მას კი პროფესორი არასოდეს უნახავს.

---

[26] თანამდებობის პირი ძველ რომში, რომელიც თვალყურს ადევნებდა მოქალაქეთა კეთილსაიმედოობას (ლათ).

ეშინია, შენთან საუბრისას გრამატიკული შეცდომები არ დაუშვას.

ბილიკზე მათკენ სამი კაცი მოემართება, უფრო სწორად ორი კაცი და ერთი ბიჭი. სწრაფად მოდიან, მოალაჯებენ, როგორც სოფლელებისთვისაა დამახასიათებელი. ძაღლი, რომელიც ლუსის გვერდით მიდის, ნაბიჯს ანელებს, იჯაგრება.

– სანერვიულოდ გვაქვს საქმე? – ხმადაბლა ეკითხება ლუსის.

– არ ვიცი.

ლუსი დობერმანის სადავეს ამოკლებს. კაცები უახლოვდებიან. თავის დაკვრა, მისალმება და გვერდით ჩაუვლიან.

– ვინ არიან?

– მათთვის თვალიც არასდროს მომიკრავს.

ფერმის საზღვართან მიდიან და უკან ბრუნდებიან. უცხოები აღარ ჩანან.

სახლთან მიახლოებისას საძაღლიდან ძაღლების გააფთრებული ყეფა ესმით. ლუსი ნაბიჯს უჩქარებს.

ის სამეული აქ არის. მათ ელოდებიან. კაცები გვერდზე დგანან, ბიჭი კი საძაღლესთანაა, ძაღლებს მკვეთრი, მუქარის გამომხატველი ჟესტებით აღიზიანებს. ძაღლები იღრინებიან და ყეფენ. ის ძაღლი, ლუსის საბელით რომ უჭირავს, თავის გათავისუფლებას ცდილობს. ძუ ბულდოგიც კი, რომელსაც უკვე თავისად მიიჩნევს, ხმადაბლა იღრინება.

– პეტრას! – იძახის ლუსი, მაგრამ პეტრასი არ ჩანს. – მოშორდით ძაღლებს! – ყვირის. – hamba.

ბიჭი საძაღლეს სცილდება და კომპანიონებს უერთდება. ბრტყელი, უაზრო სახე და ღორისებური თვალები აქვს. ყვავილებიანი პერანგი და ფართხუნა შარვალი აცვია. ყვითელი, ფარფლებიანი ქუდი ახურავს. მისი ორივე კომპანიონი

სამუშაო კომბინეზონშია გამოწყობილი. მაღალი იშვიათი გარეგნობისაა – მაღალი შუბლით, ნაკვეთი ღაწვის ძვლები, ფართო, გამობურცული ნესტოები.

ლუსის მიახლოებისას ძაღლები მშვიდდებიან. ქალი მესამე საძაღლეს აღებს და დობერმანებს შიგნით უშვებს.

„გაბედული საქციელია, – ფიქრობს ის, – მაგრამ ჭკვიანური კია?“

ლუსი კაცებს მიმართავს.

– რა გნებავთ?

ახალგაზრდა უპასუხებს:

– უნდა დავრეკოთ.

– რატომ უნდა დარეკოთ?

– მისი და, – გაურკვევლად იშვერს თითს უკან, – ცუდადაა.

– ცუდადაა?

– ჰო, ძალიან ცუდად.

– რა დაემართა?

– მშობიარობს.

– მისი და მშობიარობს?

– ჰო.

– საიდან ხართ?

– ერაზმუსკრაალიდან.

ის და ლუსი ერთმანეთს გადახედავენ. ერაზმუსკრაალი მიყრუებული სოფელია ტყეში, სადაც არც ელექტრობა აქვთ და არც ტელეფონი. თითქოს სიმართლეს ჰგავს.

– სატყეო სადგურიდან რატომ არ დარეკეთ?

– იქ არავინ არის.

– აქ დაიცადე, – ხმადაბლა ეუბნება ლუსი მას და შემდეგ ბიჭს მიმართავს.

– ვის უნდა დარეკვა?

ის მაღალ, მომხიბლავ კაცზე მიუთითებს.

– შემოდით, – ამბობს, უკანა კარს აღებს და შედის. მაღალი კაცი მიჰყვება. მეორე კაცი მაშინვე გვერდს უვლის მას და ისიც სახლში შედის.

რაღაც ვერ არის კარგად, მაშინვე ხვდება.

– ლუსი, გამოდი! – ეძახის. წამიერად მერყეობს, ისიც შეჰყვეს თუ დარჩეს და ბიჭს ადევნოს თვალი.

სახლიდან ჩამიჩუმი არ ისმის.

– ლუსი! – ისევ ეძახის და ის-ისაა, სახლში უნდა შევიდეს, რომ საკეტი გაიჩხაკუნებს და კარი იკეტება.

– პეტრას! – იძახის, რაც შეუძლია ხმამაღლა.

ბიჭი შებრუნდება და წინა კარისკენ გარბის. ის ძაღლს აუშვებს.

– დაიჭირე! – ყვირის. ძაღლი მძიმედ, ჩორთით მისდევს.

თვითონაც გარბის და სახლის წინ ეწევა მათ. ბიჭი მიწიდან სარს იღებს და ცდილობს, ძაღლი ახლოს არ მიუშვას.

– შუ... შუ... შუ!.. – ქშინავს და ჯოხს იქნევს. ძაღლი ხმადაბლა იღრინება და ბიჭს ხან მარჯვნიდან, ხან მარცხნიდან უვლის.

მათ თავს ანებებს და სამზარეულოს კარისკენ გარბის. ქვედა საგდული სუსტადაა დამაგრებული და რამდენიმე ძლიერი ბიძგის შემდეგ იღება. ოთხზე დგება და სამზარეულოში ფორთხვით შედის.

საფეთქელში ძლიერად ურტყამენ. ასწრებს გაიფიქროს: „რადგან გონება არ დამიკარგავს, ე. ი. ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ“, მაგრამ ამ დროს ხელები და ფეხები ერთმევა და ძირს ეცემა.

გრძნობს, რომ სამზარეულოს იატაკზე მიათრევენ. შემდეგ გონებას კარგავს.

პირქვე წევს ცივ ფილებზე. ცდილობს, ადგეს, მაგრამ ფეხები არ ემორჩილება. ისევ თვალებს ხუჭავს.

ტუალეტშია, ლუსის სახლის ტუალეტში. თავბრუდახვეული ფეხზე დგება. კარი ჩაკეტილია, გასაღები არ ჩანს.

უნიტაზზე ჯდება, ცდილობს, ძალა მოიკრიბოს. სახლში სიჩუმეს დაუსადგურებია. ძაღლები ყეფენ, მაგრამ ეჩვენება, რომ უფრო მოვალეობის მოხდის მიზნით, ვიდრე გაშმაგებით.

– ლუსი... – ხავის.

მერე უფრო ხმამაღლა:

– ლუსი!

ცდილობს, კარი წიხლით გააღოს, მაგრამ ძალა არ მოსდევს, ადგილიც ძალიან ვიწროა, კარი კი – ძველი და მაგარი.

აი, ეს დღეც დადგა, განსაცდელის დღე. გაფრთხილების, დაფდაფების გარეშე მოსულა და მასაც ჯანდარაში გამოვლა მოუწევს. გული ისე უბაგუნებს, თითქოს მანაც, უენომ, იცის, რაც ხდება. როგორ დაუხვდებიან განსაცდელს ისინი – ის და მისი გული?

მისი შვილი უცხოების ხელშია. ერთ წუთში, ერთ საათში, უკვე გვიან იქნება. რაც ახლა მის თავს ხდება, ქვაზე ამოიკვეთება, წარსულის კუთვნილება გახდება. მაგრამ ახლა ჯერ გვიან არ არის. ახლა რაღაც უნდა მოიმოქმედოს.

დაძაბული აყურადებს, სახლიდან არაფერი ისმის. მისი შვილი რომ ეძახდეს, თუნდაც უსიტყვოდ, ის, რა თქმა უნდა, გაიგონებდა.

კარზე აბრახუნებს.

– ლუსი! – ყვირის. – ლუსი, ხმა გამეცი!

კარი იღება და ის წაბარბაცდება. მის წინ მეორე კაცი დგას, დაბალი. ცარიელი ლიტრიანი ბოთლი ყელით უჭირავს.

– გასაღები, – ამბობს კაცი.

– არა.

კაცი ძლიერად უბიძგებს. ის წაიფორხილებს და მძიმედ ეშვება უნიტაზზე. კაცი ბოთლს თავს ზემოთ სწევს. მშვიდი სახე აქვს. სიბრაზის ნატამალი არ ეტყობა. თავის საქმეს აკეთებს: უნდა, რომ რაღაც მისცენ. თუ ამისთვის თავში ბოთლის ჩარტყმაა საჭირო, ჩაარტყამს, რამდენჯერაც საჭიროა, იმდენჯერ ჩაარტყამს, თუ საჭიროა, ბოთლსაც გატეხს.

– აიღე, – ეუბნება, – ყველაფერი აიღე, ოღონდ ჩემს შვილს თავი დაანებეთ.

კაცი უსიტყვოდ ართმევს გასაღებს, გადის და კარს კეტავს.

ცახცახებს. სახიფათო სამეული. რატომ დროზე ვერ მიხვდა! მაგრამ მათ ჯერ მისთვის არაფერი დაუშავებიათ, ჯერ არა. შეიძლება სახლში რაც არის, იმით დაკმაყოფილდნენ. იქნებ ლუსისაც არაფერი ავნონ?

სახლის უკნიდან ხმები ისმის. ძაღლები უფრო ხმამაღლა, აღგზნებულნი ყეფენ. ის უნიტაზზე ადის და ფანჯრის გისოსებიდან იყურება.

მეორე კაცი ლუსის თოფით და რაღაცით სავსე ნაგვის ტომრით კუთხეში თვალს ეფარება. მანქანის კარი იხურება. ხმაზე ცნობს, მისი მანქანაა. კაცი ხელცარიელი ბრუნდება. წამიერად მათი თვალები ერთმანეთს ხვდება.

– გაუმარჯოს! – ამბობს კაცი, პირქუშად იღიმება და რაღაც გაუგებარ სიტყვებს იძახის. ხმამაღალი სიცილი ისმის. ცოტა ხნის შემდეგ კაცთან ბიჭი მიდის და ისინი ფანჯრის ქვემოთ დგანან, თავიანთ ტყვეს აკვირდებიან და მსჯელობენ, რა უყონ.

მან იცის იტალიური, ფრანგული, მაგრამ იტალიური და ფრანგული აქ, აფრიკის ყველაზე მიყრუებულ კუთხეში, ვერ უშველის. ის უმწეოა – დეიდა სალი, მულტფილმის პერსონაჟი,

ანაფორიანი მისიონერი, გულხელდაკრეფილი, ზეაპყრობილი თვალებით ელის, როდის ჩააგდებენ ადუღებული წყლით სავსე ქვაბში ველურები, რომლებიც ერთმანეთს აუჩქარებლად ელაპარაკებიან თავიანთ აბდაუბდა ენაზე. მისიონერთა მოღვაწეობა – რა შედეგი მოჰყვა სულიერი განათლების ამ მასშტაბურ მცდელობას? ყოველ შემთხვევაში, თვითონ ამ შედეგს ვერ ხედავს.

სახლის წინა მხრიდან მაღალი კაცი გამოდის, თოფით ხელში. იმ ადამიანის ძალდაუტანებლობით, რომელიც მისთვის ჩვეულ საქმეს აკეთებს, ვაზნას თოფში დებს და ლულას ძაღლების გალიაში ჰყოფს. ყველაზე დიდი გერმანული ნაგაზი მძვინვარებისგან დუჟმორეული ლულას კბილებით ეჭიდება. თოფი იჭექებს. სისხლი და ტვინი მიმოინთხევა გალიაში. წამიერად ყეფა წყდება. მაღალი კიდევ ორჯერ ისვრის. ერთერთი ძაღლი, რომელსაც ტყვია მკერდში მოხვდა, მაშინვე კვდება. მეორე, ყელზე პირღია ჭრილობით, მძიმედ ჯდება, ყურები ჩამოუყრია, მზერას აყოლებს იმ არსებების მოძრაობას, რომლებმაც იმითაც კი არ შეიწუხეს თავი, რომ მისთვის coup de grâce[27] მიეყენებინათ.

სიჩუმე ისადგურებს. დანარჩენი სამი ძაღლი, რომელთაც დასამალი არსად აქვთ, გალიის შორეულ კუთხეში მიყუჟული წკმუტუნებს. მაღალი მათაც აუჩქარებლად ხოცავს.

ნაბიჯების ხმა კორიდორში და ტუალეტის კარი ისევ იღება. მის წინ მეორე თავდამსხმელი დგას. უკან ბიჭი მოჩანს, ყვავილებიანი პერანგით. პატარა ქილიდან ნაყინს მიირთმევს. ის ცდილობს, კაცს გვერდი აუაროს, მაგრამ მძიმედ ეცემა. სარმა, ალბათ, ფეხბურთის თამაშის დროს ნასწავლი.

---

[27] საბოლოო დარტყმა (ფრ.).

ძირს გაშხლართულს მთელ ტანზე რაღაც სითხეს ასხამენ. თვალები ეწვის. ცდილობს, მოიწმინდოს. სუნით ხვდება – დენატურატია. ფეხზე წამოდგომას აპირებს, მაგრამ ხელს ჰკრავენ და ისევ ტუალეტში აბრუნებენ. ასანთის გაჩხაკუნება და ის ცივ, ლურჯ ალში ეხვევა.

თურმე ცდებოდა. ვერც ის, ვერც მისი ქალიშვილი ამას თავს ადვილად ვერ დააღწევენ. შეიძლება დაიწვას, მოკვდეს. და თუკი ის მოკვდება, ხომ შეიძლება ლუსიც მოკვდეს, თანაც ჯერ ლუსი!

სახეზე ხელისგულებს შეშლილივით იცემს. მის ალმოდებულ თმას ტკაცატკუცი გააქვს. ტუალეტის კედელს ეხლება უაზრო ბღავილით, რომელშიც სიტყვები არ არის, მხოლოდ ძრწოლაა. ისევ ცდილობს, ადგეს და ისევ ძირს აგდებენ. წამიერად მზერა ეწმინდება და თავისი სახიდან ერთ დუიმის მოშორებით ლურჯ შარვალსა და ფეხსაცმელს ხედავს. ფეხსაცმლის წვერი ზემოთაა აშვერილი, ძირზე კი რამდენიმე ბალახის ღერი მიჰკვრია.

მისი ხელის ზურგზე უხმოდ ცეკვავს ალი. გაჭირვებით დგება მუხლებზე და ხელს უნიტაზში ჰყოფს. მის უკან კარი იხურება და გასაღების გადატრიალების ხმა ისმის.

უნიტაზზე დახრილი სახეზე წყალს ისხამს, თავს შიგ ჰყოფს. შეტრუსული თმის საზიზღარი სუნი დგება. ტანსაცმელზე შერჩენილ ალს იქრობს.

დაჭმუჭნილ სველ ქაღალდს სახეზე ისვამს. თვალები ეწვის, ცალი უკვე ეხუჭება. თავზე ხელს ისვამს. თითის წვერები ჭვარტლისგან უშავდება. ერთი-ერთ ყურს ზემოთ ბღუჯა თმის გარდა, ეტყობა, თმა აღარ შერჩა. თავის ქალა დარბილებული აქვს, სტკივა. ყველაფერი დარბილებული აქვს, ყველაფერი დამწვარი. ყველაფერი იწვოდა და დაიწვა.

– ლუსი! – იძახის. – სად ხარ?

თვალწინ სურათი წარმოუდგება: ლუსი ორ ლურჯკომბინეზონიან მამაკაცს ებრძვის, იგერიებს.

იკრუნჩხება, ცდილობს, ხილვა მოიშოროს.

მისი მანქანის ძრავა ირთვება და ბორბლებქვეშ ხრეშის ხრაშუნი ისმის. ნუთუ დამთავრდა? დაუჯერებელია. მიდიან?

– ლუსი! – ისევ და ისევ ეძახის, სანამ თავის ხმაში შეშლილობის ნოტებს არ ამჩნევს.

ბოლოს, როგორც იქნა, ეს დალოცვილი გასაღები საკეტში ტრიალდება. კარს აღებს. ლუსი ზურგით დგას. ხალათი აცვია, ფეხშიშველაა, თმა სველი აქვს.

მის უკან, სამზარეულოსკენ, მილასლასებს. მაცივრის კარი ღიაა და პროდუქტი იატაკზეა მიმოფანტული. ლუსი უკანა კართან ირინდება და საძაღლეში მომხდარი ხოცვა-ჟლეტის შედეგს შეჰყურებს.

– ჩემი საწყალი ძაღლები, ჩემი საწყალი ძაღლები... – ესმის მისი ჩურჩული.

ლუსი პირველ გალიას აღებს და შედის. ყელში დაჭრილი ძაღლი ჯერ კიდევ სუნთქავს. მისკენ იხრება და ელაპარაკება. ძაღლი სუსტად იქნევს კუდს.

– ლუსი, – ისევ ეძახის.

ლუსი პირველად შეხედავს. სახე კიდევ უფრო ეღუშება.

– ღმერთო, რა უქნიათ, – ამბობს.

– შვილო... შვილო... – გალიაში შედის და ცდილობს, მოეხვიოს. ლუსი თავს ითავისუფლებს, ფრთხილად, მაგრამ მტკიცედ.

სასტუმრო ოთახი არეულ-დარეულია. მისი ოთახიც. რაღაც ნივთები წაუღიათ: მისი ქურთუკი, კარგი ფეხსაცმელი, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია.

სარკეში საკუთარ თავს ათვალიერებს. წაბლისფერი ფერფლი, რაც მისი თმისგან დარჩენილა, სკალპს და შუბლს უფარავს. სკალპის ქვემოთ ავარვარებული წითელი კანია. კანს თითებით ეხება. სტკივა. უკვე სისხლიც იწყებს წვეთას. ერთი ქუთუთო გასივებული აქვს და თვალს უფარავს. წარბები აღარ აქვს, აღარც წამწამები.

სააბაზანოსკენ მიდის, მაგრამ კარი ჩაკეტილი ხვდება.

– არ შემოხვიდე! – ისმის ლუსის ხმა.

– როგორა ხარ? დაჭრილი ხომ არ ხარ?

სულელური შეკითხვაა. ლუსი არ უპასუხებს.

ცდილობს, სამზარეულოს ნიჟარაში ფერფლი ჩამოიბანოს. რამდენიმე ჭიქა წყალს ივლებს თავზე. წყალი ზურგში ელვრება. სიცივისაგან ჟრჟოლა იტანს.

„ასეთი რამ ხდება ყოველდღე, ყოველ საათს, ყოველ წუთს, – ეუბნება ის თავის თავს, – ქვეყნის ყოველ კუთხეში. ჩათვალე, რომ გაგიმართლა, რადგან ცოცხალი გადარჩი, რომ მძევლად არ აგიყვანეს და ახლა მანქანით სადღაც, გაურკვეველი მიმართულებით არ მიგაქროლებენ, ან სადღაც ხეობის ძირში არ აგდიხარ შუბლში ტყვიაჩაჭედებული. ჩათვალე, რომ ლუსისაც გაუმართლა. ლუსის პირველ რიგში...“ რაიმეს ქონის რისკი: მანქანის, ფეხსაცმლის, ერთი კოლოფი სიგარეტის. ყველაფერი არასაკმარისია – მანქანები, ფეხსაცმელი, სიგარეტი. ხალხი ძალიან ბევრია, ნივთები – ძალიან ცოტა. ყველაფერი, რაც არის, მიმოქცევაში უნდა იყოს, რომ ყველას მიეცეს ბედნიერების შანსი, თუნდაც ერთი დღით. „ეს თეორიაა. ჩაეჭიდე ამ თეორიას და იმ ნუგეშს, რაც მას მოაქვს. არა ადამიანში ფესვგადგმული ბოროტება, არამედ მხოლოდ უზარმაზარი წრებრუნვის სისტემა, რომლის ფუნქციონირებას არავითარი კავშირი არა აქვს სიბრალულსა და

შიშთან. ასე უნდა შეხედო ცხოვრებას ამ ქვეყანაში, დაახლოებით ასეთი სქემატური ასპექტით. სხვანაირად შეიძლება გაგიჟდე. მანქანები, ფეხსაცმელები, ქალებიც კი. ამ სისტემაში რაღაც ნიშა უნდა იყოს ქალებისათვის და იმისათვის, რაც მათ თავს ხდება."

ლუსი უკნიდან უახლოვდება. ახლა განიერი შარვალი და საწვიმარი აცვია. თმა უკან აქვს გადავარცხნილი. სუფთა სახე აქვს, სრულიად არაფრის მთქმელი. თვალებში ჩახედავს.

– ძვირფასო, ჩემო ძვირფასო! – ეუბნება და მოულოდნელად მოწოლილი ცრემლები ახრჩობს. ლუსი ოდნავაც არ ცდილობს მის დამშვიდებას.

– თავი საშინელ მდგომარეობაში გაქვს, – ეუბნება ის, – სააბაზანოს კარადაში ბავშვის კრემია. წაისვი. შენი მანქანა გაიტაცეს?

– ჰო... მგონი, პორტ ელიზაბეტის მიმართულებით წავიდნენ. პოლიციაში უნდა დავრეკო.

– ვერ დარეკავ. ტელეფონი დამტვრეულია.

ლუსი გადის. ის საწოლზე ზის და იცდის. მიუხედავად იმისა, რომ საბანი შემოიხვია, მაინც კანკალებს. ერთი მაჯა გასივებული აქვს და მტკივნეულად უფეთქავს. ვერც იხსენებს, როგორ იტკინა. უკვე ღამდება. დღის მეორე ნახევარმა თითქოს ერთ წამში გაიარა.

ლუსი ბრუნდება.

– კომბის საბურავები დაუშვიათ, – ამბობს, – ეტინგერთან წავალ. დიდი დრო არ დამჭირდება, – პაუზას აკეთებს, – დევიდ, როცა რამეს გკითხავენ, მხოლოდ შენ შესახებ მოყევი. იმაზე, რაც შენ შეგემთხვა, კარგი?

ის ვერ ხვდება.

– შენ მოყევი, რაც შენ შეგემთხვა, მე კი ჩემს ამბავს ვიტყვი, – უმეორებს.

– შეცდომას უშვებ, – ამბობს ის ხმით, რომელიც უეცრად ხავილში გადადის.

– არა, – ამბობს ლუსი.

– შვილო, ჩემო შვილო, – ამბობს და ხელებს მისკენ იწვდის. რადგან ლუსი არ იძვრის, ის საბანს იშორებს, დგება და ქალიშვილს ეხვევა. მის მკლავებში მოქცეული ლუსი ბოძივით გაშეშებული დგას.

თავი 12

ეტინგერი კუშტი მოხუცებული კაცია, რომელიც ინგლისურად შესამჩნევი გერმანული აქცენტით ლაპარაკობს. მისი ცოლი გარდაიცვალა, შვილები გერმანიაში დაბრუნდნენ და აფრიკაში მხოლოდ ის დარჩა. მოხუცი მის გვერდით მჯდომ ლუსისთან ერთად პატარა პიკაპით მოდის, ძრავას ჩართულს ტოვებს და იცდის.

– ჰო, სადაც უნდა წავიდე, ჩემს „ბერეტას“ არ ვიშორებ, – შენიშნავს ის, როცა გრეიამსთაუნის გზაზე გადიან და თეძოზე ჩამოკიდებულ რევოლვერის ბუდეს ხელს უთათუნებს, – ყველაფერს ჯობია, თვითონ დაიცვა საკუთარი თავი, რადგან პოლიცია შენს დაცვას არ აპირებს. ჩვენს დროში ამაში შეგიძლია დარწმუნებული იყო.

მართალს ამბობს ეტინგერი? იარაღი რომ ჰქონოდა, შეძლებდა ლუსის გადარჩენას? საეჭვოა. იარაღი რომ ჰქონოდა, ის ახლა მკვდარი იქნებოდა – ისიც და ლუსიც. ორივე.

ამჩნევს, რომ ხელები უცახცახებს. ლუსის ხელები გულზე დაუკრეფია. იმიტომ, რომ მასაც ხელები უცახცახებს?

ელოდა, რომ ეტინგერი პოლიციის განყოფილებაში წაიყვანდათ, მაგრამ ლუსის მისთვის საავადმყოფოში წაყვანა უთხოვია.

– ჩემ გამო თუ შენ გამო?

– შენ გამო.

– პოლიცია ჩემთან საუბარს არ მოინდომებს?

– ისეთი არაფერია, რისი თქმაც შენ შეგიძლია და მე – არა, – უპასუხებს ის, – თუ არის?

საავადმყოფოში ლუსი მიემართება ოთახისკენ, რომელსაც აწერია „უბედური შემთხვევები“, მის ნაცვლად ავსებს ფორმას და მისაღებში შეჰყავს. ძალად, მიზანსწრაფულობად არის ქცეული, კაცი კი ერთიანად ცახცახებს.

– თუკი გამოგიშვებენ, აქ დამელოდე, – ეუბნება ლუსი, – დავბრუნდები და წაგიყვან.

– და შენ?

ლუსი მხრებს იჩეჩს. შეიძლება ცახცახებს კიდეც, მაგრამ არაფერი ეტყობა.

ორ ზორბა გოგონას, ეტყობა, დებსა (ერთ-ერთ მათგანს ატირებული ბავშვი უჭირავს ხელში) და მამაკაცს შორის ჯდება, რომელსაც ხელი სისხლით გაჟღენთილი სახვევით აქვს შეხვეული. რიგში მეთორმეტეა. კედლის საათი 5.45-ს უჩვენებს. ჯანმრთელ თვალს ხუჭავს და ბურანში მიდის. დების ჩურჩული ისევ ჩაესმის, chuchotantes[28]. როცა თვალს ახელს, საათი ისევ 5.45-ს უჩვენებს. გაფუჭებულია? არა: საათის ისარი შეტოკდება და 5.46-ზე ჩერდება.

ორი საათის ლოდინის შემდეგ ექთანი ეძახის და იქაც მოცდა უწევს, სანამ ერთადერთი მორიგე ექიმი, ახალგაზრდა ინდიელი ქალი, მის გასასინჯად მოიცლის.

---

[28] მოჩურჩულეები (ფრ.).

– თავზე დამწვრობა სერიოზული არ არის, – ამბობს ექიმი, – მაგრამ ინფექციის შეჭრას უნდა ერიდოთ.

თვალს მეტი დრო სჭირდება. ქვედა და ზედა ქუთუთოები შეწებებულია და მათი დაშორება ძალიან მტკივნეულია.

– გაგიმართლათ, – ამბობს გასინჯვის შემდეგ, – თვალი დაზიანებული არ არის. ბენზინი რომ გადაესხათ, საქმე უფრო რთულად იქნებოდა.

თავშეხვეული გამოდის. თვალი აკრული აქვს, მაჯაზე ყინულიანი პარკი ადევს. თავისდა გასაკვირად, მოსაცდელში ბილ შოუ ხვდება. ბილი, რომელიც მასზე ერთი თავით დაბალია, მხრებზე ხვევს ხელს.

– საშინელებაა, მართლა საშინელება, – ამბობს ის, – ლუსი ჩვენთან დარჩება. თქვენს წასაყვანად აპირებდა მოსვლას, მაგრამ ბევმა არ გამოუშვა. როგორ ხართ?

– არა მიშავს, სერიოზული არაფერია, მსუბუქი დამწვრობაა. ვწუხვარ, რომ აგაფორიაქეთ.

– რა სისულელეა! აბა, სხვა რაღაა მეგობრობა. თქვენც სწორედ ასე მოიქცეოდით.

ყოველგვარი ირონიის გარეშე ნათქვამი ეს სიტყვები ცნობიერებაში ებეჭდება და არ შორდება. ბილ შოუს სჯერა, რომ თუკი მას, ბილ შოუს, თავში რაღაცას ჩაარტყამენ და ცეცხლს წაუკიდებენ, ის, დევიდ ლური, მანქანით მიაკითხავს საავადმყოფოში და დაელოდება (გაზეთიც კი არ ექნება წასაკითხად), რომ სახლში წაიყვანოს. ბილ შოუ დარწმუნებულია, რომ რადგან მან და დევიდ ლურიმ ერთხელ ჩაი დალიეს ერთად, დევიდ ლური მისი მეგობარია და მათ ერთმანეთის მიმართ რაღაც ვალდებულებები აკისრიათ. მართალია თუ არა ბილ შოუ? ნუთუ ბილს, რომელიც აქედან ორასიოდე კილომეტრში – ჰანკშია დაბადებული და კავეულის მაღაზი-

აში მუშაობს, ისე ცოტა უნახავს ამქვეყნად, რომ არც კი გაუგია ისეთი ადამიანების არსებობის შესახებ, დიდი ხალისით რომ არ უმეგობრდებიან ვინმეს; რომელთა დამოკიდებულება მამაკაცთა მეგობრობისადმი სკეპტიციზმითაა გაჟღენთილი. თანამედროვე ინგლისური სიტყვა „friend" – მეგობარი მოდის ძველინგლისური „freond"-დან, ის კი, თავის მხრივ, „freon"-იდან – სიყვარული. ესე იგი, ბილის აზრით, ჩაის ერთად დალევა ადამიანებს სიყვარულის ძაფებით აკავშირებს? კი, მაგრამ რომ არა ბილ და ბევ შოუები, რომ არა მოხუცი ეტინგერი, რომ არა ეს რაღაც ძაფები, სად იქნებოდა ახლა? – დანგრეულ ფერმაში, მკვდარ ძაღლებთან. დამტვრეული ტელეფონის ამარა.

– საშინელებაა, – ამბობს ისევ ბილ შოუ მანქანაში, – საზიზღრობაა. გაზეთში რომ კითხულობ, მაშინაც ცუდია, მაგრამ როცა ნაცნობ ადამიანს შეემთხვევა, – ის თავს აქნევს, – მაშინ უფრო აცნობიერებ. თითქოს ისევ ომში ვიყოთ.

ის თავს არ იწუხებს, რომ უპასუხოს. დღე ჯერ ისევ ცოცხალია. „ომი," „საზიზღარი" – თითოეული სიტყვა, რომელშიც ცდილობ, ეს დღე შეფუთო, მის შავ ხახაში უჩინარდება.

ბევ შოუ მათ კართან ეგებება.

– ლუსიმ დამამშვიდებელი მიიღო, – აცხადებს, – წევს. ჯობია, ახლა არ შევაწუხოთ.

– პოლიციაში იყო?

– დიახ, თქვენს მანქანაზე ძებნაა გამოცხადებული.

– ექიმმა გასინჯა?

– რაც საჭირო იყო, ყველაფერი გააკეთა. და თქვენ როგორა ხართ? ლუსი ამბობს, ძალიან დამწვარიაო.

– დამწვარი ვარ, მაგრამ არც ისე ძალიან, როგორც ვჩანვარ.

– მაშინ ივახშმეთ და დაისვენეთ.

– არ მშია.

ბევი დიდ, ძველებურ თუჯის აბაზანას უვსებს. ფერმკრთალი ტანით იშხლართება წყალში, ორთქლი რომ ასდის და ცდილობს, მოდუნდეს. მაგრამ ამოსვლისას ფეხი უსრიალდება და ლამის არის, დაეცეს. ძალიან სუსტადაა, თავბრუსხვევასაც გრძნობს. ბილ შოუსთვის დაძახება უწევს და სტანჯავს დამამცირებელი გრძნობა, რომ იძულებულია, თავი აბაზანიდან ამოაყვანინოს, გაამშრალებინოს, ნათხოვარი პიჟამა ჩააცმევინოს. მოგვიანებით ესმის ბილის და ბევის საუბარი და იცის, რომ მასზე ლაპარაკობენ. საავადმყოფოდან გამოატანეს ტკივილგამაყუჩებლის ტუბი, სახვევი მასალა და ალუმინის პატარა საბჯენი თავის მისაყრდნობად. ბევ შოუ ლოგინს უშლის დივანზე, რომელსაც კატების სუნი ასდის. ძალიან სწრაფად იძინებს. შუაღამეზე სავსებით ნათელი გონებით ეღვიძება. ხილვა ჰქონდა. ლუსი გამოეცხადა. მისი სიტყვები: „მოდი ჩემთან, მიხსენი“ – ისევ ექოდ ჩაესმის. ხილვაში ლუსი მისკენ ხელებგაწვდილი, უკან გადავარცხნილი სველი თმითა და თეთრი შუქით გარშემორტყმული იდგა.

დგება, სკამს ედება და აყირავებს. სინათლე ინთება და მის წინ ბევ შოუ დგას ღამის პერანგით.

– ლუსის უნდა ველაპარაკო, – ბუტბუტებს.

პირი გამშრალი აქვს, ენა – გასივებული.

ლუსის ოთახის კარი იღება. სულაც არ ჰგავს იმ ლუსის, მან რომ იხილა. სახე ძილისაგან შეშუპებია. ქამარს იკრავს ხალათზე, რომელსაც აშკარად ეტყობა, რომ მისი არ არის.

– ვწუხვარ, რაღაც დამესიზმრა, – სიტყვა „ხილვა“ მოულოდნელად მეტისმეტად ძველმოდური, მეტისმეტად ყალბი ხდება, – მომეჩვენა, რომ მეძახდი, – ამბობს.

ლუსი თავს აქნევს.

– არა, არ გეძახდი. დაწექი.

ის, რა თქმა უნდა, მართალია. ღამის სამი საათია. თავისდა უნებურად ამჩნევს, რომ დღეს, უკვე მეორედ, მისი ქალიშვილი მას, როგორც ბავშვს, ისე ელაპარაკება. როგორც ბავშვს თუ მოხუცს.

ცდილობს, ისევ დაიძინოს, მაგრამ ვერ ახერხებს. „აბების ბრალი იქნება, – ეუბნება საკუთარ თავს, – ეს ხილვა არ იყო, უფრო მეტიც, სიზმარიც კი არ ყოფილა. ქიმიური ჰალუცინაცია იყო.“ და მაინც, თეთრი შუქით გარემოცული ქალი ისევ თვალწინ უდგას. „მიხსენი!“ – ყვირის მისი ქალიშვილი. მისი ხმა მკაფიო, ჟღერადი, მომთხოვნია. შესაძლებელია, ლუსის სულმა დატოვა მისი სხეული და მასთან მივიდა? შესაძლებელია თუ არა, რომ ადამიანებს, რომელთაც სულის არსებობა არ სწამთ, მაინც ჰქონდეთ ის, და რომ მათი სული დამოუკიდებლად ცხოვრობდეს?

განთიადამდე კიდევ რამდენიმე საათია დარჩენილი. მაჯა სტკივა, თვალები ეწვის, თავის კანი გაღიზიანებულია და მტკივნეულად მგრძნობიარე. მაგიდის ნათურას ანთებს და ფრთხილად დგება. საბანში გახვეული ლუსის კარს ხელისკვრით აღებს და შედის. საწოლთან მდგარ სკამზე ჯდება. გრძნობს, რომ მასაც არ სძინავს.

რას აკეთებს? თავის პატარა გოგონას უყურებს. იცავს მას სიავისგან, ბოროტ სულებს დევნის. გარკვეული დროის შემდეგ გრძნობს, რომ ლუსი დუნდება, ბაგეების დაშორებისას ბუშტი ნაზად სკდება. ძლივს გასაგონად ხვრინავს.

დილაა. ბევ შოუს საუზმედ სიმინდის ბურბუშელა და ჩაი შემოაქვს და ლუსის ოთახში უჩინარდება.

– როგორ არის? – ეკითხება, როცა ის უკან ბრუნდება.

პასუხად ბევი თავს ოდნავ აქნევს, თითქოს ეუბნება: „შენი საქმე არ არის. მენსტრუაცია, მშობიარობა, გაუპატიურება და სისხლთან დაკავშირებული სხვა ამბები ქალის ტვირთია, ქალის საიდუმლო.“

პირველად არ მოსდის თავში კითხვა: ქალები უფრო ბედნიერები ხომ არ იქნებოდნენ, ქალთა კომუნებში რომ ცხოვრობდნენ და კაცებს მხოლოდ მაშინ იღებდნენ, როცა მოისურვებენ? შეიძლება მართალი არ არის, ლუსის რომ ლესბოსელად თვლის. შეიძლება ის, უბრალოდ, ქალების საზოგადოებას ამჯობინებს. ან იქნებ ლესბოსელები სწორედ ასეთები არიან: ქალები, რომელთაც კაცები არ სჭირდებათ.

გასაკვირი არ არის, რომ ისინი – ლუსი და ჰელენი – ასე აგრესიულად არიან განწყობილი გაუპატიურების მიმართ. გაუპატიურება – ქაოსის და აღრევის ღმერთი, განმარტოების შემბილწველი. ლესბოსელის გაუპატიურება უარესია, ვიდრე ქალიშვილის: უფრო მგრძნობიარე დარტყმაა. ნუთუ მათ იცოდნენ, რას აკეთებდნენ? ნუთუ ლუსის ლესბოსელობაზე მითქმა-მოთქმა იყო?

ცხრა საათზე, ბილ შოუს სამსახურში წასვლის შემდეგ, ლუსის კარზე აკაკუნებს. ის სახით კედლისკენ წევს. გვერდით უჯდება, ხელით ლოყაზე ეხება. ლოყა ცრემლებით აქვს სველი.

– ასეთ რამეებზე ლაპარაკი ადვილი არ არის, – ამბობს, – მაგრამ ექიმთან იყავი?

ლუსი ჯდება და ცხვირს იხოცავს.

– გუშინ საღამოს თერაპევტთან ვიყავი.

– და ის კაცი ყველა შესაძლო შედეგზე იზრუნებს?

– არა, – ხმაში ახლა სიბრაზის ნოტები ჟღერს, – ჯერ ერ-

თი, ქალია და არა კაცი. თანაც როგორ შეუძლია ექიმს, ყველა მოსალოდნელ შედეგზე იზრუნოს? რამე ჭკვიანური თქვი.

კაცი დგება. თუ გაბრაზებაზე მიდგება საქმე, მასაც შეუძლია, გაბრაზდეს.

– მაპატიე, რომ გკითხე, – ამბობს, – დღეისთვის რა გეგმები გვაქვს?

– გეგმები? ფერმაში წავალთ და დავასუფთავებთ.

– და მერე?

– მერე ვიცხოვრებთ, როგორც ვცხოვრობდით.

– ფერმაში?

– რა თქმა უნდა, ფერმაში.

– ჭკუას მოუხმე, ლუსი. ყველაფერი შეიცვალა. ჩვენ ველარ შევძლებთ იმ ადგილიდან გაგრძელებას, სადაც დაგვტოვეს.

– რატომ ვერ შევძლებთ?

– იმიტომ, რომ ეს აბსურდული იდეაა. იმიტომ, რომ იქ ყოფნა უსაფრთხო არ არის.

– იქაურობა უსაფრთხო არასოდეს იყო. და ეს, აბსურდულია თუ ჭკვიანური, იდეა არ არის, იქ იდეისთვის არ მივდივარ. უბრალოდ, უკან ვბრუნდები.

ნათხოვარი ღამის პერანგით საწოლზე მჯდომი ლუსი ეწინააღმდეგება, ყელი დაჭიმული აქვს, თვალები უელავს. ის მამიკოს პატარა გოგო აღარ არის.

თავი 13

წასვლამდე სახვევის გამოცვლა უწევს. ვიწრო, პატარა საბაზანოში ბევ შოუ სახვევს ხსნის. ქუთუთო თვალს ისევ უფარავს, თავზე ბებერები გამოსვლია, თუმცა შეიძლებოდა, ყველაფერი უარესადაც ყოფილიყო. ყველაზე მეტად მარჯვენა ყურის ნაწიბური სტკივა. როგორც ახალგაზრდა ექიმმა თქვა, ეს მისი სხეულის ერთადერთი ნაწილია, რომელიც მართლა დაიწვა.

ბევი სტერილური ხსნარით წმენდს გარეთ გამოსულ ვარდისფერ კანქვეშა ქსოვილს, შემდეგ პინცეტით ადებს მასზე ყვითელ, ზეთოვან სახვევს. ნაზად უსვამს ზეთს ქუთუთოს ნაკეცებსა და ყურზე. აგონდება კლინიკა, თხა და ფიქრობს, ნეტავ ისიც, მის ხელებს მინდობილი, ასეთ სიმშვიდეს თუ გრძნობდაო.

– სულ ეს არის, – ამბობს ბევი ბოლოს და წელში იმართება.

სარკეში საკუთარ თავს ათვალიერებს – კოხტა თეთრი ქუდი, დაბინტული თვალი.

– ყველაფერი რიგზეა, – ამბობს და ფიქრობს: „ნამდვილი მუმია ვარ.“

ისევ ცდილობს, გაუპატიურებაზე ჩამოაგდოს სიტყვა.

– ლუსიმ მითხრა, რომ გუშინ საღამოს თერაპევტს გაესინჯა.

– ჰო.

– დაფეხმძიმების საფრთხე არსებობს, – აუჩქარებლად აგრძელებს, – ვენერიული დაავადების, შიდსის. არ ჯობია, გინეკოლოგიც ნახოს?

ბევ შოუ უხერხულად იშმუშნება.

– თვითონ ლუსის უნდა უთხრათ.

– ვუთხარი, მაგრამ ვერ გავიგე, რას ფიქრობს.

– კიდევ უთხარით.

თორმეტი საათი დაიწყო და ლუსი ისევ არ ჩანს.

უმიზნოდ დახეტიალობს ბაღში. მძიმე განწყობილება ეუფლება. საქმე მარტო ის არ არის, რომ არ იცის, თავს რა მოუხერხოს. გუშინდელმა დღემ სულის სიღრმემდე შეძრა. ცახცახი და სისუსტე მხოლოდ პირველი, გარეგნული გამოვლინებებია. ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს მის შიგნით რაღაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანო, შესაძლოა, გულიც კი, დაზიანდა, დაიკოდა. პირველად გრძნობს, რას ნიშნავს, იყო მოხუცი კაცი, ქანცგაწყვეტილი, უიმედო, უსურვილო, მომავლისადმი გულგრილი. ქათმის ბუმბულისა და დამპალი ვაშლის მყრალ სუნში, პლასტმასის სკამზე მოკაკული, გრძნობს, ცხოვრებისადმი ინტერესი წვეთ-წვეთობით როგორ გაედინება მისგან. შეიძლება ამას კვირები დასჭირდეს, შეიძლება – თვეებიც, სანამ მთლად დაიშრიტება, მაგრამ წვეთები არ წყდება. როცა ყველაფერი დასრულდება, ის აბლაბუდაში ჩარჩენილ გამხმარ ბუზს დაემსგავსება,

მსხვრევადს, ბრინჯის ჩენჩოსავით მსუბუქს, გასაქრობად გამზადებულს.

შვილისგან დახმარებას არ უნდა ელოდეს. ლუსიმ მოთმინებით, ჩუმად, თვითონ უნდა გაიკვლიოს გზა უკუნიდან სინათლისაკენ. სანამ ლუსი ძალებს მოიკრებს, პასუხისმგებლობა მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე მას ეკისრება. მაგრამ ყველაფერი მეტისმეტად სწრაფად მოხდა. ამ ტვირთისათვის მზად არ არის: ფერმა, ბაღი, საძაღლეები. უნდა თქვას, რომ ლუსის მომავალი, მისი მომავალი, ქვეყნის მომავალი – ყველაფერი სისულელეა და ჯანდაბამდის გზა ჰქონია, არ დაეძებს. რაც შეეხება იმ ხალხს, მათ რომ თავს დაესხნენ, ყველანაირ უბედურებას უსურვებს, სხვა მხრივ კი მათზე ფიქრი არ სურს.

„ეს ყველაფერი შედეგებია, – ეუბნება საკუთარ თავს, – თავდასხმის შედეგები. გარკვეული ხნის შემდეგ ორგანიზმი ამას დაძლევს, მე კი – აჩრდილი, მასში რომ სახლობს, ისევ ჩემს ძველ მედ ვიქცევი.“

მაგრამ მან იცის, რომ სიმართლე სულ სხვაა. სიამოვნება, რომელსაც ის ცხოვრებისგან იღებდა, გაქრა, როგორც ფშუტურა სოკო ქარში, როგორც ფოთოლი, წყლის ნაკადი რომ წაიღებს. ის დასასრულისკენ მიექანება. ამას ნათლად ხედავს და ეს სასოწარკვეთილებაში აგდებს. კაცის სხეულში სასიცოცხლო ძალა იშრიტება და მის ადგილს უიმედობა იჭერს. უიმედობა, რომელიც გაზს ჰგავს, უფეროს, უგემოს, კვებითი თვისებების არმქონეს. სუნთქავ ამ გაზს და კიდურები გიდუნდება, მაგრამ შენთვის უკვე ყველაფერი სულერთია, მაშინაც კი, როცა შენს ყელს ცივი ფოლადი ეხება.

ზარი კარზე: პენიან ახალ ფორმაში გამოწყობილი ორი ახალგაზრდა პოლიციელი მზადაა, დაიწყოს გამოძიება. ლუსი

ოთახიდან გამოდის – გატანჯული სახით, იმავე ტანსაცმლით, რომელიც გუშინ ეცვა. საუზმეზე უარს ამბობს. ბევს ისინი ფურგონით მიჰყავს ფერმისკენ. პოლიციელები უკან მიჰყვებიან.

მკვდარი ძაღლები ვოლიერებში ყრია. ბულდოგი კეტი არ გაქცეულა. თვალს მოჰკრავენ, როგორ მიიძურწება საჯინიბოსთან, მაგრამ მათ არ ეკარება. პეტრასი არსად ჩანს.

სახლში შესვლისას პოლიციელები ქუდებს იხდიან და იღლიაში იჩრიან. ის ხმას არ იღებს და ლუსის აცდის, მოყვეს, რასაც საჭიროდ ჩათვლის. პოლიციელები მოწიწებით უსმენენ და ერთ-ერთი მათგანი მის ყოველ სიტყვას იწერს, ავტოკალამი ჩქარა, ნერვიულად მოძრაობს უბის წიგნაკის ფურცლებზე. ლუსის ტოლები არიან, მაგრამ თავი მისგან როგორღაც შორს უჭირავთ, თითქოს ის წაბილწული არსებაა და ეშინიათ, მათაც არაფერი გადასდოს.

– სამნი იყვნენ, – ყვება ლუსი, – ორი კაცი და ბიჭი. მოტყუებით შემოვიდნენ სახლში და წაიღეს: – ჩამოთვლის, – ფული, ტანსაცმელი, ტელევიზორი. CD პლეერი კომპაქტ-დისკებით, თოფი და ვაზნები. როცა მამა წინააღმდეგობის გაწევას შეეცადა, სცემეს, დენატურატი გადაასხეს და დაწვა დაუპირეს. შემდეგ ძაღლები დახოცეს და მამას მანქანა გაიტაცეს.

ის აღწერს კაცებს, მათ ტანსაცმელს, მანქანას.

ლაპარაკის დროს ლუსი პირდაპირ მას უყურებს, თითქოს მისი დახმარებით ძალებს იკრებდეს, ან იწვევდეს, შემისწორე, თუ რაიმეს არასწორად ვამბობო. როცა ერთ-ერთი პოლიციელი ეკითხება, ეს ყველაფერი რამდენ ხანს გაგრძელდაო, ლუსი უპასუხებს, ოცი, ოცდაათი წუთიო. ეს სიმართლე არ არის, მან ეს იცის, ლუსიმაც იცის. მათი ტანჯვა გაცილებით მეტ ხანს გრძელდებოდა. მაინც? იმდენ ხანს,

რამდენიც დასჭირდათ კაცებს, ოჯახის დიასახლისთან საქმე დაემთავრებინათ.

მიუხედავად ამისა, შვილს სიტყვას არ აწყვეტინებს. „ყველაფერი უაზრობაა.“ თითქმის არც უსმენს ლუსის. სიტყვებმა, რომლებიც წუხანდლიდან მოყოლებული მისი მეხსიერების ზღვარზე ილანდებოდა, ფორმა შეიძინა. „ორი საბრალო მოხუცი ქალი ტუალეტშია გამომწყვდეული; ორშაბათიდან შაბათ დილამდე სხედან, ყველასგან მიტოვებულნი. არავინ იცოდა, რომ ისინი იქ იყვნენ.“ საპირფარეშოში იყო გამომწყვდეული, სანამ მის ქალიშვილს ხმარობდნენ. ბავშვობის სიმღერა დაბრუნდა, რომ მისკენ დამცინავად გაეშვირა ხელი. „ო, ღმერთო, ამიერიდან რა იქნება?“ იქნება ლუსის საიდუმლო და მისი სირცხვილი.

პოლიციელები ფრთხილად დადიან სახლში, ამოწმებენ. სისხლი არ არის, არც ავეჯია გადაყირავებული. სამზარეულო დალაგებულია (ლუსიმ დაალაგა? როდის?) ტუალეტის კარს უკან ასანთის ორი გამოყენებული ღერი გდია, რასაც ისინი ვერც კი ამჩნევენ.

ლუსის ოთახში ორადგილიანი საწოლიდან თეთრეულია აღებული. „დანაშაულის ადგილი,“ – ფიქრობს ის; პოლიციელები, თითქოს მისი აზრი წაიკითხესო, თვალს არიდებენ და ოთახიდან გადიან.

მშვიდი სახლი ზამთრის დილით. არც მეტი, არც ნაკლები.

– დეტექტივები მოვლენ და თითის ანაბეჭდებს აიღებენ, – ამბობენ ისინი წასვლისას, – ეცადეთ, არაფერს შეეხოთ. თუ კიდევ გაიხსენებთ რაიმე ნივთს, რაც მათ წაიღეს, განყოფილებაში დაგვირეკეთ.

წასულიც არ არიან, რომ ტელეფონის შემკეთებელი მოდის, შემდეგ მოხუცი ეტინგერი. პეტრასის არყოფნის შესახებ ბუნდოვნად შენიშნავს:

– ვერც ერთ მათგანს ვერ ენდობი, – და დასძენს, რომ ბიჭს გამოგზავნის კომბის შესაკეთებლად.

ადრე სიტყვა „ბიჭის“ გაგონება ლუსის აცოფებდა. ახლა რეაქცია არა აქვს.

ეტინგერს კარამდე აცილებს.

– საწყალი ლუსი, – ამბობს ეტინგერი, – რა საშინელება გადაიტანა. თუმცა უარესიც შეიძლებოდა მომხდარიყო.

– უარესი? რა?

– შეიძლებოდა თან წაეყვანათ.

ეს სიტყვები აიძულებს, გაჩუმდეს. ეტინგერი სულელი ნამდვილად არ არის.

ბოლოს ის და ლუსი მარტო რჩებიან.

– ძაღლებს დავმარხავ, თუ მაჩვენებ, სად დავმარხო, – ეუბნება, – პატრონებს რა უნდა უთხრა?

– ვეტყვი, რაც მოხდა.

– სადაზღვევო კომპანია აგინაზღაურებს ხარჯებს?

– არ ვიცი. არ ვიცი, დაზღვევა მასობრივ ხოცვას ანაზღაურებს თუ არა. უნდა გავარკვიო.

სიჩუმე ისადგურებს.

– რატომ არ აპირებ ყველაფრის მოყოლას, ლუსი?

– მე ყველაფერი მოვყევი. რაც მათ მოვუყევი, სულ ეს არის.

ის ეჭვიანად აქნევს თავს.

– დარწმუნებული ვარ, მიზეზი გაქვს, ასე ილაპარაკო, მაგრამ გგონია, სწორად იქცევი?

ლუსი არ უპასუხებს. აღარც ის აძალებს. ახლა ჩაციებას საჭიროდ არ თვლის. მისი ფიქრი სამ თავდამსხმელს სწვდება, თავდამსხმელების სამეულს, კაცებს, რომელთაც, ალბათ, ვეღარასოდეს ნახავს, მაგრამ რომლებიც სამუდამოდ გახდნენ მისი და მისი ქალიშვილის ცხოვრების ნაწილი. ეს ხალხი გა-

ზეთებს მიადევნებს თვალს, ჭორებს მოუსმენს. გაზეთებში წაიკითხავენ, რომ მათ მხოლოდ შეიარაღებული თავდასხმისა და ძარცვისთვის ეძებენ. მიხვდებიან, რომ იმ ქალის სხეულს სიჩუმე საბანივით გადაეფარა. „შერცხვათ, – ეტყვიან ერთმანეთს, – ძალიან შერცხვათ და ამიტომ არ გაამჟღავნეს." გულიანად ჩაიხითხითებენ და თავიანთ ნავაჟკაცარს გაიხსენებენ. მზად არის ლუსი, ასე გაალაღოს ისინი გამარჯვებით?

ლუსის მითითებულ ადგილზე – მისი მიწის საზღვართან – ორმოს თხრის. ექვსი დიდი ძაღლის საფლავის გათხრას თითქმის ერთი საათი სჭირდება, მიუხედავად იმისა, რომ მიწა ახალი მოხნულია. რომ ამთავრებს, ზურგი სტკივა, მკლავებიც, მაჯა ისევ ტეხს. ძაღლებს ურიკაზე ყრის. ყელში ტყვიამოხვედრილ ძაღლს სისხლიანი კბილები ისევ დაკრეჭილი აქვს. „რაღა კასრში თევზებისთვის გისვრია," – ფიქრობს ის. საზიზღრობაა, მაგრამ ალბათ, სახალისო საქმიანობაცაა იმ ქვეყანაში, სადაც ძაღლები ისე არიან დაგეშილი, შავკანიანის სუნზეც კი ღრენას იწყებენ. სასიამოვნო გართობა ნაშუადღევს, განწყობილების ამამაღლებელი, როგორც ყოველგვარი შურისძიება. ძაღლებს ერთმანეთის მიყოლებით ყრის ორმოში და მიწას აყრის.

დაბრუნებული ხედავს, რომ ლუსი საწოლს დგამს პატარა, აშმორებულ საკუჭნაოში, რომელსაც სათავსოდ იყენებს.

– ეს ვისთვის გინდა? – ეკითხება.

– ჩემთვის.

– სასტუმრო ოთახში არ ჯობია?

– იქ ჭერია დაზიანებული.

– და უკანა დიდ ოთახში?

– მაცივარი ძალიან ხმაურობს.

ტყუილია. უკანა ოთახში მაცივარი ოდნავ ზუზუნებს.

ლუსის მაცივრის გვერდით დაძინება იმის გამო არ სურს, რაც შიგ დევს. შიგნეულობა, ძვლები, ხორცი ძაღლებისათვის, რომელიც უკვე აღარ დასჭირდება.

– ჩემს ოთახში დაწექი, – ეუბნება, – აქ მე დავიძინებ, – და მაშინვე მიდის თავისი ნივთების მოსატანად.

მაგრამ სურს კი გადმოსვლა ამ პატარა სენაკში, სადაც კუთხეში ცარიელი მურაბის ქილებით სავსე ყუთები აწყვია, სამხრეთის კედელზე კი ერთადერთი პაწაწკინტელა ფანჯარაა? თუკი მოძალადეთა აჩრდილები ისევ ბოგინობენ ლუსის საწოლ ოთახში, ისინი იქიდან უნდა განიდევნონ, საშუალება არ უნდა მიეცეთ, რომ ოთახი თავიანთ სავანედ აქციონ. ამიტომ თავისი ნივთები ლუსის ოთახში მიაქვს.

ბინდი ეშვება. არ შიათ, მაგრამ მაინც ვახშმობენ. ჭამა რიტუალია, რიტუალები კი ცხოვრებას აადვილებს.

რაც შეიძლება ფრთხილად ისევ იმ საკითხს უბრუნდება.

– ლუსი, ჩემო ძვირფასო, რატომ არ გინდა, ყველაფერი თქვა? დანაშაული მოხდა და სულაც არ არის სამარცხვინო, მისი მსხვერპლი იყო. ეს ხომ შენი არჩევანი არ ყოფილა. შენ დაზარალებული ხარ.

ლუსი, რომელიც მაგიდის მეორე მხარეს მის პირდაპირ ზის, ძალებს იკრებს, ღრმად შეისუნთქავს, შემდეგ ამოისუნთქავს და თავს გადააქნევს.

– მოდი, ვცდი, იქნებ მივხვდე? – ეკითხება ლუსის. – შენ ცდილობ, რამე შემახსენო?

– რა უნდა შეგახსენო?

– თუ რის გადატანა უწევს კაცების ხელში ჩავარდნილ ქალს.

– ამის მსგავსი არაფერი მიფიქრია. ეს შენ არ გეხება, დევიდ. შენ გინდა, გაიგო, რატომ არ წამოვაყენე გარკვეული ბრალდებები. გეტყვი, იმ პირობით, თუ შევთანხმდებით, რომ

ამ საკითხზე აღარასოდეს დამელაპარაკები. მიზეზი ის არის, რომ მომხდარი მე მეხება და ამიტომ ჩემი პირადი საქმეა. სხვა დროს, სხვა ადგილზე, შეიძლებოდა ჩაგვეთვალა, რომ ის საზოგადოებრივი ინტერესის საგანი გახდებოდა, მაგრამ არა აქ და არა – ამ დროს.

– რა ადგილს გულისხმობ?

– ადგილს, რომელსაც სამხრეთ აფრიკა ეწოდება.

– არ გეთანხმები. შენ სწორად არ იქცევი. ფიქრობ, თუკი მორჩილად მიიღებ, რაც თავს გადაგხდა, შეძლებ, თავი ეტინ-გერის მსგავსი ფერმერებისგან შორს დაიჭირო? გგონია, რომ აქ მომხდარი გამოცდა იყო: თუ ჩააბარებ, მიიღებ დიპლომს და საშვს მომავალში, ან ნიშანს კარზე, რომელიც ამიერიდან ჭირს აგარიდებს? შურისგების ბუნება სხვანაირია, ლუსი. ის ცეცხლს ჰგავს. რაც მეტს შთანთქავს, მით უფრო მშიერია.

– გაჩუმდი, დევიდ! არ მინდა ჭირსა და ცეცხლზე საუბრის მოსმენა. მე მხოლოდ საკუთარი ტყავის გადარჩენას არ ვცდილობ. თუ ასე ფიქრობ, საერთოდ ვერაფერი გაგიგია.

– მაშინ დამეხმარე. შენ საკუთარი თავის ხსნის რაღაც მოდელის შემუშავებას ცდილობ? ფიქრობ, რომ წარსულის დანაშაულები აწმყოში ტანჯვით შეგიძლია გამოისყიდო?

– არა, შენ ისევ არასწორად გესმის ჩემი. დანაშაული, ხსნა – აბსტრაქტული ცნებებია. ეს აბსტრაქციები არ წარმართავს ჩემს საქციელს. სანამ ამის გაგებას არ შეეცდები, ვერაფრით დაგეხმარები.

მას სურს შეეპასუხოს, მაგრამ ლუსი აწყვეტინებს:

– დევიდ, შევთანხმდით, მე არ მსურს ამ თემაზე საუბრის გაგრძელება.

არასოდეს ყოფილან ერთმანეთისგან ასე შორს, არასოდეს ყოფილან ასეთი გააფთრებულები. ის სულით ხორცამდეა შეძრული.

თავი 14

ახალი დღე. ეტინგერი რეკავს და თოფს სთავაზობს, „გარკვეული დროით“.

– გმადლობთ, – უპასუხებს ის, – მოვიფიქრებთ.

ლუსის ხელსაწყოებს იღებს და შეძლებისდაგვარად ცდილობს სამზარეულოს კარის შეკეთებას. საჭიროა გისოსები, უსაფრთხო კარი და ირგვლივ შემოვლებული ღობე, როგორც ეტინგერს აქვს. ფერმა ციხე-სიმაგრედ უნდა აქციონ. ლუსიმ პისტოლეტი და რაცია უნდა იყიდოს. სროლა უნდა ისწავლოს. მაგრამ მოინდომებს კი ამას? ის აქ იმიტომ არის, რომ უყვარს ეს მიწა და ძველებური ländliche[29] ყაიდის ცხოვრება. მაგრამ თუ ძველებური ყაიდის ცხოვრება განწირულია, რაღა უნდა უყვარდეს?

კეტის სამალავიდან გამოტყუებას და სამზარეულოში გადაყვანას ახერხებენ. ბულდოგი მორჩილი და გაუბედავია, ლუსის დასდევს, ცდილობს, მის ფეხებთან ახლოს იყოს. ცხოვრება ყოველწამიერად იცვლება, წარსულს აღარ ჰგავს. სახ-

[29] სოფლისა, სოფლური (გერმ.).

ლი თითქოს გაუცხოებულია, წაბილწული. მუდამ ფხიზლად არიან, მიყურადებულნი.

ბოლოს პეტრასიც ბრუნდება. ძველი სატვირთო მანქანა კვნესით ამოდის ოღროჩოღრო გზაზე და საჯინიბოსთან ჩერდება. პეტრასს ვიწრო პიჯაკი აცვია. ის კაბინიდან ჩამოდის. ცოლი და მძღოლი მოჰყვებიან. კაცები მანქანის ძარადან ტვირთავენ მუყაოს ყუთებს, კრეოზოტით გაჟღენთილ ბოძებს, მოთუთიავებულ რკინის ფურცლებს, პლასტმასის მილების შეკვრას და ბოლოს, დიდი ხმაურითა და აურზაურით, ორი შიშაგი გადმოჰყავთ, რომელთაც პეტრასი ღობეზე აბამს. მანქანა საჯინიბოს შემოუვლის და გზაზე გრუხუნ-გრუხუნით ეშვება. პეტრასი და მისი ცოლი საჯინიბოში უჩინარდებიან. საკვამურის აზბესტის მილებიდან კვამლის ქულები ამოდის.

ისევ მათკენ იყურება. ცოტა ხნის შემდეგ პეტრასის ცოლი გამოჩნდება. მსუბუქი, ძალდაუტანებელი მოძრაობით აპირქვავებს სარეცხის ვედროს. „წარმოსადეგი ქალია, – ფიქრობს ის, – გრძელი ქვედატანი, სოფლურ ყაიდაზე აწეულ თმაზე – თავსაფარი. წარმოსადეგი ქალი და იღბლიანი მამაკაცი... კი მაგრამ, სად იყვნენ?“

– პეტრასი დაბრუნდა, – ეუბნება ლუსის, – უამრავი სამშენებლო მასალით.

– კარგია.

– რატომ არ გითხრა, რომ მიდიოდა? საეჭვოდ არ გეჩვენება, რომ ზუსტად იმ დღეს გაქრა?

– მე პეტრასს ვერაფერს ვუბრძანებ. თავისი თავის უფროსი თვითონ არის.

არცთუ ლოგიკურად ჟღერს, მაგრამ არ ედავება. საერთოდ, გადაწყვიტა, გარკვეულ დრომდე არაფერზე ედავოს.

ლუსი თავისთვისაა, არც რაიმე გრძნობას გამოხატავს,

არც – რამის მიმართ ინტერესს. მას, საერთოდ რომ ვერ ერკვევა ფერმერულ საქმიანობაში, უწევს იხვების გამოშვება, სარწყავი სისტემის მართვა, ბოსტანში წყლის მიშვება, რომ მიწა არ გამოშრეს. ლუსი საათობით წევს ლოგინში, გასცქერის სივრცეს ან ძველ ჟურნალებს ათვალიერებს. როგორც ჩანს, მათი ულევი მარაგი აქვს. მოუთმენლად ფურცლავს, თითქოს რაღაცას ეძებს, რაც იქ არ არის. „ედვინ დრუდი" აღარ ჩანს.

საგუბარიდან სამუშაო კომბინეზონში გამოწყობილ პეტრასს ამჩნევს. უცნაურია, რომ ლუსი აქამდე არ უნახავს. მისკენ მიდის. ერთმანეთს ესალმებიან.

– გაიგებდით, ოთხშაბათს, თქვენი არყოფნისას, გაგვძარცვეს.

– ჰო, – ამბობს პეტრასი, – გავიგე. ცუდია, ძალიან ცუდი. მაგრამ ახლა ხომ კარგად ხართ...

კარგად არის? ლუსი კარგად არის? ეს რა, შეკითხვაა? შეკითხვას არ ჰგავს, მაგრამ მაშ, რად ჩათვალოს? წესიერება მოითხოვს, სწორედ ასე გაიგოს მისი ნათქვამი. კითხვა დასმულია, რა უპასუხოს?

– ცოცხალი ვარ, – ამბობს, – სანამ ადამიანი ცოცხალია, მე მგონი, კარგად არის, ასე რომ, კარგად ვარ, – ჩუმდება, ელის, სანამ სიჩუმე ისე გაგრძელდება, რომ პეტრასი იძულებული გახდება, ის დაარღვიოს შემდეგი შეკითხვით: „ლუსი როგორ არის?"

მაგრამ ცდება.

– ხვალ ლუსი ბაზრობაზე წამოვა? – ეკითხება პეტრასი.

– არ ვიცი.

– თუ არ წამოვა, ადგილს დაკარგავს, – ამბობს პეტრასი, – ყოველ შემთხვევაში, შეიძლება, დაკარგოს.

– პეტრასს აინტერესებს, აპირებ თუ არა ხვალ ბაზრობაზე წასვლას, – ატყობინებს ლუსის, – შიშობს, რომ შეიძლება ადგილი დაკარგო.

– თქვენ რომ წახვიდეთ, ორნი? მე ჯერ არ შემიძლია.

– დარწმუნებული ხარ? დასანანი იქნება კვირის გაცდენა.

ლუსი ხმას არ იღებს. ხალხში გამოჩენა არ უნდა და მან იცის, რატომაც. შერცხვენის, სირცხვილის გამო. აი, რას მიაღწიეს მათმა სტუმრებმა! აი, რა დღეში ჩააგდეს ეს თავდაჯერებული, თანამედროვე, ახალგაზრდა ქალი!.. მომხდარის შესახებ ხმები ბინძური ლაქასავით ვრცელდება მთელ რაიონში. არა ლუსის, არამედ მათი მონაყოლი – იქაურობის ბატონ-პატრონები ხომ ისინი არიან. ალბათ, ყვებიან, როგორ მიუჩინეს მას ადგილი, როგორ შეახსენეს ქალის დანიშნულება.

აკრული თვალით და შეხვეული თავით თვითონაც ეუხერხულება ხალხში გამოჩენა, მაგრამ ლუსის გამო ბაზარში მიდის, პეტრასის გვერდით ჯდება, მოთმინებით იტანს ცნობისმოყვარეთა მზერას, თავაზიანად უპასუხებს ლუსის იმ მეგობრებს, რომლებიც თანაგრძნობის გამოხატვას საჭიროდ მიიჩნევენ.

– ჰო, მანქანა დავკარგეთ, – ამბობს, – ძაღლებიც, რა თქმა უნდა, ერთის გარდა. არა, ჩემი ქალიშვილი კარგად არის, უბრალოდ, დღეს წამოსვლა ვერ შეძლო. არა, მაგის იმედი არა გვაქვს. თვითონაც იცით, პოლიცია როგორი გადატვირთულია. დიახ, რა თქმა უნდა, გადავცემ.

„ჰერალდში“ მათ შესახებ დაბეჭდილ ცნობას კითხულობს. „უცნობი თავდამსხმელები“ – ასეა მოხსენიებული სამეული. „სამი უცნობი თავდამსხმელი თავს დაესხა მის ლურის და მის ხანში შესულ მამას მათ პატარა ფერმაში, სალემის შემო-

გარენში; გაიტაცეს ტანსაცმელი, ელექტროსაქონელი და ცეცხლსასროლი იარაღი. გარდა ამისა, სანამ მისტერ ლურის მანქანით („ტოიოტა კოროლა“, 1993 წლის გამოშვება, ნომრით CA507644) გაიქცეოდნენ, მძარცველებმა უცნაური, გაუგებარი რამ ჩაიდინეს: დახოცეს ექვსი დარაჯი ძაღლი. მისტერ ლურის, რომელმაც თავდასხმის დროს მსუბუქი დამწვრობა მიიღო, კოლონისტების საავადმყოფოში უმკურნალეს და შინ გაუშვეს.“

კმაყოფილია, რომ ცნობაში არაფერია ნათქვამი მის ლურის ხანშიშესულ მამასა და დევიდ ლურის – ბუნების მომღერალი პოეტის, უილიამ უორდსუორთის მკვლევარ, ბოლო დღეებამდე კეიპის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს – შორის კავშირზე.

რაც შეეხება ვაჭრობას, აქ მისი საკეთებელი ბევრი არაფერია. ყველაფერს პეტრასი აკეთებს: სწრაფად და მოხერხებულად ალაგებს გასაყიდ საქონელს, იცის ფასები, ართმევს ფულს, უბრუნებს ხურდას. ფაქტობრივად, მხოლოდ პეტრასი მუშაობს, ის კი ზის და ხელებს ითბობს. სწორედ ისე, როგორც წარსულში ხდებოდა: baas en klaas[30], ოღონდ არავინ მოელის, რომ პეტრასს რამეს უბრძანებს. პეტრასი აკეთებს იმას, რისი გაკეთებაც საჭიროა. ეს არის და ეს.

მიუხედავად ამისა, შემოსავალი ძალიან მცირეა, სამასი რანდიც არ არის. რა თქმა უნდა, ამის მიზეზი ლუსის არყოფნაა. ყვავილების კოლოფების და ბოსტნეულით სავსე ყუთების ისევ კომბში ჩატვირთვა უწევთ. პეტრასი თავს აქნევს.

– ცუდია, – ამბობს.

მას თავისი არყოფნის მიზეზზე ჯერაც არაფერი უთქვამს.

---

[30] მეპატრონე და მოჯამაგირე (ჰოლანდ.).

რა თქმა უნდა, პეტრასს უფლება აქვს, როცა უნდა – მოვიდეს, როცა უნდა – წავიდეს, და ამ უფლებით ისარგებლა კიდეც. დუმილის უფლებაც აქვს. თუმცა შეკითხვები მაინც არ ასვენებს. იცნობს თუ არა პეტრასი იმ სამეულს? მან ხომ არ ჩააგდო რაღაც სიტყვა, რის გამოც სამიზნედ ლუსი აირჩიეს და არა, ვთქვათ, ეტინგერი? იცოდა თუ არა პეტრასმა წინასწარ, რა ჰქონდათ მათ განზრახული?

ადრე პეტრასთან ამაზე დალაპარაკება შეიძლებოდა; თუ წონასწორობიდან გამოხვიდოდი, გააგდებდი კიდეც და სხვას დაიქირავებდი. ახლა კი, მართალია, ხელფასს იღებს, მაგრამ პეტრასი აღარ არის დაქირავებული მუშა ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით. საერთოდ, ძნელია განსაზღვრო, ვინ არის პეტრასი. ალბათ, სიტყვა „მეზობელი“ უფრო შესაფერისი იქნებოდა. პეტრასი არის მეზობელი, რომელიც ახლა თავის სამუშაო ძალას ყიდის. ეს ხელს აძლევს და იმიტომ. ყიდის კონტრაქტით, დაუწერელი კონტრაქტით, რომელშიც ეჭვის საფუძველზე გაგდება გათვალისწინებული არ არის. ისინი ახლა ახალ სამყაროში ცხოვრობენ – ის, ლუსი და პეტრასი. პეტრასმა ეს იცის, მანაც იცის და პეტრასმა იცის, რომ მან იცის.

მიუხედავად ამისა, მას პეტრასთან ურთიერთობა არ უჭირს. იმისთვისაც კი არის მზად – თუმცა ფრთხილობს – მის მიმართ სიმპათია გაუჩნდეს. პეტრასი მისი თაობის კაცია. უდავოა, ბევრი გადაუტანია, ალბათ, ბევრიც აქვს მოსაყოლი. წინააღმდეგი არ იქნება, თუ ერთ დღეს მის ამბავს მოისმენს, მაგრამ არა – ინგლისურ ენაზე. სულ უფრო და უფრო რწმუნდება, რომ სამხრეთ აფრიკაში სიმართლის სათქმელად ინგლისური შესაფერისი ენა არ არის. ინგლისურმა მეტყველებამ, დიდი ხნის წინ გაქვავებულმა ფრაზებმა, დაკარგა დამახასიათებელი დანაწევრება, დანაწევრებულობა,

დანაწევრებადობა. ენა გაქვავდა, როგორც სულგაფრთხობილი და ტალახში ჩაფლული დინოზავრი. ინგლისურის ყალიბში ჩაწნეხილი პეტრასის მონათხრობი ნიკრისის ქარით შეპყრობილი მოხუცი გამოვიდოდა.

მას განსაკუთრებით პეტრასის სახე მოსწონს, სახე და ხელები. თუკი ამქვეყნად საერთოდ არსებობს პატიოსანი შრომა, მაშინ პეტრასს სწორედ მისი ანაბეჭდი ემჩნევა. მომთმენი, ენერგიული, სიცოცხლის მოყვარული, paysan[31], ამ ქვეყნის შვილი. რა თქმა უნდა, ინტრიგანი, თაღლითი და მატყუარაც, როგორც ყველა გლეხი. პატიოსანი შრომა. პატიოსანი თაღლითობა.

პეტრასის სურვილებსა და საბოლოო მიზნებზე რაღაცას ეჭვობს. ის, ცხადია, თავისი ჰექტარ-ნახევარი მიწით არ დაკმაყოფილდება. ლუსიმ, შესაძლოა, აქ მეტხანს გაძლო, ვიდრე მისმა ჰიპმა და მომთაბარე მეგობრებმა, მაგრამ პეტრასისთვის ის მაინც უმნიშვნელო ადამიანია, დილეტანტი, უფრო ენთუზიასტი, ვიდრე – ფერმერი. პეტრასი, ალბათ, უარს არ იტყოდა ლუსის მიწის ხელში ჩაგდებაზე, არც ეტინგერის მიწის, ან თუნდაც მისი იმ ნაწილის დათრევაზე, რაც საძოვრად გამოადგებოდა. ეტინგერთან თავისას ადვილად ვერ გაიტანს. ლუსი მაინც შემთხვევითი ადამიანია, ეტინგერი კი მასავით გლეხია, მიწის კაცი, შეუპოვარი, eingewurzelt[32], მაგრამ ეტინგერი ადრე თუ გვიან, მოკვდება, მისი ვაჟი კი წასულია. ამ მხრივ ეტინგერმა ნამდვილად სისულელე ჩაიდინა – კარგ გლეხს ბევრი ვაჟი უნდა ჰყავდეს.

პეტრასის წარმოდგენილ მომავალში ლუსისნაირ ადამიანებს არაფერი ესაქმებათ, მაგრამ ეს მას მტრად არ აქცევს.

---

[31] გლეხი (ფრ.).

[32] ფესვგადგმული (გერმ.).

სოფლის ცხოვრება ყოველთვის გამოირჩეოდა ხრიკებით. მეზობლები ერთმანეთს უსურვებდნენ მავნებლების შემოსევას, ცუდ მოსავალს, გაკოტრებას, მაგრამ გაჭირვების დროს მზად იყვნენ, ერთმანეთს დახმარებოდნენ.

მომხდარის ყველაზე უარესი ახსნა ის იქნებოდა, ეფიქრა, რომ პეტრასმა სამი უცხო კაცი დაიქირავა ლუსისთვის ჭკუის სასწავლებლად და მათ თავიანთივე ნაძარცვით გადაუხადა. მაგრამ ამის არ ჯერა, ეს მეტისმეტად მარტივი იქნებოდა. სიმართლე, როგორც მას გუმანი კარნახობს, არის ბევრად უფრო – საჭირო სიტყვას ეძებს – ანთროპოლოგიკური. მის დასადგენად თვეები იქნება საჭირო, თვეების განმავლობაში მოთმინებით, აუჩქარებლად საუბარი ათობით ადამიანთან და თარჯიმნის დახმარებაც.

მეორე მხრივ, დარწმუნებულია, პეტრასმა იცოდა, რომ რაღაც მზადდებოდა და მას შეეძლო, ლუსი გაეფრთხილებინა. ამიტომ ვერ იცილებს თავიდან პეტრასზე ფიქრს.

პეტრასმა ბეტონის გუბურა წყლისგან დაცალა და ახლა მას წყალმცენარეებისგან ასუფთავებს. არასასიამოვნო საქმეა, მიუხედავად ამისა, ის დახმარებას სთავაზობს. ლუსის გუბურაში რეზინის ჩექმით ჩადის, სრიალა ფსკერზე ფრთხილად დააბიჯებს. კარგა ხანს გულმოდგინედ მუშაობენ, ბეტონიდან ტალახს ფხეკენ, იღებენ და ნიჩბით გარეთ ყრიან. შემდეგ ის მუშაობას წყვეტს.

– იცით, პეტრას, – ეუბნება, – ძნელი დასაჯერებელია, რომ აქ მოსული კაცები უცხოები იყვნენ. არ მჯერა, რომ **ისინი** მოუსავლეთიდან მოვიდნენ, გააკეთეს ის, რაც გააკეთეს და მოჩვენებასავით გაუჩინარდნენ. წარმოუდგენელია, მხოლოდ იმიტომ ამოვერჩიეთ, რომ იმ დღეს ჩვენ გარდა თეთრკანიანებს არ შეხვედრიან. როგორ ფიქრობთ, მართალს ვამბობ?

პეტრასი, როგორც ყოველთვის, ჩიბუხს ეწევა, ძველმოდურ ჩიბუხს, ბოლოში ამოღუნულს, თასზე პატარა ვერცხლისფერი ხუფით. ახლაც წელში იმართება, კომბინეზონის ჯიბიდან ჩიბუხს იღებს, ხუფს ხდის, თასში თუთუნს ყრის, მოუკიდებელ ჩიბუხს წოვს. ფიქრიანად იყურება გუბურის კედელს მიღმა, ბორცვებს მიღმა, მთელი ამ გარემოს მიღმა. აბსოლუტურად მშვიდი გამომეტყველება აქვს.

– პოლიციამ უნდა იპოვოს ისინი, – ამბობს ბოლოს, – იპოვოს და ციხეში ჩასვას. პოლიციის საქმე ეს არის.

– ჰო, მაგრამ, დახმარების გარეშე პოლიცია მათ ვერ დაიჭერს. იმ კაცებმა სატყეო სადგურის შესახებ იცოდნენ. დარწმუნებული ვარ, ლუსიზეც იცოდნენ რაღაც. თუკი ისინი ამ არემარეში სრულიად უცხოები იყვნენ, ეს ყველაფერი საიდან უნდა სცოდნოდათ?

პეტრასი ამჯობინებს, ეს შეკითხვა უპასუხოდ დატოვოს. ჩიბუხს ჯიბეში იდებს და ნიჩაბს ცოცხით ცვლის.

– ეს მხოლოდ ქურდობა არ იყო, პეტრას, ისინი მხოლოდ გასაძარცვად არ მოსულან. არც იმისთვის, რაც მე მიყვეს, – თავზე შემოხვეულ ბინტსა და თვალზე აკრულ სახვევს ეხება, – ისინი კიდევ რაღაცისთვის მოვიდნენ. თქვენ იცით, რასაც ვგულისხმობ, და თუ არ იცით, შეგიძლიათ, მიხვდეთ. იმის შემდეგ, რაც მათ ჩაიდინეს, შეუძლებელია, იფიქრო, რომ ლუსი მშვიდად, ძველებურად იცხოვრებს. მე ლუსის მამა ვარ. მე მინდა, რომ ისინი დაიჭირონ, გაასამართლონ და დასაჯონ. ვცდები? ვცდები, რომ სამართალს ვითხოვ?

ახლა მისთვის სულერთია, როგორ ამოაღებინებს ხმას პეტრასს, უბრალოდ, უნდა, მისგან რამე გაიგონოს.

– არა, არ ცდებით.

მოულოდნელად სიბრაზე იპყრობს, ისეთი ძლიერი, რომ

უკვირს კიდეც. ნიჩაბს იღებს, ძლიერი დარტყმით ტალახისა და სარეველების დიდ ბელტს გუბურის ფსკერიდან გლეჯს და მხარს ზემოთ გუბურის კედლის მიღმა ისვრის. „თვითონვე აღიგზნებ თავს და რისხვა გიპყრობს, – აფრთხილებს საკუთარ თავს, – შეწყვიტე!“ თუმცა ერთი სული აქვს, პეტრასს ყელში სწვდეს. „აბა, ერთი შენი ცოლი ყოფილიყო ჩემი ქალიშვილის ადგილას! – სურს უთხრას, – ასე მშვიდად არ დატენიდი ჩიბუხს და ასე დინჯად არ აწონ-დაწონიდი თითოეულ სიტყვას.“ „წაბილწვა“ – აი, ეს სიტყვა უნდა, პეტრასს ათქმევინოს. „დიახ, ეს წაბილწვა იყო! დიახ, ეს ძალმომრეობა იყო!“ – სურს გაიგონოს.

ის და პეტრასი უხმოდ ამთავრებენ მუშაობას.

ასე გადის დღეები ფერმაში. ის პეტრასს ეხმარება საირიგაციო სისტემის დასუფთავებაში. ბოსტანში ფუსფუსებს, ცდილობს, გავერანებას გადაარჩინოს, ფუთავს ბაზარში წასაღებ პროდუქტს; ეხმარება ბევ შოუს კლინიკაში, გვის ოთახებს, ამზადებს სადილს, აკეთებს ყველაფერს, რაზეც ლუსიმ ხელი აიღო. დილიდან შებინდებამდე მუხლის ჩახრას ვერ ახერხებს.

თვალი ძალიან სწრაფად უშუშდება. მხოლოდ ერთი კვირაა გასული და ამ თვალით უკვე ხედავს. დამწვრობის მორჩენას მეტი დრო სჭირდება. ისევ დაბინტული თავით და შეხვეული ყურით დადის. სახვევს რომ ხსნიან, ყური შიშველ, ვარდისფერ მოლუსკს ჰგავს. არ იცის, როდის გაბედავს ხალხში ასეთი ყურით გამოჩენას.

ქუდს ყიდულობს, მზისგან დასაცავად და სახის დასამალადაც. ცდილობს, შეეგუოს იმას, რომ უცნაურად გამოიყურება, უფრო მეტიც, საზიზღრად, ისეთ საცოდავ არსებად, რომლებსაც ბავშვები ქუჩაში თვალებდაჭყეტილი მისჩერები-

ან. „რატომ გამოიყურება ეს ძია ასე უცნაურად?“ – ეკითხებიან დედებს და ისინი ცდილობენ, ბავშვები გააჩუმონ.

სალემის მაღაზიაში შეძლებისდაგვარად იშვიათად დადის, გრეიამსთაუნში კი – მხოლოდ შაბათობით. ის უცებ იქცა განდეგილად, სოფლის განდეგილად. „ხეტიალი დასრულდა, თუმცა გულს კვლავ უყვარს და მთვარეც კვლავ კაშკაშებს“.[33] ვინ იფიქრებდა, რომ ყველაფერი ასე სწრაფად და მოულოდნელად დასრულდებოდა. ხეტიალი, სიყვარული.

ჯერჯერობით, საფუძველი არა აქვს, იფიქროს, რომ მითქმა-მოთქმა მისი უბედურების შესახებ კეიპტაუნშიც გავრცელდა. მიუხედავად ამისა, არ უნდა, რომ როზალინდამ ეს ამბავი დამახინჯებულად გაიგოს. ორჯერ ცდილობს მასთან დარეკვას, მაგრამ უშედეგოდ. მესამედ სამსახურში – სამოგზაურო სააგენტოში – ურეკავს. ეუბნებიან, რომ როზალინდა მადაგასკარშია სიტუაციის შესასწავლად და ანტანანარივუში სასტუმროს ფაქსსა და ტელეფონის ნომერს აძლევენ.

დეპეშის ტექსტს ადგენს: „მე და ლუსიმ რაღაც უსიამოვნება გადავიტანეთ. მანქანა მომპარეს და ჩხუბიც მომიხდა, რომლის დროსაც ერთი-ორი მომხვდა. სერიოზული არაფერია. ახლა არა გვიშავს, თუმცა ცოტა კალაპოტიდან ამოვცვივდით. ვიფიქრე, შევატყობინებ-მეთქი – ხომ შეიძლება, მითქმა-მოთქმამ შენამდეც მოაღწიოს. იმედია, კარგ დროს ატარებ“. დასტურის მისაღებად ლუსის უჩვენებს, შემდეგ კი ბევს აძლევს როზალინდასთან, ყველაზე შავბნელ აფრიკაში გასაგზავნად.

---

[33] ჯორჯ ბაირონი, „We'll Go No More A-Roving“ („ვერ ვიხეტიალებთ მთელი საღამო“).

ლუსის გამომჯობინება არ ეტყობა. მთელი ღამე არ წვება. ამტკიცებს, ვერ ვიძინებო. ხშირად ნაშუადღევს დივანზე ჩაძინებულს ხედავს. ცერა თითი პატარა ბავშვივით პირში უდევს. თითქმის არ ჭამს. ხორცს საერთოდ არ ეკარება და გასხვავებული კერძების მომზადება უწევს, რომ როგორმე მაგიდასთან მიიტყუოს.

აქ ამისთვის არ ჩამოსულა. არ ჩამოსულა, რომ ამ მიყრუებულ ადგილას ჩარჩეს და თავის ქალიშვილს დემონები აარიდოს, მისი გადია იყოს, ნგრევის პირას მისული მეურნეობის ფეხზე დაყენებას შეეცადოს. აქ ჩამოსვლის ერთადერთი მიზანი ძალების მოკრება იყო, ის კი დღითიდღე საკუთარ თავს კარგავს.

დემონებმა არც მას აუარეს გვერდი. თვითონაც ხედავს კოშმარს – სისხლით გაჟღენთილ ლოგინში წევს, სუნთქვა ეკვრის, უხმოდ კვნესის, გარბის კაცისგან, რომელსაც ქორის სახე აქვს, თუ თოტის[34], თუ ბენინის[35] ნიღბისებური. ერთხელ, ღამით, ნახევრად სომნამბულურ, ნახევრად უგონო მდგომარეობაში მყოფი საწოლიდან ზეწარს იღებს და ლეიბს აბრუნებს – სისხლის ლაქებს ეძებს.

ბაირონზე ჩანაფიქრი ისევ ძალაშია. იმ წიგნებიდან, რომლებიც აქ ჩამოიტანა, მხოლოდ წერილების ორი ტომი გადარჩა, დანარჩენები გატაცებული მანქანის საბარგულში იყო. გრეიამსთაუნის საჯარო ბიბლიოთეკას მხოლოდ რჩეული ლექსების კრებული აქვს. მაგრამ ასე აუცილებელი კია, კითხვა განაგრძოს? კიდევ რა უნდა იცოდეს იმის შესახებ, თუ

---

[34] სიბრძნისა და მეცნიერების ძველეგვიპტური ღვთაება.

[35] სახელმწიფო, რომელიც XIX საუკუნის ბოლომდე არსებობდა ნიგერიის სამხრეთით; ახლა ის ნიგერიის შემადგენლობაშია. ცნობილია სპილოს ძვლის ნაკეთობებით, თასებით.

როგორ ატარებდნენ დროს ბაირონი და მისი მეგობრები ძველ რავენაში? ნუთუ აღარ შეუძლია, შეთხზას ბაირონის, ნამდვილი ბაირონისა და ტერეზას ისტორია?

სიმართლე რომ ითქვას, რამდენიმე თვეა, ამ წამს მომავლისთვის დებს, წამს, როცა ცარიელ ფურცელთან მარტო დარჩება, პირველ ნოტს აიღებს. მის გონებაში უკვე ფუთფუთებენ ნაწყვეტები შეყვარებულ დუეტზე, სოპრანოს და ტენორის ვოკალური ხაზები, რომლებიც უჩუმრად იკლაკნებიან ერთმანეთში და მერე გველებივით სხლტებიან. მელოდია კულმინაციის გარეშე. რეპტილიის ქერცლის შარიშური მარმარილოს კიბეზე, უკანა პლანზე კი დამცირებული ქმრის მთრთოლვარე ბარიტონი. შესაძლოა, უსიხარულო ტრიო სწორედ აქ გაცოცხლდეს უკანასკნელად: არა კეიპტაუნში, არამედ ძველ კაფრარიაში.

თავი 15

მთელი დღის განმავლობაში ორი შიშაგი საჯინიბოს გვერდითაა დაბმული, მოშიშვლებულ ადგილზე. მათი გაბმული, მონოტონური ბღავილი თანდათან აღიზიანებს. პეტრასთან მიდის, რომელსაც ველოსიპედი ამოუყირავებია და არემონტებს.

– ეს ცხვრები, – ეუბნება, – არ შეიძლება ისეთ ადგილზე დავაბათ, სადაც მოძოვენ?

– ესენი წვეულებისთვის ვიყიდე, – ამბობს პეტრასი, – შაბათს დავკლავ. თქვენ და ლუსიც უნდა მოხვიდეთ, – ხელებს იწმენდს, – თქვენ და ლუსის გპატიჟებთ.

– შაბათს?

– ჰო, შაბათს მაქვს წვეულება. დიდი წვეულება.

– გმადლობთ, მაგრამ წვეულებამდე რომ ბალახი ძოვონ, არ ჯობია?

ერთი საათის შემდეგ ცხვრები ისევ იმ ადგილას არიან და ისევ საცოდავად ბღავიან. პეტრასი არ ჩანს. მოთმინებიდან გამოსული ცხვრებს უშვებს და პანღურებით ერეკება გუბუ-

რისკენ, სადაც ბევრი ბალახია. დიდხანს სვამენ წყალს და მერე აუჩქარებლად იწყებენ ძოვას. სპარსული ჯიშის შავდრუნჩიანი ცხვრები არიან, ერთნაირი ზომის, ერთნაირი ჭდეებით და მოძრაობებითაც კი. ტყუპი, როგორც ჩანს, დაბადებიდანვე ყასბის დანისთვის არის განწირული. ეს უცნაური სულაც არ არის. როდის მოკვდა ბოლოს ცხვარი სიბერით? ცხვრები თავის თავს არ ეკუთვნიან და არც მათი ცხოვრება ეკუთვნით მათ. ისინი იმისთვის არსებობენ, რომ მათი თითოეული უნცია გამოიყენონ: ხორცი – საჭმელად, ძვლები – დასაფქვავად და შინაური ფრინველის საკვებად. ვერაფერს გამოიყენებენ, გარდა, შესაძლოა, ნაღვლის ბუშტისა, რომელსაც არავინ ჭამს. დეკარტს უნდა ეფიქრა ამაზე. სული, წყვდიადში ნაღვლის ბუშტით გამოკიდებული. მშვენიერი სამალავია.

– პეტრასმა წვეულებაზე მიგვიწვია, – ეუბნება ლუსის, – რატომ მართავს წვეულებას?

– ალბათ, იმიტომ, რომ მიწის მფლობელი ხდება. ოფიციალურად ეს მომავალი თვის დასაწყისში მოხდება. ეს მისთვის დიდი დღეა. უნდა გამოვჩნდეთ მაინც იქ და საჩუქარი მივუტანოთ.

– ორი ცხვრის დაკვლას აპირებს. არა მგონია, ყველას გასწვდეს.

– პეტრასი წუწურაქია. წინათ ასეთ დროს ხარს კლავდნენ.

– არ მომწონს მისი საქციელი – დასაკლავი ცხოველების სახლში მიყვანა და იმ ადამიანებისთვის ჩვენება, რომლებმაც ისინი უნდა შეჭამონ.

– შენ რას არჩევდი? ცხოველის სასაკლაოზე დაკვლას, რომ ამაზე ფიქრს არ შეეწუხებინე?

– ჰო.

– გაიღვიძე, დევიდ. ეს სოფელია. ჩვენ აფრიკაში ვართ.

ბოლო დღეებში ლუსი ხშირად ჯაჯღანებს, მისი აზრით, უმიზეზოდ. ის ჩვეულებრივ დუმილით უპასუხებს. დროდადრო ისინი ერთ ჭერქვეშ მყოფ უცხოებს გვანან.

თავის თავს ეუბნება, რომ უნდა მოითმინოს, რომ ლუსი გადატანილი თავდასხმის აჩრდილქვეშ ცხოვრობს, რომ დრო სჭირდება, სანამ ისევ ძველი ლუსი გახდება. მაგრამ თუ ის ცდება? თუკი ასეთი თავდასხმის გადატანის შემდეგ ადამიანი აღარასოდეს ხდება ისეთი, როგორიც იყო, თუკი ასეთი თავდასხმა ადამიანს სხვა, ბევრად უფრო უარეს ადამიანად აქცევს?

მაგრამ ლუსის უხასიათობის უფრო ავბედითი ახსნაც არსებობს, რომლის თავიდან ამოგდება ვერ მოუხერხებია.

– ლუსი, – ეკითხება მოულოდნელად იმავე დღეს, – ხომ არაფერს მიმალავ? რაიმე ხომ არ აიკიდე იმ კაცებისგან?

ლუსი დივანზე ზის პიჟამასა და ხალათში გამოწყობილი და კატას ეთამაშება. ნაშუადღევია. კატა ცქვიტია, თამამი. ლუსი ხალათის ქამრის ბოლოს მის წინ აქანავებს. კატა თათით ეთამაშება ქამარს, სწრაფად, მსუბუქად ურტყამს – ერთი, ორი, სამი, ოთხი.

– კაცები? – ამბობს. – რომელი კაცები? – ქამრის ბოლო მეორე მხარეს გადააქვს. კატაც გასდევს.

„რომელი კაცები?“ გული უჩერდება. „გაგიჟდა? აღარ ახსოვს?“

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ლუსი მხოლოდ მის გაჯავრებას ცდილობს.

– დევიდ, მე ბავშვი აღარ ვარ. ექიმი ვნახე და ტესტიც ჩავიტარე. ყველაფერი გავაკეთე, რისი გაკეთებაც გონიერ ადამიანს მოეთხოვება. ახლა ლოდინილა დამრჩენია.

– გასაგებია, და „ლოდინში“ სწორედ იმას გულისხმობ, რასაც მეც ვფიქრობ?

– ჰო.

– ამას დიდი ხანი დასჭირდება?

ის მხრებს იჩეჩს. ერთი თვე. სამი თვე. უფრო დიდი ხანი. მეცნიერებას ჯერ კიდევ არ დაუდგენია საზღვრები, რამდენ ხანს უნდა ელოდო. შეიძლება მთელი ცხოვრებაც.

კატა ხტება და ქამარს ბრჭყალებით ეჭიდება, მაგრამ თამაში უკვე დამთავრებულია.

ქალიშვილის გვერდით ჯდება. კატა დივნიდან ხტება და ნელი, მედიდური ნაბიჯით გადის. ლუსის ხელს იღებს. ახლა, ასე ახლოს რომ უზის, ლუსის შმორისა და ჭუჭყის სუნი ასდის.

– ყოველ შემთხვევაში, ეს სამუდამოდ არ გაგრძელდება, ძვირფასო, – ეუბნება, – ყოველ შემთხვევაში, ამას მაინც გადაურჩები.

ცხვრები დღის დანარჩენ ნაწილს იქ ატარებენ, სადაც მან დააბა – გუბურასთან. მეორე დილით კი მათ კვლავ მოშიშვლებულ მიწაზე, საჯინიბოსთან დაბმულს ხედავს. სავარაუდოდ, ისინი იქ ორი დღე იქნებიან, შაბათ დილამდე. ცხოვრების ბოლო ორი დღის ასე გატარება არცთუ ისე სასიამოვნოა. „სოფლური ყაიდის ცხოვრება“ – ასე ეძახის ლუსი ამგვარ რაღაცებს. მას კი ამისთვის სხვა სიტყვები აქვს: გულგრილობა, უგულობა. თუ სოფელს აქვს ქალაქის განსჯის უფლება, მაშინ ქალაქსაც აქვს უფლება, სოფელი განსაჯოს.

ფიქრობს, პეტრასისგან ცხვრები ხომ არ იყიდოს, მაგრამ ამით რას მიაღწევს? პეტრასი სხვა ცხვრებს იყიდის და განსხვავებას ჩაიჯიბავს. და თვითონ რა უნდა უყოს ამ ცხვრებს მას შემდეგ, რაც სიკვდილისგან იხსნის? გაათავისუფლებს და ქუჩაში გაუშვებს? თუ ძაღლების ვოლიერში დაამწყვდევს და თივას დაუყრის?

არ იცის, როგორ, მაგრამ მასსა და ცხვრებს შორის რაღაც კავშირი გაჩნდა. ეს სიყვარული არ არის. ეს მაინცდამაინც ამ ორთან კავშირიც არ არის, რომელთაც მინდორში სხვა ცხვრებში ვერც კი გამოარჩევს. მიუხედავად ამისა, მოულოდნელად, უმიზეზოდ, მათი ხვედრი მისთვის მნიშვნელოვანი გახდა.

ცხვრების წინ დგას, მზის გულზე და ელოდება, როდის ჩაცხრება გუგუნი მის თავში, ელოდება ნიშანს.

ბუზი ცდილობს, ერთ-ერთ მათგანს ყურში შეუძვრეს. ყური ტოკავს. ბუზი ფრინდება, თავს დასტრიალებს, ისევ აჯდება. ყური ისევ ტოკავს.

მათკენ დგამს ნაბიჯს. ცხვრები უკან ხტებიან, მოუხერხებლად, სადამდეც ჯაჭვი უშვებთ.

ახსენდება, როგორ ეკვროდა ბევ შოუ დასახიჩრებულ სათესლეპარკიან ბებერ თხას. ეფერებოდა, ამშვიდებდა, მისი ცხოვრების ნაწილი ხდებოდა. როგორ ახერხებს ბევი ამას, ცხოველთან ასეთ ერთიანობას როგორ აღწევს? რაღაც ხერხი არსებობს, რომელიც მან არ იცის. შესაძლოა, გარკვეული ყაიდის ადამიანი უნდა იყო, ნაკლებად რთული.

გაზაფხულის მცხუნვარე მზე სახეში ანათებს. „უნდა შევიცვალო? – ფიქრობს. – ბევისნაირი უნდა გავხდე?“

ლუსის ესაუბრება:

– პეტრასის წვეულებაზე ვფიქრობდი. კაცმა რომ თქვას, მირჩევნია, არ წავიდე. ძალიან უხერხული იქნება?

– ცხვრების გამო?

– ჰო. არა. ჩემი აზრი არ შემიცვლია, თუ ამას გულისხმობ. ისევ არ მჯერა, რომ ცხოველებს ინდივიდუალობა გააჩნიათ. რომელი მათგანი უნდა გადარჩეს და რომელი მოკვდეს – ეს, ვფიქრობ, წუხილად არ ღირს. და მაინც...

– და მაინც...

– და მაინც, თავს უცნაურად ვგრძნობ. ვერ გეტყვი, რატომ.

– რას იზამ, პეტრასი და მისი სტუმრები შენი პატივისცემისა და შენი მგრძნობიარობის გამო ცხვრის კატლეტზე უარს არ იტყვიან.

– ამას არც ვითხოვ. მე, უბრალოდ, მერჩივნა, წვეულებაზე არ წავსულიყავი. მაპატიე, არასდროს მიფიქრია, რომ ოდესმე ასე ვილაპარაკებდი.

– შეუცნობელ არს გზანი უფლისანი, დევიდ.

– ნუ დამცინი.

შაბათი ახლოვდება. ბაზრობის დღე.

– წავიდეთ სავაჭროდ? – ეკითხება ლუსის.

ის მხრებს იჩეჩს.

– შენ გადაწყვიტე, – ეუბნება.

ის ბაზრობაზე არ მიდის. ლუსი მიზეზს არ ეკითხება. სინამდვილეში შვებას გრძნობს.

პეტრასის წვეულებისთვის მზადება შაბათს, შუადღეზე იწყება ნახევარი დუჟინი ჯანიანი ქალების გამოჩენით, რომლებიც, მისი აზრით, ეკლესიაში წასასვლელად მორთულ-მოკაზმულებს ჰგვანან. საჯინიბოს უკან ცეცხლს ანთებენ. მალე ქარს იქიდან მოხარშული შიგნეულის მყრალი სუნი მოაქვს და ასკვნის, რომ საქმე აღსრულდა, ორი საქმე. ყველაფერი დამთავრდა.

უნდა ინაღვლოს? უნდა ინაღვლო კი იმ არსებების სიკვდილი, რომლებიც ერთმანეთის სიკვდილს არ ნაღვლობენ? თავის გულში იხედება და მხოლოდ გაურკვეველ სევდას გრძნობს.

„მეტისმეტად ახლოს, – ფიქრობს ის, – მეტისმეტად ახ-

ლოს ვცხოვრობთ პეტრასთან. ეს იგივეა, ზიარი ჭერი გქონდეს უცხოებთან, ზიარი ხმაური, ზიარი სუნი.“

ლუსის კარზე აკაკუნებს.

– სასეირნოდ ხომ არ წამოხვალ? – ეკითხება.

– არა, გმადლობთ. კეტი წაიყვანე.

ბულდოგი მიჰყავს, მაგრამ ის ისეთი ნელი და მოუქნელია, რომ ბრაზდება. უკან, ფერმაში აბრუნებს და მარტო შემოივლის რვაკილომეტრიან მარყუჟს. სწრაფად მიაბიჯებს, რომ დაიღალოს.

ხუთ საათზე სტუმრები იწყებენ მოსვლას – მანქანით, ტაქსით, ფეხით. ის სამზარეულოს ფარდის უკნიდან იყურება. უმეტესობა მასპინძლის თაობისაა. დარბაისელი, სოლიდური ხალხია. ერთი მოხუცი ქალის მოსვლა განსაკუთრებულ ფაციფუცს იწვევს: ლურჯ კოსტიუმსა და უგემოვნო ვარდისფერ პერანგში გამოწყობილი პეტრასი სახლისკენ მიმავალ მთელ ბილიკს ჩაივლის, რომ მას შეეგებოს.

უფრო ახალგაზრდა სტუმრები უკვე შეღამებულზე მოდიან. სიოს ლაპარაკის, სიცილისა და მუსიკის დახშული ხმები მოაქვს. მუსიკისა, რომელიც მისთვის ახალგაზრდობის დროინდელ იოჰანესბურგს უკავშირდება. „ასატანი მუსიკაა, – ფიქრობს იგი, – მხიარულიც კი.“

– უკვე დროა, – ამბობს ლუსი, – მოდიხარ?

უჩვეულოდ გამოიყურება: მუხლამდე კაბა, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, მოხატული ხის მძივების ყელსაბამი და ასეთივე საყურე. შთაბეჭდილება არცთუ სახარბიელოა.

– კარგი, წამოვალ. მე მზადა ვარ.

– აქ პიჯაკი არ გაქვს?

– არა.

– მაშინ ჰალსტუხი მაინც გაიკეთე.

– ვიფიქრე, სოფელში ვართ-მეთქი.

– მით უფრო, კოხტად უნდა ჩაიცვა. პეტრასისთვის ეს დიდი დღეა.

ლუსი პატარა ფანარს იღებს. პეტრასის სახლისკენ მიმავალ ბილიკს მიუყვებიან, მამა და ქალიშვილი, ხელიხელგაყრილნი. ლუსი გზას ანათებს. მას საჩუქარი უჭირავს.

ღია კართან ჩერდებიან, იღიმებიან, პეტრასი არსად ჩანს, მაგრამ გამოდის საზეიმო კაბაში გამოწყობილი გოგონა და შინ შეუძღვებათ.

ძველ საჯინიბოს არც ჭერი აქვს და არც ნორმალური იატაკი, მაგრამ ფართოა და ელექტროგანათებაც არის. აბაჟურიანი ლამფები და კედელზე დაკიდებული სურათები (ვან გოგის „მზესუმზირები," ტრეტჩიკოვის[36] „ქალი ლურჯებში", ჯეინ ფონდა ბარბარელას[37] კოსტიუმში და დოქტორი კუმალო[38], რომელსაც გოლი გააქვს) საერთო უხალისო ფონს ამსუბუქებს.

თეთრკანიანი მათ გარდა აქ არავინაა. სტუმრები ცეკვავენ, ძველმოდური აფრიკული ჯაზია, რომელიც სამზარეულოშიც ესმოდა. ცნობისმოყვარე მზერას აყოლებენ მას და ლუსის, ან იქნებ უფრო მის შეხვეულ თავს.

ზოგიერთ ქალს ლუსი იცნობს. დანარჩენებს აცნობენ. შემდეგ მათ გვერდით პეტრასი აღმოჩნდება. სტუმართმოყვარე მასპინძელს არ თამაშობს – მათ დასალევს არ სთავაზობს, მაგრამ ამბობს:

---

[36] ვლადიმერ ტრეტჩიკოვი (1913-2006) რუსული წარმოშობის ინგლისელი მხატვარი.

[37] 1968 წელს ჯეინ ფონდამ ითამაშა კოსმიური ავანტიურისტის როლი როჟე ვადიმის ფანტასტიკურ ფილმში „ბარბარელა, გალაქტიკის დედოფალი".

[38] სამხრეთაფრიკელი ფეხბურთელი.

– ძაღლები აღარ არიან. მე მეძაღლე აღარ ვარ, – ლუსი ამჯობინებს, ეს ხუმრობად ჩაუთვალოს, ასე რომ, როგორც ჩანს, ყველაფერი რიგზეა.

– რაღაც მოგიტანეთ, – ამბობს ლუსი, – მაგრამ იქნებ ჯობდეს, თქვენს მეუღლეს გადავცეთ. საოჯახო ნივთია.

პეტრასი სამზარეულოსკენ ბრუნდება, თუკი ამ ადგილს ასე ეძახიან და თავის ცოლს უხმობს. პირველად ხედავს ქალს ასე ახლოდან. ახალგაზრდაა, ლუსიზე ახალგაზრდა. სასიამოვნო უფრო ეთქმის, ვიდრე ლამაზი, მორცხვია. აშკარად ჩანს, რომ ფეხმძიმედაა. ლუსის ხელს ართმევს, მას კი – არა, და თვალებშიც არ უყურებს.

ლუსი რამდენიმე სიტყვას ამბობს კოსას ენაზე და ქალს შეხვეულ საჩუქარს გადასცემს. მათ გარშემო უკვე ნახევარმა დუჟინმა მაყურებელმა მოიყარა თავი.

– მან ის უნდა გახსნას, – ამბობს პეტრასი.

– ჰო, უნდა გახსნათ, – ამბობს ლუსი.

ფრთხილად, ისე, რომ მანდოლინებით და დაფნის ტოტებით მოხატული საჩუქრის ქაღალდი არ გახიოს, ახალგაზრდა ცოლი შეკვრას ხსნის. საკმაოდ მიმზიდველი აშანტის[39] ორნამენტიანი ქსოვილი გამოჩნდება.

– გმადლობთ, – ჩურჩულებს ქალი ინგლისურად.

– საწოლის გადასაფარებელია, – უხსნის ლუსი პეტრასს.

– ლუსი ჩვენი მწყალობელია, – ამბობს პეტრასი და შემდეგ ლუსის მიმართავს, – თქვენ ჩვენი მწყალობელი ხართ.

მისი აზრით, უსიამოვნო სიტყვაა, ორაზროვანი, წამს რომ ჩააშხამებს, ისეთი. მაგრამ პეტრასის ბრალი კია? ენა, რომელზეც ის ასეთი აპლომბით საუბრობს, დიდი ხანია – მან

---

[39] განაში მცხოვრები ხალხი.

რომ ეს იცოდეს! – გაცვდა, გაფხვიერდა, თითქოს ტერმიტებმა შიგნიდან გამოხრეს. ახლა მხოლოდ ერთმარცვლიან სიტყვებს თუ ენდობი და მათაც – ყველას ვერა.

რა უნდა ქნა? ვერაფერს იზამ, ყოველ შემთხვევაში მან, კომუნიკაციის მეთოდების ყოფილმა ლექტორმა, ვერაფერი მოიფიქრა. თავიდან თუ დაიწყებ, ანბანიდან. მაგრამ როცა რეკონსტრუირებული, განწმენდილი, დამაჯერებელი გრძელი სიტყვები უკან დაბრუნდება, ის კარგა ხნის გარდაცვლილი იქნება.

შეაჟრჟოლა, თითქოს საფლავის სიმყრალე იგრძნო.

– ბავშვი, ბავშვს როდის ელოდებით? – ეკითხება პეტრასის ცოლს.

ის დაბნეული უყურებს.

– ოქტომბერში, – საუბარში პეტრასი ერევა, – ოქტომბერში ველოდებით. იმედი გვაქვს, ბიჭი იქნება.

– ოჰ, და გოგონას საწინააღმდეგო რა გაქვთ?

– ვლოცულობთ, რომ ბიჭი იყოს, – ამბობს პეტრასი, – უკეთესია, თუ პირველი ბიჭია. შემდეგ ის თავის დებს ასწავლის, როგორ მოიქცნენ. ასეა, – პაუზას აკეთებს, – გოგო კი ძალიან ძვირი გიჯდება, – ცერს და საჩვენებელ თითებს ერთმანეთს უსვამს, – სულ ფული, ფული, ფული...

დიდი ხანია, ეს ჟესტი არ უნახავს. ადრე მას ებრაელები იყენებდნენ: ფული, ფული ფული – და ასევე მრავალმნიშვნელოვნად აქნევდნენ თავს. მაგრამ პეტრასმა, ალბათ, არ უწყის ამ ევროპული ტრადიციის ნარჩენის შესახებ.

– ბიჭიც შეიძლება ძვირი დაჯდეს, – შენიშნავს ის, რომ საუბარში თავისი წვლილი შეიტანოს.

– ეს უყიდე, ის უყიდე, – განაგრძობს პეტრასი. ეშხში შედის და მოსაუბრეს აღარ უსმენს, – ჩვენს დროში კაცი

ქალს ფულს არ უხდის. მე კი ვუხდი, – ცოლს თავზე ხელს უსვამს, ის მორცხვად ხრის თვალებს. – მე ვუხდი, მაგრამ ეს ძველმოდურია. ტანსაცმელი, კარგი ნივთები. სულ ერთი და იგივე: გადაიხადე, გადაიხადე, გადაიხადე, – თითების გასმის ჟესტს იმეორებს, – არა, ბიჭი უკეთესია. მაგრამ ეს თქვენს ქალიშვილს არ ეხება. თქვენი ქალიშვილი სხვაა. ის ბიჭივით კარგია, თითქმის, – თავის გონებამახვილობაზე იცინის, – ჰა, ლუსი?

ლუსი იცინის, მაგრამ მან იცის, რომ მისი ქალიშვილი თავს უხერხულად გრძნობს.

– წავალ, ვიცეკვებ, – ხმადაბლა ამბობს ლუსი და მიდის.

მარტო ცეკვავს – სოლიფსისტური მანერით, რომელიც ეტყობა, მოდაში შემოვიდა. მალე ახალგაზრდა კაცი უერთდება, მაღალი, მოქნილი, აკურატულად ჩაცმული. პირდაპირ ლუსის წინ ცეკვავს, თითებს ატკაცუნებს, უცინის, ეარშიყება.

გარედან ქალები შემოდიან, შემწვარი ხორცით სავსე ლანგრებით. ჰაერში მადის აღმძვრელი სუნი დგება. სტუმრების ახალი ნაკადი შემოდის, ახალგაზრდები, ხმაურიანები, სიცოცხლით სავსენი, ახალმოდურები. წვეულება ახალი ძალით ჩაღდება.

ხელში საჭმელით სავსე თეფში უჭირავს. პეტრასს უწვდის.

– არა, – ამბობს პეტრასი, – ეს თქვენია. ასე ჩვენ მთელ ღამეს თეფშების გადაცემა-გადმოცემაში გავატარებთ.

პეტრასი და მისი ცოლი მას დიდ ყურადღებას აქცევენ, თავი შინაურულად რომ აგრძნობინონ. „კეთილი ხალხია, – ფიქრობს, – სოფლელები.“

ლუსისკენ იხედება. ახალგაზრდა კაცს უკვე რამდენიმე სანტიმეტრიღა აშორებს. ფეხს მაღლა სწევს, შემდეგ აბაკუნებს, ხელებს იქნევს. ტკბება თავისი მოძრაობებით.

მის თეფშზე დევს ორი ნაჭერი ცხვრის ხორცი, შემწვარი კარტოფილი, ბრინჯი ხორცის წვნით და გოგრის ნაჭერი. თავისუფალ სკამს პოულობს და გალეული მოხუცის გვერდით ჯდება, რომელსაც წირპლიანი თვალები აქვს. „მომიწევს ამის შეჭმა, – ეუბნება თავის თავს, – შევჭამ და მერე პატიებას ვითხოვ."

უცებ მის გვერდით ლუსი ჩნდება, სწრაფად სუნთქავს, სახე დაძაბული აქვს.

– წავიდეთ, – ამბობს, – ისინი აქ არიან.

– ვინ ისინი?

– ერთ-ერთი მათგანი დავინახე, დევიდ, სახლის უკან. არ მინდა, აქ აურზაური ავტეხო. შეიძლება ახლავე წავიდეთ?

– დამიჭირე, – თეფშს აწვდის და უკანა კარიდან გადის.

გარეთ თითქმის იმდენივე სტუმარია, რამდენიც შიგნით. ცეცხლის გარშემო შეკრებილნი საუბრობენ, სვამენ, იცინიან. ცეცხლის მეორე მხრიდან ვიღაც მისჩერებია. უცებ ყველაფერი თავის ადგილზე დგება. იცნობს ამ სახეს, ძალიან კარგად იცნობს. მისკენ ბრბოში გზას იკვლევს. „მე კი მინდა აურზაური ავტეხო, – ფიქრობს, – სამწუხაროა, რომ სწორედ დღეს, მაგრამ არის რაღაც, რასაც ვერ გადადებ."

ბიჭის წინ ჩერდება. ეს მესამეა, უაზრო სახის, დამხმარე, ხელის ბიჭი.

– მე შენ გიცნობ! – მუქარით ეუბნება.

ბიჭი შეშინებული არ ჩანს, პირიქით, თითქოს ამ წამს ელოდა, თითქოს ამ წამისთვის იკრებდა ძალებს. ყელიდან მრისხანებისგან დახშული ხმა ამოსდის.

– ვინ ხარ? – ეკითხება, მაგრამ მისი სიტყვები სხვა რამეს ნიშნავს: „რა უფლებით ხარ აქ?" ბიჭის მთელი სხეული სიძულვილს ასხივებს.

ამ დროს პეტრასიც მოდის, კოსას ენაზე სწრაფად ლაპარაკობს.

პეტრასს სახელოზე ჰკიდებს ხელს. ის მრისხანე მზერას ავლებს და ხელს იშორებს.

– იცით, ეს ვინ არის? – ეკითხება პეტრასს.

– არა, არ ვიცი, ვინ არის, – გაბრაზებით უპასუხებს, – და არც ის ვიცი, აქ რა ხდება. რა ხდება?

– ეს... ეს ბანდიტი იყო ჩვენთან თანამონაწილეებთან ერთად. ის ერთ-ერთი მათგანია. ჰკითხეთ, თვითონ მოყვეს. თვითონ გითხრათ, რატომ ეძებს პოლიცია.

– ტყუილია! – ყვირის ბიჭი. კვლავ პეტრასს მიმართავს. მრისხანე სიტყვების ნაკადი მოჩქეფს. მუსიკა ისევ იღვრება ღამის ჰაერში, მაგრამ უკვე აღარავინ ცეკვავს. პეტრასის სტუმრები მათ გარშემო გროვდებიან, ერთმანეთს მუჯლუგუნს ჰკრავენ, ლაპარაკს არ აცდიან. ნამდვილად უსიამოვნო ატმოსფეროა.

– ის ამბობს, რომ არ იცის, რაზე ლაპარაკობთ, – ამბობს პეტრასი.

– ტყუის! ძალიან კარგად იცის. ლუსი დამიდასტურებს.

რა თქმა უნდა, ლუსი არ დაუდასტურებს. როგორ შეიძლება იმის იმედი ჰქონდეს, რომ ლუსი ამ უცხო ადამიანების თვალწინ ბიჭთან მივა, თითს მიაშვერს და იტყვის: „დიახ, ეს ერთ-ერთი მათგანია. ერთ-ერთი, ვინც ეს ჩაიდინა“.

– პოლიციას უნდა დავურეკო, – ამბობს.

გარშემომყოფნი უკმაყოფილოდ ბუტბუტებენ.

– პოლიციას უნდა დავურეკო, – უმეორებს პეტრასს. ის გაქვავებული სახით უყურებს.

ჩამოწოლილ სიჩუმეში სახლში შედის, სადაც ლუსი ელოდება.

– წავიდეთ, – ეუბნება.

სტუმრები გზას უთმობენ. მათ მიმართ კეთილგანწყობა უკვე აღარ იგრძნობა. ლუსის ფანარი დარჩა. სიბნელეში ბილიკიდან გადასულან. ლუსის ფეხსაცმლის გახდა უწევს. სახლამდე კარტოფილის კვლების გავლით აღწევენ.

ხელში უკვე ყურმილი უჭირავს, მაგრამ ლუსი აჩერებს:

– დევიდ, ნუ იზამ ამას. ეს პეტრასის ბრალი არ არის. თუ პოლიციას დაურეკავ, წვეულებას ჩაუმწარებ. გონიერებას მოუხმე.

ის გაოცებულია, ისეთი გაოცებული, რომ ქალიშვილსაც აღარ ინდობს:

– ღვთის გულისათვის, რატომ არ არის პეტრასის ბრალი? ჯერ ერთი, ასეა თუ ისე, სწორედ მან მოიყვანა აქ ეს კაცები, ახლა კი თავხედობა ჰყოფნის, ისინი სტუმრად მიიწვიოს. რას ნიშნავს, გონიერებას ვუხმო? სიმართლე გითხრა, ლუსი, ჩემთვის ყველაფერი გაუგებარია. გაუგებარია, რატომ არ შეიტანე საჩივარი ისე, როგორც საჭირო იყო. ახლა ის არ მესმის, რატომ იცავ პეტრასს. პეტრასი მამა აბრამის ბატკანი არ არის. ის მათ გვერდით დგას.

– ნუ მიყვირი, დევიდ, ეს ჩემი ცხოვრებაა. აქ მე უნდა ვიცხოვრო. რაც შემემთხვა, ჩემი საქმეა, მხოლოდ ჩემი და არა შენი, და მე თუ ერთი უფლება მაინც მაქვს, ეს არის უფლება, ჭკუის დარიგებები არ ვისმინო და თავის მართლება არ დამჭირდეს, არც მამის და არც არავის წინაშე. რაც შეეხება პეტრასს, ის დაქირავებული მუშა არ არის, რომლის გაგდება შემიძლია იმიტომ, რომ, ჩემი აზრით, ცუდ ხალხთან აქვს საქმე. ეს ყველაფერი უკვე წასულია, ქარმა წაილო. თუკი გინდა, პეტრასს დაუპირისპირდე, ჯერ იმ ფაქტების სისწორეში დარწმუნდი, რომლებიც ხელთ გაქვს. შენ პოლიციას არ

დაურეკავ. მე არ მოგცემ ამის უფლებას. დილამდე დაიცადე. დაიცადე, სანამ პეტრასი არ გვეტყვის, ამ ყველაფერზე რას ფიქრობს.

– მაგრამ ამასობაში ის ბიჭი დაიმალება.

– ვერ დაიმალება. პეტრასი მას იცნობს. ყოველ შემთხვევაში, აღმოსავლეთ კეიპში აქამდე არავის მოუხერხებია დამალვა. ეს ასეთი ადგილი არ არის.

– ლუსი, ლუსი, გევედრები! შენ გინდა, წარსულის სიბილწე გამოისყიდო, მაგრამ ამ გზით ამას ვერ მოახერხებ. თუკი ახლა თავს არ დაიცავ, მომავალში ველარასოდეს შეძლებ, თავაწეულმა იარო. ამას ჯობს, ახლავე ჩააწყო შენი ნივთები და აქედან წახვიდე. რაც შეეხება პოლიციას, თუკი ახლა დელიკატურობას იჩენ და იქ დარეკვა არ გინდა, მაშინ არც თავიდან უნდა მიგვემართა მათთვის. ვყოფილიყავით ჩვენთვის და დავლოდებოდით, სანამ კიდევ დაგვესხმოდნენ თავს, ან სულაც, ყელს გამოგვჭრიდნენ.

– კმარა, დევიდ. მე არ ვარ ვალდებული, შენ წინაშე თავი ვიმართლო. შენ არ იცი, რა მოხდა.

– არ ვიცი?

– არ იცი, მიახლოებითაც კი. გაჩუმდი და იფიქრე ამაზე. რაც შეეხება პოლიციას, ნება მომეცი, შეგახსენო, რომ ჩვენ მათ, პირველ რიგში, დაზღვევისთვის მივმართეთ. განცხადება რომ არ შეგვეტანა, დაზღვევის თანხას არ გადაგვიხდიდნენ.

– ლუსი, შენ მე მაოცებ. მშვენივრად იცი, რომ ეს სიმართლე არ არის. რაც შეეხება პეტრასს, ვიმეორებ: თუ ახლა მას თავს დაუხრი, თუ სისუსტეს გამოავლენ, ვერ შეძლებ, საკუთარ თავთან ჰარმონიულად იცხოვრო. შენ გაკისრია პასუხისმგებლობა საკუთარი თავის, მომავლის წინაშე. შენი თა-

ვის მიმართ პატივისცემა გჭირდება, ბოლოს და ბოლოს. ნება მომეცი, დავურეკო პოლიციას, ან შენ თვითონ დაურეკე.

– არა.

„არა“ – ეს ლუსის ბოლო სიტყვაა. შემდეგ თავის ოთახში გადის და კარს ცხვირწინ უხურავს. ნაბიჯ-ნაბიჯ, ისე ულმობლად, თითქოს ცოლ-ქმარია, სულ უფრო შორდებიან ერთმანეთს და ის უძლურია, რაიმე იღონოს. მათი დავა დაემსგავსა ხაფანგში მომწყვდეული ცოლ-ქმრის კინკლაობას, რომლებსაც წასასვლელი არსად აქვთ. ლუსი, ალბათ, სინანულით იხსენებს მისი ჩამოსვლის დღეს. ალბათ, უნდა, რომ წავიდეს და რაც შეიძლება, მალე.

მაგრამ საბოლოოდ აქედან წასვლა ლუსისაც მოუწევს. ცხადია, რომ აქ, ფერმაში მარტო დარჩენილ ქალს მომავალი არა აქვს. ეტინგერის დღეებიც კი დათვლილია, მისი პისტოლეტების, მავთულხლართებისა და სიგნალიზაციის სისტემის მიუხედავად.

ლუსი ცოტაოდენ კეთილგონიერებას მაინც რომ იჩენდეს, ყველაფერს მიატოვებდა და არ დაელოდებოდა ხვედრს, რომელიც სიკვდილზე უარესია. მაგრამ, რა თქმა უნდა, ის ამას არ იზამს. ჯიუტია და ღრმად ჩაფლული იმ ცხოვრებაში, რომელიც თვითონ აირჩია.

სახლიდან გადის. სიბნელეში ნელა მიაბიჯებს. საჯინიბოს უკანა მხრიდან უახლოვდება.

დიდი კოცონი ჩამქრალა. მუსიკა აღარ ისმის. უკანა კართან, რომელიც იმხელაა, რომ ტრაქტორი შეეტევა, ხალხი შეჯგუფებულა. მათ თავებს ზემოდან შიგნით იყურება.

ცეკვებისთვის მოწყობილი ფიცარნაგის შუაში ერთ-ერთი სტუმარი, შუა ხნის კაცი დგას, გაპარსული თავითა და ხარივით კისრით. შავი პიჯაკი აცვია, ყელზე ოქროს ძეწკვი

ჰკიდია, რომელზეც მუშტისხელა მედალი მოუჩანს – ისეთი, ტომის ბელადები რომ ატარებდნენ, როგორც მაღალი მდგომარეობის სიმბოლოს. ასეთი სიმბოლოები უამრავი იჭრებოდა კოვენტრში ან ბირმინგემში: ერთ მხარეზე რაღაცით უკმაყოფილო ვიქტორიას თავი იყო ამოტვიფრული, regina et imperatrix[40], მეორეზე კი – ყალყზე შემდგარი ანტილოპა გნუ ან იბისი. მედლები ტომის ბელადებისთვის მთელ ძველ იმპერიაში ჩაჰქონდათ: ნაგპურში, ფიჯიზე, ოქროს ნაპირზე, კაფრარიაში. კაცი რაღაცას ამბობს, მჭევრმეტყველებს, ხმას ხან აუწევს, ხან დაუწევს. გამოსვლა დასრულებული ფრაზებისგან შედგება. მან არ იცის, კაცი რაზე ლაპარაკობს. დროდადრო პაუზას აკეთებს და მაშინ მსმენელებს – ახალგაზრდებსა თუ მოხუცებს, რომლებიც, როგორც ჩანს, მისი გამოსვლით კმაყოფილი არიან, თანხმობის ბუტბუტი გადაურბენს.

ირგვლივ იხედება. ბიჭი ახლოს დგას, ზუსტად კარში. ყმაწვილი წამიერად ავლებს ნერვიულ მზერას. სხვებიც მისკენ ბრუნდებიან: უცხოსკენ, ზედმეტისკენ. მედლიანი კაცი ილუშება, ცოტა ხნით ყოვნდება, შემდეგ ხმას უწევს.

მისთვის სულერთია, დაე, უყურონ, ყურადღება მიაქციონ. „დაე, იცოდნენ, რომ ისევ აქ ვარ, – ფიქრობს ის, – იცოდნენ, რომ დიდ სახლში არ ვიმალები. და თუ ამით წვეულება ჩაუშხამდებათ, ჩაუშხამდეთ!“ ხელით თავის თეთრ სახვევს ეხება და უხარია, რომ ეს სახვევი აქვს, როგორც განმასხვავებელი ნიშანი.

---

[40] დედოფლები და იმპერატორი ქალები (ლათ.).

თავი 16

მეორე დილით ლუსი თავს არიდებს. პეტრასთან შეხვედრაც ვერ მოახერხა. თუმცა ნაშუადღევს თვითონ პეტრასი აკაკუნებს უკანა კარზე – როგორც ყოველთვის, საქმიანი, მაღალყელიან ფეხსაცმელსა და კომბინეზონში გამოწყობილი.

– დროა, მილები ჩავაწყოთ, – ამბობს ის. მას გუბურიდან თავის ახალ სახლამდე, დაახლოებით ორას მეტრზე, პოლოქლორვინილის მილების ჩაწყობა უნდა. შეიძლება, ხელსაწყოები ითხოვოს? იქნებ დევიდი დაეხმაროს რეგულატორის აწყობაში?

– რეგულატორი არასოდეს ამიწყვია და საერთოდ, წყალგაყვანილობის არაფერი ვიცი, – არავითარი სურვილი არა აქვს, პეტრასს დაეხმაროს.

– წყალგაყვანილობას ცოდნა არ სჭირდება, – ამბობს პეტრასი, – მილების მორგება და ჩაწყობაა საჭირო.

გუბურისკენ მიდიან. პეტრასი სხვადასხვა ტიპის რეგულატორებზე, წყლის საკეტებზე, შემაერთებელ პირაპირებზე ლაპარაკობს. ამ სიტყვებს ერთგვარი პომპეზურობით წარმოთქვამს, თავისი ცოდნის წარმოჩენას ცდილობს.

– ახალი მილსადენი ლუსის მიწაზე გაივლის, – ამბობს ის, – კარგია, რომ მან ნებართვა მომცა. შორსმხედველი ქალბატონია, წინ იყურება და არა უკან.

გუშინდელი წვეულების შესახებ არაფერს ამბობს. არც იმ ბიჭზე, თვალებს რომ აქეთ-იქით აცეცებდა. თითქოს ეს ყველაფერი არც მომხდარა.

მალე მისთვის ნათელი ხდება, გუბურასთან რა უნდა გაიკეთოს. პეტრასს მისი რჩევები კი არ სჭირდება მილების შეერთებისა თუ წყალგაყვანილობის შესახებ, არამედ ის, რომ რაღაცა დაუჭიროს, ხელსაწყო მიაწოდოს, ანუ ფაქტობრივად, მისი handlanger[41] იყოს. ამ როლის საწინააღმდეგო არაფერი აქვს. პეტრასმა თავისი საქმე კარგად იცის. მხოლოდ მისი ყურებითაც კი კაცი ბევრ რამეს ისწავლის. მაგრამ სულ უფრო და უფრო ნაკლებად მოსწონს ის, როგორც ადამიანი. პეტრასის გაბმული, მონოტონური ლაპარაკი ჩაესმის და მის მიმართ ანტიპათია უმძაფრდება. არ ისურვებდა მასთან ერთად დაუსახლებელ კუნძულზე მოხვედრას, მით უმეტეს – მისი ცოლის ადგილზე ყოფნას. მბრძანებლური ხასიათი აქვს. მისი ახალგაზრდა ცოლი თითქოს ბედნიერი ჩანს, მაგრამ მოხუც ცოლს, ალბათ, ბევრი ექნება სათქმელი.

ბოლოს, როცა პეტრასს მეტისმეტი მოსდის, ლაქლაქს აწყვეტინებს.

– პეტრას, – ეუბნება, – ვინ არის ის ახალგაზრდა, თქვენთან რომ იყო წუხელ, რა ჰქვია და სად არის ახლა?

პეტრასი ქუდს იხდის, შუბლს იწმენდს. დღეს წვეტიანი ქუდი ახურავს, სამხრეთ აფრიკის რკინიგზისა და პორტების ვერცხლისფერბალთიანი. ქუდების კოლექციას ხომ არ აგროვებს?

---

[41] დამხმარე, ხელქვეითი (ჰოლანდ.).

– იცით, რა, დევიდ, – ამბობს წარბშეკრული, – თქვენ ბიჭზე თქვით, რომ ქურდია. ის ძალიან გაბრაზებულია. ყველას ამაზე ელაპარაკება. მე ვცდილობ, აქ სიმშვიდე შევინარჩუნო, ამიტომ თქვენი სიტყვები ჩემთვისაც ძნელი მოსასმენი იყო.

– არ მინდა, თქვენ ამ საქმეში გაგრიოთ, პეტრას. მითხარით ბიჭის სახელი და ადგილსამყოფელი და ამ ინფორმაციას პოლიციას მივაწვდი. მერე საქმეს ის გამოიძიებს და ბიჭს და მის მეგობრებს სასამართლოს გადასცემს. არც თქვენ მოგიწევთ რამეში გარევა და არც მე, ყველაფერს სასამართლო გადაწყვეტს.

პეტრასი იზმორება, სახეს მზის სხივების ნაკადს უშვერს.

– მაგრამ თქვენ ხომ სადაზღვევო კომპანია ახალ მანქანას მოგცემთ?

ეს კითხვაა? თუ მტკიცება? რას თამაშობს პეტრასი?

– სადაზღვევო კომპანია მე ახალ მანქანას არ მომცემს, – უხსნის ის და ცდილობს, მოთმინებიდან არ გამოვიდეს, – სადაზღვევო კომპანია, თუკი ის ჯერაც არ გაკოტრებულა იმ მასშტაბებით, რაც მანქანების ქურდობამ შეიძინა ამ ქვეყანაში, მხოლოდ გარკვეულ პროცენტს მომცემს იმ თანხისა, რასაც ჩემი ძველი მანქანის ღირებულებად ჩათვლის. ეს ახალი მანქანის შესაძენად საკმარისი არ იქნება. გარდა ამისა, აქ სხვა რამეცაა – ეს პრინციპის საკითხია. ჩვენ არ შეგვიძლია სადაზღვევო კომპანიას მივანდოთ მართლმსაჯულების აღსრულება. ეს მისი საქმე არ არის.

– მაგრამ ეს ბიჭი მანქანას ვერ დაგიბრუნებთ. მან არ იცის, სად არის თქვენი მანქანა. უკეთესი იქნება, დაზღვევის თანხით სხვა შეიძინოთ და მანქანა ისევ გეყოლებათ.

როგორ აღმოჩნდა ამ ჩიხში? ცდილობს, სხვა მხრიდან მოუაროს.

– პეტრას, ნება მომეცით, გკითხოთ, ეს ბიჭი თქვენი ნათესავია?

– და რატომ გინდათ, – აგრძელებს პეტრასი, თითქოს შეკითხვა არც გაეგონოს, – ეს ბიჭი პოლიციას გადასცეთ? ის ისეთი ახალგაზრდაა, რომ ციხეში მაინც არ ჩასვამენ.

– თუ თვრამეტი წლისაა, მისი გასამართლება შეიძლება. თუ თექვსმეტისაა, მაშინაც.

– არა, არა, თვრამეტის არ არის.

– რა იცით? შესახედავად თვრამეტი წლის ჩანს, თუ მეტის არა.

– ვიცი, ვიცი! ის ჯერ ბავშვია, მისი ციხეში ჩასმა არ შეიძლება. კანონით ბავშვის ციხეში ჩასმა არ შეიძლება. ბავშვებს არ იჭერენ.

პეტრასისთვის დავა ამით მთავრდება. მძიმედ ეშვება ცალ მუხლზე და გამომავალ მილზე მეორე მილის მორგებას იწყებს.

– პეტრას, ჩემს ქალიშვილს უნდა, კარგი მეზობელი იყოს, კარგი მოქალაქე და კარგი მეზობელი. მას უყვარს აღმოსავლეთ კეიპი, უნდა, რომ აქ იცხოვროს, თქვენს გვერდით, მაგრამ როგორ მოახერხებს ამას, თუ ბანდიტები ყოველ წუთს შეძლებენ, თავს დაესხან და თან – დაუსჯელნი დარჩნენ? თქვენ ხომ ეს მშვენივრად გესმით.

პეტრასი წვალობს, რომ მილს შემაერთებელი ქურო მოარგოს. ხელის კანზე ღრმა, უხეში ღარები აქვს. მუშაობისას დროდადრო ხვნეშის. არ ეტყობა, რომ მისი ნათქვამი გაიგონა.

– ლუსი აქ უსაფრთხოდ არის, – აცხადებს უცებ, – ყველაფერი მოგვარებულია. თქვენ შეგიძლიათ, წახვიდეთ. მას საფრთხე არ ემუქრება.

– როგორ არის უსაფრთხოდ, პეტრას! სულაც არ არის უსაფრთხოდ. თქვენ ხომ იცით, რაც მოხდა აქ ოცდაერთში.

– ვიცი, რაც მოხდა, მაგრამ ახლა ყველაფერი მოგვარებულია.

– ვინ თქვა, რომ ყველაფერი მოგვარებულია?

– მე ვამბობ.

– თქვენ ამბობთ? თქვენ დაიცავთ მას?

– მე დავიცავ.

– მაშინ ვერ დაიცავით...

პეტრასი მილს საპოხის ახალ ფენას ადებს.

– თქვენ ამბობთ, რომ იცით, რაც მოხდა, მაგრამ მაშინ ხომ არ დაიცავით ლუსი! – უმეორებს, – თქვენ წახვედით და ის სამი ბანდიტი გამოჩნდა, ახლა კი ირკვევა, რომ ერთ-ერთი მათგანი თქვენი მეგობარი ყოფილა. მითხარით, რა დასკვნა უნდა გამოვიტანო აქედან?

ასე აშკარად პეტრასი ჯერ არ დაუდანაშაულებია. მაგრამ, რატომაც არა!

– ბიჭი დამნაშავე არ არის, – ამბობს პეტრასი, – ის ბოროტმოქმედი არ არის, არც ქურდი.

– მე მხოლოდ ქურდობაზე არ ვლაპარაკობ. მათ სხვა, უფრო მძიმე, დანაშაულიც ჩაიდინეს. თუ ამბობთ, რომ იცით, რაც მოხდა, მაშინ თქვენთვის გასაგები უნდა იყოს, რასაც ვგულისხმობ.

– ის არ არის დამნაშავე. ის ძალიან ახალგაზრდაა. უბრალოდ, დიდი შეცდომა დაუშვა.

– თქვენ ზუსტად იცით?

– ვიცი.

მილი უკვე მორგებულია. პეტრასი ცალუღს ღუნავს, უჭერს, დგება, წელში იმართება.

– ვიცი, ხომ გეუბნებით, ვიცი.

– იცით. ამბობთ, რომ ისიც იცით, მომავალში რა მოხდება.

აბა, რაღა უნდა გითხრათ? თქვენ თქვით, რაც სათქმელი გქონდათ. მე კიდევ გჭირდებით?

– არა, იოლი საქმე დარჩა. მხოლოდ მილის ჩამარხვაღაა საჭირო.

მიუხედავად სადაზღვევო კომპანიისადმი პეტრასის დიდი ნდობისა, მის შეტანილ სარჩელზე პასუხი ჯერ არ ჩანს. მანქანის გარეშე თავს ისე გრძნობს, თითქოს ფერმაში დამწყვდეული იყოს.

ერთხელ, ნაშუადღევს, კლინიკაში ბევს გულს უშლის.

– მე და ლუსი ერთმანეთს ვერ ვეწყობით, – ეუბნება მას, – მგონი, ამაში არც არაფერია გასაკვირი. მშობლები და შვილები ერთად ცხოვრებისთვის არ არიან შექმნილი. ნორმალური მდგომარეობა რომ იყოს, წავიდოდი, კეიპტაუნში დავბრუნდებოდი, მაგრამ ახლა ლუსის ფერმაში მარტოს ვერ დავტოვებ. აქ ის უსაფრთხოდ არ არის. ვცდილობ, დავარწმუნო, რომ მეურნეობა პეტრასს ჩააბაროს და დაისვენოს, მაგრამ არ მიჯერებს.

– ბავშვებს თავისუფლება უნდა მივცეთ, დევიდ. ლუსის მთელი ცხოვრება უკან ხომ ვერ სდევთ?

– ლუსი დიდი ხანია, თავისუფალია. მე იმ მამების რიცხვს მივეკუთვნები, რომლებიც თითქმის არ ზღუდავენ შვილებს. მაგრამ ახლა სხვა სიტუაციაა. ლუსი საფრთხეშია. ჩვენ ეს კარგად დავინახეთ.

– ყველაფერი კარგად იქნება. პეტრასი გაუწევს მფარველობას.

– პეტრასი? რატომ? ლუსის მფარველობით ის რას მოიგებს?

– თქვენ პეტრასს სათანადოდ ვერ აფასებთ. ის მონასავით შრომობდა, რომ ლუსის ბოსტანი შემოსავლიანი გამხდარიყო.

პეტრასის გარეშე ლუსი ვერ მიაღწევდა იმას, რასაც მიაღწია. ლუსი ყველაფერს – არა, მაგრამ ბევრ რამეს მას უნდა უმადლოდეს.

– დავუშვათ, ასეა. და პეტრასი რას უნდა უმადლოდეს მას?

– პეტრასი წესიერი კაცია, ისეთი, რომელსაც შეგიძლია, დაეყრდნო.

– პეტრასს შეგიძლია დაეყრდნო? რადგან წვერი აქვს მოშვებული, ჩიბუხს ეწევა და ჯოხით დადის, თქვენ ის ძველი ყაიდის კაფრი გგონიათ? პეტრასი არც ძველი ყაიდის კაფრია და არც, მით უმეტეს, წესიერი კაცი. მას, ჩემი აზრით, ერთი სული აქვს, ლუსი აქედან გააგდოს. თუ ამის მტკიცებულება გნებავთ, გაიხსენეთ, რა შეგვემთხვა მე და ლუსის. შეიძლება ეს პეტრასის ჩანაფიქრი მართლაც არ იყო, მაგრამ მან, რა თქმა უნდა, თვალი დახუჭა, არ გაგვაფრთხილა, თანაც აქაურობას გაერიდა.

მისი გამძვინვარება ბევ შოუს აოცებს.

– საწყალი ლუსი, – ამბობს ის, – რამდენი რამ გადაიტანა.

– მე ვიცი, რაც გადაიტანა, მეც იქ ვიყავი.

ქალი თვალებგაფართოებული უყურებს.

– მაგრამ თქვენ ხომ იქ არ იყავით, დევიდ. მან მითხრა, რომ თქვენ იქ არ იყავით.

„თქვენ იქ არ იყავით. თქვენ არ იცით, რა მოხდა.“ ის გაოგნებულია. სად არ იყო, ბევის აზრით, ან ლუსის აზრით? იმ ოთახში, სადაც ბანდიტებმა სიბილწე ჩაიდინეს? იქნებ ჰგონიათ, რომ არ იცის, გაუპატიურება რას ნიშნავს? რომ ის თავის ქალიშვილთან ერთად არ იტანჯა? რა უნდა ენახა იმაზე უარესი, რისი წარმოდგენაც შეუძლია? ან ხომ არ ფიქრობენ, რომ ვერც ერთი კაცი ვერ გაიგებს, რას განიცდის ქალი, რომელსაც აუპატიურებენ? როგორიც უნდა იყოს პასუხი ამ

შეკითხვებზე, ის შეურაცხყოფილია, შეურაცხყოფილი იმით, რომ უცხოსავით ექცევიან.

მოპარულის სანაცვლოდ პატარა ტელევიზორს ყიდულობს. საღამოობით, ვახშმის შემდეგ ის და ლუსი დივანზე გვერდიგვერდ სხდებიან და ახალ ამბებს უყურებენ, შემდეგ კი, თუ გაუძლეს – გასართობ პროგრამებს.

რაც მართალია, მართალია – ვიზიტი დიდხანს გაგრძელდა – თვითონაც ასე ფიქრობს და ლუსიც. დაიღალა სამგზავრო განწყობილებით, დაიღალა სახლისკენ მომავალ ბილიკზე ღორღის ხრაშუნით. სურს, ისევ თავის საწერ მაგიდას მიუჯდეს, თავის საწოლზე დაიძინოს. მაგრამ კეიპტაუნი შორსაა, ლამის სხვა ქვეყანაა. ბევის რჩევის, პეტრასის დარწმუნების, ლუსის სიჯიუტის მიუხედავად, მას არ შეუძლია ქალიშვილის მიტოვება. ჰოდა, ახლა აქ ცხოვრობს, ამ დროში, ამ ადგილზე.

დაშავებულ თვალში მხედველობა მთლიანად აღუდგა. თავის კანიც მოურჩა, ზეთიანი სახვევები აღარ სჭირდება. მხოლოდ ყურს სჭირდება ყოველდღიური ყურადღება. ასე რომ, დრო მართლაც ყველაფრის მკურნალია. როგორც ჩანს, ლუსიც იკურნება, თუ არ იკურნება, ივიწყებს მაინც. იმ დღის მოგონების გარშემო შემახორცებელი ქსოვილი მატულობს, მჭიდრო გარსში აქცევს მას. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთ დღეს იგი შეძლებს, თქვას: „იმ დღეს, ჩვენ რომ გაგვძარცვეს“ და მომხდარზე იფიქროს, როგორც მხოლოდ ძარცვაზე.

ცდილობს, დრო მეტწილად გარეთ გაატაროს, რომ ლუსიმ სახლში თავისუფლად იგრძნოს თავი. ბაღში მუშაობს, როცა იღლება, გუბურასთან ჩამოჯდება ხოლმე, იხვების ოჯახს აკვირდება და გულდამძიმებული ფიქრობს ბაირონის შესახებ ოპერის შექმნაზე.

ჩანაფიქრი ადგილიდან არ იძვრის. მხოლოდ რაღაც ერთმანეთთან დაუკავშირებელი ფრაგმენტები ირევა თავში. პირველი მოქმედების პირველი სიტყვები ისევ გაურბის, პირველი ნოტები კვლავ კვამლის ქულებივით მოუხელთებელი რჩება. ხანდახან შიშობს, რომ მისი შეთხზული ამბის პერსონაჟები, რომლებიც წელიწადზე მეტხანს მისი აჩრდილისებრი თანამოსაუბრეები იყვნენ, თანდათან ქრებიან. უსხლტება მარგარიტა კოგნიც[42] კი – მათ შორის ყველაზე მიმზიდველი, ვისი მგზნებარე კონტრალტო თავდასხმების მოსმენა ბაირონის ძუკნას, ტერეზა გვიჩიოლის, მიმართ ასე ძალიან სურდა. მათი დაკარგვა სასოწარკვეთილებით ავსებს, ისეთივე ნაცრისფერი და საბოლოოდ, უაზრო სასოწარკვეთილებით, როგორიც თავის ტკივილია.

ცხოველების დაცვის ლიგაში დადის, როცა ახერხებს. აკეთებს ყველაფერს, რასაც განსაკუთრებული ძალისხმევა არ სჭირდება: ცხოველებს აჭმევს, ალაგებს, იატაკს რეცხავს.

კლინიკაში ყველაზე მეტი ძაღლია, შედარებით ცოტა – კატა. როგორც ჩანს, „დ“ რაიონში შინაური ცხოველებისთვის ხალხურ ვეტერინარიას იყენებენ, აქვთ თავიანთი ფარმაკოპეები და ჰყავთ თავიანთი მკურნალები. კლინიკაში ძაღლები მოჰყავთ, ძირითადად, შავი ჭირის, თათების მოტეხილობის, დაჩირქებული ჭრილობების, მუნის, კეთილთვისებიანი თუ ავთვისებიანი სიმსივნეების, სიბერის, შიმშილის, ნაწლავური პარაზიტების გამო, მაგრამ ყველაზე ხშირად მაინც ნაყოფიერებაა მათი მოყვანის მიზეზი. უბრალოდ, ისინი მეტისმეტად ბევრნი არიან. ძაღლის მომყვანი პირდაპირ

[42] რომაელი ხაბაზის ცოლი, რომელთანაც ბაირონს ხანმოკლე რომანი ჰქონდა 1818 წელს.

არ ამბობს: „აი, ძაღლი მოგიყვანეთ მოსაკლავად“ – მაგრამ სწორედ მისი მოშორება სურს, გაქრობა, მივიწყების სამყაროში გადაყვანა. რასაც ისინი ითხოვენ, არსებითად არის Losung[43] (გერმანელებს შესაფერისი ფუჭი აბსტრაქციისთვის შორს წასვლა არ სჭირდებათ) – აქროლება, როგორც სპირტი ქროლდება ყოველგვარი დანალექის, უსიამოვნო გემოს გარეშე.

ასე რომ, კვირას, ნაშუადღევს კლინიკის კარი იხურება და ის ბევ შოუს კვირის განმავლობაში დაგროვილი ზედმეტი ძაღლების „აქროლებაში“ ეხმარება. უკანა ეზოში გადის, თითო-თითოდ გამოჰყავს გალიიდან და მიჰყავს ან მიაქვს ისინი ქირურგიულ განყოფილებაში. თითოეულ მათგანს სიცოცხლის ბოლო წუთებში ბევი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს, ეფერება, ელაპარაკება, ცდილობს, წასვლა გაუადვილოს. თუკი ძაღლი არ მოინუსხება, რაც ძალიან ხშირად ხდება, მისი ბრალია; ეს მისი შეუფერებელი სუნის („ძაღლებს შეუძლიათ, თქვენი ფიქრები იყნოსონ“), სირცხვილის სუნის გამო ხდება. ასეა თუ ისე, სწორედ მას უჭირავს ძაღლი, სანამ ნემსი ვენას იპოვის, ნარკოტიკი გულამდე მიაღწევს, თათები გაიჭიმება და თვალები ჩაქრება.

ადრე ფიქრობდა, მივეჩვევიო, მაგრამ ვერ ეჩვევა. რაც უფრო მეტ მკვლელობაში მონაწილეობს, მით უფრო ნერვიულობს. ერთ კვირა საღამოს, როცა სახლში ლუსის კომბით ბრუნდება, იძულებულია, მანქანა გზის პირას გადაიყვანოს და გააჩეროს, რათა ნერვების მოთოკვა შეძლოს. ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდის ლოყებზე, თავს ვეღარ იკავებს, ხელები უცახცახებს.

---

[43] გახსნა, დახსნა, გათავისუფლება (გერმ.).

ვერ გაუგია, რა ემართება. აქამდე ცხოველების მიმართ მეტ-ნაკლებად გულგრილი იყო. მართალია, მას სისასტიკე არ მოსწონს, მაგრამ არ შეუძლია თავის თავზე თქვას, ბუნებით სასტიკია თუ კეთილი. არც ერთია და არც – მეორე. ის, უბრალოდ, არაფერია. ფიქრობს, რომ ადამიანები, რომელთათვისაც სისასტიკე სამსახურებრივი მოვალეობაა, მაგალითად, სასაკლაოზე მომუშავეები, სულს ჯავშნით იფარავენ. ჩვევა გულს გიქვავებს. უმეტესად სწორედ ასე ხდება, მაგრამ მის შემთხვევაში, ეტყობა, ასე არ არის. მას, როგორც ჩანს, გულქვა ადამიანად ქცევის ნიჭი არ აქვს.

მთელი მისი არსება შეპყრობილია იმით, რაც ქირურგიულ განყოფილებაში ხდება. დარწმუნებულია, ძაღლებმა იციან, რომ მათი დრო დადგა. მიუხედავად იმისა, რომ პროცედურა ჩუმი და უმტკივნეულოა, მიუხედავად ბევის კეთილი ზრახვებისა, მისი მცდელობისა, კეთილად განეწყოს, მიუხედავად ჰერმეტული ტომრებისა, რომლებშიც აწყობენ ახალ ლეშს, ძაღლები ჯერ კიდევ ეზოში გრძნობენ, კლინიკაში რა ხდება – ყურებს ჩამოყრიან, კუდს ამოიძუებენ, თითქოს ისინიც სიკვდილის უპატიობას გრძნობენო. ფეხებით მიწას ეჭიდებიან და ან ძალით უნდა გაათრიო, ან ბიძგებ-ბიძგებით, ან ზღურბლზე ხელში აყვანილი გადაიყვანო. მაგიდაზე ზოგი გაშმაგებით აქნევს თავს აქეთ-იქით, ზოგი საცოდავად წკმუტუნებს. არც ერთი პირდაპირ არ უყურებს ბევის ხელში შპრიცს, რომელიც – და ეს საიდანღაც იციან – მათ რაღაც ძალიან ცუდს უპირებს.

ყველაზე მეტად იმ ძაღლების დაჭერა უმძიმს, რომლებიც დასუნავენ და ცდილობენ, ხელები აულოკონ. არ უყვარს, როცა ლოკავენ და პირველი იმპულსი ხელის წართმევაა. რატომ უნდა მოაჩვენო თავი მეგობრად, როცა სინამდვილეში

შენც მკვლელი ხარ. მაგრამ შემდეგ გული ულბება. რატომ უნდა გრძნობდეს არსება, რომელსაც სიკვდილის ჩრდილი დასწოლია, რომ თავს ისე არიდებენ, როგორც რაღაც საზიზღარს? ამიტომ ნებას აძლევს, ალოკონ, თუკი ასე სურთ, ისევე, როგორც ბევ შოუ ეფერება და კოცნის მათ, როცა ისინი ამის ნებას აძლევენ.

ძალიან უნდა, სჯეროდეს, რომ სენტიმენტალური ადამიანი არ არის. ცდილობს, არც იმ ცხოველების, რომელთაც ხოცავს, და არც ბევ შოუს მიმართ სენტიმენტალური არ იყოს. თავს იკავებს, რომ არ უთხრას: „არ ვიცი, ამას როგორ აკეთებთ“, რათა პასუხად არ მიიღოს: „ვიღაცამ ხომ უნდა გააკეთოს.“ არც იმას გამორიცხავს, რომ სადღაც, გულის სიღრმეში, ბევ შოუ მხსნელი ანგელოზი კი არა, ეშმაკია, რომ მოჩვენებითი თანაგრძნობის მიღმა, ყასბის უხეში გული იმალება. ცდილობს, საღი გონება შეინარჩუნოს.

რადგან ნემსს ბევ შოუ აკეთებს, ნარჩენების გატანა მან იკისრა. მკვლელობის ყოველი სერიის შემდეგ ის დატვირთული კომბით კოლონისტების საავადმყოფოს ნაგავსაწვავზე მიდის და ლეშს პოლიეთილენის შავი ტომრებითვე ყრის ცეცხლში. უფრო ადვილი იქნებოდა, ტომრები ნაგავსაწვავზე დაეტოვებინა, სანამ მუშები მიხედავდნენ, მაგრამ ეს ნიშნავდა მათ დატოვებას შაბათ-კვირის ნაგვის – საავადმყოფოს პალატების ნაყარნუყარის, ქუჩებში აკრეფილი ლეშის, ტყავის ქარხნის მყრალი ნარჩენების – შემთხვევითისა და საშინელის გროვაში. მას არ შეუძლია, ძაღლებს ასე არაკეთილსინდისიერად მოექცეს.

ამიტომ კვირა საღამოს ტომრები ლუსის კომბის საბარგულით ფერმაში მიაქვს, ორშაბათს, დილით კი – საავადმყოფოში. იქ, თითო-თითოდ აწყობს ჩამტვირთავი მოწყობილობის ვაგონეტში, რთავს მექანიზმს, რომელიც ვაგონეტს ღუმლის

ფოლადის კარის გავლით ღრჭიალით მიათრევს ცეცხლისაკენ; მერე ბერკეტს გამოსწევს, რომ ვაგონეტი დაცალოს და მას ისევ უკან აბრუნებს, ამასობაში კი მუშები, რომლებსაც ამის გაკეთება ევალებათ, იქვე დგანან და უყურებენ.

ძაღლების ლეში პირველად რომ წაიღო დასაწვავად, ეს საქმე მუშებს მიანდო. ღამის განმავლობაში ძაღლების სხეულები გაშეშდა. მკვდარი თათები ვაგონეტის გისოსებში იჩხირებოდა და როცა ვაგონეტი ღუმლიდან ბრუნდებოდა, ხშირად ძაღლიც, ოღონდ უკვე ტომრის გარეშე, უკან მოჰქონდა, გაშავებული და კბილებდაკრეჭილი, რომელსაც შეტრუსული შალის სუნი ასდიოდა. მოგვიანებით მუშებმა, ვაგონეტში ჩატვირთვამდე, ტომრებისთვის ნიჩბების ცემა დაიწყეს, რათა გაშეშებული თათები დაემტვრიათ. სწორედ მაშინ ჩაერია და ეს საქმე თავის თავზე აიღო.

ნაგავსაწვავი ანტრაციტზე მუშაობს. მისგან ჰაერი ელექტრული ვენტილატორის საკვამურით გაიწოვება. მისი ვარაუდით, ეს ნაგებობა 50-იან წლებშია აშენებული, ანუ მაშინ, როცა საავადმყოფო შენდებოდა. კვირაში ექვსი დღე მუშაობს, ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით. მეშვიდე დღეს ისვენებს. მუშები სამსახურში მოსვლისას პირველ რიგში წინა დღის ფერფლს ხვეტენ, შემდეგ ცეცხლს ანთებენ. ცხრა საათისთვის შიგა წვის ტემპერატურა ათას გრადუსს აღწევს ცელსიუსით, რაც საკმარისია ძვლების კალცინირებისთვის. ცეცხლი გვიან დილამდე გიზგიზებს, შუადღის შემდეგ კი ღუმელს აცივებენ.

მუშების სახელები არ იცის და არც მათ იციან მისი სახელი. მათთვის ის, უბრალოდ, არის კაცი, რომელიც ერთ ორშაბათ დილას ტომრებით მოვიდა ცხოველების დაცვის ლიგიდან და მას შემდეგ სულ უფრო და უფრო ადრიანად მოდის. მოვა, თავის საქმეს გააკეთებს და მიდის. ის არ გახდა იმ

საზოგადოების ნაწილი, რომლის ბირთვად, მიუხედავად მავთულიანი ღობისა, ბოქლომით დაკეტილი ჭიშკრისა და სამ ენაზე გამაფრთხილებელი წარწერისა, ნაგავსაწვავი ითვლება.

ღობეს რაც შეეხება, ის, უკვე დიდი ხანია, ბევრ ადგილზეა გამოგლეჯილი. ჭიშკარს და მასზე წარწერასაც აღარავინ არაფრად აგდებს. დილით, როცა სანიტრებს საავადმყოფოს ნარჩენების პირველი ტომრები მოაქვთ, ქალები და ბავშვები უკვე იქ იცდიან, რომ ისინი გაქექონ. ეძებენ შპრიცებს, ქინძისთავებს, ბინტებს, რომელთა გარეცხვა კიდევ შეიძლება – ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც შეიძლება გაიყიდოს, მაგრამ განსაკუთრებით აბებს, რომელსაც muti-ს[44] მაღაზიებში ან ქუჩებში ყიდიან. აქ არიან მაწანწალებიც, დღისით რომ საავადმყოფოს ტერიტორიაზე დახეტიალობენ, ღამით კი ნაგავსაწვავის კედელთან სძინავთ, ან სულაც, მის ხახაში – სადაც უფრო თბილა.

ეს ის საზოგადოება არ არის, რომელთან შეერთებაც მას სურს; თუმცა, როცა მოდის, ისინი უკვე აქ ხვდებიან და თუკი არ აინტერესებთ, რაც მას სანაგვეზე მოაქვს, მხოლოდ იმიტომ, რომ მკვდარი ძაღლის ნაწილები არც შესაჭმელად ვარგა და არც გასაყიდად.

რატომ მოჰკიდა ამ საქმეს ხელი? იმიტომ, რომ ბევ შოუსთვის ტვირთი შეემსუბუქებინა? ამისთვის საკმარისი იქნებოდა, ტომრები სანაგვეზე დაეყარა და წასულიყო. ძაღლებისთვის? მაგრამ ძაღლები ცოცხლები არ არიან და თანაც, რა იციან მათ ღირსებასა თუ უღირსობაზე?

გამოდის, რომ საკუთარი თავისთვის, იმ სამყაროს შესა-

---

[44] სამხრეთაფრიკული სიტყვა (წარმოდგება ზულუსური umuthi-სგან – ხე, მცენარე, წამალი) – აღნიშნავს შინაურ წამალს, განსაკურნებელ შელოცვას ან თილისმას.

ხებ თავისი წარმოდგენის გამო, რომელშიც ადამიანები გვამებს ნიჩბებს არ ურტყამენ, რათა ტექნოლოგიური პროცესი უფრო მოსახერხებელი გახადონ.

ძაღლები კლინიკაში იმიტომ მოჰყავთ, რომ ისინი არ სჭირდებათ. „იმიტომ, რომ ისინი მეტისმეტად გამრავლდნენ“. აი, ამ დროს ხდება ის მათი ცხოვრების ნაწილი. ის, შესაძლოა, არც მათი მხსნელია და არც თვლის, რომ მეტისმეტად გამრავლდნენ, მაგრამ მზადაა, იზრუნოს მათზე, მაშინაც კი, როცა თვით ბევ შოუ ჩაიქნევს ხელს. რატომ? იმიტომ, რომ თავად ვერ ზრუნავენ თავიანთ თავზე. პეტრასმა ერთხელ საკუთარ თავს მეძაღლე უწოდა. ჰოდა, ახლა ის გახდა მეძაღლე, ძაღლების მეკუბოვე, მათი ფსიქოპომპოსი[45]: ჰარიჯანი – მიუკარებელი.

საოცარია, რომ მისნაირმა ეგოისტმა თავი მკვდარი ძაღლების სამსახურს მიუძღვნა. ცხადია, უფრო ეფექტური გზებიც იარსებებს იმისათვის, რომ თავი სამყაროს თუ მის შესახებ შენს წარმოდგენას მიუძღვნა. შეიძლება, მაგალითად, უფრო დიდხანს იმუშაო კლინიკაში, შეიძლება ეცადო, დაარწმუნო ბავშვები, ნაგავსაყრელზე რომ იქექებიან, თავი არ მოიწამლონ. ისიც კი, ღამით მეტი გულმოდგინებით რომ მუშაობდეს ბაირონის ლიბრეტოზე, გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეიძლებოდა კაცობრიობისათვის გაწეულ სამსახურად ჩათვლილიყო.

მაგრამ ასეთ საქმეებზე – ცხოველების დაცვაზე, სოციალურ რეაბილიტაციაზე, ბაირონზეც კი, შეიძლება სხვებმაც იმუშაონ. ის ლეშის ღირსებაზე ზრუნავს, რადგან ამის გასაკეთებლად სხვა სულელი არ მოიძებნა. აი, ასეთი ხდება თანდათან: სულელი, შერეკილი, თავგზაარეული.

---

[45] სულების გამცილებელი (ბერძნ.) – ზედმეტსახელი ჰერმესისა, რომელსაც გარდაცვლილთა სულები მიწისქვეშა სამყაროში მიჰყავს.

თავი 17

საკვირაო სამუშაო კლინიკაში დამთავრებულია. კომბი მკვდარი ტვირთითაა სავსე. ბოლო უსიამოვნო საქმეს აკეთებს: ქირურგიული განყოფილების იატაკს რეცხავს.

– ამას მე გავაკეთებ, – ამბობს ეზოდან შემოსული ბევი, – სახლში გელოდებიან, ალბათ.

– არა, არ მეჩქარება.

– და მაინც, თქვენ ხომ სხვანაირ ცხოვრებას ხართ მიჩვეული.

– სხვანაირ ცხოვრებას? არ ვიცოდი, რომ ცხოვრება ტიპებად იყოფოდა.

– იმას ვგულისხმობ, რომ აქ ცხოვრება, ალბათ, ძალიან მოსაწყენი გეჩვენებათ. თქვენი წრე გენატრებათ, მეგობარი ქალები...

– მეგობარი ქალები? ეტყობა, ლუსიმ გითხრათ, რატომ წამოვედი კეიპტაუნიდან. მეგობარ ქალთან მაინცდამაინც არ გამიმართლა.

– ძალიან მკაცრიც ნუ იქნებით მის მიმართ.

– ლუსის მიმართ? ძალიანაც რომ მინდოდეს, ვერ შევ-ძლებ, მის მიმართ მკაცრი ვიყო.

– ლუსის არ ვგულისხმობ, იმ კეიპტაუნელ ახალგაზრდა ქალზე გეუბნებით. ლუსიმ მითხრა, რომ ერთმა ახალგაზრდა ქალმა პრობლემები შეგიქმნათ.

– დიახ, იყო ერთი ახალგაზრდა ქალი, მაგრამ ამჯერად ყველაფერი ჩემი ბრალი იყო. იმ გოგონას მე უფრო მეტი პრობლემა შევუქმენი, ვიდრე მან შემიქმნა.

– ლუსი ამბობს, რომ თქვენ უნივერსიტეტიდან წამოს-ვლა მოგიხდათ. ეს, ალბათ, ადვილი არ იყო. ნანობთ?

რას ყოფს ცხვირს სხვის საქმეში?! საკვირველია, რომ სკანდალის მხოლოდ სუნიც კი ასე აღაგზნებთ ქალებს. რა-ტომ ფიქრობს ეს პატარა, უსახური არსება, რომ არ შემიძ-ლია ჭკუიდან გადავიყვანო? თუ ჭკუიდან გადასვლაც იმ მოვალეობებში შედის, რომელთაც თავის თავზე იღებს იმ მონაზვნის მსგავსად, მისადმი ჩადენილ ძალადობას წინა-აღმდეგობას რომ არ უწევს, რათა სამყაროში ძალადობის კვოტა შეამციროს.

– ვნანობ თუ არა? არ ვიცი. აქ იმან მომიყვანა, რაც კეიპტაუნში მოხდა. მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ აქ უბედური ვარ.

– და მაშინ? მაშინ ნანობდით?

– მაშინ? თქვენ გულისხმობთ, გახურებული აქტის დროს? რა თქმა უნდა, არა. იმ დროს ეჭვები არ გიჩნდება. თუმცა დარწმუნებული ვარ, ეს თქვენც იცით.

ის წითლდება. დიდი ხანია არ უნახავს, შუა ხნის ქალი ასე გაწითლებულიყოს. თმის ძირებამდე.

– და მაინც გრეიამსთაუნი, ალბათ, ძალიან წყნარ ადგილად გეჩვენებათ, – ბუტბუტებს ის, – კეიპტაუნთან შედარებით.

– გრეიამსთაუნის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. აქ ცდუნებებს მაინც ვარ განრიდებული. გარდა ამისა, მე გრეიამსთაუნში არ ვცხოვრობ. ფერმაში ვცხოვრობ ჩემს ქალიშვილთან ერთად.

„ცდუნებას განრიდებული". გულქვაობაა, ეს უთხრა ქალს, თუნდაც შეუხედავს. თუმცა ბევი ყველას შეუხედავი არ ეჩვენება. ალბათ, ოდესღაც ბილ შოუმ ახალგაზრდა ბევში რაღაც დაინახა. და შესაძლოა, არა მარტო მან.

ცდილობს, წარმოიდგინოს, როგორი იქნებოდა ბევი ოცი წლის წინ, როცა მოკლე კისერზე შემოსკუპებული ოდნავ ზემოთ აწეული სახე, ალბათ, უფრო მკვირცხლად გამოიყურებოდა, ჭორფლიანი სახის კანი კი ჯანმრთელობას, ოჯახურ სითბოს ასხივებდა. მოულოდნელ იმპულსს დაჰყვება, ხელს წინ იშვერს და ბევს ტუჩებზე თითებს უსვამს.

ის თვალებს ხრის, მაგრამ სახეს არ არიდებს. პირიქით, ალერსს უპასუხებს, ტუჩებით თითებზე ელამუნება, შეიძლება ითქვას, კოცნის, თან სახე ისევ ავარვარებული აქვს.

სულ ეს არის. უფრო შორს არ მიდიან. კლინიკას უსიტყვოდ ტოვებს. გასვლისას ჩამრთველის ჩხაკუნის ხმა ესმის – ქალი სინათლეს აქრობს.

მეორე დღეს, ნაშუადღევს, ბევი ურეკავს.

– შეგვიძლია კლინიკაში შევხვდეთ, ოთხ საათზე, – ეუბნება ქალი. შეკითხვა არ არის, შეტყობინებაა, მაღალი დაძაბული ხმით ნათქვამი. ლამის ჰკითხოს: „რატომ?" მაგრამ მერე ჭკუა ჰყოფნის და თავს იკავებს. თუმცა გაკვირვებული კია. ნაძლევს დადებს, ბევს ამ გზაზე ადრე არასოდეს უვლია.

ეტყობა, თავისი გულუბრყვილობით ადიულტერი ასე წარმოუდგენია: ქალი ურეკავს მისით დაინტერესებულ კაცს და თავის მზადყოფნას ამცნობს.

კლინიკა ორშაბათობით არ მუშაობს. შენობაში შედის და კარს კეტავს. ბევ შოუ ქირურგიულ განყოფილებაშია, მისგან ზურგშექცევით დგას. ქალს ეხვევა. ბევი ყურით ნიკაპზე ეხახუნება. მისი ტუჩები ქალის თმის პატარა, მჭიდრო კულულებს ეხება.

– საბნები იქ არის, – ამბობს ბევი, – კარადაში, ქვედა თაროზე.

ორი საბანი – ვარდისფერი და ნაცრისფერი, სახლიდან მალულად მოტანილი ქალის მიერ, რომელიც, ალბათ, მთელი ბოლო საათის მანძილზე იბანდა, იპუდრებოდა, ნელსაცხებლებს ისვამდა, ემზადებოდა. რომელიც ვინ იცის, იქნებ ყოველ კვირას იპუდრებოდა და ისვამდა ნელსაცხებლებს და საბნებიც კარადაში ჰქონდა შენახული – ისე, ყოველი შემთხვევისთვის. რომელიც, ალბათ, ფიქრობს, რომ რადგან ის დიდი ქალაქიდან ჩამოვიდა, რადგან მისი სახელი სკანდალს უკავშირდება, უამრავ ქალთანაა ნამყოფი და ელის, რომ ყოველი შემხვედრი ქალი მზადაა, მასთან დაწვეს.

არჩევანი დიდი არ არის: საოპერაციო მაგიდა ან იატაკი. საბანს იატაკზე ფენს, ნაცრისფერი საბანი ქვემოთ, ვარდისფერი – ზემოდან. სინათლეს აქრობს და ოთახიდან გადის, ამოწმებს, დაკეტილია თუ არა უკანა კარი, იცდის. ტანსაცმლის შარიშური ისმის, ბევი იხდის. ბევი. ვერასოდეს იფიქრებდა, რომ მასთან დაწვებოდა.

ქალი საბანგადაფარებული წევს, მხოლოდ თავი აქვს ამოწეული. სანახაობას მკრთალი განათებაც კი ვერ სძენს ხიბლს. ქვედა საცვალს იხდის და ბევის გვერდით წვება.

ხელს სხეულს ჩამოაყოლებს. მკერდი სალაპარაკოდ არ ღირს. ძლიერი სხეული, დაბალი კასრის მსგავსი. წელი თითქმის არ აქვს.

ქალი ხელს უჭერს და რაღაცას გადასცემს. პრეზერვატივი. ყველაფერი წინასწარ არის მოფიქრებული.

მათი სქესობრივი აქტის შესახებ ის მაინც შეუძლია თქვას, რომ თავისი მოვალეობა შეასრულა. ვნების გარეშე, თუმცა არც ზიზღი უგრძნია. ასე რომ, ბევ შოუს შეუძლია, საკუთარი თავით კმაყოფილი იყოს. ყველაფერი, რაც სურდა, მოხდა. მას, დევიდ ლურის, დაეხმარნენ, დაეხმარნენ ისე, როგორც ქალები ეხმარებიან ხოლმე მამაკაცებს. დაეხმარნენ ბევის მეგობარ ლუსი ლურისაც, დაეხმარნენ თავის ძნელ სტუმართან დაკავშირებით.

„ეს დღე არასოდეს არ უნდა დავივიწყო, – ბევის გვერდით მწოლარე ყველაფრის დასრულების შემდეგ ეუბნება საკუთარ თავს, – აი, რაზე გადავედი მელანი ისააქსის სურნელოვანი, ნორჩი სხეულიდან. აი, რის შეჩვევა მომიწევს, და იქნებ ამაზე უარესისაც.“

– გვიანია, უნდა წავიდე, – ამბობს ბევ შოუ.

კაცი საბანს იშორებს და დგება. არ ცდილობს, ქალის მზერას დაემალოს. „დაე, უყუროს თავის რომეოს, – ფიქრობს, – უყუროს მის მოხრილ მხრებს, მჭლე კანჭებს.“

მართლაც გვიანია. ჰორიზონტზე მუქი წითელის უკანასკნელი ანარეკლი კიაფობს. მის ზემოთ გაცრეცილი მთვარე ჩანს, ჰაერში კვამლია ჩამოწოლილი. უშენი ადგილების იქით მდებარე ქოხების პირველი რიგიდან ჟრიამულის ხმა აღწევს. კართან ბევი უკანასკნელად ეკვრის, თავს მკერზე ადებს. ის

არ ეწინააღმდეგება, ისევე, როგორც არ შეწინააღმდეგებია არაფერს, რისი გაკეთებაც ქალმა საჭიროდ ჩათვალა. ემა ბოვარი აგონდება, სარკის წინ მდგომი, თავისი პირველი მნიშვნელოვანი საღამოს შემდეგ. „მე საყვარელი მყავს! მე საყვარელი მყავს!“ – უხმოდ მღერის ემა. დაე, საწყალმა ბევმაც იმღეროს, როცა სახლში მივა. და დროა, მანაც შეწყვიტოს „საწყალ ბევად“ მისი მოხსენიება. თუ ბევი საწყალია, თვითონ სრულიად გაკოტრებულია.

თავი 18

პეტრასმა, ღმერთმა იცის, ვისგან, ტრაქტორი ითხოვა და ზედ ძველი გუთანი მიაბა, რომელიც ჯერ კიდევ იმ დროიდან მოყოლებული, სანამ ლუსი ფერმაში გადმოვიდოდა, საჯინიბოს უკან ეგდო და იჟანგებოდა. რამდენიმე საათში მთელი თავისი ნაკვეთი მოხნა. ისე სწრაფად და მარჯვედ, თითქოს ეს ყველაფერი აფრიკაში არ ხდებოდა. ძველ დროში, ვთქვათ, ათი წლის წინ, ხელის გუთნითა და ხარებით ამისთვის რამდენიმე დღე დასჭირდებოდა.

რა შეუძლია ლუსის, ამ ახალ პეტრასს დაუპირისპიროს? პეტრასი აქ ჩამოვიდა, როგორც მიწის მთხრელი, მზიდავი, მრწყველი. ახლა ასეთი რამეებისთვის აღარ სცალია. სად უნდა იპოვოს ლუსიმ ადამიანი, რომელიც მიწას ამოთხრის, გაზიდავს, მორწყავს? ეს რომ ჭადრაკის თამაში იყოს, იტყოდა, რომ ლუსიმ ყველა ფლანგზე წააგო. საღი აზრი ოდნავ მაინც რომ ჰქონდეს შერჩენილი, დანებდებოდა: საადგილმამულო ბანკში მივიდოდა, პირობებზე მოილაპარაკებდა, ფერმას პეტრასს გადასცემდა და ცივილიზაციას დაუბრუნდებოდა.

გარეუბანში ძაღლების სასტუმროს გახსნიდა, ან კატებს მოუვლიდა, ან ბოლოს და ბოლოს, იმ საქმეს მიუბრუნდებოდა, რასაც ის და მისი მეგობრები ჰიპობისას მისდევდნენ: ქსოვას, მეთუნეობას, ადგილობრივი ორნამენტებით შემკული კალათების დაწვნას, ტურისტებისთვის მძივების მიყიდვას.

ჩაშლილი გეგმები. არც ისე ძნელია, წარმოიდგინო, როგორი იქნება ლუსი ათი წლის შემდეგ: დამძიმებული ქალი, მწუხარებით დაღარული სახით, დიდი ხნის წინ მოდიდან გამოსული ტანსაცმლით; ჭამს მარტო და ელაპარაკება ცხოველებს. საოცნებო მომავალი არ არის, მაგრამ უკეთესია, ვიდრე ყოველდღე თავდასხმის შიშით ცხოვრება, როცა ველარც ძაღლები დაგიცავენ და ტელეფონსაც არავინ უპასუხებს.

პეტრასთან მიდის, მისი ახალი სახლისთვის შერჩეულ ადგილზე – დამრეც ფერდობზე, ლუსის ფერმას რომ გადაჰყურებს. გეოდეზისტს უკვე უმუშავია, მიწაში ჩარჭობილი მოსანიშნი სოლები ჩანს.

– ალბათ, თქვენ თვითონ არ აპირებთ სახლის აშენებას, არა? – ეკითხება.

პეტრასი დამცინავად ფრუტუნებს.

– არა, მშენებლობა ხელოსნის საქმეა, – ამბობს, – აგურის დაწყობა, გალესვა. ამ ყველაფერს ცოდნა უნდა. თხრილებს გავაკეთებ. ამას დიდი ოსტატობა არ სჭირდება, პატარა ბიჭიც კი გაართმევს თავს. მიწის თხრა სწორედ ბიჭების საქმეა.

უკანასკნელ სიტყვებს პეტრასი გულწრფელი სიამოვნებით წარმოთქვამს. ერთ დროს ის ბიჭი იყო, ახლა უკვე აღარ. ახლა მხოლოდ ის შეუძლია, რომ დროდადრო ბიჭად მოაჩვენოს თავი, როგორც მარია ანტუანეტა აჩვენებდა თავს მერძევედ.

ის მთავარ სათქმელზე გადადის.

– მე და ლუსი რომ კეიპტაუნში დავბრუნდეთ, შეძლებთ, ფერმას მიხედოთ? ხელფასს გადაგიხდიდით, ან შეიძლება, პროცენტზეც შევთანხმებულიყავით, მოგების პროცენტზე.

– ლუსის ფერმას მივხედო? – ამბობს, – ფერმის მენეჯერი უნდა გავხდე?

ამ სიტყვებს ისე წარმოთქვამს, თითქოს ადრე არასოდეს გაეგონოს, თითქოს ისინი მის წინ ისე მოულოდნელად ამოხტნენ, როგორც ქუდიდან კურდღელი.

– დიახ, თუ გსურთ, შეგიძლიათ ფერმის მენეჯერი დაირქვათ.

– და ერთ დღესაც ლუსი უკან დაბრუნდება?

– დარწმუნებული ვარ, დაბრუნდება. ფერმა ძალიან უყვარს და მის მიტოვებას არ აპირებს, მაგრამ ამ ბოლო დროს ბევრი რამ გადაიტანა, ამიტომ სულის მოთქმა, დასვენება სჭირდება.

– ზღვაზე, – ამბობს პეტრასი და იცინის, მოწევისგან ჩაყვითლებულ კბილებს აჩენს.

– დიახ, ზღვაზეც, თუკი ისურვებს, – აღიზიანებს პეტრასის ჩვევა – სიტყვები ჰაერში გამოკიდებული დატოვოს. იყო დრო, როცა პეტრასთან დამეგობრება შესაძლებლად მიაჩნდა. ახლა ეზიზღება.

პეტრასთან საუბარი იგივეა, ქვიშით სავსე ტომარას მუშტები დაუშინო.

– არ მგონია, ან მე, ან თქვენ უფლება გვქონდეს, გავიცხოთ ლუსი, თუკი ის დასვენებას გადაწყვეტს, – ამბობს ის.

– რამდენ ხანს უნდა ვიყო ფერმის მენეჯერი?

– ჯერ არ ვიცი, პეტრას. ამაზე ჯერ ლუსისთან არ მილაპარაკია. მე მხოლოდ შესაძლებლობებს ვიკვლევ, მინდა გავიგო, დათანხმდებოდით თუ არა.

– და ყველაფერი მე უნდა გავაკეთო? ძაღლები ვკვებო, ბოსტნეული მოვიყვანო, ბაზარში ვიარო...

– პეტრას, არ არის აუცილებელი, ახლა გადავწყვიტოთ, რისი გაკეთება მოგიწევთ. ძაღლები არ გეყოლებათ. მე ზოგადად გეკითხებით: ლუსი რომ დროებით წავიდეს, მიხედავთ თუ არა ფერმას.

– ბაზარში როგორ ვივლი, თუ კომბი არ მეყოლება?

– ეს უკვე დეტალია. დეტალებზე მოგვიანებით ვილაპარაკოთ. მე ზოგადი პასუხი მინდა – ჰო თუ არა.

პეტრასი თავს აქეთ-იქით აქნევს.

– ძალიან ბევრი სამუშაო იქნება, ძალიან, – ამბობს იგი.

სრულიად მოულოდნელად პოლიციიდან რეკავენ. პორტ ელიზაბეტიდან დეტექტივი, სერჟანტი ესტერჰიუზი რეკავს. მისი მანქანა იპოვეს. ნიუ-ბრაიტონის განყოფილების ეზოში დგას; მას შეუძლია ამოიცნოს ის და მისი უკან დაბრუნება მოითხოვოს. თან ეუბნება, რომ დააკავეს ორი მამაკაცი.

– მშვენიერია, – ამბობს, – მე უკვე აღარც მქონდა იმედი.

– რატომ, სერ, ყველა საქმე ორი წელი მაინც რჩება ღიად.

– რა მდგომარეობაშია მანქანა? ტარება შეიძლება?

– დიახ, სერ. შეგიძლიათ წაიყვანოთ.

უჩვეულოდ ამაღლებული განწყობილებით ლუსისთან ერთად პორტ ელიზაბეტში, იქიდან კი ნიუ-ბრაიტონში მიდის, სადაც მათ ვან დევენტერ სტრიტისკენ მიუთითებენ, ორმეტრიანი ღობითა და წვეტიანი მავთულხლართებით გარშემორტყმული ბრტყელი, ციხესიმაგრის მსგავსი პოლიციის შენობისკენ. თვალში საცემი საგზაო ნიშანი განყოფილების წინ გაჩერებას კრძალავს. მანქანას ქუჩაში, განყოფილებისგან საკმაოდ მოშორებით აჩერებს.

– მანქანაში დავიცდი, – ამბობს ლუსი.

– ასე გირჩევნია?

– არ მომწონს აქაურობა. აქ დაგელოდები.

საკუთარ ვინაობას ეუბნება მორიგეს, რომელიც მიასწავლის, კორიდორების ლაბირინთის გავლით როგორ მივიდეს ნაქურდალი მანქანების განყოფილებაში. ესტერჰიუზი – დაბალი, ქერა, პატარა კაცი საქაღალდეში რაღაცას ეძებს, შემდეგ ის ეზოში გაჰყავს, სადაც მიჯრით დგას ათობით მანქანა. რიგს ჩაუყვებიან, შემდეგ უკან ბრუნდებიან.

– სად იპოვეთ? – ეკითხება ესტერჰიუზს.

– აქ, ნიუ-ბრაიტონში. გაგიმართლათ. ჩვეულებრივ, გამტაცებლები ძველ „კოროლას“ სათადარიგო ნაწილებად შლიან.

– თქვენ მითხარით, რომ ვიღაც დაიჭირეს.

– ორი დავაკავეთ. შეტყობინების საფუძველზე ავიყვანეთ. მოპარული საქონლით სავსე სახლი აღმოვაჩინეთ. ტელევიზორები, ვიდეოები, მაცივრები – რა გინდა სულო და გულო.

– ახლა სად არის ეს ხალხი?

– თავდებით გავუშვით.

– უფრო გონივრული არ იქნებოდა, სანამ გაათავისუფლებდით ჩემთვის, დაგეძახათ, რომ ამომეცნო? თავდებით გაუშვით და ახლა ისინი, უბრალოდ, გაქრებიან. თქვენ ხომ ეს იცით.

დეტექტივი იძაბება, ხმას არ იღებს.

თეთრი „კოროლას“ წინ ჩერდებიან.

– ეს ჩემი მანქანა არ არის, – ამბობს, – ჩემს მანქანას კეიპტაუნის ნომერი ჰქონდა, საქმეში არის აღნიშნული, – საქაღალდიდან ამოღებულ ფურცელზე ნომერს აჩვენებს, – CA507644.

– ისინი ნომრებს ცვლიან. სხვის ნომერს აკრავენ, თქვენსას კიდევ სხვაზე მიაკრავდნენ.

– ასეც რომ იყოს, ეს ჩემი მანქანა არ არის. შეგიძლიათ გააღოთ?

დეტექტივი მანქანას აღებს.

სალონში სველი გაზეთებისა და შემწვარი ქათმის სუნი დგას.

– მე აკუსტიკური სისტემა არ მქონდა, – ამბობს ის, – ეს ჩემი მანქანა არ არის. ამ სადგომზე სადმე სხვაგან ხომ არ იქნება?

მანქანებს კიდევ ერთხელ ჩამოუვლიან. მისი მანქანა არ ჩანს. ესტერჰიუზი თავს იფხანს.

– გავერკვევი ამ საქმეში, – ამბობს ის, – რაღაც გაუგებრობაა. ნომერი დამიტოვეთ და დაგირეკავთ.

ლუსი თვალდახუჭული ზის კომბის საჭესთან. ის ფანჯარაზე აკაკუნებს და კარს აღებს. – შეცდომაა, – ამბობს ჩაჯდომისას, – „კოროლა“ კი უნახავთ, მაგრამ ჩემი – არა.

– კაცები ნახე?

– ვინ კაცები?

– შენ თქვი, ორი კაცი დაიჭირესო.

– გაუშვიათ, თავდებით. ეს ჩემი მანქანა მაინც არ არის და არც დაპატიმრებულები იქნებოდნენ ჩემი მანქანის ქურდები.

ხანგრძლივი სიჩუმე.

– შენი აზრით, ერთი მეორეს ლოგიკურად უკავშირდება?

ძრავას რთავს, საჭეს მკვეთრად ატრიალებს.

– არ მეგონა, თუ ასე ძალიან გინდოდა მათი დაჭერა, – ამბობს კაცი. გაღიზიანებულია და თავს ვერ იკავებს, – თუკი მათ დაიჭერენ, ამას სასამართლო მოჰყვება და შენ ჩვენების მიცემა მოგიწევს. ამისთვის მზადა ხარ?

ლუსი ძრავას რთავს. სახე გახევებული აქვს. ცრემლებს ებრძვის.

– რაც უნდა იყოს, მათი კვალიც კი უკვე გამქრალია და ჩვენი მეგობრები არ აპირებენ, პოლიციას თავი დააჭერინონ, მით უმეტეს იმ შტატის პოლიციას, რომელშიც ცხოვრობენ. ასე რომ, დავივიწყოთ ეს ამბავი.

კაცი ცდილობს, თავი ხელში აიყვანოს. თანდათან შარიანი, მომაბეზრებელი ხდება, მაგრამ თავს ვერაფერს უხერხებს.

– ლუსი, უკვე დროა, არჩევანი გააკეთო: ან საზიზღარი მოგონებებით სავსე სახლში დარჩე და მომხდარზე ფიქრით მოიწამლო დღეები, ან ყველაფერი წარსულში დატოვო და სუფთა ფურცლიდან დაიწყო ცხოვრება. მე მხოლოდ ამ ალტერნატივას ვხედავ. ვიცი, რომ შენ დარჩენა გირჩევნია, მაგრამ იქნებ მეორე შესაძლებლობაზეც გეფიქრა. ნუთუ არ შეიძლება, ამაზე ისე ვიმსჯელოთ, როგორც გონიერ ადამიანებს შეჰფერით?

ლუსი თავს აქნევს.

– აღარ შემიძლია ლაპარაკი, დევიდ. უბრალოდ, აღარ შემიძლია, – ამბობს ის მშვიდად და ისე სწრაფად, თითქოს ეშინია, სიტყვები არ გამოელიოს, – ვიცი, რომ გასაგებად ვერ გიხსნი. ნეტავ შემეძლოს ახსნა, მაგრამ არ შემიძლია. არ შემიძლია სწორედ იმის გამო, ვინ ხარ შენ და ვინ ვარ მე. მაპატიე. ვწუხვარ, შენი მანქანა რომ დაიკარგა. ვწუხვარ, რომ იმედები გაგიცრუვდა.

თავს ხელებში რგავს. მხრები უკანკალებს, ცრემლების შეკავებას აღარ ცდილობს.

კვლავ გრძნობების ნაკადი აწყდება: აპათიის, განურჩევლობის, მაგრამ ერთგვარი სიმსუბუქისაც, თითქოს შიგნიდან გამოჭმულია და მისი გულისგან მხოლოდ გამოფიტული გარსიღა დარჩა. „როგორ შეუძლია, – ფიქრობს ის, – ასეთ მდგომარეობაში მყოფ კაცს, იპოვოს სიტყვები, იპოვოს მუსიკა, რომელიც მკვდარს აღადგენს?“

მათგან ხუთი იარდის მოშორებით, ტროტუარზე, ფლოსტებსა და დახეულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალი ზის და მათ მრისხანე სახით მისჩერებია. თითქოს უნდა დაიცვასო, ლუსის მხარზე ხელს ადებს. „ჩემი ქალიშვილი, – ფიქრობს, – ჩემი ძვირფასი ქალიშვილი, რომლის გზაზე დაყენება და გაძღოლა მე მომიხდა, და რომელიც მალე თვითონ გამიძღვება."

ნეტავ ლუსის თუ შეუძლია, მისი ფიქრები ამოიცნოს?

მანქანის წაყვანა მას უწევს. სახლამდე ნახევარი გზა ექნებათ გავლილი, როცა ლუსი, მისდა გასაკვირად, თვითონ იწყებს ლაპარაკს.

– ეს ისეთი პირადული ჩანდა, – ამბობს ის, – ისეთი პიროვნული ზიზღით ჩადენილი... აი, ამან განმაცვიფრა ყველაზე მეტად. დანარჩენი... მოსალოდნელი იყო. მაგრამ საიდან ასეთი სიძულვილი? ადრე მათ არასდროს შევხვედრივარ.

ელოდება, რომ განაგრძობს, მაგრამ ლუსი აღარ აგრძელებს. ჯერჯერობით.

– მათი სახით ისტორია ლაპარაკობდა, – თვითონ ამბობს ბოლოს, – ეცადე, ასე შეხედო ამას, თუკი ეს გიშველის. შეიძლება პირადულად მოგეჩვენოს, მაგრამ პირადული არაფერი იყო. ყველაფერი წინაპრებისგან მოდიოდა.

– ეს შეღავათი არ არის. ძრწოლა არ ქრება. ძრწოლა იმის გამო, რომ ვიღაცას სძულხარ. ზუსტად იმ წამს.

„ზუსტად იმ წამს." ნეტავ, იმას გულისხმობს, რასაც ის ფიქრობს?

– ისევ გეშინია?

– ჰო.

– რომ კვლავ მოვლენ?

– ჰო.

– და გგონია, თუ არ უჩივლებ, აღარ დაბრუნდებიან? ამაში არწმუნებდი საკუთარ თავს?

– არა.

– მაშ, რა?

ის არ უპასუხებს.

– ლუსი, ეს ძალიან ადვილია. დაკეტე საძაღლე. დაუყოვნებლივ. დაკეტე სახლი, გადაუხადე პეტრასს, რომ სახლი დაიცვას. დაისვენე ნახევარი წელი, ერთი წელი, სანამ ქვეყანაში მდგომარეობა გაუმჯობესდება. წადი ზღვის გაღმა, მაგალითად, ჰოლანდიაში. ფულს მე მოგცემ. როცა დაბრუნდები, შეძლებ, საღად შეაფასო სიტუაცია და ყველაფერი თავიდან დაიწყო.

– თუ მე ახლა წავალ, დევიდ, უკან აღარასოდეს დავბრუნდები. დიდი მადლობა შემოთავაზებული წინადადებისათვის, მაგრამ ეს არ გამოვა. შენ ისეთს ვერაფერს შემომთავაზებ, რაზეც ასჯერ მაინც არ მქონდეს ნაფიქრი.

– მაშ, რის გაკეთებას აპირებ?

– არ ვიცი, მაგრამ რასაც გადავწყვეტ, მინდა, ჩემი გადაწყვეტილება იყოს. არის ისეთი რამეები, რაც შენ არ გესმის.

– რა არ მესმის?

– ჯერ ერთი, არ გესმის, რა შემემთხვა იმ დღეს. მადლობელი ვარ, რომ წუხხარ ჩემზე. შენ ფიქრობ, რომ ყველაფერი გაიგე, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. იმიტომ, რომ შენ ამის გაგება არ შეგიძლია.

მანქანას ამუხრუჭებს და გზის პირას აჩერებს.

– არა, – ამბობს ლუსი, – აქ ნუ გააჩერებ. ეს ცუდი ადგილია, მეტისმეტად სახიფათო.

მანქანას ძრავს.

– პირიქით, – ამბობს, – ზედმეტად კარგად მესმის ყველა-

ფერი. ახლა ვიტყვი იმას, რის თქმასაც აქამდე ვერიდებოდი. შენ გაგაუპატიურეს. მრავალჯერ. სამმა კაცმა.

– და რა?

– გეშინოდა, არ მოეკალი. გეშინოდა, რომ იმის შემდეგ, რაც ჩაიდინეს, მოგკლავდნენ, თავიდან მოგიშორებდნენ. იმიტომ, რომ შენ მათთვის არაფერს წარმოადგენდი.

– და... – მისი ხმა ჩურჩულში გადადის.

– და მე არაფერი გავაკეთე. არაფერი გავაკეთე შენს გადასარჩენად... – ეს უკვე მისი აღსარებაა.

ლუსი უარყოფის ნიშნად სწრაფად იქნევს ხელს.

– თავს ნუ იდანაშაულებ, დევიდ. როგორ შეიძლებოდა, მეფიქრა, რომ შენ გადამარჩენდი? ერთი კვირით ადრე რომ მოსულიყვნენ, ხომ მარტო დავხვდებოდი სახლში. მაგრამ იმაში მართალი ხარ, რომ მე მათთვის არაფერს წარმოვადგენდი, სრულიად არაფერს. მე ეს ვიგრძენი.

პაუზა.

– მე მგონი, მათ ეს ადრეც გაუკეთებიათ, – განაგრძობს ლუსი ახლა უფრო მტკიცე ხმით, – ყოველ შემთხვევაში, უფროსებს მაინც. მე ვფიქრობ, ისინი პირველ რიგში და უმთავრესად, სწორედ მოძალადეები არიან. ქურდობა კი შემთხვევითობაა, მათი საქმიანობის თანმხლები მოვლენა.

– ფიქრობ, ისინი კვლავ მოვლენ?

– როგორც ჩანს, მე მათ სამოქმედო ტერიტორიაზე ვცხოვრობ. ნიშანში ვარ ამოღებული. ასე რომ, ისევ მოვლენ.

– ესე იგი შენი აქ დარჩენა არ შეიძლება.

– რატომ არ შეიძლება?

– იმიტომ, რომ ეს მათთვის მოპატიჟების ტოლფასი იქნება.

სანამ უპასუხებდეს, ლუსი დიდხანს ფიქრობს.

– მაგრამ იქნებ შეიძლება, ამ ყველაფერს სხვანაირადაც შევხედოთ, დევიდ? იქნებ... იქნებ ეს არის საფასური, რომელიც უნდა გადაიხადო აქ დარჩენისათვის. შეიძლება ისინი სწორედ ასე უყურებენ ამას. შეიძლება მეც ასე უნდა შევხედო. ისინი, როგორც რაღაცის მფლობელს, ისე მიყურებენ, თავიანთ თავს კი – როგორც ვალების, გადასახადების ამკრეფს. რატომ უნდა მქონდეს აქ ცხოვრების უფლება, თუ ამისთვის არ გადავიხდი? შესაძლოა, ამას ეუბნებიან საკუთარ თავს.

– დარწმუნებული ვარ, ისინი საკუთარ თავს ბევრ რამეს ეუბნებიან. ისინი ეცდებიან, რაღაც ისეთი შეთხზან, რაც მათ საქციელს გაამართლებს. მაგრამ შენს გრძნობებს ენდე. შენ ხომ თქვი, რომ მათგან მხოლოდ სიძულვილს გრძნობდი.

– სიძულვილს... როცა საქმე მამაკაცებს და სექსს ეხება, აღარაფერი მაკვირვებს. შესაძლოა, მამაკაცებისთვის ქალის სიძულვილი დამატებითი აღმგზნები საშუალებაა. კაცი ხარ და შენ უფრო გეცოდინება. როცა უცნობ ქალს ეუფლები, როცა ჩაბღუჯავ, გასაქანს არ აძლევ, ქვეშ მოიქცევ, მთელი შენი წონით აწვები – ეს ცოტათი მკვლელობას ხომ არ ჰგავს? დანას ჩასცემ და მიდიხარ. გასისხლიანებულ სხეულს ტოვებ. განა ამას ისევე არ შეიგრძნობ, როგორც მკვლელობას? დაუსჯელ მკვლელობას. „კაცი ხარ და შენ უფრო გეცოდინება.“ განა მამას ასე ელაპარაკებიან? ის და ლუსი ერთსა და იმავე მხარეს არიან თუ არა?

– შესაძლოა, – ამბობს, – ხანდახან ასეცაა, ზოგიერთი კაცისთვის, – და შემდეგ სწრაფად, ფიქრის გარეშე განაგრძობს: – შენ ორივესთან ამას გრძნობდი? თითქოს სიკვდილს ებრძოდი?

– ისინი ერთმანეთს აღაგზნებდნენ. ალბათ, ამიტომაც აკეთებდნენ ამას ერთად, როგორც ძაღლები ხროვაში.

– და მესამე? ბიჭი?

– ის სასწავლად ჰყავდათ მოყვანილი.

ჩაუარეს ნიშანს „საგოს პალმები“. დრო თითქმის ამოიწურა.

– ისინი რომ თეთრკანიანები ყოფილიყვნენ, ასე არ ილაპარაკებდი, მაგალითად, დესპატჩელი თეთრკანიანი ყაჩაღები რომ ყოფილიყვნენ.

– ასე ფიქრობ?

– დიახ, მაგრამ არ გადანაშაულებ. საქმე ეს არ არის. თუმცა შენ ახლა რაღაც ახალი თქვი. დამონება. მათ შენი დამონება უნდათ?

– დამონება არა. დამორჩილება. დათრგუნვა.

ის თავს აქნევს.

– ეს უკვე მეტისმეტია, ლუსი. გაყიდე ფერმა. პეტრასს მიჰყიდე და წამოდი აქედან.

– არა...

საუბარი ამით მთავრდება, მაგრამ მის გონებაში ლუსის სიტყვები ექოდ ხმიანდება. „გასისხლიანებული სხეული“. რას ნიშნავს ეს? იქნებ სიზმარში ნანახი სისხლით გაჟღენთილი საწოლი და სისხლგამდინარე აბაზანა რაღაცის ნიშანი იყო?

„გაუპატიურება მათი საქმიანობაა.“ იმ სამ მომხდურზე ფიქრობს, არცთუ ძველი „ტოიოტათი“ რომ მიემგზავრებიან. მანქანის უკანა სავარძელი საოჯახო ნივთებითაა სავსე. მათი პენისები, მათი იარაღი – თბილი და ნასიამოვნები, ფეხებს შორის ჩამოშვებული „კრუტუნებენ“ – მხოლოდ ეს სიტყვა მოსდის თავში. დიახაც, კმაყოფილნი უნდა იყვნენ ამ საღამოს ნამუშევრით. ბედნიერად გრძნობენ თავს, რომ თავიანთ მოწოდებას ემსახურებიან.

ახსოვს, ბავშვობაში როგორ ჩააფიქრა საგაზეთო ინ-

ფორმაციაში აღმოჩენილმა სიტყვამ „გაუპატიურება“ და როგორ ცდილობდა, გამოეცნო მისი მნიშვნელობა. უკვირდა, რას აკეთებდა ასო „პ“, ასეთი ჩვეულებრივი, იმ სიტყვის შუაში, რომელიც ისეთ ძრწოლას იწვევდა, რომ მის ხმამაღლა წარმოთქმას ვერავინ ბედავდა. ბიბლიოთეკაში ერთ ალბომში ნახა სურათი სახელწოდებით „საბინელი ქალების გაუპატიურება“: მხედრები მსუბუქი რომაული აბჯრით, ქალები – თხელი ვუალებით, ხელაპყრობილნი, მკვნესარენი. რა საერთო აქვთ ამ თეატრალურ პოზებს მათში ნაგულისხმევ გაუპატიურების აქტთან – კაცთან, რომელიც ქალს აწევს და მასში შედის?

ბაირონზე ფიქრობს. იმ უამრავ გრაფინიასა და მოსამსახურეს შორის, რომლებშიც ბაირონი შევიდა, უეჭველია, იქნებოდნენ ისეთები, ვინც ამას გაუპატიურებას დაარქმევდა. მაგრამ ისიც მართალია, რომ არც ერთ მათგანს არ ექნებოდა შიში, ამის შემდეგ ყელს ხომ არ გამომჭრიანო. მისი გადასახედიდანაც და ლუსის გადასახედიდანაც ბაირონი მართლაც ძალიან ძველმოდურად გამოიყურება.

ლუსი შეშინებულია, დაზაფრულია. მოგუდული ხმა აქვს, ძლივს სუნთქავს. კიდურები გაშეშებია. „შეუძლებელია, ეს ხდებოდეს, – ეუბნება თავის თავს, როცა კაცები ძალით აწვენენ, – ეს მხოლოდ სიზმარია, კოშმარი.“ კაცები კი ამასობაში თვრებიან მისი შიშით, ტკბებიან, ყველაფერს აკეთებენ, რაც კი შეუძლიათ, რომ მეტი შეურაცხყოფა მიაყენონ, დააშინონ, უკიდურესად დაზაფრონ. „აბა, შენს ძაღლებს დაუძახე! – ეუბნებიან, – მიდი, დაუძახე შენს ძაღლებს. რაო, არ არიან ძაღლები? მაშინ ახლა ჩვენ გიჩვენებთ ძაღლებს.“

„თქვენ არ გესმით, თქვენ ხომ იქ არ იყავით,“ – ამბობს

ბევ შოუ. მაგრამ ის ცდება. ლუსის ინტუიცია არ ღალატობს: მას დიახაც, ესმის. მას შეუძლია, სრული კონცენტრირების შემთხვევაში, თუკი საკუთარ თავზე უარს იტყვის, იქ გაჩნდეს, იმ კაცებად იქცეს, მათში ჩასახლდეს, ისინი თავისი აჩრდილით ამოავსოს. საქმე ის არის, აღმოაჩნდება თუ არა საკმარისი წარმოსახვის უნარი, რომ ქალად წარმოიდგინოს თავი.

თავისი ოთახში განმარტოებული წერილს სწერს ქალიშვილს:

„ძვირფასო ლუსი, მთელი იმ სიყვარულით, რაც კი სამყაროში არსებობს, ერთი რამ უნდა გითხრა. შენ საშიში შეცდომის ზღვარზე ხარ. გინდა, ისტორიის წინაშე თავი დაიმდაბლო, მაგრამ გზა, რომელსაც ადგახარ, არასწორია. ის შენ ყველა ღირსებას დაგიკარგავს და ვერ შეძლებ სულიერი სიმშვიდის მოპოვებას. გევედრები, დამიჯერე, რასაც გეუბნები.

შენი მამა.“

ნახევარი საათის შემდეგ მის კარქვეშ წერილს აცურებენ.

„ძვირფასო, დევიდ. შენ მე მაინც ვერ გამიგე. მე ის ადამიანი არ ვარ, ვისაც შენ იცნობ. მე მკვდარი ვარ და არ ვიცი, რას შეუძლია გამაცოცხლოს. მხოლოდ ერთი რამ ვიცი – აქედან წასვლა არ შემიძლია.

შენ ეს არ გესმის და მე არ ვიცი, კიდევ რა გავაკეთო, რომ გაგაგებინო. ისე ჩანს, თითქოს განგებ არჩიე ისეთ კუთხეში ჯდომა, სადაც მზის შუქი არ აღწევს. მე შენ გიყურებ, როგორც სამი შიმპანზედან ერთ-ერთს, თვალებზე თათი რომ აქვს აფარებული.

დიახ, გზა, რომელსაც მე ვადგავარ, შესაძლოა, მცდარია, მაგრამ თუ ახლა ფერმიდან წავალ, წავალ დამარცხებული და ამ მარცხის გემო მთელი ცხოვრება გამყვება.

არ შეიძლება, მუდამ ბავშვი ვიყო. არც ის შეიძლება, შენ იყო მუდამ მამა. ვიცი, რომ ჩემთვის სიკეთე გინდა, მაგრამ შენ არა ხარ ის წინამძღვარი, რომელიც მე მჭირდება, ყოველ შემთხვევაში, ახლა.

შენი ლუსი."

ეს არის მთელი მათი მიმოწერა.

ეს არის ლუსის ბოლო სიტყვა.

დღეისთვის ძაღლების დახოცვა დასრულებულია. შავი ტომრების გროვა კართანაა, თითოეულში სხეულია და სული. ის და ბევ შოუ, ერთმანეთს ჩახვეულები, ქირურგიული განყოფილების იატაკზე წვანან. ნახევარ საათში ბევი თავის ბილთან წავა, ის კი ჩანთების ჩალაგებას დაიწყებს.

– შენს პირველ ცოლზე არასდროს არაფერი გითქვამს, – ამბობს ბევ შოუ, – არც ლუსის ულაპარაკია მასზე.

– ლუსის დედა ჰოლანდიელი იყო. ამას, ალბათ, გეტყოდა. ეველინა, ევი. განქორწინების შემდეგ ჰოლანდიაში დაბრუნდა. მოგვიანებით გათხოვდა. ლუსი მამინაცვალს ვერ შეეწყო და ითხოვა, სამხრეთ აფრიკაში დამაბრუნეთო.

– ესე იგი ლუსიმ შენ აგირჩია.

– ასე გამოდის. მან გარკვეული გარემოც აირჩია, გარკვეული ჰორიზონტი. ახლა კი ვცდილობ, ვაიძულო, წავიდეს აქედან, თუნდაც ცოტა ხნით. ჰოლანდიაში ოჯახი აქვს, მეგობრები ჰყავს. ჰოლანდია, შესაძლოა, ყველაზე კარგი ქვეყანა არ იყოს, მაგრამ ღამის კოშმარებს მაინც არ იწვევს.

– და?

– ლუსის ახლა ჩემი რჩევების შესმენა არ სურს. მეუბნება, რომ კარგი წინამძღვარი არ ვარ.

– შენ ხომ უნივერსიტეტში ასწავლიდი.

– ეს სრულიად შემთხვევითი იყო. სწავლება ჩემი მოწოდება არასოდეს ყოფილა. მით უმეტეს, არასოდეს ვესწრაფოდი, ადამიანებისთვის მესწავლებინა, როგორ ეცხოვრათ. მე ვიყავი ის, ვისაც სწავლულს ეძახიან. ვწერდი წიგნებს გარდაცვლილი ადამიანების შესახებ. ჩემს გულს ამ საქმეში ვდებდი. ვასწავლიდი კი იმიტომ, რომ თავი მერჩინა.

ქალი გაგრძელებას ელოდება, მაგრამ ახლა მას ამის განწყობა არ აქვს.

მზე ჩადის. თანდათან აცივდა. დღეს მათ სექსი არ ჰქონიათ. არსებითად, უკვე შეწყვიტეს კიდეც თავის მოჩვენება, თითქოს ამის გამო ხვდებიან ერთმანეთს.

თავში ბაირონი უტრიალებს, სცენაზე მარტო მყოფი ჰაერს შეისუნთქავს, რომ იმღეროს. წუთიწუთზე, საბერძნეთში მიემგზავრება. ოცდათხუთმეტი წლის ასაკში ხვდება, რომ ცხოვრება ძვირფასია.

„Sunt lacrimae rerum, et mentem mortalia tangunt“[46] – ეს იქნება ბაირონის სიტყვები. ამაში დარწმუნებულია. რაც შეეხება მუსიკას, ის სადღაც ჰორიზონტზე ლივლივებს, მაგრამ ჯერ ახლოს არ მოდის.

– სანერვიულო არაფერი გაქვს, – ამბობს ბევ შოუ. თავი მის მკერდზე უდევს; ალბათ, მისი გულის ძგერა ესმის, გულის ძგერა, რომელიც ჰეგზამეტრს ეწყობა, – მე და ბილი მივხედავთ, ფერმაში ხშირად ვესტუმრებით. და პეტრასი. პეტრასიც ყურადღებას მიაქცევს.

– მამობრივი მზრუნველობით, არა?

– ჰო.

---

[46] „თანაგრძნობის ცრემლები არსებობს და მიწიერი სულს შეძრავს“ – ციტატა ვირგილიუსის „ენეიდადან“.

– ლუსი ამბობს, რომ მუდამ მის მამად ვერ დავრჩები, მე კი ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება, ლუსის მამა არ ვიყო.

ქალი თითებს ჯაგარივით თმაში უყოფს.

– ყველაფერი კარგად იქნება, – ჩურჩულებს ის, – აი, ნახავ.

თავი 19

სახლი ამ ადგილების საერთო განაშენიანების დროს ააგეს და თხუთმეტი თუ ოცი წლის წინ ჯერ კიდევ ახალი, საკმაოდ პირქუშად გამოიყურებოდა, მაგრამ შემდეგ ბალახით დაფარულმა ტროტუარებმა, ხეებმა და ხვიარა მცენარეებმა, რომელთა ნაყარი ბეტონის კედლებსაც მოედო, მისი იერი მნიშვნელოვნად გააუმჯობესა. რასტჰოლმ-კრესენტზე რვა ნომერ სახლს მოხატული ბაღის ჭიშკარი აქვს, სალაპარაკო მოწყობილობით.

ღილაკზე თითს აჭერს. ახალგაზრდა ხმა უპასუხებს:

– ალო!

– მისტერ ისააქს ვეძებ. ლური ვარ.

– ჯერ არ მოსულა.

– როდის მოვა?

– ერთი წუთით.

ზუზუნი, ურდულის ტკაცანი. ჭიშკარს აწვება და აღებს. ბილიკი წინა კარისკენ მიდის, სადაც ტანადი გოგონა დგას და ელოდება. სასკოლო ფორმა აცვია: მუქი ლურჯი ბლუზი,

თეთრი მაღალყელიანი წინდა და ფართოსაყელოიანი. პერანგი. მელანის თვალები აქვს, მელანივით ფართო ღაწვის ძვლები, მელანივით მუქი თმა. მისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ უფრო ლამაზია. მელანი ახსენებდა თავის უმცროს დას, მაგრამ ახლა სახელს ვერაფრით იხსენებს.

– გამარჯობათ. როდის დაბრუნდება მამა?

– სკოლაში მეცადინეობა სამ საათზე მთავრდება, მაგრამ ის იგვიანებს ხოლმე. არა უშავს, შემობრძანდით.

გოგონა ღია კარს ხელით იჭერს და გზას უთმობს. ნამცხვრის ნაჭერს ჭამს, რომელიც ფაქიზად უჭირავს ორი თითით. ზედა ტუჩზე ნამცეცები აქვს. სურვილი უჩნდება, ხელი გაიწვდინოს და ტუჩი მოსწმინდოს... და იმავე წამს მის დაზე მოგონება მხურვალე ტალღებად აწყდება. „ღმერთო მიშველე! – ფიქრობს. – რას ვაკეთებ აქ?“

– თუ გნებავთ, დაბრძანდით.

ის ჯდება. ავეჯი კრიალებს. ოთახში დამთრგუნავი წესრიგია გამეფებული.

– რა გქვიათ? – ეკითხება.

– დეზირე.

დეზირე. ახლა ახსენდება. ჯერ მელანი დაიბადა, შავგვრემანი, შემდეგ დეზირე – სასურველი. ნამდვილად ღმერთი აცდუნეს, როცა ასეთი სახელი დაარქვეს.

– მე დევიდ ლური ვარ, – ყურადღებით უყურებს, მაგრამ არაფერი მიანიშნებს, რომ გოგონას სახელი ეცნო, – კეიპტაუნიდან.

– ჩემი დაა კეიპტაუნში. სტუდენტია.

ის თავს უქნევს. არ ეუბნება, რომ იცნობს მის დას, კარგად იცნობს, მაგრამ ფიქრობს: „იმავე ხის ნაყოფი, ალბათ, ინტიმური დეტალების ჩათვლით პირველის მსგავსი. მაგრამ

განსხვავებაც არის: სისხლი განსხვავებულად პულსირებს, ვნება სხვადასხვანაირად მჟღავნდება. ორივენი ერთ საწოლში: მეფეთა საკადრისი შეგრძნება...“

ოდნავ შეკრთება, საათს დახედავს:

– იცით, დეზირე, მე მგონი, ჯობია, ვცადო, მამათქვენს სკოლაში მივუსწრო, თუკი გზას მიმასწავლით.

სკოლა საცხოვრებელი კვარტალის ნაწილია. დაბალი, აგურით მოპირკეთებული შენობა ეკლიანი მავთულით შემოღობილი ოთხკუთხა ეზოს შუაში დგას, ფოლადის ჩარჩოიანი ფანჯრები და აზბესტის სახურავი აქვს. შესასვლელთან ერთ-ერთი ბოძის წარწერა გვაუწყებს: „ფ. ს. მარაისი“, მეორე ბოძს კი აწერია – „საშუალო სკოლა“.

ეზო ცარიელია. ცოტა ხნის ძებნის შემდეგ პოულობს აბრას – „კანცელარია“. შიგნით მსუქანი, შუახნის მდივანი ქალი ზის და ფრჩხილებს იქნის.

– მისტერ ისააქსს ვეძებ, – ეუბნება.

– მისტერ ისააქს, – ეძახის ქალი, – სტუმარია თქვენთან.

მაგიდასთან მჯდარი ისააქსი ასადგომად წამოიწევს, ჩერდება და გაოგნებული უყურებს.

– გახსოვართ? დევიდ ლური ვარ, კეიპტაუნიდან.

– ოჰ, – ამბობს ისააქსი და ისევ ჯდება. ისევ ის, დიდი ზომის პიჯაკი აცვია. კისერი ჩამალული აქვს პიჯაკის საყელოში, რომლიდანაც ისეა ამოშვერილი, როგორც ბასრნისკარტა ჩიტი ტომრიდან. ფანჯრები დაკეტილია, სიგარეტის მძიმე სუნი დგას.

– თუ ჩემი ნახვა არ გსურთ, ახლავე წავალ, – ამბობს ის.

– არა, – უპასუხებს ისააქსი, – დაბრძანდით. ჟურნალში გაცდენებს ვამოწმებ. თუ ნებას მომცემთ, დავამთავრებ.

– კი, ბატონო.

მაგიდაზე ჩარჩოიანი სურათი დევს. ვერ ხედავს, მაგრამ ხვდება, ვისი სურათიც იქნება – მელანისა და დეზირესი, მამის თვალისჩინების, რა თქმა უნდა, დედასთან ერთად, ვინც ისინი შვა.

– აბა, – ამბობს ისააქსი და ჟურნალს ხურავს, – რას უნდა ვუმადლოდე ამ სიამოვნებას?

ფიქრობდა, რომ იღელვებდა, მაგრამ სავსებით მშვიდადაა.

– მელანის საჩივრის გამო უნივერსიტეტმა ოფიციალური ძიება ჩაატარა. შედეგად სამსახური დავკარგე. თქვენ ეს, ალბათ, იცით.

ისააქსის მზერა მხოლოდ კითხვას გამოხატავს.

– მას შემდეგ უმუშევარი ვარ. დღეს ჯორჯის გავლით მოვდიოდი და ვიფიქრე, თქვენთან შემომევლო და მესაუბრა. ჩვენი ბოლო შეხვედრისას ცოტა... გავცხარდით, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, შემომევლო და მეთქვა, რაც გულში მაქვს.

ეს სიმართლეა. მას მართლაც სურს, მოყვეს, რაც გულში აქვს. საქმე ისაა, გულში რა აქვს.

ისააქსს ხელში „ბიკის“ იაფფასიანი ავტოკალამი უჭირავს, თითებს უსვამს, ხელში ატრიალებს და ისევ თითებს უსვამს. მექანიკური ქმედება უფროა, ვიდრე მოუთმენლობის გამომხატველი.

– თქვენ ეს ამბავი მელანისგან გაქვთ მოსმენილი, – განაგრძობს იგი, – თუ შეგიძლიათ, მომისმინოთ, მოგიყვებით, მე როგორ ვუყურებ ამას. ყველაფერი წინასწარი განზრახვის გარეშე დაიწყო; დაიწყო, როგორც თავგადასავალი, ერთ-ერთი მოულოდნელი, ხანმოკლე თავგადასავალი, გარკვეული ტიპის მამაკაცებს რომ გადახდებათ ხოლმე. ასეთი პატარ-პატარა ამბები მეც არაერთხელ გადამხდომია თავს და მათი წყალობით ფორმას ვინარჩუნებ. მაპატიეთ, რომ ასე

ვლაპარაკობ. ვცდილობ, გულახდილი ვიყო. თუმცა მელანის შემთხვევაში რაღაც განსაკუთრებული მოხდა. მე ამას ცეცხლს დავარქმევდი. მან ჩემში ცეცხლი დაანთო.

პაუზას აკეთებს. ავტოკალამი თითებში ცეკვას განაგრძობს. „მოულოდნელი პატარა თავგადასავალი. გარკვეული ტიპის მამაკაცები."ამ მაგიდასთან მჯდომ კაცს თუ აქვს თავგადასავლები? რაც უფრო დიდხანს უყურებს, მით უფრო ეეჭვება, ასე იყოს. არ გაუკვირდება, რომ გაიგოს, ისააქსები ეკლესიის მსახურები არიანო, მაგალითად, დიაკვნები ან მედავითნეები (ნეტავ ეს მედავითნე რაღას ნიშნავს?).

– ცეცხლი. რა არის ამაში ღირსშესანიშნავი? თუ ცეცხლი ჩაქრება, ასანთს გაკრავ და ახალს აანთებ. მეც ასე ვფიქრობდი, თუმცა იყო დრო, როცა ხალხი ცეცხლს თაყვანს სცემდა და კარგა ხანს ფიქრობდნენ, სანამ ცეცხლს, ცეცხლს-ღმერთს, ჩაქრობის ნებას მისცემდნენ. ასეთი ცეცხლი დაანთო ჩემში თქვენმა ქალიშვილმა. არც იმდენად მხურვალე, რომ დავეწვი, მაგრამ ნამდვილი, ნამდვილი ცეცხლი.

დამწვარი – დაწვა – გადაწვა.

ავტოკალამი მოძრაობას წყვეტს.

– მისტერ ლური, – ამბობს გოგონას მამა, გატანჯული ღიმილი სახეს უღრეცს, – ჩემს თავს ვეკითხები, ნეტავ რის მიღწევას ცდილობთ, როცა აქ მოდიხართ და ამას მიყვებით...

– მაპატიეთ, ვიცი, რომ ეს აღმაშფოთებელია. მაგრამ მე უკვე დავამთავრე, ეს არის სულ, რისი თქმაც მინდოდა თავის გასამართლებლად. მელანი როგორ არის?

– რადგან მეკითხებით, გიპასუხებთ... კარგად არის. ყოველ კვირას გვირეკავს. სწავლა განაახლა; ამისთვის განსაკუთრებული ნებართვა სჭირდებოდა – დარწმუნებული ვარ, ხვდებით, რატომაც – მაგრამ ყველა გარემოება გაითვალის-

წინეს და მისცეს. თავისუფალ დროს ისევ თეატრში მუშაობს და წარმატებითაც. ასე რომ, მელანი კარგად არის. და თქვენ? რას აპირებთ ახლა, როცა სპეციალობით აღარ მუშაობთ?

– მეც მყავს ქალიშვილი, თუ ეს გაინტერესებთ. ფერმის მფლობელია. ვაპირებ, გარკვეული დრო მასთან გავატარო, დავეხმარო. გარდა ამისა, წიგნი მაქვს დასამთავრებელი, უფრო სწორად, რაღაც, წიგნის მსგავსი. ასე იქნება თუ ისე, რაღაც საქმეს გამოვძებნი.

ჩუმდება. მისდა გასაოცრად, ისააქსი გულწრფელი მზრუნველობით უყურებს.

– ასეა, – ხმადაბლა ამბობს და მისი სიტყვები ამოოხვრასავით ისმის, – როგორ დაეცნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი...

დაეცნენ? დიახ, უეჭველია, ეს დაცემა იყო. მაგრამ „ძლიერნი“? შეეფერება კი მას ეს სიტყვა? ის თავის თავს უმნიშვნელო ადამიანად თვლის, ისეთად, რომელიც სულ უფრო შეუმჩნეველი ხდება. ის ადამიანია ისტორას განაპირას მყოფი.

– შესაძლოა, – ამბობს ის, – დაცემა დროდადრო სასარგებლოც იყოს. თუკი არ დავიმტვრევით.

– კარგია, კარგია, კარგია, – ამბობს ისააქსი. კვლავ გულისყურით აკვირდება. პირველად აღმოაჩინა მასში მელანის ნაკვთები – პირის და ტუჩების ფორმა ერთნაირი აქვთ. მოულოდნელად, იმპულსურად მაგიდაზე გადაიხრება, ცდილობს, კაცს ხელი ჩამოართვას, მაგრამ მხოლოდ ხელს უსვამს ხელის ზურგზე. რბილი, უთმო კანი აქვს.

– მისტერ ლური, – ამბობს ისააქსი, – თქვენი და მელანის ურთიერთობის გარდა კიდევ რამეზე ხომ არ გსურთ ლაპარაკი? თქვენ თქვით, გულში რაღაც მაქვსო.

– გულში? არა, არა. უბრალოდ, შემოვიარე, რომ გამეგო, მელანი როგორ არის, – ის დგება, – გმადლობთ, რომ მომისმინეთ.

ხელს უწვდის, ამჯერად ჩამოართმევს.

– ნახვამდის.

– ნახვამდის.

უკვე კართანაა – თითქმის დაცარიელებულ მისაღებში – როცა ისააქსი ეძახის:

– მისტერ ლური, ერთი წუთით, თუ შეიძლება.

ის ბრუნდება.

– ამ საღამოს რას აპირებთ?

– ამ საღამოს? სასტუმროში ვარ. დაგეგმილი არაფერი მაქვს.

– მობრძანდით ჩვენთან. სადილზე გვეწვიეთ.

– არ მგონია, თქვენს ცოლს ეს მოეწონოს.

– შეიძლება მოეწონოს, შეიძლება – არა, მაგრამ მაინც მობრძანდით. ჩვენთან ისადილეთ. შვიდ საათზე ვსხდებით სუფრასთან. მისამართს დაგიწერთ.

– არ არის საჭირო. თქვენთან უკვე ვიყავი და თქვენს ქალიშვილს შევხვდი. აქეთ მან მომასწავლა.

ისააქსი თვალსაც არ ახამხამებს.

– კარგი, – ამბობს იგი.

კარს თავად ისააქსი უღებს.

– მობრძანდით, მობრძანდით, – ამბობს და სასტუმრო ოთახში შეჰყავს. ცოლი და მეორე ქალიშვილი არსად ჩანან.

– ეს გავსინჯოთ, – ეუბნება ისააქსს და ღვინის ბოთლს უწვდის.

ისააქსი მადლობას უხდის, მაგრამ ეტყობა, არ იცის, ბოთლს რა უყოს.

– დაგისხათ? ახლავე წავალ და გავხსნი.

ოთახიდან გადის. სამზარეულოდან ჩურჩული ისმის. უკან ბრუნდება.

– გასახსნელი დაგვკარგვია, მაგრამ არაფერია, დეზი მეზობელს გამოართმევს.

აშკარაა, ალკოჰოლიან სასმელებს არ სვამენ. უნდა მიმხვდარიყო, რომ ასე იქნებოდა. პატარა მეშჩანური სახლი მკაცრი წესებით – ყაირათიანობა, მომჭირნეობა. მანქანა გარეცხილია, გაზონი – შეკრეჭილი, ბანკში დანაზოგიც აქვთ. ყველა რესურსი მობილიზებულია მათი ორი ძვირფასი გოგონას – თეატრალური ამბიციებით შეპყრობილი ჭკვიანი მელანისა და მშვენიერი დეზირეს – საიმედო მომავლის უზრუნველსაყოფად.

მელანი აგონდება, მათი ახლო ნაცნობობის პირველ საღამოს – მის გვერდით დივანზე ზის და ყავას სვამს, ცოტა ვისკგარეულს, გამიზნულს იმისათვის, რომ – სიტყვა მისი ნების საწინააღმდეგოდ ამოტივტივდება – „დაიზეთოს.“ მისი პატარა კოხტა სხეული, გამომწვევი ჩაცმულობა, აღგზნებული და მოელვარე თვალები. იმ ტყიდან გამოსული გოგონა, რომელშიც მგელი დაძრწის.

მშვენიერი დეზირე შემოდის ბოთლით და გასახსნელით. მათკენ მომავალი წამიერად ყოვნდება, აცნობიერებს, რომ სტუმარს როგორღაც უნდა მიესალმოს.

– მა... – ოდნავ შესამჩნევად დაბნეული ბუტბუტებს და ბოთლს უწვდის.

მაშასადამე, მან გაიგო, ის ვინ არის. მშობლები მის შესახებ საუბრობდნენ, შესაძლოა, იჩხუბეს კიდეც. არასასურველი სტუმარია, ადამიანი, სახელად „წყვდიადი“.

მამა ქალიშვილის ხელს ხელში იქცევს.

– დეზირე, – ამბობს ის, – ეს მისტერ ლურია.

– გამარჯობა, დეზირე.

გოგონა თავს უქნევს და თმას, რომელიც სახეს უფარავ-

და, უკან იყრის. მათი მზერა ერთმანეთს ხვდება, ისევ დარცხვენილია, მაგრამ მამის ფრთის ქვეშ შედარებით მშვიდად გრძნობს თავს.

– გამარჯობა, – ბუტბუტებს დეზირე, კაცი კი გულში იმეორებს: „ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!“ იგი ადვილად ხვდება, რას უნდა ფიქრობდეს გოგონა: „ესე იგი ეს არის ის კაცი, რომელთანაც ჩემი და შიშველი იწვა? ეს არის კაცი, რომელთანაც მან „ის“ გააკეთა! ეს მოხუცი კაცი!“

სახლში კიდევ არის ერთი პატარა სასტუმრო ოთახი, რომლის ფანჯარა სამზარეულოში გადის. მაგიდა ოთხი ადამიანისთვისაა გაწყობილი, საუკეთესო სერვიზით. სანთლები ანთია.

– დაბრძანდით, დაბრძანდით, – ამბობს ისააქსი. მისი ცოლი ჯერაც არ ჩანს, – მაპატიეთ, ერთი წუთით, – ისააქსი სამზარეულოში უჩინარდება. ის მის პირდაპირ მჯდომ დეზირესთან მარტო რჩება. დეზირე თავს ხრის. თავს ისე მხნედ ველარ გრძნობს.

ბოლოს ისინიც შემოდიან – ორი მშობელი ერთად. ის დგება.

– თქვენ ჩემს ცოლს არ იცნობთ. დორინ, ეს ჩვენი სტუმარია, მისტერ ლური.

– მადლობელი ვარ, რომ მიმიღეთ, მისის ისააქს.

მისის ისააქსი დაბალი ქალია, შუახნის ასაკში გასუქებული. მოღუნული ფეხები აქვს და სიარულისას ოდნავ ირწევა. მაგრამ ის ხედავს, ვის ჰგვანან გოგონები – თავის დროზე მათი დედა ულამაზესი ქალი იქნებოდა.

ქალის სახე კვლავ უძრავია, მას თვალს არიდებს, თუმცა თავს ოდნავ აქნევს. მორჩილი, კარგი ცოლი და დამხმარე. „და იქნებით ერთ ხორც“. ამ მხრივაც დაემსგავსებიან ქალიშვილები?

– დეზირე, წადი, კარი მოიტანე, – ეუბნება დედა.

კმაყოფილი გოგონა სავარძლიდან წამოხტება.

– მისტერ ისააქს, მე არეულობა შემომაქვს თქვენს ოჯახში, – ამბობს ის, – თქვენი მხრიდან დიდი კეთილშობილება იყო, რომ დამპატიჟეთ, მადლობელი ვარ, მაგრამ ახლა ჯობია, წავიდე.

მისდა გასაკვირად, ისააქსი მხიარულად უღიმის.

– ბრძანდებოდეთ, ბრძანდებოდეთ, ყველაფერი კარგად იქნება! ყველაფერს დავძლევთ! – მისკენ იხრება: – მეტი ძლიერება გმართებთ.

დეზირე და დედამისი ლანგრებით ბრუნდებიან: ქათამი მდუღარე პომიდვრის სოუსით, რომელსაც ოთახში კოჭას, კვლიავის, ბრინჯის, სალათის და პიკულის არომატი შემოაქვს. სწორედ ის საჭმელია, ლუსისთან ყოფნისას რომ ენატრებოდა.

ღვინის ბოთლს და ერთადერთ ღვინის ჭიქას წინ უდგამენ.

– ჩემ გარდა არავინ დალევს?

– მიირთვით, – ეუბნება ისააქსი, – ნუ მოგერიდებათ.

ჭიქას ივსებს. ტკბილი ღვინოები არ მოსწონს. „გვიანი მოსავალი“ იმიტომ იყიდა, ეგონა, მათ ასიამოვნებდა. რა გაეწყობა – მით უარესი მისთვის.

ლოცვასაც უნდა გაუძლოს. ისააქსები ერთმანეთს ხელს სჭიდებენ. მასაც სხვა რა დარჩენია – ხელებს იწვდის, მარცხნივ – გოგონას მამისკენ, მარჯვნივ – დედისკენ.

– დაე, მადლიერ გვყოს უფალმა იმისთვის, რის მირთმევასაც ახლა ვაპირებთ, – ამბობს ისააქსი.

– ამინ! – ამბობენ მისი ცოლი და ქალიშვილი, და ისიც, დავიდ ლური, ბუტბუტებს:

– ამინ! – და ორ ხელს უშვებს: მამის აბრეშუმივით გრილს და დედის პატარას, ხორციანს, შრომით გამთბარს.

მისის ისააქსი საჭმელს თეფშებზე ასხამს.

– ფრთხილად, ცხელია, – ეუბნება, როცა თეფშს აწვდის და ეს არის მისთვის ნათქვამი ერთადერთი ფრაზა.

სუფრასთან ცდილობს, კარგი სტუმარი იყოს, საინტერესოდ ილაპარაკოს, რაღაც თქვას, როცა სიჩუმე ჩამოვარდება. ლუსიზე უამბობს, მის საძაღლეზე, ფუტკრებზე, მებაღეობასთან დაკავშირებულ გეგმებზე, შაბათდილაობით ბაზარში სიარულზე. ყაჩაღების თავდასხმის ამბავს შერბილებულად ყვება, მხოლოდ იმას ახსენებს, რომ მანქანა მოჰპარეს. ცხოველთა დაცვის ლიგაზე ლაპარაკობს, მაგრამ ნაგავსაწვავზე – არა, და არც ბევ შოუსთან საიდუმლო შეხვედრებზე.

ასე შეკოწიწებულ ამბავს ჩრდილები არა ახლავს. სოფლის ცხოვრება თავისი იდიოტური უბრალოებით. როგორ ინატრებდა ამის ახდენას! დაიღალა ჩრდილებით, სირთულეებითა და რთული ადამიანებით. თავისი ქალიშვილი უყვარს, მაგრამ დროდადრო ნატრობს, ის უფრო მარტივი ადამიანი იყოს, უფრო მარტივი და გასაგები. ბანდის მეთაური, კაცი, რომელმაც ის გააუპატიურა, ასეთი იყო. ქარის მკვეთი სამართებლის მსგავსი.

უეცრად ხილვა ეწვევა – საკუთარ თავს საოპერაციო მაგიდაზე გაშხლართულს ხედავს. სკალპელი იელვებს, ყელიდან საზარდულამდე ჭრიან. ყველაფერს ხედავს, მაგრამ ტკივილს ვერ გრძნობს. წვერმოშვებული ქირურგი მისკენ იხრება და იღუშება. „ეს რა არის?“ – იღრინება და ნაღვლის ბუშტს ჩხვლეტს. „ეს რა არის?“ – ამოჭრის და მოისვრის. ახლა გულს ჩხვლეტს: „ეს რაღაა?“

– თქვენი ქალიშვილი... ფერმას მარტო უვლის?

– იქ არის კაცი, რომელიც ხანდახან ეხმარება. პეტრასი. აფრიკელი.

ახლა პეტრასზე ყვება, სოლიდურ, საიმედო პეტრასზე, რომელსაც ორი ცოლი ჰყავს და მოკრძალებული ამბიციები აქვს.

არც ისე მშიერი ყოფილა, როგორც ეგონა. საუბარი დროდადრო წყდება, მაგრამ როგორღაც სადილის დამთავრებამდე მიატანენ. დეზირე იბოდიშებს, რომ სამეცადინო აქვს და მიდის. მისის ისააქსი მაგიდას ალაგებს.

– ჩემი წასვლის დროა, – ამბობს ის, – ხვალ ადრიანად უნდა წავიდე.

– დაიცადეთ, ცოტა ხნით დარჩით, – ეუბნება ისააქსი.

მარტო რჩებიან. უკვე ორჭოფულად საუბარი აღარ შეუძლია.

– მელანის შესახებ... – ამბობს ის.

– დიახ?

– ორიოდე სიტყვა და ვამთავრებ. მე მჯერა, რომ მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, ჩვენ შორის შეიძლებოდა ყველაფერი სხვანაირადაც მომხდარიყო. მაგრამ იყო რაღაც, რისი მიცემაც მისთვის ვერ შევძელი, რაღაც... – სიტყვას ეძებს – ლირიკული. სწორედ ეს ლირიკულობა მაკლდა. სიყვარულს ძალიან იოლად ვუმკლავდები. მაშინაც კი, როცა ვიწვი, არ ვმღერი. ალბათ, გესმით, რისი თქმაც მინდა. და ამისთვის პატიებას გთხოვთ. პატიებას გთხოვთ იმისთვის, რის გადატანაც თქვენს ქალიშვილს ჩემ გამო მოუხდა. შესანიშნავი ოჯახი გაქვთ. ბოდიშს ვიხდი იმ ტკივილისთვის, რაც თქვენ და მისის ისააქსს მოგაყენეთ. გთხოვთ, მომიტევოთ.

„შესანიშნავი“ არ არის ზუსტი სიტყვა, უკეთესი იქნებოდა – „სანიმუშო“.

– ასე რომ, – ამბობს ისააქსი, – ბოლოს და ბოლოს, თქვენ მოიბოდიშეთ. მაინტერესებდა, როდის გააკეთებდით ამას, –

ისააქსი ჩაფიქრდება. იგი არ ჯდება, ოთახში აქეთ-იქით სიარულს იწყებს.

– თქვენ მიტევებას ითხოვთ. ამბობთ, რომ ლირიკულობა არ გეყოთ. რომ გყოფნოდათ, ჩვენ ახლა აქ არ ვიქნებოდით. მაგრამ მე საკუთარ თავს ვეუბნები: როცა ჩაგვავლებენ, ჩვენ, ყველანი, პატიებას ვითხოვთ. მაშინ ყველანი ვწუხვართ. საქმე ის კი არ არის, ჩადენილის გამო ვწუხვართ თუ არა. საქმე ის არის, რა ვისწავლეთ მომხდარისაგან და რას ვაპირებთ ახლა, როცა ვწუხვართ.

ის-ისაა, უნდა უპასუხოს, რომ ისააქსი ხელის აწევით აჩერებს.

– შეიძლება, თქვენს გასაგონად სიტყვა „ღმერთი“ წარმოვთქვა? თქვენ იმ ადამიანებს ხომ არ მიეკუთვნებით, სიტყვა „ღმერთის“ გაგონებაზე წონასწორობას რომ კარგავენ? საქმე ის არის, ღმერთს რა სურს თქვენგან, გარდა თქვენი წუხილისა. რას ფიქრობთ ამაზე, მისტერ ლური?

ისააქსის წინ და უკან სიარული ყურადღებას უფანტავს, მაგრამ მაინც ცდილობს, სიტყვები ზუსტად შეარჩიოს.

– ჩვეულებრივ, მე ვიტყოდი, რომ გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ ადამიანი მეტისმეტად მოხუცია საიმისოდ, რომ მომხდარისაგან რამე ისწავლოს. მას ისღა დარჩენია, კვლავ და კვლავ აიტანოს სასჯელი. მაგრამ შესაძლოა, ეს ყოველთვის ასე არც იყოს. ღმერთს რაც შეეხება, მე მორწმუნე არ ვარ, ამიტომ ღმერთსა და ღმერთის ნებაზე თქვენი სიტყვების ჩემი ტერმინოლოგიით შეცვლა მომიწევს. ჩემს ენაზე რომ ვილაპარაკო, მე იმის გამო ვისჯები, რაც ჩემსა და თქვენს ქალიშვილს შორის მოხდა. მე სირცხვილში ვარ ჩაფლული, ამ მდგომარეობისთვის თავის დაღწევა კი სხვების დახმარების გარეშე ადვილი არ იქნება. სასჯელს არ

უარვყოფ. მის წინააღმდეგ კრინტსაც არ ვძრავ. პირიქით, ყოველდღიურად მასთან ერთად ვცხოვრობ, ვცდილობ, მივიღო სირცხვილი, როგორც ჩემი წილხვედრი არსებობის ფორმა. თქვენ როგორ ფიქრობთ, ღმერთისთვის საკმარისია, რომ მე განუსაზღვრელი ვადით სირცხვილში ვცხოვრობ?

– არ ვიცი, მისტერ ლური. ჩვეულებრივ, გიპასუხებდით, მე ნუ მეკითხებით, ღმერთს ჰკითხეთ-მეთქი, მაგრამ რადგან თქვენ არ ლოცულობთ, ვერც ვერაფერს ჰკითხავთ. როგორც ჩანს, ღმერთმა თავად უნდა გამონახოს საშუალება თქვენთვის ამის სათქმელად. თქვენი აზრით, რატომ ხართ აქ, მისტერ ლური?

ის დუმს.

– მაშინ მე გეტყვით. თქვენ ჯორჯის გავლით მიდიოდით, გაგახსენდათ, რომ თქვენი სტუდენტის ოჯახი ჯორჯიდან იყო და გაიფიქრეთ: რატომაც არ უნდა შევიარო? ეს დაგეგმილი არ გქონდათ და მაინც ჩვენს სახლში აღმოჩნდით. თქვენ ეს უნდა გაგკვირვებოდათ. მართალს ვამბობ?

– მთლად ასე არ არის. მე თქვენთვის სრული სიმართლე არ მითქვამს. ჯორჯის გავლით კი არ მივდიოდი, ჯორჯში მხოლოდ ერთი განზრახვით ჩამოვედი: თქვენთან სალაპარაკოდ. კარგა ხანს ვფიქრობდი ამაზე.

– დიახ, თქვენ ამბობთ, რომ ჩემთან სალაპარაკოდ ჩამოხვედით. მაგრამ რატომ ჩემთან? ჩემთან ლაპარაკი ადვილია, ძალიან ადვილი. ჩემი სკოლის ყველა ბავშვმა იცის ეს. ისააქსს ადვილად დაუძვრები – აი, ასე ამბობენ, – ღიმილი წინანდებურად სახეს უღრეცს, – მაშასადამე, თქვენ მართლა ჩემთან სალაპარაკოდ ჩამოხვედით?

ახლა საბოლოოდ დარწმუნდა: მას ეს კაცი არ მოსწონს. არ მოსწონს მისი ხრიკები.

დგება. გაუბედავი ნაბიჯით კვეთს ცარიელ სასტუმრო ოთახს და კორიდორში გადის. ნახევრად მიხურული კარიდან დაბალი ხმით საუბარი ესმის. კარს აღებს. საწოლზე დეზირე და დედამისი სხედან და შალის ძაფის გორგალს შლიან. მისი გამოჩენით გაოცებულები საუბარს წყვეტენ.

საგულდაგულო ცერემონიულობით მუხლებზე ეშვება და შუბლით იატაკს ეხება.

„საკმარისია? – ფიქრობს. – გამოდგება? თუ არა და, მეტი რა ვქნა?“

თავს ზემოთ სწევს. ისევ იქ სხედან, გაშეშებულები. მისი მზერა დედის მზერას ხვდება, შემდეგ ქალიშვილისას. ისევ ტალღა უვლის, სურვილის ტალღა.

ფეხზე დგება, თუმცა სასურველზე ცოტა მეტი ჭრიალით.

– ღამე მშვიდობისა, – ამბობს ის, – გმადლობთ ჩემდამი გამოჩენილი სიკეთისათვის. გმადლობთ გამასპინძლებისთვის.

თერთმეტ საათზე სასტუმროს ნომერში ურეკავენ. ისააქსია.

– გირეკავთ, რომ მომავლისთვის სიმტკიცე გისურვოთ, – პაუზა, – და კიდევ, არის ერთი კითხვა, რომლის თქვენთვის დასმაც ვერ მოვასწარი, მისტერ ლური. იმედი ხომ არ გქონდათ, რომ უნივერსიტეტში თქვენი აღდგენისთვის რამეს ვიღონებდით?

– უნივერსიტეტში?

– დიახ.

– აზრადაც არ მომსვლია. უნივერსიტეტთან აღარაფერი მაკავშირებს.

– იმიტომ, რომ გზა, რომელსაც ადგახართ, უფლის მიერ გამოსაცდელად არის განწესებული თქვენთვის. ჩვენ უფლება არა გვაქვს, ჩავერიოთ.

– გასაგებია.

თავი 20

კეიპტაუნში მე-2 ტრასით შედის. სამი თვეც არ იქნება, რაც ქალაქიდან წავიდა და ამ დროის განმავლობაში ქოხების დასახლებას ტრასის გადაკვეთა და აღმოსავლეთით, აეროპორტისკენ გავრცელება მოუსწრია. მანქანების ნაკადს შეჩერება უწევს, სანამ ნახირს ჩამორჩენილ ძროხას ბავშვი ჯოხით გზის მეორე მხარეს აგდებს. „სოფელი უმოწყალოდ იჭრება ქალაქში," – ფიქრობს ის. რონდებოშ კომონში მალე ისევ საქონელს მოაძოვებენ. ისტორია კიდევ ერთ სრულ ბრუნს გააკეთებს.

და აი, ის ისევ სახლშია. თუმცა შინ დაბრუნების შეგრძნება არ აქვს. ვერც კი წარმოუდგენია, როგორ უნდა იცხოვროს ისევ თორანს როუდზე მდებარე სახლში, უნივერსიტეტის ჩრდილქვეშ, როგორ უნდა მიიპარებოდეს ქუჩაში ბოროტმოქმედივით, რომ ძველ კოლეგებს არ გადააწყდეს. სახლის გაყიდვა მოუწევს და სადღაც, უფრო იაფ ბინაში გადასვლა.

მისი ფინანსური მდგომარეობა გაურკვეველია. გადასახადები წასვლის შემდეგ არ გადაუხდია. კრედიტით ცხოვრობს, რომელიც ყოველდღე შეიძლება ამოიწუროს.

ხეტიალის დასასრული. და რა ხდება, როცა ხეტიალი მთავრდება? თავის თავს ხედავს, ჭაღარას, მხრებში მოხრილს, კუთხის მაღაზიისკენ რომ მიფრატუნებს ნახევარი ლიტრი რძისა და ნახევარი პურის საყიდლად. ხედავს მაგიდასთან უგულისყუროდ მჯდარს გაყვითლებული ფურცლებით სავსე ოთახში, იმის მოლოდინში, დღე როდის მიინავლება, რომ ივახშმოს და დაიძინოს. სამსახურიდან გაგდებული მოხუცი მეცნიერის ცხოვრება – უიმედო და უპერსპექტივო – არის კი მზად ასეთი ცხოვრებისთვის?

ჭიშკარს აღებს. ბაღი გაბარდულია, საფოსტო ყუთი – შეტყობინებებითა და სარეკლამო ფურცლებით სავსე. შორიდან, ერთი შეხედვით, სიმშვიდეა, მაგრამ სახლი უკვე რამდენიმე თვეა ცარიელია და შეუძლებელია, ამ ხნის განმავლობაში დაუპატიჟებელი სტუმრები არ სწვეოდნენ. მართლაც, როგორც კი შესასვლელ კარს აღებს და ჰაერს შეისუნთქავს, გრძნობს, რომ რაღაც რიგზე ვერ არის. მღელვარებისაგან გული მტკივნეულად უწყებს ბაგაბუგს.

ჩამიჩუმი არ ისმის. ვინც უნდა იყოს ნამყოფი, ახლა აქ არავინაა. მაგრამ როგორ შემოვიდნენ? ფეხაკრეფით გადის ერთი ოთახიდან მეორეში და ხვდება, რაც მოხდა. ერთ-ერთი უკანა ფანჯრის გისოსები გამომტვრეულია და გარეთაა გადაღუნული. მინა ჩამსხვრეულია და საკმაო ნახვრეტია გაკეთებული საიმისოდ, რომ ბავშვი, ან თუნდაც პატარა კაცი შემოძვრეს. იატაკი ქარის მოტანილი ქვიშითა და ფოთლებით არის სავსე.

ოთახებში დადის და დანაკარგს ითვლის. საწოლ ოთახში ყველაფერი თავდაყირაა, კედლის კარადები გამოცარიელებულია, წაღებულია აუდიოსისტემა, ფირფიტები, კასეტები, კომპიუტერული მოწყობილობა. კაბინეტში საწერი მაგიდა და

კარტოთეკის კარადაა დამტვრეული, ყველგან ქაღალდებია მიმოფანტული. სამზარეულო მთლიანად გაძარცულია: დანაჩანგალი, ჭურჭელი, მცირე ზომის საყოფაცხოვრებო მოწყობილობები წაღებულია. ლიქიორიც წაუღიათ. კარადაც კი, რომელშიც დაკონსერვებულ საკვებს ინახავდა, ცარიელია.

ეს ჩვეულებრივი ძარცვა არ არის. მოთარეშეთა გუნდი იჭრება, პირწმინდად ძარცვავს ობიექტს და მიდის ტომრებით, ყუთებით, ჩემოდნებით დატვირთული. ნადავლი. რეპარაცია. ხელახალი გადანაწილების კიდევ ერთი დიდი კამპანია. ვის აცვია ახლა მისი ფეხსაცმელი? ბეთჰოვენმა და იანეჩეკმა ახალი თავშესაფარი იპოვეს თუ სანაგვეზე აღმოჩნდნენ?

სააბაზანოდან საზიზღარი სუნი გამოდის. სახლში შემოფრენილ მტრედს პირსაბანში დაუსრულებია სიცოცხლე. ძვლებსა და ბუმბულს ფრთხილად ყრის პლასტმასის პაკეტში და თავს მაგრად უკრავს.

სინათლე გათიშულია. ტელეფონი დუმს. თუ რამეს არ ილონებს, სიბნელეში მოუწევს ღამის გატარება. მაგრამ მეტისმეტად დათრგუნულია საიმისოდ, რომ იმოქმედოს. „ჯანდაბამდე გზა ჰქონია ყველაფერს," – ფიქრობს, სავარძელში ეშვება და თვალებს ხუჭავს.

შებინდებისას თავს ძალას ატანს, დგება და სახლიდან გადის. ცაზე პირველი ვარსკვლავები ჩნდება. ცარიელი ქუჩების, ვერბენისა და ნარცისების სუნით გაჟღენთილი პარკების გავლით კამპუსისკენ მიემართება. ფაკულტეტის კორპუსის შესასვლელი კარის გასაღები ჯერაც მას აქვს. აჩრდილების გამოჩენისთვის შესაფერი დროა – კორიდორები ცარიელია. ლიფტით მეხუთე სართულზე ადის. მისი კაბინეტის კარზე ფირფიტა შეუცვლიათ. ახალ ფირფიტაზე „დოქტორი ოტო" წერია. კარის ღრიჭოში მკრთალი სინათლე ატანს.

აკაკუნებს. არ უპასუხებენ. კარს აღებს და შედის.

ოთახი შეცვლილია. მისი წიგნები და სურათები აღარ ჩანს. კედლები ცარიელია, თუ არ ჩავთვლით პლაკატის ზომის სურათის ფოტოასლს კომიქსების წიგნიდან: „თავჩაქინდრული სუპერმენი ლოის ლეინის[47] ლანძღვას ისმენს“.

ნახევრად განათებულ კუთხეში, კომპიუტერთან ახალგაზრდა კაცი ზის, რომელიც ადრე არასოდეს უნახავს. ახალგაზრდა კაცი იღუშება.

– ვინა ხართ? – ეკითხება.

– დევიდ ლური.

– დიახ. მერე?

– ჩემი ფოსტის წასაღებად მოვედი. ეს ჩემი კაბინეტი იყო, – კინაღამ დასძენს: „წარსულში“.

– აა, დევიდ ლური, მაპატიეთ, ვერ მივხვდი. ყველაფერი ყუთში ჩავაწყვე თქვენს სხვა ნივთებთან ერთად, – ხელს იშვერს, – აქ არის.

– და ჩემი წიგნები?

– ქვემოთ არის, ბარგის შესანახ ოთახში.

ყუთს იღებს.

– გმადლობთ, – ამბობს.

– რა სათქმელია, – ამბობს ახალგაზრდა დოქტორი ოტო, – შეძლებთ წაღებას?

მძიმე ყუთი ბიბლიოთეკაში მიაქვს, რომ იქ ფოსტა გადაარჩიოს, მაგრამ როცა ტურნიკეტამდე აღწევს, გამშვები ავტომატი მის ბარათს ვერ ცნობს. ფოსტის გარჩევა ვესტიბიულში, სკამზე უწევს.

---

[47] კომიქსების პერსონაჟი ჟურნალისტი ქალი, რომელიც სუპერმენს უყვარს.

ისეთი აფორიაქებულია, ვერც იძინებს. გათენებისას სასეირნოდ მიეშურება მთისკენ. ნაწვიმარია. სანიაღვრეებში წყლის ნაკადი ჩუხჩუხებს. ფიჭვების მათრობელა სუნს ისუნთქავს. დღეს ის თავისუფალი ადამიანია, საკუთარი თავის გარდა პასუხისმგებელი არავის წინაშე არ არის. მის წინ განფენილია დრო, რომელიც სურვილისამებრ შეუძლია გამოიყენოს.

ლუსისთან გატარებულმა თვეებმა ის სოფლის კაცად ვერ აქცია. და მაინც არის რაღაც, რაც ენატრება, მაგალითად, იხვების ოჯახი. დედა იხვი, ამაყად წინ გამოწეული მკერდით, გუბურაში დაცურავს, დროდადრო მიმართულებას იცვლის, ამასობაში კი ენი, მენი, მინი და მო საქმიანად ტყაპუნებენ მის უკან, დარწმუნებულნი, რომ სანამ დედა მათთანაა, არაფერი ემუქრებათ.

ძაღლებზე ფიქრი არ სურს. ორშაბათიდან კლინიკის კედლებში სიცოცხლის ტვირთისგან გათავისუფლებულ ძაღლებს განურჩევლად, დაუტირებლად მოისვრიან ცეცხლში. ისინი ოდესმე აპატიებენ კი ღალატს?

ბანკში მიდის, მერე სამრეცხაოში სარეცხი მიაქვს. პატარა მაღაზიაში, სადაც წლების განმავლობაში ყავას ყიდულობდა, გამყიდველი თავს ისე აჩვენებს, თითქოს ვერ ცნობს. მეზობელი ბაღის მორწყვისას გულმოდგინედ ცდილობს, მისგან ზურგშექცევით დადგეს.

უილიამ უორდსუორთი ახსენდება, ლონდონში პირველად ჩასული პანტომიმას რომ უყურებს და ხედავს, გოლიათების მძლეველი ჯეკი ხმალს როგორ იქნევს და უდარდელად დასეირნობს სცენაზე, რადგან მკერდზე წარწერილი სიტყვა „უჩინარი“ იცავს.

საღამოს ტელეფონის ჯიხურიდან ლუსის ურეკავს.

– ვიფიქრე, დავურეკავ, ჩემზე არ იჯავროს-მეთქი, –

ეუბნება, – მე მშვენივრად ვარ. ალბათ, ცოტა დრო დამჭირდება, სანამ ხელახლა შევეგუები აქაურობას. სახლში თავს ისე ვგრძნობ, თითქოს ბოთლში ჩავარდნილი ბარდა ვიყო, ოღონდ კედლებს არ ვეხლები. იხვები მენატრება.

სახლის გაქურდვის შესახებ არაფერს ეუბნება – ლუსის თავისი სადარდებელიც ეყოფა.

– პეტრასი როგორ არის? – ეკითხება. – გეხმარება თუ სახლის შენების გარდა ისევ არაფერს აკეთებს?

– მეხმარება. ყველანი მეხმარებიან.

– ხომ იცი, როცა დაგჭირდები, მაშინვე ჩამოვალ. შენ ოღონდ მითხარი.

– გმადლობ, დევიდ. ჯერ არა, მაგრამ შესაძლოა, მალე დამჭირდე.

როცა ლუსი დაიბადა, ვინ იფიქრებდა, რომ დადგებოდა დრო და მის წინაშე თავს დაიმცირებდა – თავშესაფარს სთხოვდა.

სუპერმარკეტში, რიგში ელაინ ვინტერის, მისი უკვე ყოფილი კათედრის გამგის გვერდით აღმოჩნდება. ელაინის თვლებიანი ურიკა სავსეა პროდუქტით, მას კი პატარა კალათა უჭირავს. ქალი მის მისალმებას როგორღაც ნერვულად უპასუხებს.

– რას შვრება კათედრა ჩემ გარეშე? – კითხულობს შეძლებისდაგვარად მხიარულად.

გულწრფელი პასუხი იქნებოდა: „მშვენივრად ვართ“, მაგრამ ქალი ძალიან თავაზიანია, ამიტომ გაურკვევლად უპასუხებს:

– ვჯახირობთ, როგორც ყოველთვის.

– მოძებნეთ ვინმე ჩემს ადგილზე?

– ახალგაზრდა კაცი ავიყვანეთ ხელშეკრულებით.

შეუძლია უთხრას, რომ უკვე ნახა ის, თან დასძინოს: „პატარა სირი, მუშა მდგომარეობაში“, მაგრამ თვითონაც, ელაინის არ იყოს, მეტისმეტად კარგად აღზრდილია, ამიტომ ამის მაგივრად ეკითხება:

– რა სპეციალობისაა?

– გამოყენებითი ლინგვისტიკის.

აი, პოეტების დასასრული, დასასრული გარდასული ოსტატებისა, რომლებმაც, უნდა ითქვას, მას კარგად ვერ უწინამძღვრეს, Aliter[48], რომელთაც მან კარგად ვერ მოუსმინა.

რიგში მათ წინ მდგომი ქალი უკვე სალაროსთანაა. ელაინს შეუძლია კიდევ ერთი შეკითხვა დაუსვას, მაგალითად: „თქვენ როგორ ხართ, დევიდ?“ და მანაც უპასუხოს: „არაჩვეულებრივად, ელაინ, არაჩვეულებრივად!“

– თუ გნებავთ რიგში ჩემ წინ დადექით, – სთავაზობს ქალი ამის ნაცვლად და კალათზე მიუთითებს, – თქვენ ცოტა გაქვთ.

– რას ბრძანებთ, ელაინ, – უპასუხებს და ერთგვარი სიამოვნებით უყურებს, როგორ ალაგებს ქალი დახლზე შენაძენს: არა მხოლოდ პურსა და კარაქს, არამედ პატარა-პატარა ყელის ჩასაკოკლოზინებლებს, რის ნებასაც მარტოხელა ქალი აძლევს საკუთარ თავს – ნამდვილი კრემის ნაყინს (ნამდვილი ნუშით და ნამდვილი ქიშმიშით), იმპორტირებულ იტალიურ ნამცხვრებს, შოკოლადის ფილებსა და ჰიგიენური ხელსახოცების პაკეტს.

ელაინი საფასურს საკრედიტო ბარათით იხდის. ბარიერის მეორე მხრიდან დამშვიდობების ნიშნად ხელს უქნევს. აშკარად იგრძნობა, რომ შვებით ამოისუნთქა.

– ნახვამდის, – მოლარის თავს ზემოთ გასძახის ის, – ყველა მომიკითხეთ! – ქალი აღარ იყურება.

---

[48] სხვანაირად (ლათ.).

ოპერა თავდაპირველი ჩანაფიქრის მიხედვით ლორდ ბაირონისა და მისი საყვარლის – გრაფინია გვიჩიოლის ურთიერთობას ეხებოდა. ეს ორი ადამიანი, ვილა გვიჩიოლაში ჩაკეტილი, რავენას ზაფხულის მხუთავი ხვატით და ტერეზას ეჭვიანი ქმრის თვალთვალით დაქანცული, პირქუშ ოთახებში იბორიალებდა და წინააღმდეგობების დამძლევ მათ ვნებაზე იმღერებდა. ტერეზა თავს პატიმრად გრძნობს, მთელი მისი არსება მრისხანებას მოუცავს, ბაირონს გულს უწყალებს, აქედან წამიყვანე, სხვაგვარი ცხოვრებით მაცხოვრეო. ბაირონი ეჭვებითაა სავსე, თუმცა კეთილგონიერება ჰყოფნის, მათზე არ ილაპარაკოს. ეჭვი ეპარება, რომ მათი პირველი ექსტაზი ოდესმე განმეორდეს. მისი ცხოვრება ჩაწყნარებულია, ჯერ კიდევ გაუცნობიერებლად მშვიდი, განმარტოებული ყოფისკენ მიუწევს გული და თუ ეს შეუძლებელი აღმოჩნდება, მაშინ – აპოთეოზისკენ, სიკვდილისკენ. ტერეზას მაღალფარდოვანი არიები გულს ვერ უჩქროლებს. მისი ვოკალის თემა, უსიხარულო, არეულ-დარეული, გარს უვლის ტერეზას თემას, გადადის მასში და მის ზემოთ იწევს.

აი, ასე ჰქონდა ჩაფიქრებული – კამერულ პიესად, ახალგაზრდა ვნებიანი ქალისა და ერთ დროს ვნებიანი, მაგრამ ახლა დამცხრალი, ასაკით უფროსი მამაკაცის სიყვარულსა და სიკვდილზე. პიესა რთული, ამაღელვებელი მუსიკის თანხლებით, ინგლისური სიმღერებით, რომლებიც დროდადრო შთამაგონებელი იტალიურისკენ მიისწრაფვის.

ფორმის თვალსაზრისით კონცეფცია ცუდი არ არის. პერსონაჟები ერთმანეთს კარგად აწონასწორებენ: ჩაკეტილი წყვილი, უარყოფილი საყვარელი, რომელიც ფანჯარაზე აკაკუნებს, ეჭვიანი ქმარი. და ვილაც – ჭაღებით, რომლებზეც მოშინაურებული მაიმუნები უხალისოდ ქანაობენ, თუთი-

ყუშებით, წინ და უკან რომ დადიან მეტისმეტად ჭრელაჭ-
რულად მოხატულ ნეაპოლიტანურ ავეჯს შორის – ზედ-
როულობისა და გარდასულობის სათანადო შერწყმის ნი-
მუშია.

და მაინც, ჯერ ლუსის ფერმაში და ახლა აქ, ეს ჩანაფიქრი
მის სულს ღრმად ვერ ეხება. არის მასში რაღაც, რაც მისი
გულიდან არ მოდის. ქალი ვარსკვლავებს შესჩივის, რომ მსა-
ხურების თვალთვალი აიძულებთ მას და მის საყვარელს,
სურვილი საკუჭნაოში, ცოცხებს შორის მოიკლან. და მერე
რა? მას შეუძლია იპოვოს სიტყვები ბაირონისათვის, მაგრამ
ტერეზა, რომელიც ისტორიამ უანდერძა – ახალგაზრდა, ხარბი,
თავნება, ფხუკიანი – არ შეესაბამება მუსიკას, რომელზეც ის
ოცნებობს, მუსიკას, რომლის ჰარმონიულ ჟღერადობას, შე-
მოდგომასავით მდიდრულს, მაგრამ ირონიასთან წილნაყარს,
იგი შინაგანი სმენით იჭერს.

ცდილობს, სხვა გზა იპოვოს. თავის დაწერილ ნოტებსა
და თავნება, ახალდაქორწინებულ ქალსა და მის ტყვე ინ-
გლისელ ლორდზე ხელს ჩაიქნევს და ცდილობს, შუახნის
ტერეზა გააცოცხლოს: ახალი ტერეზა, ჩასკვნილი, დაბალი
ქვრივი მოხუც მამასთან ერთად ვილა გამბაში ცხოვრობს,
მეურნეობას უძღვება, საფულე მაგრად აქვს თავმოკრული,
გაფაციცებულია, რომ მსახურებმა შაქარი არ მოჰპარონ.
ახალი ვერსიით, ბაირონი დიდი ხნის გარდაცვლილია. ერ-
თადერთი განაცხადი უკვდავებაზე, რაც ტერეზას შერჩენია,
ერთადერთი ნუგეში ეულად გატარებული ღამეებისა –
წერილებისა და მოსაგონარი ნივთების სკივრი – საწოლქვეშ
აქვს შენახული, რომელსაც თავის reliquie[49]-ს ეძახის და რო-

[49] რელიკვიას (იტალ.).

მელსაც მისი დის შვილიშვილები იპოვიან ქალის გარდაცვალების შემდეგ და კრძალვით შეეხებიან.

არის კი ეს ის გმირი ქალი, რომელსაც მთელი ცხოვრება ეძებდა? შეუძლია კი ასაკოვან ტერეზას, დაიპყროს მისი გული – ისეთი გული, როგორიც აქვს ახლა?

დროის მდინარებამ ტერეზა არ დაინდო. დამძიმებული ბიუსტი, ჩასკვნილი ტანი, დამოკლებული ფეხები, უფრო გლეხს ჰგავს, contadina-ს[50], ვიდრე არისტოკრატს. სახეზე, რომელიც ერთ დროს ბაირონის აღტაცებას იწვევდა, ავადმყოფური ფერი ადევს. ზაფხულობით ასთმის შეტევა ეწყება და სუნთქვა უჭირს.

წერილებში ბაირონი მას „ჩემს მეგობარს“ უწოდებს, შემდეგ – „ჩემს სიყვარულს“, შემდეგ – „ჩემს მარადიულ სიყვარულს.“ მაგრამ საპირისპირო შინაარსის წერილებიც არსებობს, რომლებზეც არ შეუძლია ხელი აღმართოს – დაწვას. ინგლისელ მეგობრებთან გაგზავნილ ამ წერილებში ბაირონს თავხედურად შეჰყავს ის თავისი იტალიური გამარჯვებების ნუსხაში, დასცინის მის ქმარს, ქარაგმულად მიანიშნებს მისი წრის სხვა ქალებთან სასიყვარულო კავშირებზე. ბაირონის გარდაცვალების შემდეგ მისი მეგობრები ერთიმეორის მიყოლებით წერდნენ მემუარებს მის წერილებზე დაყრდნობით. მათი მონათხრობის მიხედვით, მას შემდეგ, რაც ქმარს ახალგაზრდა ტერეზას წაართმევს, ბაირონს ის მალე სწყინდება, აღმოაჩენს, რომ თავქარიანი ქალია და მხოლოდ მოვალეობის გრძნობა აჩერებს მასთან. სწორედ მისგან თავდასაღწევად გაემგზავრა საბერძნეთში, სიკვდილთან შესახვედრად.

---

[50] გლეხი ქალი (იტალ.).

მათი იარლიყები გულს უკლავს. ბაირონთან გატარებული წლები მისი ცხოვრების მწვერვალია. ბაირონის სიყვარულია ერთადერთი რამ, რაც სხვებისგან გამოარჩევს. მის გარეშე ის არარაობაა. ქალი, რომლის ყვავილობა ჩავლილია, დღეებს მოსაწყენ პატარა, პროვინციულ ქალაქში ატარებს, დროდადრო მეგობრებთან დადის, როცა მამას ფეხები ასტკივდება, მასაჟს უკეთებს, მარტოს სძინავს.

შეუძლია, ამ შეუხედავი, ჩვეულებრივი ქალის მიმართ გულში რაიმე, სიყვარულის მსგავსი, აღმოაჩინოს? შეუძლია, ისე შეიყვაროს, რომ მისთვის მუსიკა დაწეროს? თუ ვერ შეძლებს, მაშ, რაღა დარჩენია?

უბრუნდება იმას, რაც ახლა საწყის სცენად უნდა იქცეს. კიდევ ერთი ცხელი დღე უახლოვდება დასასრულს. ტერეზა მამამისის სახლის მეორე სართულის ფანჯარასთან დგას. ჭაობისა და რომანიის ფიჭვების იქით ადრიატიკის ზღვაზე მოელვარე მზეს გაჰყურებს. პრელუდიის დასასრული, სიჩუმე. ღრმად ისუნთქავს. „Mio,[51] ბაირონ"-ს მღერის. მწუხარებისგან ხმა უკანკალებს. მხოლოდ კლარნეტი ეპასუხება, მერე ისიც დუმდება. „Mio, ბაირონ!" – ისევ ეძახის, ახლა უფრო ხმამაღლა.

სად არის ის? მისი ბაირონი? ბაირონი აღარ არის, ბაირონი აჩრდილებს შეერია და აღარც ის არის, ტერეზა, მას რომ უყვარდა, ცხრამეტი წლის გოგონა, ქერა კულულებიანი, ასეთი სიხარულით რომ დანებდა გოროზ ინგლისელს, რომელსაც მერე, როცა ის, ვნებადამცხრალი, მის შიშველ მკერდზე მძიმედ სუნთქავდა, შუბლზე ნაზად უსვამდა ხელს.

„Mio, ბაირონ!" – მესამედ მღერის და საიდანღაც, ქვეს-

---

[51] ჩემო (იტალ.).

კნელის მღვიმეებიდან, სიმღერით ეპასუხება შემდრკალი, არაამქვეყნიური ხმა, ხმა ბაირონის აჩრდილისა. „სად ხარ?“ – მღერის ის და შემდეგ ისმის სიტყვა, რომლის გაგონება ტერეზას არ სურს: secca-მშრალი: „ის დაშრა, წყარო ყოველივესი“.

ბაირონის ხმა ისეთი მიმქრალი, ისეთი სუსტია, რომ ტერეზას უწევს, მისივე სიტყვებით მიუმღეროს, ყოველ ამოსუნთქვაზე დაეხმაროს, სიცოცხლისკენ შემოაბრუნოს: მისი ბავშვი, მისი ბიჭუნა. „მე აქ ვარ!“ – უმღერის იგი. ხელს აშველებს, ცდილობს, დაღმა სვლისაგან იხსნას. „მე ვარ შენი წყარო, გახსოვს, არქუიის[52] წყაროს რომ ვეწვიეთ ერთად? ერთად, შენ და მე. მე შენი ლაურა ვიყავი. გახსოვს?“

აი, ასე უნდა განაგრძოს ამიერიდან: ტერეზა ხმით შეყვარებულს აჯილდოებს, ის კი, გაძარცულ სახლში მცხოვრები კაცი – ტერეზას. მკვდარი მკვდარს აეკიდაო... უკეთესი რომ ვერავინ ნახა.

ტერეზას ხელიდან არ უშვებს და ცდილობს, შეძლებისდაგვარად სწრაფად გააკეთოს ლიბრეტოს დასაწყისის მონახაზი. „ქაღალდზე გადაიტანე სიტყვები, – ეუბნება საკუთარ თავს, – როგორც კი ამას გააკეთებ, ყველაფერი გაიოლდება. შემდეგ დადგება დრო, როცა ოსტატების მოძებნა მოგიწევს. გლუკს, მაგალითად, ამაღლებული მელოდიები აქვს, და, ვინ იცის, იქნებ ამაღლებული იდეებიც.“

თანდათან, რაც უფრო მეტად უკავშირდება მისი ცხოვრება ტერეზასა და გარდაცვლილ ბაირონს, ნათელი ხდება, რომ მოპარული მელოდიები მაინცდამაინც არ გამოადგება, რომ ეს ორი ადამიანი საკუთარ მუსიკას მოითხოვს. და განსაცვიფრებელია, რომ ნოტები ერთიმეორის მიყოლებით მო-

---

[52] არქუია – სოფელი პადუასთან, სადაც პეტრარკა გარდაიცვალა.

დიან მასთან. ხანდახან მის წინ ფრაზის კონტური უფრო ადრე ისახება, ვიდრე მიხვდებოდეს, რა სიტყვები დასჭირდება. ხანდახან სიტყვები რიტმს განსაზღვრავს, ზოგჯერ მელოდია, სმენის ზღვარზე რომ ლივლივებდა, იშლება და სიხარულით იჭრება ზევით. უფრო მეტიც, როდესაც მოქმედება ვითარდება, ის იწყებს საკუთარ სხეულსა და სისხლში განცდილი მოდულაციების გამოხმობას, მაშინაც კი, როცა მათ გადმოსაცემად მუსიკალური საშუალებები არ ჰყოფნის.

როიალთან ჯდება, რათა დაქსაქსული ნაწილები შეაერთოს და პარტიტურის დასაწყისი ჩაიწეროს. მაგრამ არის როიალის ჟღერადობაში რაღაც ისეთი, რაც ხელს უშლის: მეტისმეტად დახვეწილია, მეტისმეტად მატერიალური, მეტისმეტად მდიდრული. სხვენიდან, ძველი წიგნებითა და ლუსის სათამაშოებით სავსე კალათიდან, უცნაურ, პატარა შვიდსიმიან ბანჯოს იღებს, რომელიც ქალიშვილს ბავშვობისას კუამაშუს ქუჩაზე უყიდა. და მისი დახმარებით იწყებს სანოტო ხაზებზე იმ მუსიკის გადატანას, რომელზეც ტერეზა ხან მგლოვიარე, ხანაც გაბრაზებული უმღერებს თავის გარდაცვლილ საყვარელს და პასუხად ბაირონის მიმქრალ ხმას გაიგონებს აჩრდილთა საუფლოდან.

რაც უფრო ღრმად მიჰყვება გრაფინიას ქვესკნელში, მღერის მის ფრაზებს და ღიღინებს ვოკალურ ფრაგმენტებს, მისდა გასაკვირად, მისთვის მით უფრო განუყრელი ხდება ბანჯოს სულელური ჟღარუნი. უარს ამბობს დიდებულ არიებზე, რომელთა შექმნაზეც ადრე ოცნებობდა. სულ ცოტაც და ქალს ინსტრუმენტს დააჭერინებს. ახლა ტერეზა ცერემონიულად კი არ დადის სცენაზე, არამედ ზის და ჭაობებს მიღმა ჯოჯოხეთის ბჭეებს გაჰყურებს, ხელში მანდოლინას არწევს, რომელზეც თავისი ლირიკული ლტოლ-

ვის აკომპანემენტს აჟღერებს, მის გვერდით მოკრძალებული სამეული (ვიოლონჩელო, ფლეიტა, ფაგოტი) კი პაუზებს ავსებს და სტროფებს შორის ძუნწ შენიშვნებს ურთავს.

საწერ მაგიდასთან მჯდარი გაბარდულ ბაღს გასცქერის და უკვირს, რა ასწავლა მას პატარა ბანჯომ. ექვსი თვის წინ თვლიდა, რომ ლიბრეტოში, მისი, აჩრდილის შესაფერი, ადგილი სადღაც ტერეზასა და ბაირონს შორის იქნებოდა: ვნებიანი ზაფხულის გაგრძელებისკენ სწრაფვასა და დავიწყების ხანგრძლივი ძილიდან უხალისო გამოღვიძებას შორის. მაგრამ ცდებოდა. საბოლოოდ მას ეროტიკა არ უხმობს, არც ელეგიური საწყისი, არამედ – კომიკური. ოპერაში ის არც ტერეზაა და არც ბაირონი, მათი ნაზავიც კი არ არის: ის თვით მუსიკაში ცხოვრობს, ბანჯოს სიმების მონოტონურ ჟღარუნში, ხმაში, რომელიც ცდილობს, უცნაურ ინსტრუმენტზე ილივლივოს, და რომლისკენაც გამუდმებით მიიწევს, როგორც თევზი ანკესისკენ.

„აი, ეს არის ხელოვნება, – ფიქრობს ის, – აი, ასე აკეთებს ის თავის საქმეს. როგორი უცნაურია! როგორი მომაჯადოებელი!“

მთელ დღეებს ბაირონისა და ტერეზას საზოგადოებაში ატარებს, შავ ყავასა და პურს მიირთმევს. მაცივარი ცარიელია, ლოგინი – აულაგებელი, ოთახის იატაკზე გატეხილი ფანჯრიდან ქარის შემოტანილი ფოთლებია მოფენილი. „რა მნიშვნელობა აქვს, – ფიქრობს ის, – დაე, მკვდრებმა დამარხონ თავიანთი მკვდარი.“

„სიყვარული პოეტებისგან ვისწავლე, – მონოტონურად, მკვეთრი ხმით მღერის ბაირონი თორმეტმარცვლიანი დო ბეკარით, – მაგრამ ცხოვრება, როგორიც მე ის შევიცანი (ქრომატიული დაშვება ფა-მდე), სულ სხვა რამეა (პლინკ-პლანკ-

პლონკ – ამბობენ ბანჯოს სიმები).“ „რატომ, ო, რატომ ამბობ ამას,“ – მღერის ტერეზა ხანგრძლივი საყვედურის რკალით. „პლანკ-პლინკ-პლონკ,“ – ეხმაურება ბანჯოს სიმები.

ტერეზას სურს, რომ უყვარდეთ, უყვარდეთ მარადიული სიყვარულით. მას სურს, გარდასული დროის ლაურასა და ფლორამდე ამაღლდეს. და ბაირონი? ბაირონი სიკვდილამდე მისი ერთგული იქნება, მაგრამ სულ ეს არის, რისი აღთქმაც შეუძლია. „დაე, ნუ გაწყდება ჩვენი კავშირი, სანამ ერთ-ერთი ჩვენგანი მოკვდება.“

„My love“[53], მღერის ტერეზა, წელავს რა მსუყე ინგლისურ ერთმარცვლიანს, რომელიც პოეტის საწოლში ისწავლა. „პლინკ!“ – ექოს გამოსცემს სიმები. შეყვარებული ქალი, სიყვარულში ჩაფლული, კატა, სახურავზე მკვნესარე, რთული პროტეინები ბუყბუყებს სისხლში, აფართოებს სასქესო ორგანოებს, აოფლიანებს ხელისგულებს, ხრინწავს ხმას, სანამ სული სასოებით ზეცისკენაა მიპყრობილი. აი, ამისთვის არსებობდნენ სორაია და სხვები: რომ მისი სისხლიდან გამოეწოვათ რთული პროტეინები, როგორც გველის შხამს გამოწოვენ ხოლმე და ის მშრალი, საღ გონებაზე მყოფი დაეტოვებინათ. ტერეზას მამამისის სახლში, რავენაში, მისდა საუბედუროდ, არავინ ჰყავს, რომ შხამი გამოსწოვოს. „მოდი ჩემთან, ოი, ბაირონ... – ტირის ის, – მოდი ჩემთან, შემიყვარე...“ და ბაირონი, ცხოვრებისგან განდევნილი, აჩრდილივით ფერმკრთალი, დაცინვით ეხმაურება: „თავი დამანებე, თავი დამანებე, ცხოვრება მაცალე!“

წლების წინ, როცა იტალიაში ცხოვრობდა, რავენასა და ადრიატიკის სანაპიროს შორის გადაჭიმულ ტყეში გავლა მო-

---

[53] ჩემო სიყვარულო (ინგ.).

ინდომა, სადაც საუკუნე-ნახევრის წინ ბაირონი და ტერეზა ცხენებით სეირნობდნენ. სადღაც, ხეებს შორის იქნება ის ადგილი, სადაც ინგლისელმა პირველად აუწია კაბა ახალდაქორწინებულს, სხვა კაცის ცოლს, თვრამეტი წლის მომაჯადოებელ ქალს. მას შეუძლია, ხვალვე ვენეციაში წავიდეს, რავენაში მატარებელში ჩაჯდეს, ცხენებით სასეირნო ძველ ბილიკებზე იხეტიალოს, იმ ადგილს ჩაუაროს. ის მუსიკას თხზავს (თუ მუსიკა თხზავს მას), ის არ თხზავს ისტორიას. ამ ფიჭვის წიწვებზე დაეუფლა ბაირონი თავის ტერეზას – „მოკრძალებულს, როგორც გაზელეს“ – როგორც მას უწოდებს. ჭმუჭნის მის კაბას, საცვლებს ქვიშით უვსებს (ცხენები ახლოს დგანან, გულგრილად, არაფერი აინტერესებთ).

ასე გაჩნდა ვნება, რომელიც აიძულებდა ტერეზას, მთელი დარჩენილი ცხოვრება თავადაც გზნებით ეყმუვლა მთვარისთვის და ბაირონიც ეყმუვლებინა, თუმცა განსხვავებულად.

ტერეზა მიუძღვის მას. ის ფეხდაფეხ მიჰყვება, გვერდიდან გვერდამდე. შემდეგ, ერთ დღეს, სიბნელიდან სხვა ხმა აღწევს, რომელიც ადრე არასოდეს გაუგონია და არც ეგონა, რომ ოდესმე გაიგონებდა. სიტყვების მიხედვით ხვდება, რომ ეს ხმა ალეგრასია, ბაირონის ქალიშვილის. მაგრამ მისი სულის რომელი სამალავიდან მოდის ის? „რატომ მიმატოვე, მოდი და წამიყვანე! – ეძახის ალეგრა. – აქ ისე ცხელა, ისე ცხელა, ისე ცხელა...“ – ჩივის ის და მისი ჩივილის რიტმი შეყვარებულების ხმებს კვეთს.

ხუთი წლის ბავშვის ძახილზე, რომელიც ყველას უხერხულობას უქმნის, პასუხი არ ისმის. ულამაზო, უსიყვარულო, სახელგანთქმული მამისგან უგულებელყოფილი, ის ხელიდან ხელში გადადის, სანამ ბოლოს მონაზვნებს არ მიუყვანენ მო-

სავლელად. „როგორ ცხელა, როგორ ცხელა! – სლუკუნებს ის მონასტრის საწოლში, სადაც მალარიით კვდება. – რატომ დამივიწყე მე?“

რატომ არ უპასუხებს მამა? იმიტომ, რომ მას სიცოცხლე მოყირჭდა, იმიტომ, რომ ის ამჯობინებდა, თავის ადგილზე ყოფილიყო, სიკვდილის მეორე ნაპირზე, ძველთაძველ სიზმარში ჩაფლული. „ჩემი საცოდავი პატარა გოგონა,“ – მღერის ბაირონი. გაუბედავად, უხალისოდ, მეტისმეტად ხმადაბლა საიმისოდ, რომ ბავშვმა გაიგონოს. მოშორებით ჩრდილში მჯდარი სამი ინსტრუმენტალისტი ბაირონის ზიგზაგისებრ თემას ამუშავებს – ხაზი ზემოთ, ხაზი ქვემოთ.

თავი 21

როზალინდა რეკავს.

– ლუსიმ მითხრა, რომ ქალაქში დაბრუნდი. რატომ არ დამირეკე?

– ჯერ საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის მზად არ ვარ.

– ოდესმე კი იყავი? – მშრალად უპასუხებს როზალინდა.

ლარემონზე, კაფეში ხვდებიან ერთმანეთს.

– გამხდარი ხარ, – შენიშნავს ქალი, – ყურზე რა დაგემართა?

– არაფერია, – უპასუხებს და აღარ აგრძელებს.

საუბრისას როზალინდა მზერას დროდადრო კვლავ ფორმადაკარგულ ყურს ავლებს. დარწმუნებულია, მის ყურს რომ შეეხოს, ქალს ჟრუანტელი დაუვლის. როზალინდა იმათ რიცხვს არ მიეკუთვნება, ყოველთვის მზად რომ არიან დასახმარებლად. მასთან გატარებული დროიდან საუკეთესო ერთად ცხოვრების პირველი თვეებია: ზაფხულის ჩახუთული ღამეები დურბანში, ოფლით დანესტიანებული ზეწრები.

როზალინდას გრძელი, ფერმკრთალი სხეული აქეთ-იქით აწყდება ნეტარების ჟრჟოლისაგან, ტკივილისგან ძნელად რომ გაარჩევ. ორი ავხორცი! – ეს აკავშირებდა მათ ერთმანეთთან, სანამ ყველაფერი არ დამთავრდა.

საუბრობენ ლუსის შესახებ, ფერმის შესახებ.

– მე მეგონა, ის მეგობართან ერთად ცხოვრობდა, – ამბობს როზალინდა, – გრეისთან.

– ჰელენთან. ჰელენი იოჰანესბურგში დაბრუნდა. ეჭვი მაქვს, რომ ისინი საბოლოოდ დაშორდნენ.

– ლუსისთვის სახიფათო არ არის ამ მიყრუებულ ადგილზე ცხოვრება?

– რა თქმა უნდა, სახიფათოა. ლუსი გიჟი უნდა იყოს, რომ იქ უსაფრთხოდ გრძნობდეს თავს, მაგრამ წამოსვლა მაინც არ უნდა. ეს მისთვის ღირსების საკითხად იქცა.

– მითხარი, მანქანა მომპარესო.

– ჩემი ბრალი იყო. უფრო ფრთხილად უნდა ვყოფილიყავი.

– დამავიწყდა მეთქვა: შენი სასამართლოს შესახებ გავიგე, პირველწყაროდან.

– ჩემი სასამართლოს შესახებ?

– გამოძიების, საქმის გარჩევის შესახებ – რაც გინდა, ის დაარქვი. გავიგე, მოწოდების სიმაღლეზე ვერ იდგაო.

– ჰოო? მაინც რა თქვეს? აკი, კონფიდენციალურიაო?

– ამას არა აქვს მნიშვნელობა. გავიგე, რომ კარგი შთაბეჭდილება ვერ მოგიხდენია. ცოტას ლაპარაკობდა და აგრესიულიც კი იყოო.

– შთაბეჭდილების მოხდენა არც მიცდია, ჩემს პრინციპებს ვიცავდი.

– ეს შეიძლება ასეც იყოს, დევიდ, მაგრამ შენ, რა თქმა უნდა, იცი, რომ სასამართლოში მთავარი პრინციპები არ

არის; იქ მთავარია, კარგად წარმოაჩინო საკუთარი თავი. ჩემი წყაროს მიხედვით კი, შენ თავი ცუდად წარმოაჩინე. მაინც რა პრინციპს იცავდი?

– სიტყვის თავისუფლებასა და დუმილის უფლებას.

– დიდებულად ჟღერს. თუმცა შენ ყოველთვის შესანიშნავად ახერხებდი საკუთარი თავის მოტყუებას, დევიდ. სხვისი და საკუთარი თავის მოტყუების დიდოსტატი ხარ. დარწმუნებული ხარ, რომ ეს ის შემთხვევა არ არის, როცა ჩახდილს წაგასწრეს?

ამ ანკესზე არ წამოეგება.

– როგორიც უნდა ყოფილიყო პრინციპი, რომელსაც შენ იცავდი, ის აუდიტორიისათვის გასაგებად მეტისმეტად რთული აღმოჩნდა. მათ იფიქრეს, რომ შენ, უბრალოდ, ყველაფერს აბუნდოვანებდი. წინასწარ უნდა მოგეძებნა ვინმე, ვინც გირჩევდა, როგორ უნდა მოქცეულიყავი. ფულის საქმე როგორ გაქვს? პენსია წაგართვეს?

– ვეცდები, დავიბრუნო, რაც ადრე ჩავდე. სახლს გავყიდი. მეტისმეტად დიდია ჩემთვის.

– რის გაკეთებას აპირებ? სამსახურს მოძებნი?

– არა მგონია. ძალიან დაკავებული ვარ. ვწერ რაღაცას.

– წიგნს?

– ფაქტობრივად, ოპერაა.

– ოპერას? ეს რაღაც ახალია. იმედია, ბევრ ფულს მოგიტანს. ლუსისთან გადასვლას აპირებ?

– ოპერა მხოლოდ ჰობია და მეტი არაფერი, რაღაცით რომ შევიქციო თავი. არა, ლუსისთან არ გადავალ. ეს მაინცდამაინც ჭკვიანური არ იქნება.

– რატომ? შენ და ლუსი ყოველთვის კარგად ეწყობოდით ერთმანეთს. მოხდა რამე?

აბეზარ შეკითხვებს სვამს, თუმცა როზალინდას არასოდეს ეთაკილებოდა სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა. ერთხელ უთხრა, ათი წელი ერთად ვიწექით და ჩემთან დასამალი რა გაქვსო.

– ლუსის ახლაც კარგად ვეწყობი, მაგრამ არც ისე კარგად, რომ მასთან ერთ ჭერქვეშ ვიცხოვრო.

– შენი ცხოვრების ისტორიაა.

– ჰო.

სიჩუმე ისადგურებს, სანამ თითოეული მათგანი თავისი სამრეკლოდან გაჰყურებს განვლილ გზას.

– ის შენი გოგონა დავინახე.

– ჩემი გოგონა?

– შენი გულისვარდი. მელანი ისააქსი – ასე არ ჰქვია? თეატრ „ნავმისადგომში“ თამაშობს. არ იცოდი? ვხვდები, რითაც მოგხიბლა. დიდი შავი თვალები. სხეული სინდიოფალას მიუგავს. სწორედ საშენო ტიპია. ალბათ, ფიქრობდი, კიდევ ერთი ხანმოკლე განავარდება იქნებოდა, მორიგი ამურული თავგადასავალი. და ახლა საკუთარ თავს შეხედე – ცხოვრება გაინადგურე და რისთვის?

– ჩემი ცხოვრება არ გამინადგურებია. სისულელეს ნუ ლაპარაკობ.

– სწორედ რომ გაინადგურე. სამსახური დაკარგე, სახელი გაიტეხე, მეგობრები თავს გარიდებენ. თორანს როუდზე იმალები კუსავით, რომელსაც ბაკნიდან თავის გამოყოფის ეშინია. ისეთი ხალხი დაგცინის, შენს ფრჩხილად რომ არ ღირს. დაუუთოებელი პერანგი გაცვია. კაცმა არ იცის, თმა ვინ შეგჭრა, შენ გახდი... – ტირადას წყვეტს, – შენი ბოლო ისეთია, როგორიც იმ მოხუცებისა, ნაგავში რომ იქექებიან.

– ჩემი ბოლო ორი ადლი მიწაა, ისევე, როგორც შენი და ყველასი.

– კმარა, დევიდ. ისედაც გაოგნებული ვარ იმით, რაც ვნახე და აღარ მინდა, კიდევ გედავო. როცა პური და მურაბა მოგწყინდება, დამირეკე და საჭმელს მოგიმზადებ.

მელანი ისააქსის ხსენებას წონასწორობიდან გამოჰყავს. ქალებთან ხანგრძლივი ურთიერთობა არასოდეს ჰქონია. როცა რომანი მთავრდება, უბრალოდ, ზურგს აქცევს ხოლმე მათ. მაგრამ მელანისთან ურთიერთობაში რაღაც დაუმთავრებელი დარჩა. ღრმად, მის შიგნით ისევ მელანის სუნია, ძუს სუნი. ნეტავ, მასაც თუ ახსოვს მისი სუნი? სწორედ საშენო ტიპიაო, უთხრა როზალინდამ და მასზე უკეთ ვინ იცის ეს? რა მოხდება, თუ მათი გზები ისევ გადაიკვეთება? კვლავ თუ იფეთქებს გრძნობა, ნიშანი იმისა, რომ მათი რომანი ბუნებრივად არ დამთავრებულა?

მაგრამ ახლა მელანისთან ურთიერთობის გაგრძელების მცდელობა სიგიჟე იქნებოდა. რატომ დაელაპარაკება ის კაცს, რომელიც მისი დევნისთვისაა დასჯილი? და საერთოდ, რას იფიქრებს მასზე – ყეყეჩ კაცზე სასაცილო ყურით, გაბურძგნილი თმით, დაჭმუჭნილი საყელოთი?

ქრონოსისა და ჰარმონიის ქორწინება: არაბუნებრივი. სწორედ მის დასასჯელად – თუ ლამაზ სიტყვებს ჩამოვაშორებთ – ჩატარდა სასამართლო. ის სასამართლოს ცხოვრების წესის გამო, არაბუნებრივი საქციელისათვის გადაეცა: მოხუცი თესლის, დაღლილი თესლის გავრცელებისათვის, რომელსაც არ შეუძლია contra naturam[54] განაყოფიერდეს. თუ მოხუცი კაცები ახალგაზრდა ქალებს დაერევიან, ადამიანთა მოდგმას როგორი მომავალი ექნება? ეს იყო მისთვის წაყენებული

[54] ბუნების წინააღმდეგ (ლათ.).

ბრალდების არსი. ლიტერატურის ნახევარი ხომ სწორედ ამაზეა – ახალგაზრდა ქალებზე, რომლებიც მოდგმის კეთილდღეობისათვის მთელი ძალით ცდილობენ, მოხუც კაცებთან ურთიერთობის სიმძიმეს თავი დააღწიონ.

ამოიხვნეშებს. ახალგაზრდები ერთმანეთის მკლავებში, უზრუნველნი, გრძნობის მუსიკაში მობანავენი. ეს ქვეყანა მოხუცებულთათვის არ არის. ამ ბოლო დროს ბევრს ხვნეშის. სინანული: სინანულის ნოტი, რომლითაც ყველაფერი მთავრდება.

ორიოდე წლის წინ თეატრ „ნავმისადგომის“ შენობაში მაცივრების საწყობი იყო. ამ მაცივრებში ზღვის გაღმა გაგზავნის მოლოდინში გატყავებული და გამოშიგნული ძროხები და ღორები ეკიდა. ახლა ეს მოდური გასართობი ადგილია. გვიან მიდის. დარბაზში მაშინ შედის, სინათლე რომ ქრება. „უზომოდ დიდი წარმატება, როგორც საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შედეგი“ – ასე წერია ახალი სპექტაკლის – „სალონი „გლობუსი“ მზის ჩასვლისას“ – აფიშაზე. დეკორაციები უფრო ელეგანტურია, რეჟისურა უფრო პროფესიონალური, მთავარ როლს სხვა მსახიობი ასრულებს. ამის მიუხედავად პიესა თავისი უხეში იუმორითა და შიშველი პოლიტიკური ანგაჟირებულობით ისეთივე აუტანელია, როგორც ადრე.

გლორიას, დამწყები პარიკმახერის როლს, ისევ მელანი ასრულებს. ოქროსფერ აბრეშუმის კოლგოტზე გრძელი ვარდისფერი ხალათი აცვია. უგემოვნო მაკიაჟით და აწეული, დახვეული თმით, მაღალ ქუსლებზე შემდგარი სცენაზე დაბანცალებს. მისი რეპლიკები წინასწარ არის ცნობილი, თუმცა ის მათ წკმუტუნისებური კასპსკური აქცენტით წარმოთ-

ქვამს ზუსტად განსაზღვრულ დროს. თუმცა, ახლა უფრო დარწმუნებული ჩანს თავის თავში, ვიდრე ადრე. შეიძლება ითქვას, რომ კარგადაც კი თამაშობს, აშკარად ნიჭიერია. იქნებ იმ თვეების განმავლობაში, როცა ის წასული იყო, გოგონამ თავისი თავი იპოვა? „რაც არ მკლავს, მაძლიერებს.“ შეიძლება ის სასამართლო მისთვისაც სასამართლო იყო, შეიძლება ისიც იტანჯა და თავისი დანაშაული შეიცნო?

მას ნიშანი სჭირდება. ნიშანს რომ მიიღებდეს, ეცოდინებოდა, რა გააკეთოს. მაგალითად, მელანის ეს სულელური ტანსაცმელი ტანზე რომ შემოეწვებოდეს ცივი, იდუმალი ცეცხლით და ის მის წინაშე წარდგებოდეს მხოლოდ მისთვის გასაგები საიდუმლო გამოცხადებით, შიშველი და სრულყოფილი, როგორც იმ უკანასკნელ ღამეს, ლუსის ყოფილ ოთახში.

დასვენების დღის სასიამოვნოდ გასატარებლად მოსული ადამიანები, გაღაჟღაჟებული სახეებით, დამძიმებული სხეულებით კომფორტულად მოკალათებულები, რომელთა შორისაც ის ზის, სანახაობით ტკბებიან. მელანი-გლორია მოსწონთ, ხითხითებენ გაბედულ ხუმრობებზე, ხარხარებენ, როცა პერსონაჟები ლანძღავენ და თათხავენ ერთმანეთს.

მიუხედავად იმისა, რომ ისინი მისი თანამემამულეები არიან, შეუძლებელია, ვინმესთან უფრო მეტად უცხოდ, უფრო თვითმარქვიად გრძნობდეს თავს. თუმცა, როცა მელანის რეპლიკებზე იცინიან, სიამაყის გრძნობა ეუფლება. „ჩემია!“ – უნდა თქვას, თითქოს მელანი მისი ქალიშვილი იყოს.

დაუპატიჟებლად ეწვევა მოგონება მრავალი წლის წინ მომხდარ ამბავზე: ქალზე, რომელიც ტრომსბურგთან ახლოს, გზატკეცილზე, მანქანაში ჩაისვა. ოცი წლის მარტოხელა მოგზაური იყო, გერმანიიდან, მზით დამწვარი, მტვრიანი. თოუს რივამდე იარეს მანქანით, სასტუმროში შეჩერდნენ. სუფრაზე

დაპატიჟა, შემდეგ იწვა მასთან. ახსოვს მისი გრძელი, თხელი, მოქნილი ფეხები, ფაფუკი თმა, ბუმბულივით მსუბუქი თითებს შორის.

მოულოდნელი, უხმო ამოფრქვევა და – თითქოს ცხად სიზმარშიაო, სახეების ნაკადი აწყდება. სახეები ქალებისა, რომელთაც ორ კონტინენტზე იცნობდა. ზოგიერთები იმდენი ხნის წინ იყვნენ, ძლივს ცნობს მათ. ქარისგან წამოკრეფილი ფოთლებივით არეულ-დარეულად ჩაიფრენენ მის წინ. ხალხით სავსე მშვენიერი მინდორი, ასობით უცხო ცხოვრება, მის ცხოვრებასთან გადაკვეთილი. სუნთქვას იკავებს, სურს, ხილვამ დიდხანს გასტანოს.

რა დაემართათ მათ – ყველა ამ ქალს? როგორ ცხოვრებენ ისინი? ნეტავ, თუ არის ისეთი წამები, როცა ისინიც, ან თუნდაც ზოგიერთი მათგანი, გაფრთხილების გარეშე იძირება მოგონების ოკეანეში? შესაძლებელია თუ არა, რომ ის გერმანელი გოგონა სწორედ ახლა იმ კაცს იგონებდეს, რომელმაც აფრიკის გზაზე მანქანაში ჩაისვა და ღამე მასთან გაატარა?

„გამამდიდრა“ – სიტყვა, რომელიც გაზეთებმა მიაკერეს, რომ მისთვის დაეცინათ. იმ სიტუაციისთვის შეუფერებელი, შემთხვევით წამოცდენილი სიტყვა, თუმცა ახლა, ამ წუთში ის მზადაა მის დასაცავად. მელანი, გერმანელი გოგონა, როზალინდა, ბევ შოუ, სორაია – თითოეულმა მათგანმა ის გაამდიდრა. და სხვებმაც, ისეთებმაც კი, რომლებიც მისთვის არაფერს ნიშნავდნენ, რომლებთანაც არაფერი გამოუვიდა. თითქოს მის მკერდზე ყვავილი იშლება – გული მადლიერებით ევსება.

საიდან იელვებს ხოლმე ასეთი მოგონებები? ცხადია, ძილ-ღვიძილში ჩნდება, მაგრამ რის ახსნა შეიძლება ამით? და თუ მას ვინმე მიუძღვის, ვინ? რომელი ღმერთი?

სპექტაკლი კი გულის გამაწვრილებლად იწელება. ახლა სწორედ ის სცენა თამაშდება, როცა მელანის ცოცხი ელექტროსადენებს ედება. მაგნიუმის გაელვება და სცენა სრულ წყვდიადში იძირება.

– ო, ღმერთო ჩემო! – წივის პარიკმახერი, – სულელი გოგო!

მას და მელანის შორის ოცი რიგია, მაგრამ იმედი აქვს, რომ ამ წამს ქალი ამ მანძილზეც იგრძნობს მის სუნს, მის ფიქრებს.

რაღაც მსუბუქად ხვდება თავში და უკან, რეალურ სამყაროში იხმობს. რამდენიმე წამის შემდეგ სხვა საგანი ჩაუქროლებს და მის წინა სავარძლის ზურგს ხვდება. დაღეჭილი, დაჭმუჭნილი ქაღალდებია, საბავშვო მინის ბურთულების ოდენა. მესამე კისერში ხვდება. უეჭველია – ის არის სამიზნე.

ალბათ, უნდა შებრუნდეს და მრისხანედ მიმოიხედოს. „ვინ იყო?“ ალბათ, უნდა იღრიალოს. ან გაშეშებული იჯდეს და წინ იყუროს, თითქოს ვერაფერს ამჩნევს.

ქაღალდის მეოთხე გუნდა მისი ზურგიდან სხლტება და ჰაერში მიფრინავს. მის გვერდით მჯდომი კაცი გაოცებული უყურებს.

სცენაზე სპექტაკლი გრძელდება. სიდნეი. პარიკმახერი საბედისწერო კონვერტს ხსნის და სახლის მეპატრონის ულტიმატუმს ხმამაღლა კითხულობს. თვის ბოლომდე შენობის გადასახადი უნდა გადაიხადონ, თუ არადა, „გლობუსი“ დაიხურება. „რა ვქნათ ახლა?“ – კვნესის მირიამი, ქალი, რომელიც კლიენტებს თავს ბანს.

– სსს!.. – მის უკან შიშინი ისმის, ჩუმი, მაგრამ არც ისეთი, რომ თუნდაც პირველ რიგში ვერ გაიგონონ.

ბრუნდება და ქაღალდის გუნდა ამჯერად საფეთქელში ხვდება. უკანა კედელთან რაიანი დგას, მელანის მეგობარი,

საყურითა და ნიკაპზე მოშვებული წვერით. მათი თვალები ერთმანეთს ხვდება.

– პროფესორო ლური, – ხრინწიანად ჩურჩულებს რაიანი. როგორი შეურაცხმყოფელიც უნდა იყოს მისი საქციელი, ჩანს, რომ სრულიად ძალდაუტანებლად, ბუნებრივად იქცევა. ტუჩებზე მსუბუქი ღიმილი დასთამაშებს.

სპექტაკლი გრძელდება, მაგრამ ახლა მის გარშემო ნერვიული ატმოსფერო იგრძნობა.

– სსს!.. – შიშინებს ისევ რაიანი.

– ჩუმად! – უყვირის ორი სავარძლის იქით მჯდომი ქალი, თუმცა მას ხმა არ ამოუღია.

ხუთი წყვილი მუხლის გავლა უწევს („მაპატიეთ, მაპატიეთ...“). გაჯავრებული გამოხედვა, გაბრაზებული ბუტბუტი, სანამ გასასვლელს მიაღწევს, თეატრის კარს მიაგნებს და გარეთ, უმთვარო, ქარიან ღამეში აღმოჩნდება.

უკნიდან რაღაც ხმა ესმის, შებრუნდება. წაკიდებული სიგარეტი ღვივის: რაიანი მანქანების სადგომამდე გამოჰყოლია.

– თქვენი საქციელის ახსნას ხომ არ აპირებთ? – უკმეხად მიმართავს. – თქვენი ბავშვური საქციელის ახსნას?

რაიანი ნაფაზს ურტყამს.

– მე მგონი, სამსახური გაგიწიეთ, პროფესორო. თქვენ იმ გაკვეთილმა არაფერი გასწავლათ?

– რა უნდა მესწავლა?

– რომ თქვენნაირებთან იყოთ ახლოს.

„თქვენნაირებთან...“ ვინ არის ეს ბიჭი, რომ მას ასწავლოს, ვინ არის მისნაირი და ვინ – არა. რა იცის მან იმ ძალაზე, რომელიც სრულიად უცხო ადამიანებს ერთმანეთის მკლავებისკენ ერეკება და ყოველგვარი საღი აზრის საწინააღმდეგოდ მათ შინაურებად, „თავისნაირებად“ აქცევს. Omnis

gens quaecumque se in se perficere vult[55]. თაობის თესლი, საკუთარი თავის სრულყოფის ჟინით მართული, ქალის სხეულში ღრმად შესული, მომავალი სიცოცხლის შექმნისკენ მიმართული. მართული... მიმართული...

რაიანი ისევ ლაპარაკობს:

– თავი დაანებეთ მელანის. ის თქვენ სახეში შეგაფურთხებთ, როცა გნახავთ, – სიგარეტს აგდებს და მისკენ ნაბიჯს დგამს. ვარსკვლავები ისე კაშკაშებენ, რომ ერთმანეთის წინ მდგომი ორი მამაკაცი ცეცხლმოდებულივით ჩანს, – გირჩევნიათ, სხვა ცხოვრება მონახოთ, პროფესორო ლური, დამიჯერეთ.

გრინ პოინტზე მეინ როუდს ნელა მიუყვება. „სახეში შეგაფურთხებთ“ – ამას არ ელოდა. საჭეზე დაწყობილი ხელები უკანკალებს: ყოფის მტკივნეული როზგები. მათი უფრო იოლად გადატანა უნდა ისწავლოს.

ქუჩაში ბევრი ფეხით მოსიარულეა. შუქნიშანთან ერთერთი მათგანი მის ყურადღებას იპყრობს. მაღალი გოგონაა, ტყავის მოკლე ქვედატანით. „რატომაც არა, – ფიქრობს, – მაინც მხილების ღამეა.“

მანქანას სიგნალის ბორცვის ფერდობზე, ჩიხში აჩერებს. გოგონა მთვრალია, ან ნარკოტიკებით არის გაბრუებული. აბდაუბდა ლაპარაკობს, თუმცა თავის საქმეს ისე კარგად აკეთებს, როგორც მოელოდა კიდეც მისგან, შემდეგ კი მის საზარდულში თავჩამხობილი ისვენებს. უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე ქუჩის სინათლეზე ჩანდა, მელანიზე ახალგაზრდაც კი იქნება. ის წევს და ხელისგული გოგონას თავზე უდევს.

---

[55] ყოველი არსება ისწრაფვის სრულყოფისაკენ (ლათ.).

კანკალი შეწყდა. ძილი ერევა, კმაყოფილებას გრძნობს და კიდევ – გოგონას დაცვის უცნაური სურვილი უჩნდება.

„აი, ეს არის სულ, რაც საჭიროა, – ფიქრობს ის, – როგორ შეიძლებოდა, ეს დამვიწყებოდა.“

ცუდი ადამიანი არ არის, მაგრამ არც კარგია. ცივი არ არის, მაგრამ არც მხურვალეა, ყველაზე მგზნებარე წუთებშიც კი. არა ტერეზას საზომებით, არამედ ბაირონის საზომებითაც კი არა. ცეცხლი აკლია. განაჩენიც ასეთი იქნება? სამყაროსა და მისი ყოვლისმხედველი თვალის განაჩენი?

გოგონა შეირხევა, წამოჯდება.

– სად მიგყავარ? – ბუტბუტებს.

– იქ, სადაც გიპოვე.

თავი 22

დროდადრო ლუსის ურეკავს, რომელიც არწმუნებს, რომ ფერმაში ყველაფერი რიგზეა, ის კი თავს ისე აჩვენებს, თითქოს მისი ნათქვამი სჯერა. ქალიშვილი ეუბნება, რომ ყვავილნარში, სადაც უკვე ყვავის გაზაფხულის ყვავილები, ბევრი სამუშაო აქვს. საძაღლე თანდათან ცოცხლდება. ახლა ორი ძაღლი ჰყავს და კიდევ აპირებს მოყვანას. პეტრასი თავისი საქმეებითაა დაკავებული, მაგრამ მაინც ახერხებს, მას დაეხმაროს. შოუები ხშირად სტუმრობენ. არა, ფული არ სჭირდება.

მაგრამ არის ლუსის ხმაში რაღაც ისეთი, რაც მოსვენებას უკარგავს. ბევ შოუს ურეკავს.

– შენ ხარ ერთადერთი ადამიანი, ვისაც შემიძლია ვკითხო, – ეუბნება, – სიმართლე მითხარი, ლუსი როგორ არის?

ბევ შოუ ფრთხილობს.

– თვითონ რას გეუბნება?

– მეუბნება, ყველაფერი კარგადააო, მაგრამ ზომბივით ხმა აქვს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ დამამშვიდებელ წამლებს სვამს. ასეა?

ბევ შოუ კითხვას თავს არიდებს, თუმცა, ეუბნება – თან სიტყვებს გულდასმით არჩევს – რომ სიახლეები არის.

– რა სიახლეები?

– ვერ გეტყვი, დევიდ, ნუ მაიძულებ. თვითონ ლუსიმ უნდა გითხრას.

ლუსის ურეკავს.

– დურბანში მივემგზავრები, – ატყუებს, – შეიძლება სამსახური ვიშოვო. შეიძლება ერთი-ორი დღით შენთან შემოვიარო?

– ბევს ხომ არ ელაპარაკე?

– ამას ბევთან საერთო არაფერი აქვს. შეიძლება მოვიდე?

პორტ ელიზაბეტში მიფრინავს და მანქანას ქირაობს. ორი საათის შემდეგ გზატკეცილიდან ფერმისკენ მიმავალ გზაზე უხვევს – ლუსის ფერმისკენ, მისი ერთი მტკაველი მიწისკენ.

იქნებ მისიც არის აქაურობა? მაგრამ მასთან კავშირს ვერ გრძნობს. აქ გატარებული დროის მიუხედავად ეს მიწა მისთვის მაინც უცხოა.

რაღაც შეცვლილა. არცთუ ხეირიანად გაჭიმული მავთულის ღობე ახლა ლუსისა და პეტრასის ქონებას ყოფს. პეტრასის მხარეს ორი მჭლე ხბო ძოვს. პეტრასის სახლი რეალობად ქცეულა. ნაცრისფერი, ინდივიდუალობას მოკლებული შენობა, ძველი ფერმის აღმოსავლეთით, ბორცვზე დგას. ხვდება, რომ დილაობით მისგან გრძელი ჩრდილი გაწვება.

ლუსი კარს უღებს, უცნაურ ხალათში გამოწყობილი, რომელიც შეიძლება ღამის პერანგიც იყოს. ძველებური მხნე, ჯანსაღი იერის ნასახიც აღარ ეტყობა. ავადმყოფურად ფერმკრთალი სახე აქვს, თავი – დაუბანელი. მოხვევას უგულოდ უპასუხებს.

– შემოდი, – ეუბნება, – ჩაის ვაყენებდი.

სამზარეულოს მაგიდას უსხედან. ლუსი ჩაის უსხამს და კოჭას ნამცხვრის კოლოფს უწვდის.

– მითხარი, რას გთავაზობენ დურბანში? – ეკითხება.

– ამაზე მერე ვილაპარაკოთ. იმიტომ ჩამოვედი, რომ შენზე ვწუხვარ. ყველაფერი რიგზეა?

– ორსულად ვარ.

– რა თქვი?

– ორსულად ვარ.

– ვისგან? იმ დღიდან?

– იმ დღიდან.

– ვერ გავიგე. მე მეგონა, შენ და შენმა პირადმა ექიმმა რაც საჭირო იყო, ყველაფერი გააკეთეთ.

– არა.

– რა – არა? საჭირო ზომები არ მიიღე?

– ყველა საჭირო ზომა მივიღე, გარდა იმისა, რაზეც შენ ქარაგმულად მიმანიშნებ. აბორტს არ გავიკეთებ. კიდევ ერთხელ ამის გადატანა არ შემიძლია.

– არ მეგონა, თუ ასე ფიქრობდი. არასოდეს გითქვამს, რომ შენთვის აბორტი მიუღებელია. და საერთოდ, აბორტიც არ არის მთავარი. მე მეგონა, ოვრალს სვამდი.

– აბორტი მისაღებია თუ არა, ამას რა მნიშვნელობა აქვს! თანაც მე არასოდეს მითქვამს, რომ ოვრალს[56] ვსვამდი.

– შეგეძლო, ეს ადრე გეთქვა... რატომ დამიმალე?

– იმიტომ, რომ შენი მორიგი აფეთქების გადატანა მომიწევდა. დევიდ, მე არ შემიძლია, ჩემი ცხოვრება ისე წარვმართო, როგორც შენ მოგეწონება. უკვე აღარ შემიძლია. ისე იქცევი, თითქოს ყველაფერი, რასაც მე ვაკეთებ, შენი ბიოგ-

---

[56] ჰორმონული პრეპარატი; კონტრაცეპტივი.

რაფიის ნაწილი იყოს. შენ მთავარი მოქმედი გმირი ხარ, მე კი მეორეხარისხოვანი, რომელიც სცენაზე მაშინ გამოჩნდება, როცა ნახევარი სპექტაკლი უკვე გასულია. მიუხედავად იმისა, შენ რას ფიქრობ, არ შეიძლება ადამიანები მთავარ და მეორეხარისხოვან პერსონებად დაყო. მე მეორეხარისხოვანი არ ვარ, ჩემი ცხოვრება მაქვს, რომელიც ჩემთვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც შენთვის – შენი ცხოვრება.

„აფეთქების გადატანა? აბა, ეს რაღაა?"

– კმარა, ლუსი, – ეუბნება, მაგიდაზე იხრება და მის ხელს ხელში იღებს, – იმის თქმა გინდა, რომ ბავშვის შენარჩუნებას აპირებ?

– ჰო.

– იმ კაცებიდან ერთ-ერთის ბავშვის?

– ჰო.

– რატომ?

– რატომ? მე ქალი ვარ, დევიდ. შენ რა, გგონია, ბავშვები მეზიზღება? თუ ბავშვი მხოლოდ იმიტომ უნდა მოვიშორო, რომ მამამისი არამზადაა?

– ასეც ხდება. როდის ელოდები?

– მაისში. მაისის ბოლოს.

– და ეს საბოლოო გადაწყვეტილებაა?

– ჰო.

– ძალიან კარგი. უნდა ვაღიარო, რომ გაოგნებული ვარ, მაგრამ, რაც უნდა გადაწყვიტო, შენ გვერდით ვიქნები. ამაში ეჭვი არ შეგეპაროს. ახლა გავისეირნებ. მოგვიანებით ვილაპარაკოთ.

რატომ ახლა არ შეუძლიათ ლაპარაკი? იმიტომ, რომ ის ახლა სულით ხორცამდე შეძრულია. ახლა შეიძლება, მართლაც აფეთქდეს.

ის ამბობს, რომ კიდევ ერთხელ აბორტს ვერ გადაიტანს, ესე იგი ადრე აბორტი გაუკეთებია. ამას ვერასოდეს იფიქრებდა. ეს როდის უნდა მომხდარიყო? როცა ჯერ კიდევ სახლში ცხოვრობდა? როზალინდამ ყველაფერი იცოდა და მას არ გაუმხილეს?

სამი ბანდიტი. სამი მამა ერთში. უფრო მოძალადეები, ვიდრე მძარცველები, – ასე თქვა მათზე ლუსიმ, – მოძალადეები და გადასახადის ამკრებნი. დაწანწალებენ ამ მხარეში, თავს ესხმიან ქალებს, ტკბებიან ძალადობით. არა, ლუსი ცდებოდა, ისინი არ ძალმომრეობენ, ისინი წყვილდებიან. მათ ქმედებას სიამოვნება კი არ წარმართავს, არამედ სათესლე ჯირკვლები, თესლით გაბერილი სათესლე პარკები, ერთ სული რომ აქვთ, როდის აღასრულებენ თავიანთ დანიშნულებას. და აჰა, ინებეთ – ბავშვი! უკვე ბავშვს ეძახის იმას, რაც ჯერ მხოლოდ ჭიაა მისი ქალიშვილის საშვილოსნოში. როგორ ბავშვს შთაბერავს სიცოცხლეს ასეთი თესლი, ქალის სხეულში არა სიყვარულით, არამედ სიძულვილით შეშვებული თესლი, ქაოტურად აღრეული, მის დასაჭუჭყიანებლად, მასზე ისეთი კვალის დასატოვებლად გამიზნული, როგორსაც ძაღლის შარდი ტოვებს.

მამა, რომელსაც ვაჟის გაჩენაზე არც კი უფიქრია. ესე იგი ყველაფერი ამით დამთავრდება – მისი მოდგმა გაქრება, როგორც წვეთებად მიწაში ჩაჟონილი წყალი. ვინ იფიქრებდა ამას? ჩვეულებრივი დღე, ნათელი ცა, თბილი მზე და უცებ ყველაფერი იცვლება, იცვლება ძირფესვიანად.

სამზარეულოს გარე კედელს მიყრდნობილი, ხელისგულებში თავჩარგული, რამდენჯერმე ამოისლუკუნებს, შემდეგ კი ქვითინი უვარდება.

ლუსის ძველ ოთახში ბინავდება, რომელშიც მისი ქალიშ-

ვილი აღარ დაბრუნებულა. საღამოს თავს არიდებს მას, ეშინია, რამე არ წამოროშოს.

ვახშამზე ახალი აღმოჩენა ელის.

– ჰო, მართლა, – ეუბნება ლუსი, – ბიჭი დაბრუნდა.

– ბიჭი?

– ჰო, ის ბიჭი, პეტრასის წვეულებაზე რომ ეჩხუბე. პეტრასთან ცხოვრობს, საოჯახო საქმეებში ეხმარება. პოლუქსი ჰქვია.

– არც მნცედისი და არც ნქაბაიაკჰე? არა ძნელად წარმოსათქმელი, არამედ უბრალოდ, პოლუქსი?

– ПОЛУЦКСИ. და, დევიდ, როგორმე ირონიის გარეშე...

– ვერ გავიგე, რას გულისხმობ?

– ძალიან კარგად გაიგე. პატარა რომ ვიყავი, წლების განმავლობაში იყენებდი მას ჩემს დასათრგუნად. არ შეიძლება, ეს არ გახსოვდეს. სხვათა შორის, პოლუქსი პეტრასის ცოლის ძმა აღმოჩნდა. ღვიძლი ძმაა თუ არა, არ ვიცი, მაგრამ პეტრასს მის მიმართ გარკვეული პასუხისმგებლობა და რაღაც ოჯახური ვალდებულებები აკისრია.

– აჰა, ყველაფერი ნათელია. ახალგაზრდა პოლუქსი დანაშაულის ადგილს უბრუნდება და ჩვენ ისე უნდა მოვიქცეთ, თითქოს არაფერი მომხდარა.

– ნუ ბრაზობ, დევიდ, ამით არაფერი შეიცვლება. როგორც პეტრასი ამბობს, პოლუქსმა სკოლა მიატოვა და სამუშაოს ვერ შოულობს. უბრალოდ, მინდა გაგაფრთხილო, რომ ის აქვეა, ახლოს. შენს ადგილას რომ ვიყო, მისგან თავს შორს დავიჭერდი. მე მგონი, ყველაფერი რიგზე ვერა აქვს. მაგრამ მისი აქედან გაგდება არ შემიძლია. ეს ჩემს ძალებს აღემატება.

– მით უმეტეს, რომ...

– მით უმეტეს, რომ – რა? დაამთავრე...

– მით უმეტეს, რომ შეიძლება, ის შენი შვილის მამა აღმოჩნდეს. ლუსი, შენი მდგომარეობა სასაცილო ხდება, უფრო მეტიც – კატასტროფული. არ მესმის, ამას როგორ ვერ ხვდები. გევედრები, მიატოვე ეს ფერმა, სანამ გვიან არ არის. ეს ერთადერთი გონივრული გადაწყვეტილება იქნება.

– ნუ ეძახი მას ფერმას, დევიდ. ეს ფერმა არ არის, მიწის პატარა ნაკვეთია, რომელზეც მე რაღაცები მომყავს და ჩვენ ორივემ ეს ვიცით. მაგრამ მის მიტოვებას არ ვაპირებ.

გულდამძიმებული წვება. მათ ურთიერთობაში არაფერი შეცვლილა, არაფერი გაუმჯობესებულა. ისევ ისე უღრენენ ერთმანეთს, თითქოს აქედან არც წასულიყოს.

დილაა. ახალ ღობეზე გადადის. პეტრასის ცოლი ძველი საჯინიბოს უკან სარეცხს ფენს. – დილა მშვიდობისა, – ეუბნება, – Molo,[57] პეტრასს ვეძებ.

ქალი თვალს არიდებს, ზანტად მიანიშნებს სამშენებლო მოედნისკენ. ნელა, მძიმედ მოძრაობს. ფეხმძიმობის ბოლო დღეებია, ისიც კი ამჩნევს.

პეტრასი ფანჯრებში მინებს სვამს. წესით, უნდა მიესალმოს, ცოტა ხანს აქეთურ-იქითურზე ელაპარაკოს, მაგრამ ახლა ამის თავი არა აქვს.

– ლუსიმ მითხრა, რომ ბიჭი დაბრუნდა, – ეუბნება, – პოლუქსი. ლუსის თავს რომ დაესხა.

პეტრასი დანას კარგად აპრიალებს, შემდეგ გვერდით დებს.

– ის ჩემი ნათესავია, – მჭექარე „ნ“-თი ამბობს, – ხომ ვერ გავაგდებ იმის გამო, რაც მოხდა?

– თქვენ მითხარით, არ ვიცნობო. მომატყუეთ.

პეტრასი ჩაყვითლებულ კბილებს შუა ჩიბუხს იდებს,

---

[57] სუდანში მცხოვრები ერთ-ერთი ეთნიკური ჯგუფი.

ძლიერ ნაფაზს ურტყამს, შემდეგ ჩიბუხს პირიდან იღებს და ფართოდ იღიმება.

– მოგატყუეთ, – ამბობს, – მე თქვენ მოგატყუეთ, – ისევ ნაფაზს ურტყამს, – და რატომ უნდა მომეტყუებინეთ?

– ამას მე ნუ მეკითხებით, პეტრას, თქვენს თავს ჰკითხეთ. რატომ მომატყუეთ?

მისი სახიდან ღიმილი ქრება.

– თქვენ წახვედით და ისევ დაბრუნდით, რატომ? – გამომწვევად უყურებს. – აქ სამსახური არა გაქვთ, ესე იგი იმისთვის ჩამოდიხართ, რომ თქვენს ბავშვზე იზრუნოთ, ჰოდა, მეც ჩემს ბავშვზე ვზრუნავ.

– თქვენი ბავშვი? ახლა ეს პოლუქსი თქვენი ბავშვი გახდა?

– დიახ. ის ბავშვია. ჩემს ოჯახს ეკუთვნის, ჩემს ხალხს.

აი, თურმე რა! პეტრასი უკვე აღარ ტყუის. „ჩემს ხალხს“ – უფრო პირდაპირ პასუხს ვერც ინატრებდი. ასეა, ლუსი კი „მის ხალხს“ ეკუთვნის.

– თქვენ ამბობთ, რომ რაც მოხდა, ცუდია, – განაგრძობს პეტრასი, – გეთანხმებით, ცუდია, მაგრამ ეს ამბავი დამთავრდა, – ჩიბუხს პირიდან იღებს და ყუნწით ღონივრად იქნევს ჰაერში, – დამთავრდა.

– არ დამთავრებულა. თავს ისე ნუ მაჩვენებთ, თითქოს არ იცოდეთ, რასაც ვგულისხმობ. არაფერიც არ დამთავრებულა, პირიქით, ახლა იწყება და ჩვენი სიკვდილის შემდეგაც კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

პეტრასი ჩაფიქრებული უყურებს. თავი ისე არ უჭირავს, თითქოს ნათქვამი ვერ გაიგო.

– ბიჭი ლუსიზე დაქორწინდება, – ამბობს ბოლოს, – მაგრამ ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, ის ქორწინებისთვის მეტისმეტად ახალგაზრდაა, ჯერ კიდევ ბავშვია.

– საშიში ბავშვია. ახალგაზრდა ბანდიტი. მაიმუნი.

პეტრასი ლანძღვას ყურადღებას არ აქცევს.

– ჰო, მეტისმეტად ახალგაზრდაა, მეტისმეტად ახალგაზრდა. შეიძლება ერთ დღეს დაქორწინდეს კიდეც, მაგრამ ახლა არა. მე ვითხოვ მას.

– ვის ითხოვთ?

– ლუსის.

ყურებს არ უჯერებს. აი, თურმე, საით მიდიოდა ყველაფერი. ამისთვის იყო გამიზნული მთელი ეს ჩრდილთან ბრძოლა: ამ შეთავაზებისთვის, ამ დარტყმისთვის. და აი, დგას პატიოსანი პეტრასი, დროდადრო ცარიელ ჩიბუხს ქაჩავს და პასუხს ელოდება.

– თქვენ ლუსიზე დაქორწინდებით? – სიტყვებს ფრთხილად არჩევს, – ამიხსენით, რას გულისხმობთ. არა, დაიცადეთ, ახსნა საჭირო არ არის. არაფრის გაგონება არ მინდა. ჩვენთან ასე არ ხდება.

„ჩვენთან“. კინაღამ თქვა: „ჩვენთან დასავლეთში“.

– დიახ, მე მესმის, მესმის, – ამბობს პეტრასი, დამცინავად ფრუტუნებს და არც მალავს, – მე თქვენ გითხარით, თქვენ უთხარით ლუსის და ყველაფერი, ყველაფერი ცუდი წარსულს ჩაბარდება.

– ლუსის გათხოვება არ უნდა. ის ცოლად არავის გაჰყვება. ეს აზრადაც არ მოუვა. უფრო გასაგებად თქმის უფლება არ მაქვს. მას სურს, საკუთარი ცხოვრებით იცხოვროს.

– ჰო, ვიცი, – ამბობს პეტრასი. შესაძლოა, მართლაც იცის. სულელი იქნება, თუ პეტრასს სათანადოდ არ შეაფასებს.

– მაგრამ აქ ცხოვრება, – განაგრძობს იგი, – სახიფათოა, მეტისმეტად სახიფათო. ქალს ქმარი უნდა ჰყავდეს.

– შევეცადე, მასთან წყნარად მესაუბრა, – უყვება მოგვიანებით ლუსის, – თუმცა ყურებს ძლივს ვუჯერებდი. ეს შანტაჟი იყო, წმინდა წყლის შანტაჟი.

– შანტაჟი არ იყო, ცდები. იმედი მაქვს, წონასწორობა არ დაგიკარგავს.

– არა, არ დამიკარგავს. ვუთხარი, გადავცემ თქვენს ნათქვამს, მაგრამ არ მგონია, დაინტერესდეს-მეთქი.

– თავი შეურაცხყოფილად იგრძენი?

– შეურაცხყოფილად იმის გამო, რომ შეიძლება პეტრასის სიმამრი გავხდე? არა. დამიჯერე, მე ვიყავი განცვიფრებული, გაოგნებული, გაშტერებული, მაგრამ არა – შეურაცხყოფილი.

– იცი, ეს პირველად არ მომხდარა. პეტრასი ამ ბოლო ხანებში გადაკრულად ხშირად მეუბნებოდა, რომ ჩემთვის უფრო უსაფრთხო იქნება, თუ მისი ოჯახის წევრი გავხდები. ეს ხუმრობა არ არის, არც მუქარაა. გარკვეული თვალსაზრისით ეს სავსებით სერიოზული ნათქვამია.

– ეჭვიც არ მეპარება, რომ სერიოზულია, მაგრამ მთავარი ისაა, რა თვალსაზრისით არის სერიოზული. მან იცის, რომ შენ...

– იცის თუ არა ჩემი ორსულობის შესახებ? მე არ მითქვამს. მაგრამ დარწმუნებული ვარ, მას და მის ცოლს ამის მიხვედრა არ გაუჭირდებოდათ.

– და ეს მას არ გადააფიქრებინებს?

– რატომ? ეს უფრო მეტად მაქცევს მათი ოჯახის წევრად. მას მე კი არ ვჭირდები, არამედ ჩემი ფერმა. ფერმა ჩემი მზითევია.

– მაგრამ ეს ხომ სისულელეა, ლუსი. ის უკვე დაქორწინებულია. შენ მითხარი, ორი ცოლი ჰყავსო. როგორ შეგიძლია ამაზე ფიქრიც კი?

– შენ მაინც ვერაფერს მიხვდი, დევიდ. პეტრასი ჯვრისწერას და ველურ სანაპიროზე თაფლობისთვეს კი არ მთავაზობს, არამედ კავშირს, გარიგებას. საქმეში ჩემი შენატანი მიწა იქნება, სამაგიეროდ, შემეძლება, მისი ფრთის ქვეშ შევიყუჟო. წინააღმდეგ შემთხვევაში შემახსენებს, რომ მე დაუცველი ვარ და მაშასადამე, ადვილად მოსაპოვებელი ნადავლიც.

– და ეს შანტაჟი არ არის? საქმის ადამიანურ მხარეზე რას იტყვი? თუ ამ შემოთავაზებას პიროვნული მხარე არ გააჩნია?

– ანუ შენ გაინტერესებს, იმედი აქვს თუ არა პეტრასს, რომ მასთან დავწვები? არ მგონია, პეტრასს ეს უნდოდეს, შესაძლოა, მხოლოდ იმისთვის, რომ თავისი განზრახვის სერიოზულობაში დამარწმუნოს. გულახდილად რომ გითხრა, რა თქმა უნდა, მე მასთან დაწოლა არ მინდა.

– მაშინ ამაზე მსჯელობა აღარ ღირს. შეიძლება, პეტრასს შენი პასუხი გადავცე? რომ მისი შემოთავაზება უარყოფილია ახსნა-განმარტებების გარეშე.

– არა, მოიცა. სანამ პეტრასს ცხვირს აუბზუებდე, მანამდე, მოდი, ობიექტურად შევაფასოთ ჩემი მდგომარეობა. მე მარტოხელა ქალი ვარ. არ მყავს ძმები. მყავს მამა, მაგრამ ის შორსაა და ისედაც უძლურია, გაუმკლავდეს ყველაფერს, რასაც აქ ფასი და მნიშვნელობა აქვს. ვის შეუძლია, დამიცვას, მიპატრონოს? ეტინგერს? ერთ მშვენიერ დღეს მას მკვდარს იპოვიან, ზურგში ტყვიადახლილს. რჩება მხოლოდ პეტრასი. ის შეიძლება დიდი ვინმე არ არის, მაგრამ საკმაოდ დიდია ჩემსავით პატარის დასაცავად. თანაც პეტრასს ვიცნობ მაინც. მასზე ილუზორული წარმოდგენა არ მაქვს. ვიცი, რას შეიძლება მისგან ელოდო.

– ლუსი, მე კეიპტაუნში სახლს ვყიდი. მზად ვარ, ჰოლანდიაში გაგგზავნო. თუ ჰოლანდიაში წასვლა არ გინდა, მოგცემ ყველაფერს, რაც აუცილებელია უფრო უსაფრთხო ადგილზე დასასახლებლად. დაფიქრდი.

თითქოს არც გაეგონოს.

– მიდი პეტრასთან, – ეუბნება, – და ასეთი რამ შესთავაზე: უთხარი, რომ თანახმა ვარ, მისი წინადადება მივიღო. რომ შეუძლია, ჩვენი ურთიერთობისთვის ნებისმიერი სახელი მოიგონოს და მე არ შევეწინააღმდეგები. თუ სურს, მის მესამე ცოლად მთვლიდნენ, კი ბატონო. თუ სურს, საყვარელი მერქვას, ამაზეც თანახმა ვარ. მაგრამ მაშინ ბავშვიც მისი იქნება. ბავშვი მისი ოჯახის წევრი გახდება. მიწას რაც შეეხება, უთხარი, რომ მას გადავუფორმებ იმ პირობით, რომ სახლი მე დამრჩება. მოკლედ, მისი არენდატორი გავხდები.

– Bywoner-ი.[58]

– Bywoner-ი. მაგრამ ვიმეორებ, სახლი ჩემი იქნება. ვერავინ შევა შიგ ჩემი ნებართვის გარეშე. პეტრასიც კი. და საძაღლესაც დავიტოვებ.

– ასე არ გამოვა, ლუსი, იურიდიულად არ გამოვა. შენც ხომ კარგად იცი...

– კარგი, მაშ, რას მთავაზობ?

ის მის წინ ზის, ხალათით, ფლოსტებით და მუხლებზე გადაშლილი გუშინდელი გაზეთით. ჩამოშლილი თმა, მოშვებული სხეული, ავადმყოფური სიმსუქნე. სულ უფრო და უფრო ემსგავსება იმ ქალებს, მოხუცთა თავშესაფრების კორიდორებში რომ დაფრატუნობენ და თავისთვის ბურტყუ-

---

[58] ღარიბი არენდატორი, რომელიც ცხოვრობს სხვის ფერმაში და ემსახურება ფერმის მეპატრონეს (აფრიკაანსი).

ნებენ. რატომ უნდა შეიწუხოს თავი პეტრასმა მასთან მოლაპარაკებით. ის დიდხანს მაინც ვერ გაძლებს: დატოვე მარტო და თავის დროზე თვითონ ჩამოვარდება, ლპობაშეპარული ხილივით.

– მე უკვე შემოგთავაზე. ორი რამ შემოგთავაზე.

– არა, მე აქედან არ წავალ. წადი პეტრასთან და გადაეცი, რაც გითხარი. უთხარი, რომ მიწაზე უარს ვამბობ, შეუძლია მიისაკუთროს ის, ყველა საჭირო დოკუმენტზე ხელს მოვუწერ და ა. შ. ძალიან გაუხარდება.

ცოტა ხანს ორივე დუმს.

– რა დამამცირებელია! – ამბობს ბოლოს. – როგორი იმედები და ასეთი დასასრული...

– გეთანხმები, დამამცირებელია, მაგრამ შესაძლოა, ეს კარგიც იყოს ყველაფრის თავიდან დასაწყებად. იქნებ ეს სწორედ ის არის, რასთან შეგუებაც უნდა ვისწავლო – ნულიდან, არაფრიდან დაწყება. არა, არაფრიდან კი არა, არაფრით. რუკის, იარაღის, ქონების, უფლებებისა და ღირსების გარეშე.

– ძაღლივით?

– ჰო, ძაღლივით.

თავი 23

კარგა ხნის გათენებულია. ბულდოგს ასეირნებს, კეტის. უცნაურია, რომ კეტი სიარულისას უკან აღარ რჩება, შეიძლება იმიტომ, რომ თვითონ ახლა უფრო ნელა დადის, შეიძლება ძაღლმა აუჩქარა ნაბიჯს. ბულდოგი ძველებურად ქშინავს და ხვნეშის. მაგრამ ეს ახლა, რატომღაც, აღარ აღიზიანებს.

სახლს რომ უახლოვდებიან, ბიჭს ამჩნევს, იმას, ვისზეც პეტრასმა თქვა, ჩემს ხალხს ეკუთვნისო – უკანა კედლისკენ შებრუნებულს. ჯერ ფიქრობს, შარდავსო, მერე კი ხვდება, რომ ის სააბაზანოს ფანჯრიდან ლუსის უჭვრეტს.

კეტი ღრენას იწყებს, მაგრამ ბიჭი მეტისმეტად გართულია და მას ყურადღებას არ აქცევს. სანამ შემობრუნება, ისინიც უახლოვდებიან. გაშლილ ხელს სახეში ურტყამს.

– შე ღორო! – უყვირის და მეორედ ურტყამს, ისე ძლიერად, რომ ბიჭი წაბარბაცდება. – შე ბინძურო ღორო!

უფრო შიშის, ვიდრე ტკივილის გამო, ის ცდილობს, გაიქცეს, მაგრამ ფეხები ებლანდება. ძაღლი ეწევა და თავს ესხმის. კბილებით იდაყვსაა ჩაფრენილი, წინა თათებით მიწაზე დაყრდნობილი ბრდღვინავს და ბიჭს თავისკენ მიათრევს. ის

ტკივილისგან ყვირის და ცდილობს, თავი გაითავისუფლოს. ძაღლს თავში მუშტს ურტყამს, მაგრამ არცთუ ძლიერად და ძაღლი დარტყმას არაფრად აგდებს.

სიტყვა „ღორი!“ ისევ ჰაერში ჰკიდია. ასეთი ველური მრისხანება ადრე არასდროს უგრძვნია. სიამოვნებით გაუსწორდებოდა ბიჭს იმით, რასაც იმსახურებს – კარგად დაბეგვავდა. ფრაზები, რომელთა გამოყენებას მთელი ცხოვრება გაურბოდა, უცებ სამართლიანად და სწორად ეჩვენება: „ჭკუა ასწავლე!“ „თავისი ადგილი მიუჩინე!“ „აი, როგორი ყოფილა ეს, – ფიქრობს, – როგორი ყოფილა სისასტიკე!“

წიხლს ისე ძლიერად ურტყამს, რომ ბიჭი მეორე გვერდზე გორდება. პოლუქსი! რა სახელი ჰქვია!

ძაღლი თათებით ბიჭის სხეულს ეყრდნობა, დაუნდობლად აფრინდება მის მკლავს, პერანგს ახევს. ბიჭი ცდილობს, ძაღლი ხელისკვრით მოიცილოს, მაგრამ ის არ ეშვება.

– ვაი! ვაი! ვაი! – ყვირის გამწარებული. – მოგკლავ, იცოდე!

ლუსი გამოდის.

– კეტი! – უბრძანებს.

ძაღლი ცერად გახედავს, მაგრამ არ ემორჩილება.

ლუსი მუხლებზე ეცემა და ძაღლს საყელოში ჰკიდებს ხელს, წყნარად, მაგრამ დაჟინებით უმეორებს რაღაცას. ძაღლი ბიჭს უხალისოდ უშვებს პირს.

– ცუდად ხომ არ ხარ? – ეკითხება ბიჭს.

ბიჭი ტკივილისგან კვნესის, ცხვირიდან ცინგლი ჩამოსდის.

– მოგკლავ! – სულს ძლივს ითქვამს, სადაცაა, ატირდება.

ლუსი სახელოს უწევს. ძაღლის ეშვების ღრმა ნაჭდევები ეტყობა. შავ კანზე სისხლის წვეთები ჩნდება.

– წამოდი, მოგბან, – ეუბნება.

ბიჭი ცხვირით ცინგლს და ცრემლს ისრუტავს, უარის ნიშნად თავს აქნევს.

ლუსის მხოლოდ პენუარი აცვია. ადგომისას საკინძე იხსნება და მკერდი უშიშვლდება.

როცა ბოლოს ქალიშვილის მკერდი ნახა, მაშინ ის ექვსი წლის ბავშვის ვარდის კოკრები იყო. ახლა ძუძუები დამძიმებია, მომრგვალებულია და რძესავით თეთრი. სიჩუმე ისადგურებს. ის უყურებს, ბიჭიც, ურცხვად. ისეთი მძვინვარება იპყრობს, თვალთ უბნელდება.

ლუსი მათ ზურგს აქცევს და საკინძეს იკრავს. ბიჭი მკვეთრი მოძრაობით ფეხზე წამოხტება და გარბის. თავს სამშვიდობოს რომ დაიგულებს, ყვირის:

– ყველას დაგხოცავთ! – შემდეგ შემობრუნდება, განგებ გადაირბენს კარტოფილის კვალზე, გათელავს, მავთულის ღობის ქვეშ გაძვრება და პეტრასის სახლისკენ მიდის. ისევ ძველებურად თავდაჯერებული მიაბიჯებს, თუმცა დაკბენილი ხელი მეორე ხელით უჭირავს.

ლუსი მართალია. ამას თავში ყველაფერი რიგზე ვერა აქვს. აგრესიული ბავშვი ახალგაზრდა კაცის სხეულში. მაგრამ მომხდარში არის კიდევ რაღაც, უცნაური, რაც მას არ ესმის. რაზე ფიქრობს ლუსი, რატომ იცავს ამ ბიჭს?

სიჩუმეს ლუსი არღვევს:

– ასე გაგრძელება შეუძლებელია, დევიდ. მე პეტრასს და მის aanhanger-ებს[59] გავუძლებ, შენ გაგიძლებ, მაგრამ ყველას ერთად ვერ გაგიძლებთ.

– იცი, რომ ფანჯრიდან გიყურებდა?

---

[59] აქ: მდგმურები (ჰოლანდ.).

– ის დეფექტურია, დეფექტური ბავშვია.

– ეს გამართლებაა? გამართლებაა იმისა, რაც შენ გიყო?

ლუსის ტუჩები ირხევა, მაგრამ ის სიტყვებს ვერ არჩევს.

– მე მას არ ვენდობი, – განაგრძობს ის, – ეშმაკია, ტურას ჰგავს, ყველაფერს რომ მიყნოს-მოყნოსავს და ეძებს, რა სიბილწე ჩაიდინოს. ადრე კარგი სიტყვა არსებობდა ასეთი ხალხის დასახასიათებლად: არასრულფასოვანი, გონებრივად, მორალურად არასრულფასოვანი. მაგის ადგილი ფსიქიატრიულშია.

– დაუფიქრებლად ლაპარაკობ, დევიდ. თუ ასე ფიქრობ, შენი ნებაა, მაგრამ შენი აზრები შენთვის შეინახე. რაც უნდა იყოს, შენი აზრი მასზე არაფერს ცვლის. ის აქ არის და კვამლივით არ გაქრება. ფაქტია, რომ ის არსებობს, – ლუსი პირდაპირ სახეში უყურებს, დროდადრო მზეზე თვალებს ჭუტავს. თავისი თავით და თავისი ნამოქმედარით კმაყოფილი კეტი ფეხებში უწვება, ხმადაბლა წკმუტუნებს.

– დევიდ, ასე გაგრძელება არ შეიძლება. ყველაფერი მოგვარებული იყო, ისევ მშვიდად ვცხოვრობდით, სანამ შენ დაბრუნდებოდი. მე სიმშვიდე მჭირდება. მზად ვარ, მშვიდად ცხოვრებისათვის ყველაფერი გავაკეთო, ყოველგვარი მსხვერპლი გავიღო.

– მეც იმის ნაწილი ვარ, რის მსხვერპლად გაღებისათვის მზადა ხარ?

ის მხრებს იჩეჩს.

– მე ეს არ მითქვამს. შენ თქვი.

– კარგი, წავალ და ჩანთებს ჩავალაგებ.

მომხდარიდან რამდენიმე საათის შემდეგაც ხელი, რომელიც ბიჭს გაარტყა, ისევ ტეხს. როცა ის და მისი მუქარა ახ-

სენდება, ბრაზი იპყრობს. თან დარცხვენილიცაა, თავის თავს ადანაშაულებს. ვერავის ჭკუა ვერ ასწავლა, მით უმეტეს – ბიჭს. მხოლოდ იმას მიაღწია, რომ ლუსი კიდევ უფრო გაიუცხოვა. მან ის გაავებული ნახა და, რა თქმა უნდა, არ მოეწონა.

ბოდიში უნდა მოიხადოს, მაგრამ არ შეუძლია. როგორც ჩანს, თავის შეკავებას ველარ ახერხებს. არის პოლუქსში რაღაც, რაც მის მრისხანებას იწვევს: მისი საზიზღარი, მღვრიე, პატარა თვალები, თავხედობა და, რა თქმა უნდა, ის აზრი, რომ მას ნება მისცეს, თავისი ფესვები სარეველა ბალახივით გაედგა ლუსიში, ლუსის არსებაში.

თუ პოლუქსი მის ქალიშვილს ისევ მიაყენებს შეურაცხყოფას, რა თქმა უნდა, ისევ დაარტყამს. Du musst dein Leben andern! – შენ უნდა შეცვალო შენი ცხოვრება! ის მეტისმეტად ხნიერია საიმისოდ, რომ ეს შეისმინოს, მეტისმეტად ხნიერი, რომ შეიცვალოს. ლუსი შეიძლება მზად არის, ქარიშხალს თავი მოუხაროს, მაგრამ მას ეს არ შეუძლია, თუ არ სურს, ღირსება დაკარგოს.

აი, ამიტომ ტერეზას უნდა მოუსმინოს. იქნებ მხოლოდ ტერეზას შეუძლია მისი ხსნა? ტერეზას ღირსების არაფერი გაეგება. ის შიშველ მკერდს უშვერს მზეს, მსახურების თვალწინ ბანჯოს უკრავს და არაფრად აგდებს მათ სულელურ ჩაცინებას. ტერეზას მარადიული სურვილები მართავს და სწორედ ამ სურვილებზე მღერის. ის არ მოკვდება.

კლინიკაში იმ დროს მიდის, როცა ბევ შოუ უკვე წასვლას აპირებს. ერთმანეთს ეხვევიან, როგორღაც გაუბედავად, უცხოებივით. ძნელი დასაჯერებელია, რომ ერთ დროს ისინი შიშვლები იწვნენ, ერთმანეთს ჩახვეულები.

– ეს მხოლოდ სტუმრობაა თუ ცოტა ხნით დარჩენას აპირებ? – ეკითხება ქალი.

– იმდენი ხნით ჩამოვედი, რამდენიც საჭირო იქნება. მაგრამ ლუსისთან არ დავრჩები. ერთმანეთს ვერ ვეწყობით. ქალაქში ვაპირებ ოთახის მოძებნას.

– ძალიან ვწუხვარ. მოხდა რაიმე?

– ჩემსა და ლუსის შორის? იმედი მაქვს, არაფერი მომხდარა, ყოველ შემთხვევაში – გამოუსწორებული არაფერი. ხელს ის ხალხი გვიშლის, ვის გვერდითაც მას უხდება ცხოვრება. როცა მეც ვემატები, ძალიან ბევრი ვხდებით. ძალიან ბევრი ადამიანი ძალიან მცირე სივრცეში. როგორც ობობები – ბოთლში.

„Inferno“[60] წარმოუდგება თვალწინ: სტიქსის უზარმაზარი ჭაობი სულებით, მასში რომ სოკოებივით იხარშებიან. „Vedi l anime di color cui vinse l'ira“[61]. რისხვით შეპყრობილი სულები ერთმანეთს ღრღნიან. სასჯელი, დანაშაულის შესაფერი.

– იმ ბიჭზე ლაპარაკობ, პეტრასთან რომ გადავიდა საცხოვრებლად? ის არც მე მომწონს, მაგრამ სანამ პეტრასი აქაა, ლუსის არაფერი ემუქრება. დევიდ, იქნებ უკვე დროა, გვერდზე გადგე და ლუსის გადაწყვეტილების მიღების საშუალება მისცე. ქალებს შეგუების უნარი აქვთ, თან ის ახალგაზრდაა და მიწაზეც უფრო მყარად დგას, ვიდრე შენ და მე.

ლუსის შეუძლია შეგუება? რაღაც, არ ჰგონია.

– გვერდზე გადექიო, კი მეუბნები, მაგრამ... – ამბობს ის, – გვერდზე რომ გავმდგარიყავი, ახლა ლუსი რა დღეში იქნებოდა?

ბევ შოუ დუმს. იქნებ მართლაც არის მასში რაღაც ისეთი, რასაც ბევ შოუ ხედავს და თვითონ – ვერა? და რადგან ბევს

---

[60] ჯოჯოხეთი (იტალ.).

[61] „შენ ხედავ მათ, ვისზეც მრისხანებამ იმძლავრა,“ – დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ მეთექვსმეტე სიმღერიდან.

ცხოველები ენდობიან, თავადაც ხომ არ უნდა ენდოს და ჭკუა ასწავლებინოს? ცხოველები კი ენდობიან, მაგრამ ის ამ ნდობას მათ გასანადგურებლად იყენებს. ესე იგი, რა გამოდის აქედან?

– მე რომ გვერდზე გავდგე, – განაგრძობს ენის ბორძიკით, – და ფერმაში კიდევ რაღაც საშინელება მოხდეს, როგორ უნდა ვიცხოვრო.

ქალი მხრებს იჩეჩს.

– ეს შეკითხვაა, დევიდ? – მშვიდად ეკითხება.

– არ ვიცი. უკვე აღარ ვიცი, რა არის შეკითხვა. ლუსისა და ჩემს თაობას შორის ფარდაა ჩამოშვებული. ვერც შევნიშნე, ეს ფარდა როდის დაეშვა.

ხანგრძლივი სიჩუმე ისადგურებს.

– ასეა თუ ისე, ლუსისთან დარჩენა აღარ შემიძლია, ამიტომ ოთახს ვეძებ. თუ ყურს მოკრავ, რომ გრეიამსთაუნში ერთოთახიანი ქირავდება, გამაგებინე. ძირითადად კი, იმის სათქმელად მოვედი, რომ ისევ ვივლი კლინიკაში და დაგეხმარები.

– შესანიშნავია, – ამბობს ბევი.

ბილ შოუს მეგობრისგან ნახევარტონიან პიკაპს ყიდულობს. საფასურს 1000-რანდიანი ჩეკითა და მიმდინარე თვის ბოლოთი დათარიღებული 7000-რანდიანი ჩეკით იხდის.

– რისთვის გჭირდებათ? – ეკითხება კაცი.

– ცხოველების, ძაღლების გადასაყვანად.

– მაშინ უკან მესერი დაგჭირდებათ, რომ ისინი არ გადმოხტნენ. მე ვიცნობ კაცს, ვისაც შეუძლია, მესერი დაგიყენოთ.

– ჩემი ძაღლები არ გადმოხტებიან.

დოკუმენტების მიხედვით, სატვირთო თორმეტი წლისაა,

მაგრამ ძრავას თანაბარი ხმა აქვს. „თანაც, – ეუბნება თავის თავს, – პიკაპი სამუდამოდ ხომ ვერ გაძლებს. მუდმივი არაფერი არ არის.“

„გროკოტს მეილში“ განცხადებას აქვეყნებს და მალე საავადმყოფოსთან ახლოს ერთოთახიან ბინას ქირაობს. დიასახლისს ეუბნება, რომ მისი გვარია ლოური, რომ გრეიამსთაუნში ამბულატორიული მკურნალობისთვის ჩამოვიდა და ერთი თვის ფულს წინასწარ იხდის. რის სამკურნალოდ ჩამოვიდა, არ ამბობს, მაგრამ იცის, ქალი ფიქრობს, ალბათ, კიბო აქვსო.

ფული წყალივით მიდის, მაგრამ რაც არის, არის.

ტურისტულ მაღაზიაში მაღვიძარას, პატარა გაზქურასა და ალუმინის ქვაბს ყიდულობს. როცა შენაძენი თავის ბინაში მიაქვს, კიბეზე დიასახლისს ხვდება.

– ოთახებში საჭმლის მომზადების ნებას ვერ მოგცემთ, მისტერ ლოური, – ეუბნება ქალი, – ღმერთმა დაგვიფაროს და, ხანძარი რომ გაჩნდეს?

ბნელი ოთახია, ჩახუთული, ავეჯით სავსე. ლეიბი უსწორმასწოროა. არაფერია, შეეგუება, როგორც სხვა რამეებს შეეგუა.

სახლში მის გარდა კიდევ ერთი მდგმურია, სკოლის მასწავლებელი, პენსიონერი. საუზმეზე ერთმანეთს ესალმებიან – ეს არის და ეს, მეტს არაფერს ამბობენ. საუზმის შემდეგ კლინიკაში მიდის და მთელ დღეს იქ ატარებს, ყოველდღე, კვირის ჩათვლით.

კლინიკა უფროა მისი სახლი, ვიდრე დაქირავებული ოთახი. ცარიელ უკანა ეზოში რაღაც ბუდის მაგვარს იწყობს: მაგიდა, ცოლ-ქმარ შოუების ძველი სავარძელი და პლაჟის ქოლგა – მეტისმეტად მცხუნვარე მზისგან თავდასაცავად.

გაზქურა აქ მოაქვს ჩაის ასადუღებლად და კონსერვის გასაცხელებლად: სპაგეტი გუფთებით, სკუმბრია ხახვით. ცხოველებს დღეში ორჯერ აჭმევს, მათ სადგომს წმენდს და ხანდახან ელაპარაკება კიდეც. დანარჩენ დროს კითხულობს ან თვლემს, ან, როცა სულ მარტო რჩება, ბანჯოზე ტერეზა გვიჩიოლისთვის შეთხზულ მუსიკას უკრავს.

ასეთი იქნება მისი ცხოვრება, სანამ ბავშვი დაიბადება.

ერთხელ დილით თავს ზევით სწევს და სამ პატარა ბიჭს ხედავს, რომლებიც ბეტონის კედლის ზემოდან გადმოჰყურებენ. დგება, ძაღლები ყეფას ტეხენ. ბავშვები ფაცხაფუცხით ხტებიან კედლიდან და მხიარული ყიჟინით, თავპირისმტვრევით გარბიან. კარგი მოსაყოლი კი ექნებათ სახლში: შეშლილი ხანში შესული კაცი ძაღლებს შორის ჩამჯდარიყო და მღეროდა!

მართლაც შეშლილია. როგორ უნდა აუხსნას მათ, მათ მშობლებს, „დ“ რაიონის მცხოვრებლებს, თუ რით დაიმსახურეს ტერეზამ და მისმა საყვარელმა უკან, ამ სამყაროში გამოხმობა.

თავი 24

ტერეზას თეთრი ღამის პერანგი აცვია და თავისი საწოლი ოთახის ფანჯარასთან დგას. თვალები დახუჭული აქვს. ღამის ყველაზე ბნელი დროა. ღრმად ისუნთქავს ქარის შრიალს, გიგანტური ბაყაყების ყიყინს.

„Che vuol dir," – ჩურჩულზე ოდნავ ხმამაღლა მღერის.

„Che vuol dir questa solitudine immensa? Ed io, – მღერის ის, – che sono"[62].

სიჩუმეა. Solitudine immens არ უპასუხებს. ტრიოც კი კუთხეში ზის, თაგვივით გასუსული.

– მოდი, – ჩურჩულებს ის, – მოდი ჩემთან, ბაირონ, გეევედრები, – ხელებს ფართოდ შლის და სიბნელეს ეხვევა, ეხვევა იმას, რასაც ეს სიბნელე მოიტანს.

ტერეზას სურს, რომ ის ქართან ერთად მოვიდეს, გარს შემოეჭდოს, სახე მის მკერდში ჩარგოს. ან გამთენიისას მო-

---

[62] რაზე მეტყველებს ეს უსაზღვრო მარტოობა? მე კი, მე ვინ ვარ? (იტალ.)

ვიდეს, ჰორიზონტზე მზის ღმერთივით აღიმართოს, თავისი თბილი ნათელი გადმოაფრქვიოს. როგორც უნდა, ისე მოვიდეს, ოღონდ მოვიდეს. ძაღლების ეზოში მაგიდასთან ზის და სიბნელის პირისპირ მდგარი ტერეზას ვედრების სევდიან, დახრილ მრუდს უსმენს. ეს მისთვის თვის ყველაზე ცუდი დროა, ავადმყოფობს, თვალს ვერ ხუჭავს, სურვილებმა დაქანცა, სურს, თავი დაიხსნას ტკივილისაგან, ზაფხულის ხვატისაგან, ვილა გამბასაგან, მამამისის ცუდი ჩვევებისგან, ყველაფრისგან.

ტერეზა სავარძლიდან მანდოლინას იღებს, ხელში ბავშვივით არწევს და ფანჯარასთან ბრუნდება. „პლინკ-პლანკ," – გამოსცემს ხმას მანდოლინა, წყნარად, ისე, რომ მამა არ გააღვიძოს. „პლინკ-პლანკ," – ხმამაღლა წივის ბანჯო აფრიკაში, მიტოვებულ ეზოში.

„რაღაცით თავი რომ შევიქციო," – ასე უთხრა როზალინდას. სიცრუეა. ოპერა ჰობი არ არის, უკვე აღარ. დღედაღამ მისით არის შეპყრობილი. და მაინც, სიმართლე რომ ითქვას, რამდენიმე კარგი ადგილის მიუხედავად, „ბაირონი იტალიაში" ადგილს ტკეპნის. ოპერაში არ არის მოქმედება, სიუჟეტის განვითარება. ეს არის მხოლოდ ხანგრძლივი, მერყევი კანტილენა, ცარიელ ჰაერში ტერეზას გადმოღვრილი და დროდადრო კულისებიდან ბაირონის კვნესითა და ოხვრით ჩანაცვლებული. ქმარი და მეტოქე მივიწყებულნი არიან, თითქოს არც არსებობდნენ. ლირიკული იმპულსი მასში, შესაძლოა, არ მომკვდარა, მაგრამ ათეული წლობით შიმშილობის შემდეგ მას მხოლოდ ღონემიხდილს, დაბეჩავებულს, დეფორმირებულს შეუძლია, გამოძვრეს თავისი სამალავიდან. მას არ ჰყოფნის მუსიკალური ხერხები, ენერგიის მარაგი, რომ „ბაირონი იტალიაში" იმ მონოტონური

გზიდან გადაიყვანოს, რომელსაც თავიდანვე დაადგა. ოპერა მთვარეულის დაწერილს დაემსგავსა.

ოხრავს. კარგი იქნებოდა, ტრიუმფით დაბრუნებულიყო საზოგადოებაში, როგორც ავტორი პატარა ექსცენტრული, კამერული ოპერისა. მაგრამ ეს არ მოხდება. უფრო მოკრძალებულ შედეგს უნდა ელოდეს: რომ ბგერების ქაოსიდან მოულოდნელად ჩიტივით ამოფრინდება უკვდავი ვნებების ტოლფასი ერთადერთი ჭეშმარიტი ნოტი. მის ამოცნობას რაც შეეხება, დაე, ამაზე მომავლის მეცნიერებმა იზრუნონ (თუკი იმ დროისთვის კიდევ იქნებიან მეცნიერები), რადგან ის ვერ გაიგონებს ამ ნოტის გაჟღერებას, თუკი ის საერთოდ გაიჟღერებს – რადგან მან საიმისოდ, რომ ამის იმედი ჰქონდეს, მეტისმეტად ბევრი იცის ხელოვნებისა და ხელოვნების ხერხების შესახებ. თუმცა კარგი იქნებოდა, ლუსის საცდელი შესრულების მოსმენა მოესწრო, რომ ცოტათი მაინც უკეთესი წარმოდგენა შექმნოდა მასზე.

საწყალი ტერეზა. საბრალო, გატანჯული გოგო. მან ის საფლავიდან გამოიხმო, სხვა ცხოვრება აღუთქვა და ვერ გაუმართლა. თუმცა, იმედი აქვს, რომ ტერეზა გულკეთილი აღმოჩნდება და აპატიებს.

გალიაში მყოფ ძაღლებს შორის არის ერთი, რომელიც განსაკუთრებით შეუყვარდა. ეს ხვადია, მარცხენა უკანა ფეხი გამხმარი აქვს და ძლივს მიათრევს. დაბადებიდან ასეთია თუ არა, არ იცის. მნახველთაგან მისი წაყვანის სურვილი არავის გამოუთქვამს. დრო თითქმის ამოიწურა. მალე ნემსის გაკეთება მოუწევს. ხანდახან, როცა კითხულობს ან წერს, გალიიდან უშვებს და საწყალი, ეზოში სასაცილოდ დახტუნავს, ან მის ფეხებთან თვლემს. ძაღლი, ცხადია, „მისი“ არ არის. წინდახედულება გამოიჩინა და სახელი არ დაარქვა (თუმცა

ბევი დრიპუტს ეძახის). მიუხედავად ამისა, ძაღლისგან უსაზღვრო სიყვარულს გრძნობს. ის აირჩიეს, უნებურად, უპირობოდ. მან იცის, რომ ძაღლი მზადაა, მისთვის მოკვდეს. იგი ბანჯოს ხმით მოჯადოებულია. ის სიმებს რომ ჩამოკრავს, ძაღლი წამოჯდება, თავს ჩაღუნავს და უსმენს. როცა ტერეზას პარტიას ღილინებს და გრძნობების მოზღვავებისგან ხმას უწევს (ხორხი თითქოს ეკუმშება, ყელში სისხლის ხმაურს გრძნობს), ძაღლი ტუჩებს ილოკავს და გეგონება, სადაცაა, ისიც ამღერდება თუ აყმუვლდებაო.

გაბედავს კი ამის გაკეთებას? ძაღლის ჩართვას ოპერაში? მისცემს მას ნებას, მიტოვებული ტერეზას სტროფებს შორის თავისი წუხილი გაუზიაროს ზეცას? ისე, რატომაც არა? განა ყველაფერი შესაძლებელი არ არის ქმნილებაში, რომელიც არასდროს შესრულდება?

შაბათდილაობით, შეთანხმებისამებრ, დონკინ სკვერზე მიდის, რომ ლუსის ვაჭრობაში დაეხმაროს. შემდეგ ერთად საუზმობენ.

ლუსი ნელა მოძრაობს. დაბნეული, მშვიდი გამომეტყველება აქვს. მისი ორსულობა ჯერ თვალში საცემი არ არის, მაგრამ თუკი ის უკვე ატყობს რაღაც ნიშნებს, განა დიდი დრო დასჭირდება, სანამ გრეიამსთაუნის თვალგამჭრიახი ქალიშვილებიც შეატყობენ?

– პეტრასი რას შვრება? – ეკითხება.

– სახლი თითქმის დაამთავრა, ჭერი და წყალგაყვანილობაღა დარჩა. უკვე გადადიან საცხოვრებლად.

– ბავშვი? ახლა არ უწევს?

– იმ კვირაში. ყველაფერი ზუსტადაა გათვლილი.

– შენთვის რამე ხომ არ უთქვამს? თუნდაც გადაკვრით...

– გადაკვრით?

– ჰო, შენზე... შენს ადგილზე მის ცხოვრებაში?

– არა.

– შეიძლება როცა ბავშვი... – ძლივს შესამჩნევად იქნევს ხელს თავისი ქალიშვილის მუცლისკენ, – დაიბადება, რაღაც შეიცვალოს. რაც უნდა იყოს, აქაური, ამ მიწის შვილი იქნება. ამას ვერავინ უარყოფს.

ხანგრძლივი სიჩუმე ისადგურებს.

– უკვე გიყვარს?

თვითონვე უკვირს, თუმცა ეს სიტყვები ნამდვილად მისმა ბაგემ წარმოთქვა.

– ბავშვი? არა. როგორ უნდა მიყვარდეს? მაგრამ შემიყვარდება, სიყვარული გაიზრდება, დედაბუნება იზრუნებს ამაზე. მინდა, კარგი დედა ვიყო, დევიდ, კარგი დედა და კარგი ადამიანი. შენც უნდა ეცადო, კარგი ადამიანი იყო.

– ვეჭვობ, ჩემთვის უკვე დაგვიანებულია. მე ერთი ბებერი რეციდივისტი ვარ, სასჯელს რომ იხდის. შენ კი განაგრძე, კარგ გზაზე დგახარ.

„კარგი ადამიანი“ – ცუდი გადაწყვეტილება არ არის, ამ არეულ დროს.

უსიტყვო შეთანხმებით მან გარკვეული დროის მანძილზე თავისი ქალიშვილის ფერმაში სიარული შეწყვიტა. და მაინც, ერთ სამუშაო დღეს კენტონის გზას ადგას, სატვირთო მანქანას მოსახვევთან ტოვებს და დარჩენილ მონაკვეთს ფეხით მიუყვება, მაგრამ მთავარ გზაზე არ მიდის, სტეპის გავლით, მოკლეზე ჭრის.

ბოლო ბორცვის მწვერვალიდან მის თვალწინ ფერმა იშლება: ძველი სახლი, რომელსაც ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს სოლიდური იერი, საჯინიბოები, პეტრასის ახალი სახლი,

ძველი ჯებირი, რომელშიც ლაქების მსგავს რაღაცებს არჩევს, ალბათ, იხვებია, უფრო დიდი ლაქები კი ველური ბატები იქნება, შორიდან რომ სტუმრობენ ლუსის.

ამ მანძილიდან ყვავილნარი ოთხკუთხედებად დაყოფილ ფერებად ჩანს: მეწამული, სარდიონი, ფერფლისფერ-ცისფერი. ყვავილობის პერიოდია. ფუტკრები მეცხრე ცაზე იქნებიან.

პეტრასი არ ჩანს, არც მისი ცოლი და მათთან მცხოვრები ტურა ბიჭი. სამაგიეროდ, ლუსი ჩანს, ყვავილებს შორის მოფუსფუსე, და როცა ბორცვის ფერდობს დაუყვება, ბულდოგსაც ხედავს – მოყვითალო-ყავისფერ ლაქას ბილიკზე, ლუსის უკან.

ღობემდე მიდის და ჩერდება. ლუსი ზურგით დგას და მისი მოსვლას ვერ ამჩნევს. გახუნებული საზაფხულო კაბა და ყელიანი ფეხსაცმელი აცვია, თავზე ფართოფარფლებიანი ჩალის ქუდი ახურავს. როცა ლუსი იხრება და რაიმეს ჭრის, კაფავს, ან ახვევს, რძისფერი, ცისფერძარღვიანი კანი და მუხლის უკან ღრმულებში ფართო მყესები მოუჩანს: ქალის სხეულის ყველაზე არასანდომიანი, ყველაზე ნაკლებად მიმზიდველი ნაწილი და შეიძლება ამის გამო, ყველაზე საყვარელიც.

ლუსი წელში იმართება, იზმორება და ისევ იხრება. მინდორში მუშაობა... გლეხური საზრუნავი... უხსოვარი დროიდან ასე იყო. მისი ქალიშვილი თანდათან გლეხი ხდება.

ლუსის ჯერაც არ გაუგია მისი მოსვლა, ძაღლმა კი, ეტყობა, უკვე რაღაცის სუნი იკრა.

მაშ ასე: ერთ დროს ლუსი მხოლოდ პატარა თავკომბალა იყო დედამისის წიაღში, ახლა კი აი, ქალი – ღრმად ფესვგამდგარი ყოფიერებაში, უფრო ღრმად, ვიდრე თავად ყოფილა ოდესმე. თუ გაუმართლებს, დიდხანსაც გაძლებს, გაცილებით

დიდხანს, ვიდრე მამამისი. ის რომ კარგა ხნის მკვდარი იქნება, ლუსი, თუ ბედმა გაუღიმა, ისევ აქ იქნება, თავის ყვავილებს შორის ჩვეულებრივად მოფუსფუსე. და მისგან გაჩნდება ახალი არსება, რომელიც, თუ ღმერთმა გადმოხედა, ასეთივე ფესვგამდგარი იქნება და ასევე ხანგრძლივად იცოცხლებს. და ასე წავა და წავა სიცოცხლის ხაზი, რომელშიც მისი წილი უმოწყალოდ შემცირდება და შემცირდება, სანამ მთლიანად არ გაქრება.

ბაბუა. იოსები. ვინ იფიქრებდა! რომელი ლამაზი გოგოსგან შეიძლება მოელოდე, რომ ბაბუას ლოგინში შეატყუებინებს თავს?

– ლუსი, – ხმადაბლა ეძახის.

ლუსის არ ესმის.

რა მოჰყვება ბაბუობას? როგორც მამა, დიდი ვერაფერი შვილია. ამაოდ ეცადა სხვებზე მეტად. როგორც ბაბუა, ალბათ, საშუალოზე უარესი იქნება. მას აკლია მოხუცებულთათვის დამახასიათებელი ღირსებები: უშფოთველობა, სიკეთე, მოთმენის უნარი. მაგრამ შეიძლება ეს ღირსებები გაჩნდეს, როცა სხვა ღირსებები გაქრება, მაგალითად, ვნება. ვიქტორ ჰიუგოს უნდა გადახედოს, ბაბუობის პოეტს. შეიძლება რამე ისწავლოს მისგან.

ქარი ჩადგა. სრული სიჩუმე ისადგურებს. ნეტავ სამარადისოდ გაგრძელდებოდეს ეს წამი: ალერსიანი მზე, ნაშუადღევის სიმშვიდე, ყვავილებთან მოზუზუნე ფუტკრები და სურათის ცენტრში ახალგაზრდა ქალი das ewig Weibliche[63] ფეხმძიმობის ადრეულ პერიოდში, ჩალის ქუდით. სცენა თითქოს სერჯენტის ან ბონარისთვისაა შექმნილი. მასავით ქალაქელი

---

[63] მარადქალური (გერმ.).

ბიჭები არიან, მაგრამ ქალაქელებსაც შეუძლიათ, შეიგრძნონ სილამაზე, მათაც შეიძლება, სუნთქვა შეეკრათ სილამაზის ხილვისას.

სიმართლე კი ის არის, რომ უორდსუორთის კითხვის მიუხედავად, სოფლურ ცხოვრებას გემო ვერ გაუგო, ვერც ვერაფერს გაუგო გემო, ლამაზი გოგონების გარდა, მათ კი სად მიიყვანეს! შეიძლება ახლაც არ არის გვიან, რაღაცებს გემო გაუგოს.

ყელს ჩაიწმენდს.

– ლუსი! – ეძახის უფრო ხმამაღლა.

იდილია იფანტება. ლუსი წელში იმართება, ნახევრად შემობრუნდება, იღიმება.

– გამარჯობა, – ესალმება, – ისე მოსულხარ, ვერც გავიგე.

კეტი თავს სწევს და ბეც თვალებს მიაპყრობს.

ღობეზე გადადის. კეტი მძიმედ, ზლაზვნით უახლოვდება, ფეხსაცმელს სუნავს.

– სატვირთო სად არის? – ეკითხება ლუსი. მუშაობისგან აწითლებულია და ცოტათი მზემოკიდებულიც. ჯანმრთელობის განსახიერებაა.

– გზაზე დავტოვე და ფეხით წამოვედი.

– შემოხვალ? ჩაის დალევ?

ჩაის ისე სთავაზობს, თითქოს ჩვეულებრივი სტუმარი იყოს. კარგია. სტუმრობა, სტუმრიანობა: ახალი საწყისი წერტილი, ახალი დასაწყისი.

ისევ კვირადღე. ის და ბევი Losung-ით არიან დაკავებული. თითო-თითოდ გამოჰყავს კატები, შემდეგ ძაღლები: ბებრები, ბრმები, კოჭლები, დასახიჩრებულები, ასევე ახალგაზრდებიც, ჯანმრთელები – ყველა, ვისი დროც მოვიდა. თითო-თითოდ.

ბევი ხელს უსვამს მათ, ესაუბრება, ამშვიდებს და აძინებს, შემდეგ დგას და უყურებს, როგორ ახვევს ის მათ ნარჩენებს პლასტმასის სუდარაში.

ხმას არც ერთი არ იღებს. ბევისგან ისწავლა, რომ მთელი ყურადღება იმ ცხოველისკენ ჰქონდეს მიმართული, რომელსაც კლავენ, რათა მისცეს მას ის, რისთვისაც სათანადო სახელის დარქმევა უკვე აღარ ეუხერხულება – სიყვარული.

ბოლო ტომარას უკრავს თავს და კარისკენ მიაქვს. ოცდასამი. მხოლოდ ერთი ხვადია დარჩენილი, ის, მუსიკა რომ უყვარს, რომელსაც ცოტაოდენი შანსიც რომ ჰქონოდა, თავის ამხანაგებს კოჭლობით აედევნებოდა კლინიკის შენობისკენ და ქირურგიულ განყოფილებაში შეჰყვებოდა, სადაც თუნუქის მაგიდა დგას, ჰაერში კი მძიმე, შერეული სუნია, ისეთი სუნი, რომელიც აქამდე არასოდეს უყნოსია: დასასრულის სუნი, მსუბუქი, სუსტი სუნი გაფრენილი სულისა.

ძაღლი ვერასდროს მიხვდება („თუმცა ერთი თვეა, ყოველ კვირადღეს ერთი და იგივე მეორდება," – ფიქრობს ის), და არც ცხვირი ეტყვის, რომ შეიძლება, ვინმე შევიდეს თითქოსდა ჩვეულებრივ ოთახში და აღარასოდეს გამოვიდეს იქიდან. რაღაც ხდება ამ ოთახში, რაღაც გამოუთქმელი: აქ სულებს სხეულიდან გლეჯენ, ცოტა ხნით ის ჰაერში ყოვნდება, იგრიხება, მახინჯდება, შემდეგ მილით გაიწოვება და ყველაფერი მთავრდება. ეს ძაღლისთვის გაუგებარია – ოთახი, რომელიც ოთახი კი არ არის, ხვრელია, საიდანაც შენი არსებობა გაედინება.

– ყოველ ჯერზე სულ უფრო ძნელი ხდება, – თქვა ერთხელ ბევ შოუმ. ძნელი, მაგრამ ადვილიც. ადამიანის თვისებაა, მიეჩვიოს, რომ რაღაცები რთულდება; რომ რაღაც ისეთი რთული, რომლის მეტად გართულება თითქმის შეუძლებელია, კიდევ

უფრო რთულდება. თუ მოისურვებს, შეუძლია, ძაღლს კიდევ ერთი კვირის სიცოცხლე აჩუქოს, მაგრამ დრო მოვა და ამას თავიდან ვერ აიცილებს. როცა ბევ შოუსთან, ქირურგიულში მისი მიყვანა მოუწევს (შეიძლება ხელში აყვანილიც კი მიიყვანოს, მისთვის ამის გაკეთებას შეძლებს), მოეფერება, ბეწვს გადაუწევს, რომ ნემსმა ვენა ადვილად მონახოს, და ეჩურჩულება, გაამხნევებს სწორედ იმ წამს, როცა ის თათებს გაჭიმავს, ისე, რომ ვერაფერს მიხვდება. სულის ამოსვლის შემდეგ გაჭიმულ ფეხებს მოუკეცავს, რომ ტომარაში ჩატენოს, მეორე დღეს კი ტომარას ცეცხლში ჩააგდებს და უყურებს, როგორ იწვის, დაიწვება. ამ ყველაფერს გააკეთებს, როცა დრო მოვა, მაგრამ ეს ძალიან ცოტა იქნება, ნაკლები, ვიდრე ცოტა – არაფერი.

ქირურგიულს კვეთს.

– ეს ბოლო იყო? – ეკითხება ბევი.

– კიდევ ერთია.

გალიის კარს აღებს.

– მოდი, – ეუბნება.

იხრება, მკლავებს შლის. ძაღლი დასახიჩრებულ უკანალს იქნევს, სახეზე სუნავს, ულოკავს ლოყებს, ტუჩებს, ყურებს. ის არ ირიდებს.

– წამოდი.

ხელში იყვანს და ცხვარივით მიხუტებული ძაღლით ქირურგიულში ბრუნდება.

– მეგონა, ერთ კვირას კიდევ დატოვებდი, – ეუბნება ბევ შოუ, – მასზეც ხელი ჩაიქნიე?

– ჰო, ხელი ჩავიქნიე.